



GRUNI
გეორგიული რეზერვუმი უნივერსიტეტი



თქვე აღიხარაშვილი

ელექტრონული ხელშეკრულების
სამართლებრივი ბუნება
კერძოსამართლებრივი
ურთიერთობებში

თეა ედიშერაშვილი

**ელექტრონული ხელშეკრულების
სამართლებრივი ბუნება
კერძოსამართლებრივ
ურთიერთობებში**

თბილისი

2022

წინამდებარე მონოგრაფია დაფუძნებულია სადისერტაციო ნაშრომზე „ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში“ და განკუთვნილია იურისტებისთვის და კერძო სამართლით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისთვის.

ყველა უფლება დაცულია. მონოგრაფიის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საავტორო უფლების მქონე სუბიექტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

რედაქტორი

ნუნუ კვანტალიანი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

დიზაინერი

დათო მოსიაშვილი

The monograph hereof is based on the thesis work: "Legal Nature of E-Contract in a Private Legal Relationship", and is intended for lawyers and for a wide range of people interested in private law.

All rights reserved. Use of any part of this book in any form or any means (electronic or mechanical) is prohibited without written permission of the copyright subject.

Editor

NUNU KVANTALIANI

Doctor of Law, Professor

Designer

DATO MOSIASHVILI

ავტორისაბან

უძველესი ანდაზა, რომ მსოფლიო პატარავდება თითოეული დღით, არასდროს ყოფილა ასეთი ჭეშმარიტი (189, 41).

ტექნიკურმა პროგრესმა არსებითად შეცვალა ადამიანის სოციალური სამყარო. რაც მნიშვნელოვანია, მან არ იცის გეოგრაფიული საზღვრები (131). „სამოქალაქო ბრუნვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულმა ხელშეკრულებებმა მოიცვა, რაც უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს დროის დაზოგვას, სავაჭრო ურთიერთობების გამყარებასა და კომერციული საქმიანობის ეფექტურობის ზრდას. ხელშეკრულების დადების ინოვაციურმა საშუალებებმა, დისტანციური და ელექტრონული კომერციის განვითარებამ, ელექტრონული მედიისა და ინტერნეტის არნახულმა პროგრესმა აუცილებელი გახადა ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ადაპტირება ახალ ტექნოლოგიებსა და ვაჭრობის წესებთან“ (143, 89).

საქართველოში საბაზრო-ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობების განხორციელებისათვის აუცილებელია თავისუფალი სამეწარმეო გარემო და ელექტრონულ ბიზნესში ჩართული კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სტრუქტურები, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ელექტრონული ვაჭრობის განვითარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთიანი საკანონმდებლო სტრატეგიის შემუშავება და მის შესაბამისად ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხების რეგლამენტაცია.

მიუხედავად, იმისა, რომ საქართველოში ელექტრონული ვაჭრობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა მნიშვნელოვანწილად შეესაბამება ამ სფეროში არსებულ აღიარებულ საერთაშორისო აქტებს, ელექტრონული ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის სტაბილური სამართლებრივი მექანიზმის შექმნის თვალსაზრისით საკანონმდებლო ცვლილებები აუცილებელია.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ნაშრომი ერთ-ერთი პირველი მცდელობაა ელექტრონული ხელშეკრულებების სამართლებრივი პრობლემების გაგების, ახსნა-განმარტების, ანალიზისა და რეკომე-

ნდაციების შეთავაზებისა. ნაშრომში გამოვლენილია ელექტრონული ხელშეკრულებების დადებისას ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში, იურიდიულ მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაში არსებული ვითარება.

მონოგრაფია მოიცავს ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხებს, გაკეთებულია მისი შედარებითი ანალიზი საქართველოსა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და საერთაშორისო აქტებში.

გამოვლენილია კანონმდებლობის ხარვეზები და ჩამოყალიბებულია მოსაზრებანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

საქართველო, როგორც განვითარებადი, მიმზიდველი გეო-პოლიტიკური მდებარეობის ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს ევროპის ტერიტორიაზე მიმდინარე ლიბერალიზაციის პროცესში. საქართველოს აქვს პრეტენზია და ამბიცია, რომ ევროპის განუყოფელი ნაწილი გახდეს. ელექტრონული ვაჭრობისა და მომხმარებელთა დაცვის შესახებ ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან კი ამ გზაზე აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, რომელიც წარმატებით ხორციელდება.

მონოგრაფიის შექმნაში უდიდესი წვლილისათვის მადლობას ვუხდით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს და პერსონალურად მის რექტორს, პროფესორ მამუკა თავხელიძეს და ჩემს მეცნიერ-ხელმძღვანელს, მონოგრაფიის რედაქტორს, სამართლის დოქტორს, პროფესორ ნუნუ კვანტალიანს.

თეა ედიშერაშვილი,

სამართლის დოქტორი, მონვეული პროფესორი,

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ნოტარიუსი,

სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრი

თბილისი, მარტი 2022 წელი

FROM THE AUTHOR

The oldest proverb, that the world diminishes by every single days, has never been so genuine (189, 41).

Technical progress substantially changed the social universe of a human. It exceeds the geographical borders (131). Civil turnover was covered by the remotely and electronically concluded agreement which supports sparing time, reinforcing the trade relationships and boosting the efficiency of commercial activities. Innovative remedies of concluding the contract, remote and E-commerce development, unprecedented progress of E-media and Internet, made it necessary for the economic and legal institutions to adopt with cutting edge technologies and trade rules (143, 89).

Economic environment and competitive, economic structures, engaged in E-business are meaningful for implementing the market-economic type of relationships in Georgia, for which the appropriate legislative base shall be implemented. To develop E-commerce, united legislative strategy shall be implemented in the first place and the issues, related to the E-contracts shall be regulated appropriately.

Nevertheless, the law, applicable in the realm of E-commerce in Georgia principally conforms to the international acts, acknowledged and effective in this field, legislative changes to introduce a stable, legal mechanism for specifying the rights and commitments of E-contractual parties is significant.

The work is the one of the first attempt in Georgian legal literature to learn legal problems of contracts, offer interpretations, analysis and recommendations. The thesis reveals the circumstance in judicial practice and legal science, Georgian and foreign applicable laws, when entering into E-contracts.

The monograph covers the issues of legal regulation of e- signature, its comparative analysis is made in the legislation and international acts of Georgia and other countries.

The defects of the legislation is revealed and formulated on the necessity of introducing changes.

Georgia as an emerging country with attractive geo-political location, actively participates in the liberalization process, undergoing on the territory of Europe. Georgia holds an ambition and claim to become a part of Europe. Harmonization of our legislation with the one of European Union related to the E-commerce and consumers protection is a meaningful and necessary step, which is successfully underway.

In making monograph work I'd like to express my gratitude towards Mr. Mamuka Tavkheldze personally, Rector of Grigol Robakidze University and my scientific-leader, Doctor of Law, Professor Nunu Kvantaliani.

TEA EDISHERASHVILI,

Doctor of Law, Invited Professor

Grigol Robakidze University

Notary

Notary Chamber of Georgia LEPL (Member)

Tbilisi, March 2022

სარჩევი

| | |
|---|-----------|
| პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები..... | 13 |
| შესავალი..... | 15 |
| თავი 1. ელექტრონული ხელშეკრულებების დადების თავისებურებები | 21 |
| 1.1. ელექტრონული ხელშეკრულების წარმოშობა..... | 22 |
| 1.2. ხელშეკრულება და ელექტრონული ხელშეკრულება | 24 |
| 1.3. ელექტრონული ხელშეკრულების დადების სამართლებრივი წინაშეღმრები | 36 |
| 1.3.1. მხარეთა შეთანხმება (ოფერტი და აქცეპტი) | 44 |
| 1.4. ელექტრონული ხელშეკრულების დადების მომენტი და საშუალებები | 47 |
| 1.4.1. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები..... | 53 |
| 1.4.2. ვებ-გვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები | 59 |
| 1.4.2.1. CLICK WRAP და SHRINK WRAP ტიპის ხელშეკრულებები | 62 |
| 1.4.2.2. WEB-WRAP-ის ტიპის ხელშეკრულება..... | 65 |
| 1.5. სუბიექტების იდენტიფიკაცია და ადგილმდებარეობის დადგენა | 70 |
| 1.6. მხარეთა შეთანხმება არსებით პირობებზე | 75 |
| 1.7. ელექტრონული შუამავლების კავშირი ელექტრონული ხელშეკრულების დადებასთან..... | 83 |
| 1.7.1. ავტომატიზირებული პირები | 83 |
| 1.7.2. ელექტრონული „წარმომადგენლები“ | 93 |
| 1.8. დასკვნა | 97 |

| | |
|---|------------|
| თავი 2. ელექტრონული ხელშეკრულების ფორმა..... | 101 |
| 2.1. ხელშეკრულების ფორმა | 101 |
| 2.2. ხელშეკრულების ელექტრონული და ტექსტური ფორმა საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში..... | 103 |
| 2.3. დასკვნა | 118 |

თავი 3. ელექტრონული ხელმოწერის

| | |
|--|------------|
| სამართლებრივი რეგლამენტაცია..... | 120 |
| 3.1. ელექტრონული ხელმოწერის ცნება, არსი | 123 |
| 3.2. ელექტრონული ხელმოწერის ტექნოლოგიები | 146 |
| 3.3. ფუნქციური ეკვივალენტის პრინციპი | 150 |
| 3.4. ელექტრონული ხელმოწერა, როგორც პირის იგივეობის ინსტრუმენტი | 151 |
| 3.5. ელექტრონული ხელმოწერა-გაყალბებისაგან დაცვისა და კონფიდენციალობის გარანტი | 155 |
| 3.6. ელექტრონული ხელმოწერა სხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და საერთაშორისო აქტებში | 157 |
| 3.7. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები | 168 |
| 3.8. დასკვნა | 168 |

თავი 4. ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების

| | |
|---|------------|
| მხარეთა უფლება-მოვალეობანი..... | 171 |
| 4.1. დისტანციური ფორმით დადებული ხელშეკრულების მხარეები | 179 |
| 4.2. ინფორმირების ვალდებულება | 184 |
| 4.3. ხელშეკრულების უარყოფის უფლება | 200 |
| 4.4. სტანდარტული პირობების კონტროლი | 216 |
| 4.5. დასკვნა..... | 221 |

| | |
|--|------------|
| თავი 5. გამოსაყენებელი სამართალი..... | 224 |
| 5.1. უცხოური და ქართული რეგულირება..... | 224 |
| 5.2. გამოსაყენებელი სამართლის საკითხი მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში..... | 235 |
| 5.3. CESL და ელექტრონული ურთიერთობისას წარმოშობილი დავების მოგვარება..... | 244 |
| 5.4. დასკვნა..... | 246 |
| | |
| დასკვნა..... | 249 |
| ბიბლიოგრაფია..... | 264 |
| დანართი: სოციოლოგიური კვლევის მასალები..... | 289 |

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები

| | |
|----------------------------|--|
| ა.შ. – | ასე შემდეგ |
| ავტ. – | ავტორი |
| გვ. – | გვერდი |
| გამომც. – | გამომცემლობა |
| ასოცირების შეთანხმება – | ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, 1/07/2016 |
| აშშ – | ამერიკის შეერთებული შტატები |
| გაერო – | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია |
| გსკ – | გერმანიის სამოქალაქო კოდექსი |
| ევროკავშირი – | ევროპის კავშირი |
| ე.წ. – | ეგრეთ წოდებული |
| იხ. – | იხილეთ |
| თბ. – | თბილისი |
| მაგ. – | მაგალითად |
| მუხ. – | მუხლი |
| რედ. – | რედაქტორი |
| რფსკ – | რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი |
| სკს – | საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი |
| სსკ – | საქართველოს სამოქალაქო კოდექსი |
| სსსკ – | საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი |
| სუსგ – | საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (გადაწყვეტილება) |
| შეად. – | შეადარეთ |
| ჟურნ. – | ჟურნალი |

| | | |
|------------|--|--------------|
| Дис. – | Диссертация – | დისერტაცია |
| Автореф. – | Автореферат – | ავტორეფერატი |
| М. – | Москва – | მოსკოვი |
| г. – | Год – | წელი |
| с. – | Страница – | გვერდი |
| Т. – | Том – | ტომი |
| Журн. – | Журнал | |
| ЕCHR – | ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო | |
| B2B – | Business-to-Business (ბიზნესიდან ბიზნესზე) | |
| B2C – | Business-to-Consumer (ბიზნესიდან მომხმარებელზე) | |
| EU – | European Union (ევროკავშირი) | |
| UETA – | Uniform Electronic Transactions Act (ერთიანი ელექტრონული გარიგებების აქტი) | |
| UK – | United Kingdom | |
| UNCITRAL – | United Nations Commission on International Trade Law (გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია) | |
| CESL – | საერთო ევროპული ნასყიდობის კანონი | |
| CISG – | გაეროს (ე.წ. ვენის) კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის კონტრაქტების შესახებ | |
| CUECIC – | გაეროს კონვენცია საერთაშორისო კონტრაქტებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ | |

შესავალი

XX საუკუნის ბოლო ათწლეულები და დაწყებული XXI საუკუნე დასახელებულია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქად, რადგანაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ეხება ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს. ელექტრონულ ურთიერთობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ეკონომიკასა (131,194) და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. თუმცა, ელექტრონული ურთიერთობის განვითარება წარმოადგენს გამოწვევას ცალკეული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო გაერთიანების კანონმდებლობაში (129,194).

სამართლიანობის მიღწევა სამართლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რითაც უნდა მოხდეს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაკმაყოფილება (39,12.).

არ არის გამონაკლისი არც სამოქალაქო სამართალი. საინფორმაციო ტექნოლოგიები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ კომერციული თუ არაკომერციული მიზნების მისაღწევად. უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული საშუალებებით. ეს პირველ რიგში უკავშირდება საკომუნიკაციო საშუალებების მუდმივ გაუმჯობესებას, რომლებმაც ურთიერთკავშირი სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შორის უფრო ეფექტური გახადა.

ადამიანებისთვის კომფორტულია საქმიანობა და ურთიერთობები „ელექტრონულ“ გარემოში საზღვრების გარეშე სისწრაფის, სიიაფის და ეფექტურობის გამო. გლობალური საინფორმაციო სისტემების, მათ შორის ინტერნეტის შექმნამ სრულიად შეცვალა ადამიანის არა მარტო ყოფითი გარემო, არამედ, მისი სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრება. ადამიანებს ელექტრონულ-დისტანციურად გვინწევს არა მარტო ინფორმაციის მიღება, არამედ, არსებობისთვის საჭირო უამრავი გარიგების დადება. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვაში ელექტრონული ვაჭრობის წილის უდიდესმა ზრდამ სამართალი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. როგორც არასდროს, ისე აუცილებელი გახდა ვირტუა-

ლური ურთიერთობებისას განხორციელებული ქმედებების, კერძოდ, დადებული გარიგებების ნამდვილობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის მყარი და გამართული სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

სამოქალაქო სამართალში მათი გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი მომენტია – დროის ეკონომია, ასევე, ის იძლევა საშუალებას ერთდროულად შეამციროს დანახარჯები და გაზარდოს პოტენციური კონტრაგენტების რაოდენობა. კომპიუტერული ქსელები იძლევიან ამ ქსელების მუდმივად მზარდ მომხმარებელთა რიცხვს შორის კომუნიკაციის სისწრაფისა და სიზუსტის გაზრდისა და ინფორმაციის გადაცემისა და გარიგებების დადების განსაკუთრებული ბაზრის ფორმირების საშუალებას. ელექტრონული ბაზრის ეფექტურობა ტრადიციულებთან შედარებით აღიარებულია უამრავი ეკონომისტის მიერ (158, 22; 72). ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი შესაძლებლობები სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისათვის. ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობაა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულების დადება.

სამართალში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება კანონმდებლის წინაშე აყენებს ამ სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობების ეფექტური სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემას. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სწრაფმა გავრცელებამ და განვითარებამ განაპირობა სამეცნიერო ინტერესი მისი სამართლებრივი რეგულირებისადმი და მისი განვითარების ანალიზის საჭიროება.

„ბოლო ათწლეულებში ხელშეკრულების ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადება მთელი მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ პოპულარული და მოთხოვნადი გახდა. 2020 წლის პანდემიამ გააჩინა ინტერნეტვაჭრობის ინფრასტრუქტურის განვითარების განსაკუთრებული საჭიროება“ (12).

Covid 19-ის გაჩენამ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოც. ონლაინვაჭრობა საფოსტო გზავნილებისა და საკვების მიწოდების

გარდა, მთელ ქვეყანაში აიკრძალა. აღნიშნულმა შეზღუდვამ განსაკუთრებით ბიზნესის განვითარებაზე იმოქმედა. პრობლემა ონლაინვაჭრობასაც შეეხო. ვითარებას ვერ ამსუბუქებს ის გარემოება, რომ ამერიკული amazon.com და ჩინური Taobao-ს და სხვა პლატფორმებისგან განსხვავებით საქართველოში ონლაინგაყიდვების პლატფორმა პანდემიამდეც არ იყო დიდად მოთხოვნადი და გამოყენებადი. (4, 57).

„ელექტრონული კომერციით მსხვილი კომპანიების დაინტერესება ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ეს დარგი განვითარებადი და მზარდია. მსოფლიოში საცალო ვაჭრობის დაახლოებით, 20 %-ს შეადგენს ელექტრონული კომერცია, საქართველოში ეს მაჩვენებელი 2%-ს არ აღემატება. ჩინეთის მსგავსად, სადაც 2003 წელს, ვირუსის გავრცელების გამო მომხმარებლის იზოლაციამ ხელი შეუწყო ბაზარზე ელექტრონული კომერციის როლის ზრდას, საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, გამოიყენოს გამოწვევა, როგორც ქვეყანაში ელექტრონული კომერციის განვითარების შესაძლებლობა. ელექტრონული კომერციის განვითარება გამოიწვევს ისეთ აუცილებელ პროცესებს როგორცაა სამუშაო ადგილების შექმნა, მენარმეებისთვის გასაღების ბაზრების მოძიება გამარტივდება, ეს კი საშუალებას მისცემს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. ამჟამად, საქართველოში 300-ზე მეტი დიდი და მცირე ონლაინმაღაზია ფუნქციონირებს. ათასებს აჭარბებს იმ თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა ონლაინპლატფორმის მეშვეობით დამოუკიდებლად ვაჭრობენ გამოწერილი ან საკუთარი ხელით დამზადებული პროდუქციით.“ (4, 58).

თანამედროვე ეტაპზე სამართლის ძირითად ამოცანას „ჩამოყალიბებული ურთიერთობების ხასიათისა და ბუნების ადეკვატური სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების შემუშავება წარმოადგენს, რომელთა შორის... საკვანძო როლი კონკრეტულად ხელშეკრულებას ენიჭება“ (48, 6).

ხელშეკრულება წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათი უფლებების რეალიზების ერთ-ერთ საშუალებას. ეს ყველაზე ეფექტური მექანიზმია, რომელიც სამართლის სუ-

ბიექტებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად დაიკმაყოფილონ საკუთარი ინტერესები (62, 14). ი.ვ. ბეკლენიშევას აზრით, „იურიდიულ მეცნიერებას, რომელსაც გააჩნია „მარადიული“ თემები, არა აქვს „მარადიული“ ჭეშმარიტებების ფორმირების პრეტენზია... აქ ცნებები და თეორიები ყოველთვის იგება სოციალური ფასეულობების, მიზნებისა და ამოცანების ისტორიულად ჩამოყალიბებულ კონტექსტებში“ (48, 5).

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ნაშრომი ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შესწავლის, ახსნა-განმარტების, ანალიზისა და რეკომენდაციების შეთავაზების ერთ-ერთი პირველი მცდელობაა.

ახალმა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა შექმნეს დამატებითი შესაძლებლობები ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებების დადებისა და შესრულებისათვის. ამჟამად იურიდიულ ლიტერატურასა და მოქმედ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში არ არის ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების განმარტება. ასევე, არასაკმარისადაა დამუშავებული ამგვარი ხელშეკრულებების სამართლებრივი რეჟიმის თავისებურებები. ამიტომ მიზანშეწონილია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების ნიშნებისა და სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა.

ელექტრონული ხელშეკრულება მხარეთათვის (იქნებიან ეს მენარმები, თუ მენარმე და მომხმარებელი) კომფორტული და მოსახერხებელია. მიუხედავად იმისა, სად იმყოფებიან მხარეები, მსოფლიოს რომელ კუთხეში. ჩვეულებრივ პირობებში ხელშეკრულების დადება ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ხელშეკრულების საგნის ვიზუალიზაცია ხშირად შეუძლებელია. ელექტრონული ხელშეკრულების დადება კი ბევრ პრობლემას მარტივად ხსნის. მხარეები ზოგავენ დროს და ფინანსებს, ვირტუალურად შეუძლიათ შეაფასონ, მოიწონონ, აირჩიონ და შეიძინონ მათთვის სასურველი პროდუქცია. როგორც ნესი მიიღონ იგი სახლიდან გაუსვლელად დღე-ღამის ნებისმიერ დროს. შესაბამისად, ელექტრონული ვაჭრობა მენარმეთათვის შემოსავლის ეფექტური წყაროა. ისინი მუშაობენ და მოგებას იღებენ დროის უწყვეტ რეჟიმში.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოს კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ის მუდმივ სრულყოფას და განახლებას განიცდის, რის გამოც ხარვეზებისგან თავისუფალი არაა. საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საკვლევი თემის აქტუალობა ჰარმონიზაციის პროცესის გაანალიზებასა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებითაც გამოიხატება. ვინაიდან საქართველო ჩართულია ევროპაში მიმდინარე ლიბერალიზაციის პროცესებში, მან ყველა არსებული რესურსი უნდა გამოიყენოს, რომ გახდეს ძლიერი ევროპის განუყოფელი ნაწილი. ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან უზრუნველყოფს შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმ ძირითადი სამართლის ნორმების დანერგვას, რომლებიც უკვე წლების განმავლობაში ევროპაში წარმატებულად ფუნქციონირებს.

„2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლითაც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს დაუახლოოს.

ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსა და ევროპული კავშირის ურთიერთობის უახლესი ამბიციური ფორმაა. იგი ქართული სამართალშემოქმედების განვითარების სრულიად ახალი ეტაპის დაწყებას მოწმობს, რაც მისი სამართლებრივად სავალდებულო ბუნებითაა განპირობებული.“ (147, 323-325).

შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას. შეთანხმების მე-ნ თავის 1-ლი ქვეპუნქტი ეხება ელექტრონულ კომერციას. შეთანხმების 127-ე მუხლის თანახმად, მხარეები აღიარებენ რა, რომ ელექტრონული კომერცია მრავალსექტორში ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს, თანხმდებიან, ხელი შეუწყონ მათ შორის ელექტრონული კომერციის განვითარე-

ბას. 128-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ ვალდებულია აიღოს, აწარმოოს დიალოგი ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის მომხმარებელთა დაცვის შესახებ, ელექტრონული კომერციის ფარგლებში.

ვინაიდან არსებული პრაქტიკის მიხედვით ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული კომერციის არსებობა და განვითარება ელექტრონული ხელშეკრულებების გარეშე წარმოუდგენელია, ამ ტიპის ხელშეკრულებათა მხარედ კი ძირითადად მომხმარებელი გვევლინება, მიგვაჩნია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული სტანდარტები ელექტრონულ ხელშეკრულებებში უნდა აისახოს. მითითებული კი სხვა ფაქტორებთან ერთად აძლიერებს საკითხის აქტუალობას.

მონოგრაფია შედგება: შესავლის, ხუთი თავის, 35 ქვეთავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან. თავები განსაზღვრული და დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული ხელშეკრულების დადების თავისებურებები, ელექტრონული ხელშეკრულების ფორმა, ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი რეგლამენტაცია, ელექტრონული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი, გამოსაყენებელი სამართალი ელექტრონულ ხელშეკრულებებში. დანართში მოცემულია სოციოლოგიური კვლევის მასალები.

მონოგრაფიის ამსახველი დებულებები გამოქვეყნებულია სამ მეცნიერო სტატიაში. მათ შორის ერთი საქართველოში და ორი უცხოეთში.

თავი 1. ელექტრონული ხელშეკრულებების დადების თავისებურებები

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ფუნქციონირება და განვითარება წარმოუდგენელი გახდა ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების გარეშე. ადამიანებისთვის კომფორტულია საქმიანობა და ურთიერთობები „ელექტრონულ“ გარემოში საზღვრების გარეშე სისწრაფის, სიიაფის და ეფექტურობის გამო. გლობალური საინფორმაციო სისტემების, მათ შორის ინტერნეტის შექმნამ სრულიად შეცვალა ადამიანის არა მარტო ყოფითი გარემო, არამედ, მისი სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრება. ინტერნეტის სიკეთე და მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოვლინდა ფორსმაჟორით მოცულ შინაჩაკეტილ მსოფლიოში, როცა პანდემიისგან თავის გადასარჩენად სოციალური დისტანცირების პირობებში ელექტრონულ-დისტანციურად გვინევს არა მარტო ინფორმაციის მიღება, არამედ, არსებობისთვის საჭირო უამრავი გარიგების დადება. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვაში ელექტრონული ვაჭრობის წილის უდიდესმა ზრდამ სამართალი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. როგორც არასდროს, ისე აუცილებელი გახდა ვირტუალური ურთიერთობებისას განხორციელებული ქმედებების, კერძოდ, დადებული გარიგებების ნამდვილობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის მყარი და გამართული სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

„ელექტრონულ ხელშეკრულებას სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეთათვის-როგორც მომხმარებლისთვის, ისე მენარმისთვის ბევრი დადებითი აქვს. ერთ-ერთი ასეთი გარემოება დროის ეკონომიაა, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მხარეები და საგანი სხვადასხვა ქვეყანაში ან დასახლებულ პუნქტში იმყოფება. ბუნებრივია, ამ ვითარებაში მათ შორის მოლაპარაკების წარმოება და ხელშეკრულების საგნის შეფასება დიდ დროსა და ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას კი არათუ მხარეთა შეხვედრა არ არის საჭირო, არამედ მომხმარებელს ეძლევა შესაძ-

ლებლობა, სახლიდან გაუსვლელად სხვა საქონელს შეადაროს სასურველი მომსახურების ან პროდუქტის ხარისხი და ფასი. ეს კი პროცესს საკმაოდ მოსახერხებელსა და ეფექტურს ხდის.“ (149, 105). „აღსანიშნავია ისიც, რომ ონლაინ-მაღაზიები დღე-ღამის ნებისმიერ დროს არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, მენარმე სარგებელს იღებს მაშინაც კი, როდესაც სძინავს.“ (149, 105).

1.1. ელემენტარული ხელშეკრულების წარმოშობა

თავიდან დისტანციური ხელშეკრულებები მათი დღევანდელი ინტერპრეტაციით არ არსებობდა. თუმცა, მენარმეები სულ უფრო მეტად ცდილობდნენ დაემყარებინათ სახელშეკრულებო ურთიერთობები, მუდმივი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის (სავაჭრო სივრცის) ფარგლებს გარეთ, მაგალითად, საკუთარ სახლთან, სამსახურში ან სხვა საჯარო სივრცეში (111, 195., 25.225.). ეს ფაქტობრივად იყო კიდევაც დისტანციური ურთიერთობების პირველადი ჩანასახი, მაგრამ ჯერ კიდევ პირისპირი კომუნიკაციის ელემენტებით.

დროთა განმავლობაში, ხელშეკრულებების დადება ყოველგვარი პირისპირ კომუნიკაციის გარეშე ჩვეულებრივ ამბად იქცა. ბუნებრივია აღნიშნულის გამო საჭირო გახდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების მარეგულირებელი ნორმების მიღება. თუმცა, დისტანციური ხელშეკრულებების დადების საშუალებები დღეს გაცილებით ფართოა, ვიდრე ადრე იყო შესაძლებელი.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა, როგორც მომხმარებელთა, ისე მენარმეთა შეხედულებები და დამოკიდებულება, რომლებიც კონტრაქტებთან პირისპირ კომუნიკაციასთან შედარებით უპირატესობას დისტანციურ კომუნიკაციას ანიჭებდნენ (133., 25.226.). „დისტანციურ კომუნიკაციაში იგულისხმება ურთიერთობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც არ უკავშირდება მხარეთა პირდაპირ ურთიერთობას. საუბარია ხელშეკრულებაზე, რომელიც იდება ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, კატალოგების, ან ინტერნეტის გამოყენებით. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება პრესაში გავრცელებული რეკლამის,

რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებებიც, თუ მათში საგანგებოდაა მითითებული საქონლისა და მომსახურების შემთავაზებელი პირის ტელეფონის ნომერი ან ელექტრონული მისამართი“ (124, 64., 25.226.).

„დღეისათვის დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებულ ფორმად ელექტრონული კომერცია ითვლება, რომლის პირველი ჩანასახი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1958 წელს გაჩნდა“ (80., 25.226.). „აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დასჭირდა კომპიუტერული სისტემა, რომელიც ცენტრალური კომპიუტერისაგან, ე.წ. „სერვერისაგან“ დამოუკიდებელი იქნებოდა. ამ მიზეზით მეცნიერებმა განავითარეს დეცენტრალიზებული ელექტრონული ქსელი, რომელიც პირველად პენტაგონის სამეცნიერო განყოფილების დავალებით 1961 წელს გამოიყენეს; მან მოწინავე სამეცნიერო კვლევების სააგენტოს (APRA) მიერ და აპრანეტის (APRANET) სახელწოდებით დაიმკვიდრა თავი. მოგვიანებით, აპრანეტი შეცვალა ინტერნეტმა, რომელიც კომპიუტერული ქსელებისა და მრიცხველების გლობალური, ურთიერთდაკავშირებული სისტემაა და გამოყენებადია ყველასათვის, შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. მისი თავდაპირველი მიზანი მეცნიერული და არა კომერციული გამოყენება იყო. 1995 წელს აშშ-ს მთავრობამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება და განახორციელა ინტერნეტის პრივატიზება. ამ დროიდან ინტერნეტი კომერციული საქმიანობის ნაწილი ხდება.“ (141, 59).

„პირველი ელექტრონული ვაჭრობის ჩანასახები 1994-1997 წლებში ჩნდება. ამ დროისათვის უამრავმა მენარმე სუბიექტმა შექმნა ვებ-გვერდები ინტერნეტში, თუმცა, ელექტრონული ვაჭრობის შესაძლებლობა მათ ჯერ არ გააჩნდათ (ისე, როგორც ეს დღეს შესაძლებელია, მაგ., amazon.com-ის ან ebay.com-ის მეშვეობით). 1997-2000 წლებში შესაძლებელი გახდა პირველი ელექტრონული ტრანზაქციის განხორციელება და, შესაბამისად, ახალი ათასწლეულიდან ელექტრონული კომერცია ვაჭრობის ჩვეულებრივ საშუალებად იქცა“ (80., 25.227.).

„შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში ურთიერთობის ეს სახე დროსა და სივრცეში საქონლისა და მომსახურების

შეთავაზების გამარტივებულ საშუალებად ითვლება. ის ქმნის სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების უნიკალურ შესაძლებლობას ხელშეკრულების ორივე მხარისათვის. საშუალება განსაკუთრებით კომფორტულია მომხმარებლებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად დაიკმაყოფილონ თავიანთი ინტერესები“ (103, 66., 25.227).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ელექტრონული ვაჭრობის სფეროში არაერთი საერთაშორისო აქტის არსებობის მიუხედავად, საქართველოში ხანგრძლივი დროის მანძილზე მსგავსი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაცია არ არსებობდა. საქართველოს პარლამენტმა პირველად, 2008 წლის მარტში მიიღო კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, რომელიც 2017 წლის მაისიდან ჩაანაცვლა საქართველოს კანონმა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“.

1.2. ხელშეკრულება და ელექტრონული ხელშეკრულება

„ხელშეკრულება სოციალური სიკეთისა და მატერიალური დოვლათის განაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ადამიანები უხსოვარი დროიდან ამყარებენ ურთიერთობას სხვადასხვა ნივთისა და საქონლის გაცვლის მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ ის ცხოვრებისეული ინსტინქტის დონეზე არსებობს. ხელშეკრულებას მხარეები მხოლოდ მაშინ დებენ, როდესაც თითოეული მხარის სარგებელი გათვალისწინებულია“ (40, 64).

ხელშეკრულება წარმოადგენს უფლებების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას. ეს ვლინდება იმაში, რომ ხელშეკრულება როგორც შეთანხმება (და არა როგორც უბრალოდ გარიგება) „იქმნება“ თავად მხარეების მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკუთარი ინტერესებით. ვეთანხმებთ მ.ი. ბრაგინსკის, რომელიც მიიჩნევს, რომ „ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა აქტივობის იდეალურ ფორმას“ (50, 14), ხოლო მისი მარეგულირებელი როლი ხელშეკრულებას აახლოებს კანონთან და ნორმატიულ აქტებთან (50, 13).

ხელშეკრულება-ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგია, მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულებაა, რომლის ძალითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი პირი თავისუფალია, ვისთანაც უნდა, იმასთან შევიდეს გაცვლით ურთიერთობებში და განსაზღვროს ამ ურთიერთობის შინაარსი. ამასთან, მხარეთა „ნების ავტონომია“ არ ათავისუფლებს მონაწილეებს ვალდებულებებისაგან, გაითვალისწინონ ერთურთის დასაცავი ინტერესები (20.16.).

ხელშეკრულება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უნიკალურ სამართლებრივ საშუალებას, რომლის ფარგლებშიც თითოეული მხარის ინტერესი... შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ მეორე მხარის ინტერესის დაკმაყოფილების გზით (რფსკ 432.2. მუხლი; 53, 586). „ტერმინ „ხელშეკრულებას“ თანამედროვე ევროპულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ ტექსტებში იყენებენ მინიმუმ სამი კონტექსტით: პირველი გამოხატავს მხარეთა შეთანხმებას, რომლის მიზანია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა (შეცვლა ან შეწყვეტა); მეორე მიუთითებს სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულებიდან, როგორც შეთანხმებიდან; და მესამე, თვით დოკუმენტზე, სადაც ხელშეკრულების პირობებია გაწერილი“ (3, 90). „როგორც წესი, ხელშეკრულება წარმოადგენს მინიმუმ ორი მხარის ნებათა თანხვედრის (კონსენსუსს) ლოგიკურ შედეგს“ (40, 131). იგი-ორი ან მეტი პირის შეთანხმებაა, კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მისაღწევად. ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულებით ორმხრივად იბოჭავენ რა თავს თმობენ საკუთარ თავისუფლებას ან ქონების ნაწილს (259).

„ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია, რომელიც მხარეთა თანხვედრი ნების გამოვლენას გულისხმობს. მნიშვნელოვანია, რომ ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც მხარეები ცდილობენ, შესაძლოა მხოლოდ კონსენსუსის შედეგად დადგეს. სამართლებრივი შედეგი მხარეებს შორის შეიძლება მო-

იაზრებდეს, როგორც ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, ისე არსებული უფლება-მოვალეობების შეცვლას ან შეწყვეტას“ (260).

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება სახელშეკრულებო ურთიერთობებში ახალ ფორმას წარმოადგენს. **ნორმატიულად ელექტრონული ფორმით დასადები ხელშეკრულებების განმარტება ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს, არ არის ასახული მათი დადების და შესრულების თავისებურებები.**

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 2.ა. მუხლში მოცემულია მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტის ცნება და იგი განმარტებულია, როგორც ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა.

„ელექტრონული გარიგებების შესახებ“ აშშ-ს კანონით (მე-2 ნაწილი, მუხლი 2) „ავტომატიზირებული გარიგებები“ (automated transaction) განმარტებულია როგორც მთლიანად ან ნაწილობრივ, ელექტრონული საშუალებებით ან ჩანაწერებით განხორციელებული ან შესრულებული გარიგება (254). „აღნიშნული საშუალებით, გარიგების მონაწილე ხელშეკრულების ტექსტს ეცნობა ელექტრონული დოკუმენტით“ (44, 71-72). „ამგვარი ხელშეკრულების არსებობა დამოკიდებულია თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარებაზე, რომლის კვალადაც, ელექტრონულმა ხელშეკრულებამ უდიდესი დატვირთვა ჰპოვა ყოველდღიურ ცხოვრებაში“ (117, 1209., 45,112).

„თუ ხელშეკრულება ინტერნეტში, ვებგვერდზე არსებული პირობების გამოყენებით იდება, შეიძლება იგი მიჩნეულ იქნეს როგორც ონლაინ ხელშეკრულება“ (21, 43., 45,112).

ვინაიდან ელექტრონული კავშირის საშუალებები მოიხსენება ხელშეკრულების დადების ერთ-ერთ საშუალებად (რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში რფსკ-ის 434-ე მუხლის პუნქტი 2), მათი გამოყენება არ ცვლის დადებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ურთიერთობების არსს (62, 15).

„ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას, უმეტეს შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთს არც კი იცნობენ. ასეთი ურთიერთობისას შესაძლებელია ხელშეკრულების თავისუფლებამ ნების ნამდვილობის საკითხზე შეთანხმებაც კი გაითვალისწინოს. ასე, მაგალითად, მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ იმაზე, რომ მეორე მხარის დუმილი შესაძლებელია აქცეპტადაც იქნეს მიჩნეული“ (135, 88-89), „რაც მატერიალურ დოკუმენტზე ხელშეკრულების დადებისას სამოქალაქოსამართლებრივ დათქმებს ეწინააღმდეგება“ (42, 343), (45.113)

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებების სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმის მიხედვით ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით.

ელექტრონული ურთიერთმოქმედების სფეროში სახელშეკრულებო რეგულირების როლი იზრდება (162, 111). ა.ა. ნაგაევა აღნიშნავს, რომ „სახელშეკრულებო სამართლის განახლება მიდის ორი მიმართულებით: საერთო ყველა ხელშეკრულებისათვის ხელშეკრულების დადების საშუალების, მისი ფორმის კორექტირების ნაწილში, და სპეციალური – სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები, შერეული ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ახალ მოვლენებს და კავშირებს ელექტრონული ურთიერთმოქმედების პირობებში“ (64, 12).

ელექტრონული ხელშეკრულების გაფორმება ხდება ელექტრონულ გარემოში, კომუნიკაციის ელექტრონული ფორმებით და წარმოადგენს ელექტრონული ვაჭრობის განუყოფელ ელემენტს (110, 14).

ელექტრონული კომუნიკაციები მოიცავს ინფორმაციის გაცვლას ელექტრონული საშუალებებით და შესაძლებელია მოიცავდეს მთელ რიგ მეთოდებს, ტექნიკას და ტექნოლოგიას, რომელთაგან ბევრი უკვე მრავალი წელია არსებობს. 2000 წლის ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 15-ე მუხლში „ელექტრონული კომუნიკაცია“ განისაზღვრება როგორც, „კომუნიკაცია გადაცემული (ერთი პირიდან მეორეზე, ერთი საშუალებიდან მეორეზე

ან პირიდან საშუალებაზე და პირიქით) – (ა) სატელეფოკომუნიკაციო სისტემის საშუალებით (1984 წლის ტელეკომუნიკაციის შესახებ კანონის ფარგლებში); ან (ბ) სხვა საშუალებებით, მაგრამ ელექტრონული ფორმით (110, 14).

ამ ვრცელი განმარტების საფუძველზე ელექტრონული კომუნიკაციები მოიცავს სატელეკომუნიკაციო ქსელთან გადაცემულ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას. ეს შესაძლოა იყოს ტელეფონი, ფაქსი, პერსონალური კომპიუტერი, ლეპტოპი ან პერსონალურ მონაცემთა დამხმარე. ელექტრონული ხელშეკრულებები ყველაზე მეტად ასოცირდება კომუნიკაციის კომპიუტერიზირებულ ფორმებთან და ელექტრონულ მონაცემთა ურთიერთგაცვლასთან, რაც კომპიუტერიზირებული ელექტრონული ხელშეკრულების გაფორმების უძველეს ფორმას წარმოადგენს. ელექტრონული ხელშეკრულების გაფორმების ყველაზე ჩამოყალიბებული ფორმა არის ელექტრონული მონაცემების გაცვლა, რაც საშუალებას აძლევს მოვაჭრე პარტნიორებს გაცვალონ კომერციული დოკუმენტაცია ელექტრონულად (82, 2., 110.15).

ელექტრონული ხელშეკრულებების დიდი ნაწილი ფორმდება ღია ქსელების, ელექტრონული ფოსტებისა და ინტერაქტიული ვებგვერდების საშუალებით, რაც წარმოადგენს კომუნიკაციის შერჩეულ ფორმას (82, 2., 110, 15).

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებების სამართლებრივი რეჟიმის პრობლემა ნაწილობრივ საერთაშორისო ნორმატიული აქტების მეშვეობით შეიძლება შეივსოს. ელექტრონული გარიგებები ძირითადად ვაჭრობის (კომერციის) სფეროში ფორმდება. შესაბამისად, საერთაშორისო დოკუმენტებში ელექტრონული კავშირის გამოყენებით დასადები გარიგებების აღნიშვნისათვის ელექტრონული კომერციის (ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული ეკონომიკური საქმიანობის) ცნება გამოიყენება.

„ელექტრონული კომერცია არის საქმიანობა საქონლის რეალიზაციის, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების განევისას ღია კომპიუტერული ქსელების გამოყენებით“ (142, 110). „თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებაში ელექტრონული ვაჭ-

რობა – ესაა ტექნოლოგიური, ეკონომიკური, საფინანსო და იურიდიული ურთიერთობების ერთობლიობა“ (171, 27., 142, 110). „ელექტრონული ვაჭრობა“, იურიდიული მნიშვნელობით, არის ელექტრონული ფორმით სხვადასხვა გარიგების დადება, პირველ ყოვლისა, სამენარმეო სფეროში, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე“ (142, 110).

„ელექტრონული ვაჭრობა ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ნებისმიერ კომერციულ ტრანზაქციას, რაც ზემოქმედებულია ელექტრონული საშუალებებით და მოიცავს ისეთ საშუალებებს, როგორც არის ფაქსიმილია, ტელექსი, EDI, ინტერნეტი და ტელეფონი“ (110, 16).

„ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულებების დასახელებად სხვადასხვაგვარ ტერმინს იყენებენ: თუ, მაგალითად, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა (126, 12., 149, 103) ამ ინსტიტუტს ელექტრონული ვაჭრობის სახელით იცნობს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (251, §312გ) (შემდგომში – გსკ) მას დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებას უწოდებს. საერთაშორისო ნორმების უმეტესობაში ამგვარი მეთოდით ხელშეკრულების დადების აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი – ელექტრონული ვაჭრობა, მათ შორისაა: ევროკავშირის დირექტივები, გაეროს კონვენციები და სხვა შეთანხმებები“ (38, 104).

გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის (UNICITRAL) ელექტრონული ვაჭრობის შესახებ მოდელურ კანონში და მისი მიღების სახელმძღვანელოში, ასევე ელექტრონული ხელმონერების შესახებ მოდელურ კანონში, ელექტრონული ხელმონერების საკითხებზე ევროპარლამენტის დირექტივის და ამ სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში გამოყენებული ძირითადი ტერმინია „electronic commerce“. სიტყვა „commerce“ შეიძლება ითარგმნოს როგორც ვაჭრობა და როგორც კომერცია. (63, 136). ამიტომ, ტერმინოლოგიური სხვაობა დაკავშირებულია სხვადასხვა ავტორთა მიერ დოკუმენტების განსხვავებულ თარგმანთან და თარგმნის ერთიანი სტანდარტის არარსებობასთან.

გაეროს კომისია ტერმინს „კომერციული საქმიანობა“ ფართო ინტერპრეტაციას აძლევს. ელექტრონული ხელმოწერების შესახებ ერთიანი წესების პროექტში აღინიშნება, რომ კომერციული ბუნების მქონე ურთიერთობები მოიცავენ, მაგრამ არ იზღუდებიან შემდეგი ოპერაციებით: ნებისმიერი სავაჭრო გარიგებები საქონლის ან მომსახურების მიწოდების ან გაცვლის შესახებ; შეთანხმებები გავრცელების შესახებ; სავაჭრო წარმომადგენლობები ან სააგენტოები; ფაქტორინგი; ლიზინგი; ქარხნების მშენებლობა; კონსულტაციები; დაპროექტება (საინჟინრო სამუშაოები); ლიცენზირება, ინვესტირება; დაფინანსება; საბანკო მომსახურება; დაზღვევა; შეთანხმებები საბადოების დამუშავების შესახებ ან მიწების იჯარით გადაცემა მარგი წიაღისეულების მოპოვების უფლებით; ერთობლივი საწარმოები ან საწარმოო ან საქმიანი თანამშრომლობის სხვა ფორმები; საქონლის ან მგზავრების გადაზიდვა საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო ან საავტომობილო გზებით (62, 17).

თეორიულ ლიტერატურაში ელექტრონული კომერცია (ვაჭრობა) განიხილება როგორც საქონლის შექმნა მსოფლიო ქსელის ინტერნეტის მეშვეობით (172, 23). ექსპერტების ნაწილი ცნებაში „ელექტრონული კომერცია“ გულისხმობს ნებისმიერი სახის საბითუმო და საცალო ვაჭრობას, რომელიც ტარდება კომპიუტერული ქსელის მეშვეობით (156, 57), ხოლო ნაწილს მიაჩნია, რომ ამ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნებოდეს მხოლოდ ის გარიგებები, რომელთა შედეგადაც გადაიციემა საკუთრების უფლება რეალურ ან ვირტუალურ საქონელზე.

ა.ა. თედევი განსაზღვრავს მას, როგორც „სამწარმო და ასევე მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ არასამწარმო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება პრინციპულად ახალი ელექტრონული ფორმით – თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, მათ შორის გლობალური კომპიუტერული ქსელის ინტერნეტის საინფორმაციო გარემოში“ (72, 432).

შესაბამისად, ელექტრონული ვაჭრობის შემოთავაზებული განმარტებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სავაჭრო საქმიანობის (ვაჭრობის) ტრადიციული ცნებისაგან ის განსხვავდება

მხოლოდ იმით, რომ ელექტრონული ვაჭრობის პროცესში გამოიყენება ელექტრონული კავშირის საშუალებები. ელექტრონული ვაჭრობის შინაარსი არ შეცვლილა, ის კვლავ გარიგებების დადებაა.

იცვლება ფორმა, რომლის მეშვეობითაც რეალიზდება შინაარსი.

ამასთან დაკავშირებით გასაზიარებელია ო.ა. კობელევის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ ფრაზებში „ელექტრონული კომერცია“ და „ელექტრონული ვაჭრობა“ „საკვანძო სიტყვებია „კომერცია“ და „ვაჭრობა“ (67, 9). კრიტიკულად უნდა შეფასდეს ზოგიერთი ავტორის მოსაზრება, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კომპიუტერულ ქსელებთან მიმართებაში ტერმინების „კომერცია“ და „ვაჭრობა“ გამოყენება პირობითია, ვინაიდან არ შეესაბამება ინტერნეტში კომერციული საქმიანობის საქმიანობისას ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს (61, 312). კომპიუტერული ქსელი ქმნის ახალ შესაძლებლობებს გარიგებების დადებისათვის, გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის, მაგრამ გარიგების არსი ამ დროს არ იცვლება. გარიგება რჩება ნების გამოვლენის აქტად, რომელიც მიმართულია გარკვეულ იურიდიულ შედეგზე.

ხელშეკრულების დასადებად ელექტრონული საშუალების გამოყენებაში იგულისხმება ინფორმაციის გაცვლისათვის ინტერნეტის, ტელეფონის, ფაქსის, ტელეგრამის, ტელეესკოპის ან სხვა ელექტრონული, მაგნიტური ან მსგავსი საშუალების გამოყენება (62, 16).

კომუნიკაცია, ელექტრონულ გარემოში, არის სწრაფი, მოხერხებული და შესაძლოა ავტომატიზირებული კიდევ უფრო მეტად, ვიდრე კომუნიკაციის არა ელექტრონული ფორმების დიდი ნაწილი. ელექტრონული კომუნიკაციები, განსაკუთრებით კი ინტერნეტი ასევე სარგებლობს „მასშტაბის“ უპირატესობით, სადაც უზრუნველყოფილია მასიური, მზა წვდომადი გლობალური ბაზარი მინიმალური დანახარჯების მქონე ბიზნესის სექტორისათვის. საბაზრო მიზნებისათვის ელექტრონული კომუნიკაცია არის ოქროს მალარო, მასა აუდიენციისა მინიმალური დანახარჯებით (110, 19).

საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების თაობაზე გაეროს კონვენციის მე-5 მუხლში (ელექტრონული ხელშეკრულებების დადების შესახებ) დეტალურად ჩამოყალიბდა ავტომატიზირებული კომპიუტერული სისტემის განმარტება, რომლის მიხედვით იგი განისაზღვრება როგორც კომპიუტერული პროგრამა ან ელექტრონული ან სხვა ავტომატიზირებული საშუალებები, რომელიც გამოიყენება ოპერაციის დასაწყებად ან მონაცემთა ინფორმაციაზე საპასუხოდ ან ოპერაციები მთლიანად ან ნაწილობრივ ფიზიკური პირის ზედამხედველობისა ან მონაწილეობის გარეშე, როცა ამ სისტემით იწყება რომელიმე ოპერაცია ან მზადდება რომელიმე პასუხი. (239., 66, 66)

შესაბამისად, იქმნება სპეციფიკური სიტუაცია, როცა გარიგების დადებისას, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ მხარეს მაინც გვევლინება არა კონკრეტული ადამიანი, არამედ, უსულო ავტომატიზირებული სისტემა. კონვენციის მე-12 მუხლი ახდენს რა ავტომატიზირებული სისტემის (ელექტრონული აგენტების) გამოყენებით ხელშეკრულების დადების რეგლამენტირებას, ადგენს ასეთ გარიგებათა ნამდვილობის პრეზუმფციას მოცემული სისტემის ცალკეულ ოპერაციებზე ფიზიკური პირის მიერ კონტროლის არარსებობის პირობებშიც (66, 66).

სადავოა ზოგიერთი ავტორის პოზიცია, რომლებიც ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით გარიგებების დადებას განიხილავენ მხოლოდ ინტერნეტის ფარგლებში (ე. სტეპანენკო, ი.ტ. ბალაბანოვი). მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტმა „არ იცის არც სახელმწიფო საზღვრები, არც ქალაქი, არც ინფორმაციის სხვა ტრადიციული მატარებლები“ (52, 30), ის არ არის ერთადერთი კომპიუტერული ქსელი. უფრო სწორია მოსაზრება, რომელიც უარყოფს ინტერნეტს, როგორც ელექტრონული გარიგებების დადებისათვის გამოსაყენებელ ერთადერთ საშუალებას და განიხილავს მას, როგორც მხოლოდ „ელექტრონული კომერციის წარმოების ერთ-ერთ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გარემოს“ (68, 13; 159, 84).

ასეთი მიდგომა ასახავს რეალურ ფაქტებს, რამეთუ ინტერნეტის, როგორც კომპიუტერული ქსელის გამოყენება დაიწყო XX საუკუნე-

ნის 90-იან წლებში. ელექტრონული კომერციის ცნების წარმოშობას უკავშირებენ 1948 წელს ბერლინის საჭირო რესურსებითა და კვების პროდუქტებით მომარაგებისათვის შექმნილი ბერლინის საავიაციო ხიდის შექმნას (ხიდი ფუნქციონირებდა 11 თვე). 1969 წელს გაჩნდა კომპიუტერული ქსელი ARPANET, 1972 წელს გამოგონილია ელექტრონული ფოსტა. თუმცა ელექტრონული ხელშეკრულებების დადება გაცილებით გვიან დაიწყო.

ინტერნეტის სტრუქტურის იდეა პირველად ფორმულირებულია მხოლოდ 1973 წელს. თუმცა უნდა ვაღიაროთ იმათი სიმართლე, რომელთაც ინტერნეტი მიაჩნიათ „ტექნოლოგიური გამოგონებების მცირე რიგად, რომლებმაც რევოლუციურად შეცვალეს არა მხოლოდ ეკონომიკური წყობა, არამედ ასევე, საზოგადოებრივი ცხოვრება“ (153, 111), მაგრამ ალბათ არასწორი იქნება ჩავთვალოთ ის ელექტრონული კომერციის განვითარების ექსკლუზიურ სფეროდ.

ამ მოსაზრებას ამტკიცებს საერთაშორისო პრაქტიკაც. ელექტრონული ვაჭრობის შესახებ მოდელური კანონის მიღების შესახებ სახელმძღვანელოში საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის საკითხებში გაეროს კომისია აღნიშნავს, რომ ცნებაში „ელექტრონული ვაჭრობა“ შემავალი მონაცემთა გადაცემის საშუალებათა რიცხვს მიეკუთვნება ელექტრონული მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებული შემდეგი გადაცემის საშუალებები: მონაცემთა გადაცემა მონაცემთა ელექტრონული გაცვლის გზით, ამ ცნების ვიწრო მნიშვნელობით, როგორც სტანდარტული ხასიათის მონაცემთა გადაცემა კომპიუტერებს შორის. ელექტრონული შეტყობინებების გადაცემა ან საზოგადოდ ხელმისაწვდომი, ან დაპატენტებული სტანდარტების გამოყენებით. თავისუფალი ფორმატის ტექსტის გადაცემა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, მაგალითად, ინტერნეტით... რიგ შემთხვევაში „ელექტრონული ვაჭრობის“ კონცეფცია შეიძლება მოიცავდეს ისეთი საშუალებების გამოყენებას, როგორიცაა ტელექსი და ტელეფაქსი“ (62, 20). ამ განსაზღვრების სიტყვა-სიტყვითი განმარტება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ინტერნეტი წარმოადგენს ელექტრონულ კომერციაში ელექტრონული საშუალებების გამოყენების მხოლოდ კერძო შემთხვევას.

შესაბამისად, ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით დადებული გარიგებები არ შემოიფარგლება მხოლოდ ინტერნეტით.

ეს დასტურდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- 1) დროის კრიტერიუმი – ინტერნეტი გაჩნდა ელექტრონულ კომერციაზე გვიან.
- 2) საერთაშორისო პრაქტიკის კრიტერიუმი – მოქმედი საერთაშორისო ნორმატიული აქტები ინტერნეტს განიხილავენ, როგორც ელექტრონული კომერციის სუბიექტებს შორის ურთიერთმოქმედების ერთ-ერთ შესაძლო ფორმას.
- 3) შინაარსობრივი კრიტერიუმი – ელექტრონულ კომერცია-სთან მიკუთვნებული ცალკეული სამართალურთიერთობები არ ხორციელდება ინტერნეტით (საქონლის მიწოდება კურიერის მიერ, ელექტრონული დოკუმენტის გამოკვლევა სასამართლო სხდომაზე, ელექტრონული ფორმით მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელთანაც არ არის წვდომა კომპიუტერული ქსელის მეშვეობით).

მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე პირობებში სწორედ ინტერნეტი წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ მექანიზმს ელექტრონული კომერციის ყველა შესაძლებლობის რეალიზებისთვის. ინტერნეტი წარმოადგენს რა „ტრანსსასაზღვრო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ქსელს“ (160, 57), ქმნის საჭირო წინაპირობებს ელექტრონული ფორმით გარიგებების დადებისათვის (62, 22).

ამგვარად, ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მისი დადება ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული კომუნიკაციის ავტორიზებული პირების მონაწილეობით, ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის გზით, რომლებიც გამორიცხავენ მხარეთა უშუალო ურთიერთმოქმედებას.

ამრიგად, ელექტრონული ფორმით დადებულ ხელშეკრულებებს ახასიათებს შემდეგი ნიშნები, რომელთაგანაც თითოეული სა-

ჭიროა, ხოლო ყველა ერთად საკმარისი იმისათვის რომ ხელშეკრულება აღიარებულ იქნას დადებულად ელექტრონული ფორმით:

1. ელექტრონული ფორმით დასადები ხელშეკრულების მხარეთა შორის უშუალო კონტაქტის არ არსებობა. ხელშეკრულების მხარეებს კომუნიკაცია აქვთ მონაცემთა ელექტრონული გაცვლის მეშვეობით.
2. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა საინფორმაციო შუამავლების მონაწილეობა, რომლებიც პასუხს აგებენ პროგრამულ უზრუნველყოფაზე და უზრუნველყოფენ ინფორმაციის შენახვასა და გადაცემას.
3. ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას ხდება ელექტრონული ფორმით გამყარებული მონაცემების (ელექტრონული ინფორმაციის) გაცვლა. ამიტომ ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ პირობები რომლებიც ასახავენ ელექტრონული ინფორმაციის თავისებურებებს (ინფორმაციის დაცვის თავისებურებები გადაცემასა და შენახვისას, ელექტრონული დოკუმენტის შემქმნელი პირის დადგენის საშუალება, ელექტრონული დოკუმენტის ქალაქზე გადმოტანილი ასლის შენახვის საშუალება).
4. ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური პროგრამული ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეიქმნას პირადი ხელმოწერის ანალოგი. ამასთან, უნდა განვასხვავოთ პირადი ხელმოწერის ანალოგის გამოყენება ხელმოწერის ფაქსიმილური კვლავწარმოებისაგან, სადაც საქმე გვაქვს მხოლოდ პირის ხელმოწერის ასლთან.

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება ინახება სხვადასხვა მატარებელზე, რაც გამორიცხავს მის მიმართ ტრადიციული ცნებების დოკუმენტის „ორიგინალი“ და „ასლი“ გამოყენებას (62, 23).

ზემოაღნიშნული ნიშნების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ელექტრონული ხელშეკრულების ცნება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ელექტრონული ხელშეკრულება არის მხარეთა შეთანხმება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული შუამავლების მონაწილეობით და ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის გზით, უშუალო ურთიერთობის გარეშე.

1.3. ელექტრონული ხელშეკრულების დადების სამართლებრივი წანამძღვრები

„ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ურთიერთმობაჯავ შეთანხმებას მიაღწევენ და ერთმანეთის წინაშე იკისრებენ გარკვეულ ვალდებულებებს და ერთმანეთის მიმართ შეიძენენ გარკვეული მოთხოვნის უფლებებს“ (40, 64.).

„ხელშეკრულების დადება, როგორც წესი, ხორციელდება ორი თანმხვედრი ნების გამოვლენის – ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით. სწორედ, ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების გაკეთება და მეორე მხარის მიერ მისი მიღება არის ხელშეკრულების დადების ჩვეულებრივი მოდელი“ (260).

სსკ-ის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. სსკ-ის 327.1.-327.2. მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

რფსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულება არის ორი ან რამდენიმე პირის შეთანხმება სამოქალაქო უფლება-მოვალეობების დადგენის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ. რფსკ-ის 432-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად

ითვლება, თუ მხარეებს შორის, შესაბამის შემთხვევებში საჭირო ფორმით, მიღწეულია შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს ხელშეკრულების არსებითი პირობების სამ ჯგუფს: პირობები ხელშეკრულების საგნის შესახებ, პირობები, რომლებიც კანონში და სხვა სამართლებრივ აქტებში დასახელებულია როგორც აღნიშნული სახის ხელშეკრულებებისათვის არსებითი ან საჭირო პირობები, და ასევე, ყველა ის პირობა, რომელთაც მიმართებითაც ერთ-ერთი მხარის განცხადებით უნდა იყოს მიღწეული შეთანხმება (მუხლი 432). ამასთან რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი არ გამოყოფს განსაკუთრებულ პირობებს სხვადასხვა საშუალებით (პირადად, საფოსტო კავშირის მეშვეობით, ელექტრონული კავშირის მეშვეობით) დასადები ხელშეკრულებისათვის (62, 23).

ამ განმარტებათა საფუძველზე შეიძლება გამოიყოს ხელშეკრულების ორი შემადგენელი ნაწილი: მისი შინაარსი (სამოქალაქო უფლება-მოვალეობები) და ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენის და გამყარების საშუალება (შეთანხმება), ანუ შინაარსი-არსებითი პირობები, ის აუცილებელი და მინიმალური პირობები, რომელთა არსებობის გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება (1) და შეთანხმება (2) მითითებულ პირობებზე შესაბამისი ფორმით (3). (62, 15)

მითითებული სამი კომპონენტის ერთობლიობა ხელშეკრულების ნამდვილობის საფუძველია.

UNCITRAL-ის ეგიდით მიღებულია სამართლებრივი დოკუმენტები, რომელიც შესაბამის როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობაში.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულებების შესახებ პირველი საერთაშორისო საკანონმდებლო აქტი, არის გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის (*UNCITRAL*) მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ (234), რომელიც მიღებულია 1996 წელს. მოგვიანებით მას მოჰყვა ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7EG 1997 წლის 20 მაისის დირექტივა,

შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებელთა დაცვის შესახებ (244). 2001 წელს კი ძალაში შევიდა „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მოდელური კანონი (236).

საერთაშორისო აქტებიდან ასევე მნიშვნელოვანია გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო გაყიდვის კონტრაქტების შესახებ, მიღებული 1980 წლის 11 აპრილს, ვენაში (შემდეგში: CISG) (237) და გაეროს კონვენცია საერთაშორისო კონტრაქტებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ, მიღებული 2005 წლის 23 ნოემბერს, ნიუ იორკში (შემდეგში: CUECIC). გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო გაყიდვის კონტრაქტების შესახებ, ე.წ. ვენის კონვენცია გამოიყენება საქონლის მიწოდებისა და რეალიზაციის ხელშეკრულებებში (CISG მუხლი 3(1)). CISG არ გამოიყენება, თუ მხარის ვალდებულება მოიცავს შრომით ან სხვა მომსახურების მიწოდებას (87).

ვინაიდან, CISG-ის მომზადებისას ინტერნეტი ახალი განვითარებული იყო, შესაბამისად, CISG-ში არ არსებობს მკაფიო რეგულაცია პირდაპირ ელექტრონული კონტრაქტების შესახებ (187, 5., 194, 3.).

თუმცა იგი გარკვეულწილად შესაძლოა გამოყენებულ იქნას ელექტრონულ კონტრაქტებთან დაკავშირებით, ვინაიდან მთელი რიგი ნორმებით ნებადართულია კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენება (191, 475). ელექტრონული კონტრაქტები წარმოადგენს კონტრაქტებს, რომელიც გაფორმებულია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით, და კონტრაქტები, რომლის შესრულებაც ხორციელდება ელექტრონულად. CISG გამოიყენება მხოლოდ კონტრაქტების პირველი ჯგუფისთვის. რადგან CISG -ს ფარგლებში კონტრაქტების შესრულების საგანი ვერ იქნება ციფრული მომსახურება.

CISG -ს გამოყენების უფრო ფართო მასშტაბი აქვს, ვიდრე CUECIC-ს. CUECIC-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ის გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების ან მხარეთა შორის კონტრაქტის შესრულებისას, როცა

მენარმის ბიზნეს საქმიანობის განხორციელების ადგილები განთავსებულია სხვადასხვა სახელმწიფოში. შესაბამისად, CUECIC ვრცელდება კონტრაქტებზე, რომელიც ჩვეულებრივ გაფორმებულია ელექტრონული ურთიერთობის ფარგლებში, მომსახურების ხელშეკრულებების, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების, აუქციონების, საქონლის გაცვლისა და სხვა სახის გარიგებების მსგავსად, ასევე, საქონლის რეალიზაციისას. CUECIC-ში შემავალი რეგულაცია არ მოიცავს ელექტრონულ კონტრაქტს. აქედან გამომდინარე, რამდენადაც ელექტრონული კონტრაქტი არ რეგულირდება CUECIC-ს მიერ, რეგულირებისთვის გამოიყენება CISG ან ეროვნული სახელშეკრულებო სამართალი საქონლის რეალიზაციის ან გადაცემის საკითხებში (194, 3).

CISG-ს და CUECIC-ს ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ ისინი გამოიყენება მხოლოდ მენარმეებს შორის ურთიერთობებისას. ამავდროულად, მენარმეებსა და მომხმარებლებს შორის ფორმდება უფრო და უფრო მეტი ელექტრონული კონტრაქტი უცხოური ელემენტით (194, 4).

აღნიშნული კონვენციები არ მოიცავს მენარმეების მიერ მომხმარებლებთან დადებულ კონტრაქტებს, და ისინი არ მოიცავს ამომწურავ რეგულაციას კონტრაქტებთან დაკავშირებით, რაც ეხება მომსახურების უზრუნველყოფას ან ციფრული მხარდაჭერის მიწოდებას (194, 4).

ევროკავშირის ფარგლებში, დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ სახელშეკრულებო სამართლის გაერთიანებაზე, რაც გამოიწვევდა ბარიერების აღმოფხვრას შიდა საერთო ბაზრის ფუნქციონირებაში. ევროკომისიამ გამოსცა მწვანე წიგნი მომხმარებლებისთვის ევროპული სახელშეკრულებო სამართლისა და ბიზნესების განვითარების მიმართულებით 01.07.2010 წელს [COM(2010)348 საბოლოო] (194, 5).

მწვანე წიგნი შექმნილია არასავალდებულო რეგულაციის მისაღებად, რომელიც გათვლილი უნდა იყოს, როგორც სახელშეკრულებო სამართლის „მე-2 რეჟიმი“ ევროკავშირის თითოეულ წევრ სახელმწიფოში, რომელიც მხარეებს უზრუნველყოფს არჩევანით

ევროკავშირში შიდა სახელშეკრულებო სამართლის (130; 194, 5) ან „28-ე სახელშეკრულებო რეჟიმის“ ორ რეჟიმს შორის, რომელიც მხარეებმა შესაძლოა აირჩიონ, როგორც მოქმედი კანონმდებლობა (185; 194, 5).

ერთი წლის შემდეგ ევროკომისიამ ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოს წარუდგინა შეთავაზება **საერთო ევროპული ნასყიდობის კანონის** (შემდგომში: „*CESL*“), შესახებ (COM(2011)635 საბოლოო) (194, 5). საბოლოოდ სამუშაო განხორციელდა ევროკავშირის ჩარჩოს ფარგლებში, რომელსაც წინ არ უძღვოდა *CESL*-ის მიღება. ევროკომისიამ განაცხადა *CESL*-ის შესახებ ცვლილების თაობაზე 2014 წლის დეკემბერში (194, 5). *CESL*-ს ნაცვლად შემუშავდა ორი პროექტი დირექტივებისთვის, რომელიც მისი რეგულირების მასშტაბით მოიცავდა *CESL*-ს მიერ მოცულ საკითხებს: პროექტი ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივისთვის გარკვეულ ასპექტებზე კონტრაქტებთან დაკავშირებით ციფრული ინფორმაციის მინოდებისთვის (COM(2015) 634 საბოლოო) (194, 5) და პროექტი ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს დირექტივისთვის გარკვეულ ასპექტებზე კონტრაქტებთან დაკავშირებით საქონლის ონლაინ და სხვა მანძილზე გაყიდვებისთვის (COM(2015)635 საბოლოო) (194, 5). დირექტივების პროექტებს აქვს რეგულირების განსხვავებული სფერო, პირველი ეხება მომხმარებლის კონტრაქტებს, რომელსაც აქვს ციფრული მინოდების მიზანი და მეორე, რომელიც ეხება გაყიდვების კონტრაქტებს. ევროკომისიამ მიუთითა, რომ ევროპარლამენტთან, ევროსაბჭოსთან და ევროპულ ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან ერთად ევროპაში პრიორიტეტულია ერთიანი ციფრული ბაზრის შექმნა. ერთიანი ციფრული ბაზრის შესახებ მიღებული სტრატეგია გადაჭრის ყველა ძირითად დაბრკოლებას ევროკავშირში ტრანსსასაზღვრო ელექტრონული ურთიერთობის განსავითარებლად. საბოლოოდ, სახელშეკრულებო სამართლის უნივერსალური წესები არ არის მიღებული ევროკავშირში (194, 6). მიმდინარეობს საკანონმდებლო სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო სისტემების ჰარმონიაში მოყვანას.

ელექტრონული კონტრაქტების შესახებ კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ სოციალური ურთიერთობების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და რეგულაციების ამჟამინდელი მდგომარეობა, არამედ, არსებული ტენდენციები-თუ როგორი შეიძლება იყოს ჩვენი რეალობა 5 ან 10 წელიწადში. ელექტრონული კონტრაქტების შესახებ რეგულაციამ უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფენომენი, როგორცაა „ნივთების ინტერნეტი“ (შემდგომში: „IoT“).

ლიტერატურაში მითითებულის თანახმად: „მომავალში, ინტერნეტი სავარაუდოდ ფართოდ იქნება გამოყენებული მონეობილობებთან, მანქანებთან და სხვა საგნებთან დასაკავშირებლად, ან-ადგილობრივ დიალექტში – ნივთები, რომელიც დაკავშირებულია სადენით და უსადენო ქსელებით, იყენებს ინტერნეტ პროტოკოლს“ (179, 8., 194, 6.). აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა საკმარისი იქნება თუ არა სახელშეკრულებო სამართლის არსებული რეგულაციები მითითებული ფენომენის მოსაწესრიგებლად. შესაძლებელია, რომ არსებული რეგულაციები არასაკმარისი აღმოჩნდეს და მათ მოუწევთ შეცვლა ან დადგება დამატებითი შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მიღების საჭიროება. უნდა აღინიშნოს, რომ IoT-ი წარმოშობს არა მხოლოდ პრობლემებს კერძო სამართლის თვალსაზრისით, როგორცაა სახელშეკრულებო სამართალი, არამედ, ასევე მოიცავს საკითხებს საჯარო სამართლის სფეროში, როგორცაა მონაცემთა დაცვა და ა.შ (192, 8., 194. 6). IoT-ის ფარგლებში განხორციელებული მომსახურებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელშეკრულებო სამართლის დებულებებს ვალდებულების შესრულებასთან, შესრულებლობასთან ან არასათანადო შესრულებასთან დაკავშირებით, როდესაც მისი ჩატარება შესაძლებელია ადამიანის ჩარევის გარეშე, მაგრამ ეფუძნება ავტომატური მექანიზმებს, რომელიც პირდაპირ არ წარმოადგენს ადამიანის არასათანადო ქცევის შედეგს. IoT-ის განვითარებისთვის არსებული კანონმდებლობის მიღება, როგორც ლიტერატურაშია მითითებული, აუცილებელი გახდება. 2020 წელს IoT-ის დეველოპერების რაოდენობამ დაახლოებით 4.5 მილიონს (197, 14., 194,7) მიაღწია და ეს ფენომენი დიდ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე.

საბოლოოდ, საერთაშორისო დონეზე მიიღება სათანადო სამართლებრივი ნორმები IoT-ისთვის, სახელშეკრულებო სამართლის შესახებ სხვა სათანადო დებულებებთან ერთად. ნიშანდობლივია, რომ IoT-ს ელექტრონული ურთიერთობის მსგავსად, არა აქვს გეოგრაფიული საზღვრები.

ელექტრონული კონტრაქტების შესახებ უნივერსალურმა კანონმა უნდა მოიცვას ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის საგანს. ამასთანავე, უნივერსალურმა კანონმა უნდა დაარეგულიროს შემდეგი საკითხები: კონტრაქტის დასრულება, კონტრაქტის ჩამოყალიბება, ვალდებულების შესრულება, ვალდებულების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება, კონფიდენციალობის საკითხები, მოშლა-შენწყვეტა, ინტერესები, კონტრაქტიდან წარმოშობილი მოთხოვნების შეზღუდვა. ელექტრონული კონტრაქტების შესახებ ძირითადი ზოგადი საკითხების გარდა, იურიდიული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს კონკრეტულ დებულებებს, რომელიც ეხება კონტრაქტების ძირითად სახეობებს ელექტრონული ურთიერთობისას, რომლებშიც ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომსახურების მიწოდება და ციფრული ინფორმაციის გადაცემა. ელექტრონული კონტრაქტების შესახებ იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობა განისაზღვრება ელექტრონული კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული ტენდენციების ფართო განხილვის შემდეგ. როგორც მითითებულია, ელექტრონული კონტრაქტების შესახებ ზემოაღნიშნული აქტი გაითვალისწინებს ტენდენციებს, რომელიც მალე შესაძლოა გახდეს ჩვენი ყოველდღიური რეალობის (მაგალითად, IoT-თან დაკავშირებული ფენომენი) ნაწილი (194, 9).

2011 წლის ოქტომბერში ევროპარლამენტმა და საბჭომ მიიღო მომხმარებელთა დაცვის შესახებ ახალი 2011/83/EU დირექტივა (240), რომელმაც ევროსაბჭოს 28 წევრ ქვეყანას 2013 წლის დეკემბრამდე შიდა კანონმდებლობის ახალ დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა და ჰარმონიზაცია დაავალა. დირექტივის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში მოცემულია დისტანციური ხელშეკრულების – შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების განმა-

რტება, რომლის თანახმადაც ზემოხსენებული ხელშეკრულება გულისხმობს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დისტანციურად ორგანიზებული ვაჭრობის ან მომსახურების ფარგლებში დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას, მხარეთა ერთდროული ფიზიკური დასწრების გარეშე, ექსკლუზიურად ერთი ან რამდენიმე დისტანციური საშუალების გამოყენებით (240).

1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის №828-ის დადგენილებით „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. თავის მხრივ, ევროკავშირმა იკისრა ვალდებულება ტექნიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს, რომელიც მოიცავს: სემინარებს, ექსპერტთა გაცვლას, სტაჟირებას, კანონმდებლობის მიღებაზე კონსულტაციებს, კანონმდებლობის თარგმნისათვის დახმარებას და სხვა (221).

2014 წლის ივნისის თვეში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველოს სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა დაუახლოოს ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს. შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას. შეთანხმების მე-1 თავის 1-ლი ქვენაწილი ეხება ელექტრონულ კომერციას. შეთანხმების 127-ე მუხლის თანახმად, მხარეები აღიარებენ რა, რომ ელექტრონული კომერცია მრავალ სექტორში ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს, თანხმდებიან, ხელი შეუწყონ მათ შორის ელექტრონული კომერციის განვითარებას. 128-ე მუხლის მიხედვით, **საქართველომ ვალდებულება აიღო, აწარმოოს დიალოგი ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის მომხმარებელთა დაცვის შესახებ, ელექტრონული კომერციის ფარგლებში.** ამ და შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა უამრავი ვალდებულების შესასრულებლად საქართველოს ხელშე-

კრულების ძალაში შესვლიდან 5-წლიანი ვადა განესაზღვრა (224).

ამჟამად, საქართველოში ელექტრონული კომერციის სფეროს რეგულირება რამდენიმე საკანონმდებლო აქტით ხდება. ესენია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ და საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზოგიერთი ქვეყნის (გერმანია, რუსეთი) სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით ელექტრონულ ხელშეკრულებებთან მიმართებით სპეციალურ ნორმებს არ შეიცავს.

1.3.1. მხარეთა შეთანხმება (ოფერტი და აქსეპტი)

ხელშეკრულების არსში მთავარი **შეთანხმების იდეაა** (81, 125). „შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანხმდებრივ ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისკენ“ (3, 90). „სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოიაზრებდეს როგორც ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას მხარეებს შორის, ისე არსებული უფლება-მოვალეობების შეცვლას ან შეწყვეტას“ (3, 91). „ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენის შემთხვევაში, ბუნებრივია, საჭიროა რამდენიმე პირის თანაქმედება, მათი გაერთიანებული ნება. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ურთიერთობის თითოეული მხარის ნების გამოვლენა მიუვა ადრესატს, ანუ მეორე მხარეს. მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა ნამდვილია „მისვლის“ მომენტიდან, როდესაც ადრესატს არსებული გარემოებების (მაგ. საფოსტო კავშირის ფუნქციონირების, სამუშაო საათების) გათვალისწინებით აქვს მისი შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა“ (22, 243). „შესაბამისად აუცილებელია ორი წინაპირობის დამთხვევა: ნების გამოვლენა მისი გამომხატველის ძალაუფლების სფეროდან გადადის მიმღების ძალაუფლების სფეროში, მაგ; წერილი იმყოფება ადრესატის ოფისში, (საფოსტო ყუთში) და მას

აქვს მისი შინაარსის გაცნობის რეალური შესაძლებლობა, მაგ: სამუშაო საათები არ დამთავრებულა.

ასეთი მოწესრიგებით ხდება ნების გამომვლენის გადაცემასთან დაკავშირებული რისკის თანაბრად განაწილება ნების გამომვლენისა და მის მიმღებს შორის. ნების გამომვლენი განსაზღვრავს გადაცემის სახესა და საშუალებას და მასვე აწვევს რისკი, რომ მისი ნების გამოვლენა არ ან დაგვიანებით მიუვა ადრესატს. მიმღებს კი აწვევს რისკი, რომ იგი მისი გავლენის სფეროში მოხვედრილი ნების გამოვლენის შინაარსს რეალურად არ ან დაგვიანებით გაცნობა“ (22, 248).

„სახელშეკრულებო კონსესუსი მიიღწევა ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ხელშეკრულების დადების შეთავაზებით და შეთავაზებაზე თანხმობის მიღებით; თეორიულად, აღნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილია ე.წ. ოფერტისა (ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების) და აქცეპტის (ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების მიღების) გამოყოფა“ (41, 92).

„სწორედ ოფერტის აქცეპტირება ანუ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების გაკეთება და მეორე მხარის მიერ მისი მიღება არის ხელშეკრულების დადების ჩვეულებრივი მოდელი. ევროპის გაერთიანების ყველა სამართლებრივ სისტემაში ოფერტ-აქცეპტის მოდელი ხელშეკრულების დადების პროტოტიპი იყო. ის ასევე ძირითადი მოდელია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციაში, ასევე უნიდროას პრინციპებში“ (100, 161., 3,108).

„ოფერტი თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს მიღებასავალდებულო ნების გამომვლენას. როგორც წესი, ოფერტი იმდენად ნათლად და მოცულობითად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ხელშეკრულების დასადებად მხოლოდ უბრალო თანხმობა იყოს საკმარისი. აღნიშნული თანხმობა ითვლება აქცეპტად და ხელშეკრულება – დადებულად“ (40, 133). განსაზღვრულობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ოფერტი მომავალი ხელშეკრულების არსებით პირობებს უნდა შეიცავდეს. ოფერტიდან ასევე

მარტივად უნდა ირკვეოდეს ის პირი ან პირთა წრე, რომელთა მისამართითაც ხორციელდება შეთავაზება ანუ – პოტენციური აქცეპტანტი ან აქცეპტანტები (259). ნ. სოლოვიანენკო მიუთითებს, რომ ელექტრონული ხელშეკრულებების დასადავად გამიზნულ ოფერტში უნდა მიეთითოს პირობები, რომლებიც ასახავენ ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის მეშვეობით ხელშეკრულების დადების, პირადი ხელმოწერის ანალოგების გამოყენების, აქცეპტის გავზავნისა და გამოხმობის წესებს, შესაყვან ინფორმაციაში შეცდომების შესწორების საშუალებას და სხვა (170, 57).

ოფერტის ნამდვილობისათვის ასევე საჭიროა, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი), თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში, მზად იყოს შეასრულოს თავისი წინადადება. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ წინადადების მიმცემს ამოძრავებს სახელშეკრულებო ბოჭვის სურვილი. იგი მზად არის, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში იკისროს შესაბამისი ვალდებულებები. ხელშეკრულების დადების ფაქტი მოწმობს მხარეების სურვილს, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში მოაქციონ თავიანთი თავი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ, თუ ხელშეკრულების დადება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით მოხდა, მაშინ ოფერტში აუცილებლად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ოფერენტის ნება და მზაობა, რომ მისი წინადადებით შებოჭილიყო. ამასთანავე, აუცილებელია, რომ ოფერენტის მხრიდან ჩანდეს თანხმობა იმის შესახებ, რომ, თუ მისივე ოფერტის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულება დაიდება, ოფერენტი შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (259).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით გარიგების დადების ფაქტი დგინდება ნების გამომვლენისა და ამ ნების ადრესატის/ადრესატების ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით, კერძოდ, შეთავაზების ნამდვილობა განისაზღვრება მისი შინაარსით, ოფერტში უნდა იყოს იურიდიული ბოჭვისკენ მიმართული ოფერენტის ნება, რომლის გამოთქმული პირობით აქცეპტირების შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულება. სწორედ იურიდიულად განსაზღვრული, კონკრეტული პირის/პირთა ჯგუფის მიმართ გამოვლენილი ოფერენტის

_____ თავი 1. ელექტრონული ხელშეკრულებების დადების თავისებურებები

თვითმბოჭავი ნება განასხვავებს ოფერტს (სსკ-ის 329.1 მუხლი) ოფერტზე მონვევისაგან (სსკ-ის 329.2 მუხლი) (262).

1.4. ელექტრონული ხელშეკრულების დადების მომენტი და საშუალებები

ვინაიდან სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიშობა, ამიტომ პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდიდან ჩაითვლება ხელშეკრულება დადებულად.

გლობალურ ქსელებში გარიგების დადება განსხვავებული პროგრამული საშუალებებით ხორციელდება, რომელიც კონტრაქტებს შორის კავშირს უზრუნველყოფს რეალური დროის რეჟიმში (online) ან ამის (offline) გარეშე (66, 63).

„ონლაინ შესაკვეთი გვერდები, რომლებიც საქონელს აფასობენ, განათავსებენ და შემდგომ მომხმარებელს სთავაზობენ ახალი ფანჯრის საშუალებით, სამართლებრივად წარმოადგენენ მონვევას ოფერტზე – „*invitatio ad offerendum*“. ხოლო, ამ შემთხვევაში, მბოჭავ შეთავაზებას, ოფერტს, ახორციელებს თავად მომხმარებელი, პოტენციური მყიდველი. შემდგომ გამყიდველს ეკისრება ვალდებულება, რომ დაადასტუროს მომხმარებლის მიერ გაკეთებული შეკვეთის მიღება დაუყოვნებლივ“ (251, §313); (136, 89). „ამასთანავე, სავალდებულო არ არის, რომ თანხმობა/აქცეპტი მაშინვე იყოს გამოთქმული გამყიდველის მიერ, შეკვეთის მიღების დადასტურებისას. თუმცა, აუცილებელია, აქცეპტი იყოს გამოკვეთილად აღნიშნული. ჩვეულებრივ შემთხვევაში, აღნიშნული გამოხატულად უნდა იყოს ნაჩვენები. ამავედროულად, აქცეპტი კონკლუდენტურად ითვლება საქონლის მიწოდების შემდგომ“ (96, 481., 136, 89).

გარიგების დადებისას ოფერტის შინაარსისა და აქცეპტის განხორციელების მომენტის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია გაირკვეს ვის შორის იდება ხელშეკრულება: თანმყოფ თუ არათანმყოფ პირებს შორის.

„თანმყოფ პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება მხარეთა შეთანხმების მომენტი. ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას მხარეთა შორის არ ხდება არათუ ფიზიკური, ხშირ შემთხვევაში ზეპირსიტყვიერი (სატელეფონო) მოლაპარაკებაც კი, **ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრა ხდება სხვაგვარად.** ელექტრონულ კონტრაქტებში ნიშანდობლივია, რომ ოფერტის გაკეთება ხორციელდება არათანმყოფი პირის მიმართ, რადგან შეთავაზება პირადად ორ პირს შორის ვერ განხორციელდება (251, §147 Abs. 1). იმისათვის, რომ ნების გამოვლენა გახდეს ნამდვილი აუცილებელი და გადამწყვეტია მისი მისვლის ფაქტი (251, §130 Abs. 1). ამასთან, მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი დროის არსებობა, როდესაც პირს აქვს ნების გამოვლენის გაცნობის შესაძლებლობა“ (136, 89).

„მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებად ითვლება მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის გზით ინფორმაციის გაცვლა. ინფორმაციის გაცვლის შემდგომ, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის თაობაზე, მხარის მიერ ნების გამოხატვას ადასტურებს კონკრეტული მენარმის მიერ დადგენილი წესების მიღება. არათანმყოფი პირების მიერ ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენად ითვლება, ერთი მხრივ, ოფერტზე მონვევა, ხოლო მეორე მხრივ, ოფერტის მიღება და აქცეპტის გაკეთება. ხელშეკრულების დადების მომენტის სწორად განსაზღვრას იმ მიზეზითაც აქვს არსებითი მნიშვნელობა, რომ სწორედ ამ მომენტიდან ხდება მფლობელობისა და რისკის ერთიან მეორე მხარისათვის გადაცემა. ზუსტი დროის დადგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც სახეზე ერთდროულად ორი ან მეტი (კონკურენტული) აქცეპტი გვაქვს“ (98, 10., 149,108).

„ხელშეკრულების დადებისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენების შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ინფორმაცია გაგზავნილად ითვლება, მაშინ, როდესაც ინფორმაცია ტოვებს მხარის მიერ კონტროლირებად სისტემას. ინფორმაციის

მიღების დროდ ითვლება დრო, როდესაც ადრესატს აქვს შესაძლებლობა, მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოიძიოს გამოგზავნილი ინფორმაცია. ელექტრონული შეტყობინება ადრესატის მიერ მიღებულად ივარაუდება, მაშინ, როდესაც ინფორმაციამ მიაღწია ადრესატის ელექტრონულ მისამართზე.

ინფორმაციის გაცვლის შემდგომ, რაც უთანაბრდება თანმყოფ პირებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებას, მხარეთა მიერ ხდება ოფერტისა და აქცეპტის გაკეთება. **სწორედ მომხმარებლის მიერ აქცეპტის გაგზავნა და მენარმის მიერ მისი მიღება ითვლება ხელშეკრულების დადების მომენტად.** ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქცეპტის გაგზავნისა და მიღების დრო არ ემთხვევა ერთმანეთს. ელექტრონული საშუალების გამოყენებით ოფერტის გაგზავნას და ადრესატამდე მისვლას იმაზე მეტი დრო სჭირდება, ვიდრე თანმყოფ პირებს შორის შემდგარი მოლაპარაკებისას გაკეთებულ ოფერტს. ტექნიკური თვალსაზრისით, შესაძლოა, აღინიშნოს, რომ ელექტრონული ფოსტის გაგზავნასა და მის ადრესატამდე მისვლას სულ რამდენიმე წუთი სჭირდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქცეპტი ადრესატის მიერ მიღებულ იქნა. თუ, მაგალითად, მხარეთა მიერ ოფერტისა და აქცეპტის გაკეთება ხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, შესაძლოა, პირმა ფოსტა, თუნდაც სხვა დროის სარტყელში ყოფნის გამო, მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეამოწმოს. სწორედ ამიტომ აღინიშნა, რომ **ინფორმაცია მიღებულად ითვლება არა მაშინ, როდესაც მოხდა მისი გაგზავნა, არამედ, როდესაც ადრესატს მიეცა შესაძლებლობა, მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოეძიებინა გამოგზავნილი ინფორმაცია.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება არა მხარის მიერ აქცეპტის გაკეთების, არამედ კრედიტორის მიერ მისი მიღების მომენტი.** სწორედ ამას განამტკიცებს „საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმადაც, **ოფერტზე გაკე-**

თებული აქცეპტი ეფექტური ხდება იმ მომენტში, როდესაც თანხმობა მიაღწევს ოფერენტამდე (237).

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში როცა ოფერენტმა არ მიუთითა მისი მიღების ვადა, იგულისხმება რომ ოფერენტი იზღუდება საქმის მსვლელობისთვის ჩვეულებრივი, ნორმალური ვადით. თუ ოფერტში მითითებულია ვადა, ეს ნიშნავს, რომ განსაზღვრულია დროის ფარგლები, **როცა ოფერენტს არ შეუძლია ოფერტის გამოთხოვა**. აღნიშნული დებულება მოცემულია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ გაეროს კონვენციის 16.2ა. მუხლში (237).

საერთო სამართლის ქვეყნებში მიღებულია ოფერტის გამოთხოვის შესაძლებლობა აქცეპტის განხორციელებამდე ნებისმიერ მომენტში. თუმცა არსებობს ამ წესიდან გამონაკლისების დაშვების ტენდენცია სასაქონლო ბრუნვის სპეციფიკის მიხედვით (66, 64).

„ავტომატიზირებული შეკვეთების აქცეპტისთვის საკმარისია ონლაინ სანარმოს ინტერფეისის გამოჩენა, რის გამოც ხელშეკრულებაზე უარის თქმა პრაქტიკულად კარგავს მნიშვნელობას (251, §130.). ამასთან, ე.წ. ინტერნეტ-აუქციონები არ წარმოადგენენ ჩვეულებრივ აუქციონებს (251, §156.). სააუქციონო სახლის შეთავაზება კი მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ აქცეპტს ყველაზე მაღალი ფასის შემთავაზებლის შეთავაზებაზე. ინტერნეტ-აუქციონთან დაკავშირებით სახეზეა კონტრაქტი ყველაზე მაღალი ფასის შეთავაზებით, როდესაც ფასის ამწევი შეთავაზების გვერდზე ნებას ავლენს და იმ დროის მონაკვეთში ყველაზე მაღალ შეთავაზებას, ნამდვილ ოფერტს აკეთებს“ (136, 90).

დოქტრინასა და სასამართლო (გერმანულ) პრაქტიკაში საყურადღებოა **რეალური დროის რეჟიმში** ელექტრონულ აუქციონებსა და ბირჟებზე ხელშეკრულების დადების საკითხი. ერთ-ერთ საქმეზე (*Ricardo.de*) გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ განიხილა ელექტრონული აუქციონის სამართლებრივი რეჟიმის საკითხი (66, 68). სასამართლომ შეისწავლა რა ქვემდგომი სასამართლოს გადანყვეტილება ასეთ აუქციონზე (საიტზე *Ricardo.de*) დადებული გარიგების ნამდვილობის თაობაზე, აღნიშნა, რომ **რე-**

ალური დროის რეჟიმში შეთავაზებული (გაკეთებული) ოფერტი ითვლება შემბოჭველად... ამასთან, ელექტრონული აუქციონის ორგანიზატორის მიერ ლიცენზიის არქონა, გავლენას არ ახდენს აუქციონზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობაზე (66, 68).

ერთ-ერთ საქმეზე (262) საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების ფაზულის მიხედვით, გამყიდველის მიერ ვებგვერდზე გამოქვეყნდა საჯარო ხელშეკრულება, რომელშიც აისახა ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის, აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი და პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ანგარიშსწორების წესი (შემდგომში – საჯარო ხელშეკრულება),

იმ ვითარებაში როდესაც არც სამოქალაქო კოდექსი და არც სხვა სპეციალური ნორმატიული აქტი ინტერნეტაუქციონის საკითხს პირდაპირ არ არეგულირებს სასამართლომ განმარტა კანონი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ინტერნეტ აუქციონის შემთხვევაში, გამყიდველის მიერ საქონლის სარეალიზაციოდ გამოყენებული ვებსაიტის აქტივაცია, განიხილება ნამდვილი ნების გამოვლენად და არა მოწვევად ოფერტზე.

სსკ-ის 329-ე და 330-ე მუხლების კონტექსტში, ოფერტი ხელშეკრულებად განიხილება აქცეპტირების ეტაპიდან, წინადადების დადასტურებამდე ოფერენტს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოორიცხოს სახელშეკრულებო თვითბოჭვა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გამყიდველის საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენს სწორედ ოფერტს-მოპასუხის მზაობას, შეთავაზებაში გამოთქმული პირობით შევიდეს ნასყიდობის სამართლებრივ ურთიერთობაში აუქციონში გამარჯვებულ პირთან.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ინტერნეტაუქციონის შემთხვევაში, სახეზეა სსკ-ის 188-ე მუხლით (პირობადებული საკუთრება) გათვალისწინებული გადადების სუსპენზიური პირობა, როცა სამართლებრივი შედეგის დადგომა უკავშირდება სამომავლო მოვლენას-ფასის სრულად გადახდას.

სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან ოფერტის გაკეთებას ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე რეგისტრირებული/ავტორიზებული მომხმარებლისათვის და ამ ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება იდებოდა იმ მომხმარებელთან, რომელიც აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა, ანუ უმაღლესი ფასის წარდგენით ახორციელებდა გამსხვისებლის შეთავაზების აქცეპტირებას გადადების პირობით ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე, თავის მხრივ, გადადების პირობა ითვალისწინებდა ფასის გადახდის ვადას, რაც წერილობით უნდა გაფორმებულიყო და აქცეპტანტს ამ მომენტიდან წარმოემოზობოდა ქონებაზე საკუთრების უფლება.

სასამართლოს დასკვნით, აუქციონში მონაწილე პირის მხრიდან ვებ-გვერდზე ავტორიზაციით/რეგისტრაციით, ბეს გადახდით, აუქციონში მონაწილეობითა და ცხრა ლოტზე უმაღლესი ფასის შეთავაზებით **მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება**, რომელიც გამყიდველის ბრალით იქნა დარღვეული.

აშკარაა, რომ ყველა ხელშეკრულება ვერ დაიდება ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით. სამოქალაქო სამართლის თეორია გამოყოფს რამოდენიმე სახის ხელშეკრულებას. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახის ხელშეკრულებებს წარმოადგენენ კონსენსუალური და რეალური ხელშეკრულებები. მათ გარდა განსაკუთრებული ადგილი აქვთ რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებების ასეთი კლასიფიკაციის მნიშვნელობა იმაშია, რომ ხელშეკრულების სახეობიდან გამომდინარე იცვლება მისი დადების მომენტიც (62, 30).

იმისათვის, რომ რეალური ხელშეკრულება ითვლებოდეს დადებულად, ხელშეკრულების ერთმა მხარემ თავის კონტრაგენტს უნდა გადასცეს ქონება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს. რეალური ხელშეკრულების საფუძველზე უფლება-მოვალეობების წარმოშობა ხდება მხოლოდ ქონების გადაცემის შემდეგ (სესხის ხელშეკრულება, სასაქონლო საწყობზე შენახვის ხელშეკრულება). კომპიუტერული ქსელი არ იძლევა მატერიალური

ნივთის გადაცემის შესაძლებლობას, შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული ინფორმაციის გაცვლა. ამიტომ ცალსახაა დასკვნა რეალური ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით დადების შეუძლებლობის შესახებ (62, 30).

სახელმწიფო რეგისტრაციას დაქვემდებარებული ხელშეკრულების მიხედვით უფლება-მოვალეობების წარმოშობა ზოგადი წესის მიხედვით დაკავშირებულია ასეთი ხელშეკრულების რეგისტრაციის მომენტთან (სსკ-ის მუხლი 183). **„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.ლ. მუხლის ფორმულირება** საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სახელმწიფო რეგისტრაციისათვის საჭიროა დოკუმენტის წარდგენა ტრადიციულ – ქალაქის – მატარებელზე, სწორედ მასზე შესრულება სარეგისტრაციო წარმოება. ამიტომ სახელმწიფო რეგისტრაციას დაქვემდებარებული ხელშეკრულებები არ შეიძლება იყოს დადებული ელექტრონული ფორმით (იგივე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს სანოტარო დამონმებას დაქვემდებარებული ხელშეკრულებების მიმართაც) (62, 31).

ამგვარად, ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით შეიძლება დაიდოს მხოლოდ კონსენსუალური ხელშეკრულებები. ამიტომ, ასეთი ხელშეკრულების დადების მომენტი იქნება ოფერტის გამგზავნი პირის მიერ მისი აქცეპტის მიღების მომენტი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ინტერნეტის საშუალებით ხელშეკრულების დადების ორ საშუალებას, რომლებიც არსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან: პირველი საშუალება გულისხმობს ხელშეკრულების დადებას ელექტრონული ფოსტის საშუალებით (e-mail), ხოლო მეორე ხელშეკრულების დადებას ვებ-გვერდის (საიტის) გამოყენებით.

1.4.1. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები

„ელექტრონული ფოსტა შეიძლება განვიხილოთ როგორც ჩვეულებრივი ფოსტის ციფრული ანალოგი, როცა გადაცემის დროს ინფორმაცია არ ინარჩუნებს თავის სახეს, ანუ ასოთა, ციფრების

და სხვა სიმბოლოთა ერთობლიობას და ხდება მისი ტრანსფორმაცია მონაცემთა (ციფრთა) ერთობლიობად, შემდგომში კი ხდება მისი გაშიფვრა, რის შემდეგაც იგი იღებს ალსაქმელ ფორმას. ყოველივე ხდება დროის მეტად მცირე მონაკვეთში. ამდენად, უდავოა, რომ ელექტრონული ფოსტა ჩვეულებრივ ფოსტაზე გაცილებით სწრაფია.“ (142, 118), (62.39)

„ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხელშეკრულების დადებისას მხარეთა შეთანხმება სწორედ ელექტრონული ფოსტის გაზავნით ხორციელდება. აღნიშნული საკითხი არ შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მხარე ელექტრონული ვერსიის ხელმოწერილ დოკუმენტს უგზავნის მეორე მხარეს ხელმოსაწერად. ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული ხელშეკრულებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როდის ჩაითვლება ნება გამოვლენილად. ხელშეკრულების თავისუფლება მხარეებს იმგვარი მოქმედების უფლებას ანიჭებს, რომლითაც მათ შეუძლიათ წინარე ხელშეკრულებაში მოანესრიგონ ნების ადრესატამდე მისვლის საკითხი. თუ მტკიცება დასჭირდება პირს ამ საკითხთან მიმართებით, გამოიყენება არაერთი ტექნოლოგიური საშუალება, რომელიც ასეთ ფაქტს დაადასტურებს“ (95, 149., 45,120). “განსხვავებულად წესრიგდება საკითხი, როდესაც საქმე ისეთი სახის შეთანხმებებს (ხელშეკრულებებს) ეხება, რომელიც ნების გამოვლენის ფაქტს არ აკონკრეტებს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გამიჯნულ იქნეს ის, თუ ვის უგზავნის ელ. ფოსტის გამგზავნი ასეთ შეტყობინებას-მწარმეს (საწარმოს, იმ პირს, რომელიც ბიზნესსაქმიანობას ეწევა), თუ კერძო პირს“ (120, 279., 45, 121). “უფრო ზუსტად, პრობლემის გადაჭრისას გასათვალისწინებელია ის, თუ რამდენად ელოდებოდა ან/და შეიძლებოდა მოლოდინი ჰქონოდა პირს, რომ მიიღებდა ასეთ ელექტრონულ შეტყობინებას“ (120, 279., 45, 121). “მაგალითად, ბიზნესით დაკავებული პირი დღეში რამდენჯერმე ამოწმებს ელ. ფოსტას. ეს წარმოშობს მოლოდინს, რომ იგი უფრო მალე ნახავს ამგვარ შეტყობინებას, ვიდრე სხვა პირი“ (120, 279., 45.121). “თუმცა, ორივე შემთხვევაში, საჭიროა ელ. ფოსტის მიმღების მხრიდან შესაბამისი წერილობითი (ელ. ფოსტის ან სხვა, მატერი-

ალური დოკუმენტის) სახით ოფერტის მიღება და აქცეპტით მისი დადასტურება“ (90, 112., 45, 122).

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში გავრცელებულია დებულება, რომ **ელექტრონული ფოსტის გამოყენებით დადებული** ხელშეკრულება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით დადებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ოფერტი მიღებული იქნება აქცეპტანტის მიერ. ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში კი ცნობილია ე.წ. „საფოსტო ყუთის“ თეორია, რომლის თანახმადაც, თუ ოფერტი და აქცეპტი გაგზავნილი და მიღებული უნდა იქნეს ფოსტის მეშვეობით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება აქცეპტის გაგზავნის მომენტში ამ ორი სამართლებრივი სისტემის ქვეყანას შორის ასეთი განსხვავება ჩვეულებრივი საფოსტო მომსახურების პირობებში პრაქტიკაში პრობლემებს წარმოშობს (49, 201). .

„ნების გამოვლენა ელექტრონულ გარიგებებში ძირითადად იმეილის საშუალებით ხორციელდება. ამასთან, არსებობს არაერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, ითვლება თუ არა იმეილის საშუალებით ნების გამოვლენა მისულად, როდესაც იმეილი მისი მიმღების ელექტრონულ ფოსტაში უბრალოდ შენახულია ან როდესაც სახეზეა შეცდომით ცარიელი იმეილის გაგზავნა“ (136, 89).

„ასევე, ნიშანდობლივია, თუ როდის არის შესაძლებელი მიმღების მიერ იმეილის გამოთხოვა. ერთი მხრივ, საწარმოებისათვის და მეორე მხრივ, ფიზიკური პირისთვის განსხვავებული მოთხოვნებია დაწესებული. პირველი მათგანისთვის (საწარმო), შესაძლებელია სამუშაო საათების ნებისმიერ დროს იმეილის გაგზავნა, ხოლო ამის საწინააღმდეგოდ, როგორც წესი, კერძო პირები საშუალოდ დღეში ერთხელ ამონებენ საკუთარ იმეილს.“ (136, 89).

„ელექტრონული შეტყობინებების ელექტრონული ფოსტით გაგზავნისა და მიღების დროს ხელშეკრულების დადების მომენტი განისაზღვრა „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-15 მუხლით, რომლის თანახმადაც, თუ შემდგენელი და ადრესატი არ შეთანხმებულან სხვა რამეზე, **მონაცემთა შეტყობინების შესრულება ხდება იმ მომენტში, როცა იგი**

ხვდება შემდგენლის ან მისი სახელით მონაცემთა გაგზავნის კონტროლის მიღმა საინფორმაციო სისტემაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელექტრონული შეტყობინება ითვლება გაგზავნილად და გაგზავნის დროდ ფიქსირდება მომენტი, როდესაც ჩანაწერი შედის საინფორმაციო სისტემაში, რომელსაც არ აკონტროლებს შეტყობინების ავტორი, ან პირი, რომელმაც გააგზავნა ელექტრონული შეტყობინება ავტორის სახელით“ (142, 121).

„აქ შემდგენლის (ავტორის) კონტროლის მიღმა საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება სერვერი, რომელიც იღებს შეტყობინებას საფოსტო სერვერიდან, რომელზეც იმყოფება შემდგენლის (შეტყობინების ავტორის) საფოსტო ყუთი, ანუ იმ მომენტიდან, როცა საფოსტო პროგრამამ შეტყობინების მიწოდების შემდეგ მოსარგებლეს შეატყობინა, რომ შეტყობინება გაგზავნილია. ელექტრონული ჩანაწერის **მიღების დროს** მოდელური კანონი ასევე დისპოზიციური ნორმის სახით ადგენს, რომელიც მხარეებს ქცევის წესის თავად განსაზღვრის საშუალებას აძლევს“ (142, 121). „ამასთან, თუ შემდგენელი და მიმღები არ შეთანხმებულან სხვა რამეზე, ელექტრონული ჩანაწერის მიღების დრო განისაზღვრება შემდეგი წესით: თუ ადრესატმა მიუთითა მონაცემთა შეტყობინების მიღების მიზნით საინფორმაციო სისტემა, **მიღება ხდება იმ მომენტში, როცა მონაცემთა შეტყობინება შედის მითითებულ საინფორმაციო სისტემაში;** თუ მონაცემთა შეტყობინება (ჩანაწერი ელექტრონული) იგზავნება ადრესატის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც არ არის წინასწარ განსაზღვრული საინფორმაციო სისტემა, – **იმ მომენტში, როცა ადრესატი მონაცემთა შეტყობინებას ამოიღებს სისტემიდან**“ (142, 122); „თუ ადრესატს არ განუსაზღვრავს კონკრეტული საინფორმაციო სისტემა, მაშინ **მიღების დროდ ითვლება დრო, როდესაც ელექტრონული ჩანაწერი შედის ადრესატის რომელიმე საინფორმაციო სისტემაში.** საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება სერვერი, რომელზეც იმყოფება მიმღების (ადრესატის) საფოსტო ყუთი, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, yahoo, mail.ru, yandex და ა. შ“ (142, 122).

„გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია შემთხვევები, როცა ელექტრონული შე-

ტყობინების გამგზავნი და მიმღები თანხმდებიან, რომ ელექტრონული შეტყობინების მიღება **დაადასტუროს** ადრესატმა. დადასტურების ფორმას, ჩვეულებრივ, ასევე განსაზღვრავენ მხარეები. როდესაც ელექტრონული შეტყობინების გამგზავნი განაცხადებს, რომ შეტყობინებას აქვს წინასწარი ხასიათი და დამოკიდებულია დადასტურებაზე, **შეტყობინება არ ითვლება მიღებულად დადასტურების მიღებამდე**“ (142, 122).

„ნების გამოვლენად არ ითვლება იმგვარი ელექტრონული წერილები (e-mail), რომლებითაც მიღებული/გადაცემული ბრძანებები/შეკვეთები მუშავდება (136, 89. განსხვავებულია შემთხვევა, როდესაც e-mail ადასტურებს, რომ შეკვეთა მიღებულია/შესრულებულია“ (136, 89).

„რამდენად მართებულია ტერმინი „ელექტრონული ფოსტით დადებული ხელშეკრულება“? რამდენად შეიძლება ელ. ფოსტის საშუალებით დაიდოს ხელშეკრულება მაშინ, როდესაც რეალური მოქმედება სხვაგვარად ხორციელდება? პრაქტიკაში არსებული მაგალითებიდან გამომდინარე, ამგვარი მოქმედება შემდეგნაირად ხორციელდება: მხარეები ბეჭდავენ ელექტრონულ დოკუმენტს, შემდეგ მატერიალური სახით დაფიქსირებულს აწერენ ხელს და ხელმოწერილს ისევე ელექტრონული სახით უგზავნიან მეორე მხარეს. ამდენად, ასეთ დროს **ხელშეკრულება იდება ელექტრონული ფოსტის დახმარებით და არა ელექტრონული ფოსტით**. ხელმოწერის ნამდვილობა დამოკიდებულია შესაბამის მტკიცებულებაზე. იგი დასაშვებია ასევე სპეციალური კანონის გზით. **ასეთის არსებობისას ელექტრონული ფოსტა მხოლოდ ე.წ. გამტარ ფუნქციას ასრულებს**“ (45, 121).

„არსებობს არაერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, ითვლება თუ არა იმეილის საშუალებით ნების გამოვლენა მისულად, როდესაც იმეილი მისი მიმღების ელექტრონულ ფოსტაში უბრალოდ შენახულია ან როდესაც სახეზეა შეცდომით ცარიელი იმეილის გაგზავნა“ (136, 89).

„ასევე, ნიშანდობლივია, თუ როდის არის შესაძლებელი მიმღების მიერ იმეილის გამოთხოვა. ერთი მხრივ, საწარმოებისათვის და მე-

ორე მხრივ, ფიზიკური პირისთვის განსხვავებული მოთხოვნებია დანესებული. პირველი მათგანისთვის (სანარმო), შესაძლებელია სამუშაო საათების ნებისმიერ დროს იმეილის გაგზავნა, ხოლო ამის სანინაალმდეგოდ, როგორც წესი, კერძო პირები საშუალოდ დღეში ერთხელ ამონებენ საკუთარ იმეილს“ (136, 89).

„ელექტრონული ფოსტის დახმარებით ხელშეკრულების დადების მეორე შემთხვევაში მხოლოდ ელექტრონული ფოსტის გაგზავნით (იგულისხმება მასში არსებული ტექსტი, ან წერილი, რომელსაც არ გააჩნია მეორე მხარისთვის ხელმოწერის ადგილი) და მისი მიღებით დებენ მხარეები ხელშეკრულებას. ასეთ დროს საკამათო ის საკითხი ხდება, თუ რამდენად დაცულია წერილობითი ფორმა. მაგალითად, გამყიდველი შეუთანხმდა მყიდველს უძრავი ნივთის მიყიდვის თაობაზე და მისწერა მას, რომ მინის ნაკვეთის ღირებულება ასი ათას ლარს შეადგენს. თუ მყიდველმა საპასუხო ელექტრონული ფოსტით დაუდასტურა გამყიდველს თავისი ნება და დაეთანხმა მის ოფერტს, იგულისხმება, რომ მხარეთა შორის შეთანხმება მიღწეულია, თუმცა ეს ფაქტი ხელშეკრულების დადების თაობაზე შესაბამის მტკიცებულებად ვერ იქცევა. პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ელექტრონული ფოსტის ამონაწერებს საჯარო რეესტრი ვერ ჩაიბარებს“ (45, 122). „ამასთან, ეს შეიძლება ასევე პრობლემა გახდეს სასამართლოში ხელშეკრულების დადების მტკიცების თვალსაზრისითაც. შესაძლებელია, სასამართლომ ელექტრონული ფოსტით მიღწეული შეთანხმება წერილობითი გარიგების მაგალითად არ მიიჩნიოს. შესაბამისად, ასეთის არსებობისას ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზაცია გარკვეული სირთულეებით (მონესრიგების არასრულფასოვნებიდან გამომდინარე) ხასიათდება“ (45, 122).

მენარმე ვალდებულია, დაუყოვნებლივ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაადასტუროს შეკვეთის მიღება, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულება მოგვიანებით შეიძლება დაიდოს, მაგალითად, შეკვეთილი საქონლის შეფუთვითა და გაგზავნით. ონლაინ-მაღაზიის მეპატრონემ თავის კლიენტებს შეკვეთის განხორციელებამდე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თავისი ინტერნეტ-გვერდების მეშვეობით, თუ რა ეტა-

პებს გადის შეთანხმების პროცესი ხელშეკრულების დადებამდე (13, 32).

„მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ფოსტა გარკვეული სახის ინფორმაციას ინახავს, მისი საშუალებით დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შესაძლებელია უამრავი სახის ტექნიკური ხასიათის პრობლემას წავანყდეთ. მაგალითად, შეიცვალოს ტექსტი (გარკვეული ჩარევის საფუძველზე), მოხდეს მოდიფიკაცია, წაიშალოს და ა.შ. (117, 1210., 45, 122). შესაბამისად, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს მხარეთათვის დაცულობის უპირობო საფუძველს და შეიძლება მისი ავთენტურობის დადგენა გახდეს პრობლემური“ (45, 122).

კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების უპირატესობის მიუხედავად, კომუნიკაციაში ხარვეზების გარდაუვალი რისკები არსებობს. კომუნიკაციაში სრული მარცხი ასევე რეალურია. მაგალითად, ელექტრონული ფოსტა ხასიათდება მარშრუტის დაკარგვის ან შეფერხების თვისებით, გამოყენებული ტექნოლოგიის პაკეტის შესაბამისად (114, 10-14., 110, 20).

შესაძლებელია დავაჭიროთ „გაგზავნის“ ლილაკს, რისი საშუალებითაც მყისიერად გაიგზავნება დაუგეგმავი, ხელშეკრულების ფარგლებში მნიშვნელოვანი შეტყობინება. პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზმა შესაძლოა მომხმარებლებთან არასწორი კომუნიკაცია, ან შეთავაზების მიღება გამოიწვიოს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო წყვეტს ხელშეკრულების ამა თუ იმ მხარის პასუხისმგებლობის საკითხს (110, 20).

1.4.2. ვებ-გვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები

„ხელშეკრულების დადება ვებ-გვერდის (საიტის) გამოყენებით წარმოებს, როცა ესა თუ ის პირი საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას ახორციელებს მათზე ინფორმაციის განთავსებით გრაფიკული, ტექსტური ან ხმოვანი ფორმატით ინტერნეტ-გვერდზე. სხვა პირი, რომელსაც სურს ამ შემთავაზების მიღება, ავსებს ამავე საიტზე განთავსებულ გარკვეულ ფორმას (ფორმუ-

ლარს), სადაც უთითებს ინფორმაციას თავის თავზე, თუ ეს აუცილებელია და შესაძლებელია, განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს. აღნიშნულის შემდეგ კლიენტი აჭერს თანხმობის ღილაკს (როგორც წესი, ფორმულარის ბოლოში განთავსებულ ღილაკს) და კლიენტის ინფორმაცია მიენოდება სერვერს ეს ხერხი მეტად გავრცელებულია სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის ურთიერთობებში“ (142, 122).

რიგი მკვლევარების, მაგ. მ.ა. იაკუშევას აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე.წ. ფორმულარულ კონტრაქტებს. ხელშეკრულების დასადავად ქსელის ნებისმიერი მოსარგებლეს შეუძლია მის შესახებ აუცილებელი მონაცემები შეიტანოს ქსელში შესაძლო კონტრაჰენტის მიერ განთავსებულ ფორმაში (ფორმულარში), ხოლო შემდეგ დაადასტუროს იგი განსაზღვრული ბრძანების განხორციელებით ან საკრედიტო ბარათის ნომრის მითითებით (66, 67).

ბოლო პერიოდში წარმოიშვა და გამოიყენება არა მარტო ე.წ. „მისაერთებელი“ ფორმულარული კონტრაქტები, რომელშიც ერთი მხარე ეთანხმება (უერთდება) მეორე მხარის მიერ წინასწარ შეთავაზებულ პირობებს, არამედ, ე.წ. „ფორმულარები მესამე პირებისთვის“. ქსელურ რეჟიმში გამოსაყენებლად კონტრაქტთა დიდი ნაწილი სტანდარტული პირობებით არსებობს. მათი შევსება ორივე მხარის მიერ ერთდროულად წარმოებს, ან ერთი მხარის მიერ როგორც თავისთვის, ასევე, მეორე მხარის დავალებით ამ უკანასკნელისთვის. „სეანსის“ დასრულების შემდეგ ხელშეკრულება შეთანხმებულად (დადებულად) ითვლება, ხოლო კონტრაქტის შემმუშავებელი ფირმა იღებს საკონსულტაციო მომსახურების საზღაურს (175, 66).

პრობლემურია საკითხი იმის თაობაზე, რამდენად შეიძლება ასეთი ხელშეკრულებები დადებულად ჩაითვალოს **რეალური დროის რეჟიმში**. ასეთ სიტუაციაში გარიგების მონაწილეებს თანმყოფ პირებად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან აქცეპტის გაგზავნა, მისი მიღება ოფერენტის მიერ და ამ უკანასკნელის მიერ მისი გაცნობა შეიძლება დროის მნიშვნელოვან შუალედთან იყოს დაკავშირებული. თუმცა პრაქტიკაში, ელექტრონული კომუნიკაციები მიწოდებას

რამდენიმე ნამში ახორციელებენ, რაც იმ ვითარების მსგავსია, როცა კონსესუალურ გარიგებებში თანმყოფ კონტრაჰენტებს შორის **გარიგების დადების მომენტად ოფერენტის მიერ აქცეპტის მიღება ითვლება** (66, 67).

„ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასათვის და მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი. ხშირად ინტერნეტ-წინადადება შეიცავს ხელშეკრულების არა ყველა არსებით პირობას. ასეთ დროს კლიენტი ავსებს ამავე საიტზე განთავსებულ გარკვეულ ფორმას (ფორმულარს), სადაც უთითებს ხელშეკრულების პირობებს, რის შემდეგაც აჭერს თანხმობის ღილაკს. აღიარებული მოსაზრების თანახმად, ვებ-გვერდზე განთავსებული შეთავაზება არის მონვევა ოფერტზე, თავად ოფერტი კი შევსებული ფორმულარია“ (142, 122). „ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში აქცეპტი იქნება თანხმობა ვებ-გვერდის საშუალებით მონვევის გამავრცელებელი პირის მხრიდან, რაც ძალიან სწრაფად ხდება“ (142, 122). „აზრთა სხვადასხვაობას ინვესსის გარემოება, რომ არსებობს ვებ-გვერდები, რომლებზეც ხელშეკრულების არსებითი პირობები მოცემულია ამომწურავად და ხელშეკრულების დასადავად აბსოლუტურად საკმარისია აქცეპტი ვებ-გვერდზე თანხმობის ღილაკის დაჭერის სახით ანუ ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამავრცელებლის მხრიდან აღარაა ასეთ დროს საჭირო თანხმობა“ (142, 122). „თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ კავშირი კლიენტსა და სერვერს შორის წამიერია, რაც ძალიან ემსგავსება პირობითად სატელეფონო კავშირს, რადგან კავშირის განწყვეტის შემთხვევაში მეორე მხარემ ყოველთვის იცის ამის შესახებ. ამ ტექნიკური თავისებურებების სამართლებრივი დანიშნულება ისაა, რომ აქცეპტის გამგზავნის შეუძლია განსაზღვროს, მიღებულია თუ არა იგი მაშინვე“ (142, 122).

„გარიგებების დადება ვებ-გვერდების მეშვეობით დროის მეტად მცირე მონაკვეთში ხდება, რამაც სამომხმარებლო ურთიერთობებში ეს ოპერაცია მეტად პოპულარულად აქცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კავშირის ქვეყნებში აღნიშნული საკითხების ერთგვაროვანი რეგლამენტაციის მიზნით, 2000 წლის დირექტივით, **ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრი-**

სას კონცეპტუალური მნიშვნელობა მიენიჭა თანხმობის მიღების დადასტურებას“ (142, 124).

მთელ მსოფლიოში გავრცელებულ ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც ვებგვერდზე მიმდინარეობს, ძირითადად სამ ტიპს გამოყოფენ: Click Wrap, Shrink Wrap და Browse Wrap ხელშეკრულებები. აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებები საყოველთაოდაა გავრცელებული და ისინი, ძირითადად, დამახასიათებელია ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების პრაქტიკაში, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოშიც, ყოველდღიურად სწორედ უამრავი ასეთი გარიგება იდება (37, 38); (8, 21).

1.4.2.1. CLICK WRAP და SHRINK WRAP ტიპის ხელშეკრულებები

click-wrap-ის ტიპის ხელშეკრულება (ასევე ცნობილი როგორც click-on ან click-through-ს ტიპის ხელშეკრულება) გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მომხმარებლებს მოეთხოვებათ ღილაკზე თუ ბმულზე დაჭერა იმისათვის, რომ გამოხატონ თავიანთი სურვილი პროცესის გაგრძელებასთან დაკავშირებით და დაეთანხმონ კონკრეტულ პირობებს (89). ამ ტიპის ხელშეკრულებები ძირითადად მოცემულია ე.წ. „shrink-wrap“ ტიპის ხელშეკრულების ციფრული ვერსიის სახით. ხსენებული ტიპის ხელშეკრულების შემთხვევაში პროდუქტი, ჩვეულებრივ კომპიუტერული პროგრამა, მოიცავს სტანდარტული ფორმის ხელშეკრულებას განთავსებულს პროდუქტის შეფუთვის თავზე ან მასში, რაც ჩვეულებრივ პირობებში შეფუთულია ცელოფანში ან პლასტმასის შეფუთვაში (189, 44).

„Shrink Wrap ტიპის ხელშეკრულების დასახელება მომდინარეობს უშუალოდ მისი შეფუთვიდან, რომლითაც ესა თუ ის პროდუქტი იფუთება. სიტყვასიტყვით Shrink Wrap ნიშნავს თერმულ შეფუთვის (საქონლის შეფუთვაზე გამჭვირვალე პლასტიკის დამცავი საფარი, რომელიც გათბობის შემდეგ საქონლის შეფუთვაზე ჯდება და მჭიდროდ ეკვრება მას“ (8, 22). „ანგლო-ამერიკული სამართლით, სწორედ ასეთი შეფუთვის გახსნა ითვლება გამყიდ-

ველსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების ძალაში შესვლის მომენტად“ (8, 22).

Shrink wrap კონტრაქტები სალიცენზიო ხელშეკრულებები ან სხვა პირობები და ვადებია, რომელთა ნაკითხვაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ, პროდუქტის გახსნის შემდეგ.

Shrink wrap კონტრაქტები გამოიყენება მაშინ, როდესაც ერთი ყიდულობს პროგრამულ სისტემას თაროდან. ხელშეკრულება ამობეჭდილია პროგრამული სისტემის კოლოფზე, დისკის ჩასადებზე ან სხვა მასალაზე, რაც შეყვანილია შეფუთვაში. „ლიცენზია იწყება მაშინ, როდესაც მყიდველი კითხულობს პირობებს და ხსნის ცელოფანის შეფუთვას ან Shrink wrap-ს, რაშიც მოთავსებულია პაკეტი“. მყიდველები სავარაუდოდ უკან აბრუნებენ პროგრამული სისტემის პაკეტს, თუკი არ სურთ ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დაცვა (119, 5).

„შესაბამისად, Shrink wrap ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის დროსაც ქართული სამართლის გაგებით ე.წ. აქცეპტი, მომხმარებლის მიერ ხორციელდება უმოქმედობით, არ გააგზავნოს უკან ნაყიდი პროდუქტი გარკვეული დროის განმავლობაში, ვიდრე მას არ ექნება შესაძლებლობა, შეამოწმოს პროდუქტის შესაბამისობა შეფუთვაში არსებული სალიცენზიო შეთანხმების პირობებთან“ (8, 23). „მიუხედავად ანგლო-ამერიკული მიდგომისა, ქართული სამართლით აქცეპტი, ტრადიციულად, ვებ-გვერდზე მონვევის გამავრცელებელი პირის მხრიდან ოფერენტის შეთავაზებაზე თანხმობაში გამოიხატება და არა უშუალოდ ამ თანხმობის შედეგად გაგზავნილი ნივთის მიღებაში. ასევე, Shrink wrap ხელშეკრულების აქცეპტირებას ანგლო-ამერიკული სამართალი პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირებს, რაც ამომწურავი არ არის, რადგან Shrink wrap-ით შესაძლოა ნებისმიერი ტიპის ისეთი პროდუქცია იქნეს მიწოდებული, რომელსაც არ გააჩნდეს ლიცენზია“ (37, 42); (8, 23).

მომხმარებელთა ქცევა იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი ნებაყოფლობით გლვეჯენ შეფუთვას, შესაძლოა ემყარებოდეს სტანდარტული ფორმის მქონე ხელშეკრულების პირობებს (189, 43).

ჯონსონი მიუთითებს, რომ click-wrap ტიპის ხელშეკრულებები ზოგადად გამოიყენება სამ შემთხვევაში: სადაც გამოყენების პირობა მიღებულ უნდა იქნას (გარკვეულ ვებგვერდებზე წვდომის რეგულირებასთან დაკავშირებით), სადაც გამორიცხვის პუნქტი უნდა დაეყრდნოს აცილებას ან პასუხისმგებლობის შეზღუდვას და პროგრამული უზრუნველყოფის სალიცენზიო ხელშეკრულებებში (189, 43).

click-wrap-ის ტიპის ხელშეკრულების საერთო მაგალითია ის შემთხვევა, როდესაც მომხმარებელი ჩვეულებრივ ვებ-ბმულზე დაჭერით გადადის ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია პირობები და ვადები, რაც შესაყვანია ხელშეკრულებაში, სადაც ჩვეულებრივ (გვერდის ბოლოს) არის ლილაკი ფრაზით „ვეთანხმები“ დაბეჭდილი მასზე ან მის გვერდით. თუკი მომხმარებელი დააჭერს ბმულზე, გაიხსნება ახალი (ჩვეულებრივ დამოუკიდებელი) ვებ-გვერდი და გამოჩნდება შესაბამისი პირობები. ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ არსებობს ლილაკი ფრაზით „ვეთანხმები ვადებსა და პირობებს ამ ბმულზე“, რომელიც არის ბმულის გვერდით ან ოდნავ ქვემოთ. წინდახედულ ვებ ან პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამისტს შეუძლია კიდევ უფრო შორს წავიდეს და შეიყვანოს დამატებითი მოთხოვნები მის კოდში. ამ მოთხოვნებში შესაძლოა იყოს: გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შესაბამის ლილაკზე მომხმარებლისათვის დაჭერის საშუალება (189, 44).

მომხმარებლისათვის მოთხოვნაა დააჭიროს ბმულს, სადაც მოცემულია შესაბამისი პირობები და ვადები წარმოდგენილ ლილაკზე დაჭერამდე ან პირისათვის მოთხოვნა გადაავლოს თვალი მოცემულ პირობებსა და ვადებს, ლილაკზე დაჭერამდე (189, 44).

„Click Wrap ტიპის ხელშეკრულება ორნაირად იდება: პირველი როდესაც მომხმარებელი კლავიატურის ან ლილაკების მეშვეობით კრფს „ვეთანხმები“-ს ან სხვა ისეთ ტექსტს, რომელიც მის მიერ პირობებზე დათანხმებას დაადასტურებს და ამის შემდეგ აჭერს სპეციალურ ბრძანებას; მეორე შემთხვევაა, როდესაც მომხმარებელი პირდაპირ დათანხმების ბრძანებაზე დაჭერით ავლენს ნებას. Click Wrap არის „დაეთანხმე ან უარი თქვი“-ს ტიპის ხელშეკრულება, რადგან სახელშეკრულებო პირობებზე მოლაპა-

რაკება ამ დროს პრაქტიკულად გამორიცხულია“ (8, 21).

გამომდინარე მისი სახელწოდებიდან, click-wrap კლიკ-რეპის ტიპის ხელშეკრულება მოითხოვს დადებით მოქმედებას მომხმარებლისგან. ჩვეულებრივ გარიგების დადება არ დაიწყება, ან პროგრამული უზრუნველყოფა ვერ დამონტაჟდება, იქამდე სანამ მომხმარებელი დააჭერს კონკრეტულ ბმულს ან ლილაკს.

იმ შემთხვევაში, თუკი მომხმარებელმა პირობები არ წაიკითხა, ივარაუდება, რომ მომხმარებელმა იცოდა მათ შესახებ (189, 44). იმისათვის, რომ დადასტურდეს დაჭერის მოქმედების შესრულება, მხარეს, რომელსაც სურს მიჰყვეს პროცესს (ჩვეულებრივ ვებგვერდის მფლობელს ან ადმინისტრატორს) შეუძლია შეინახოს ამ მოვლენის შემონმებული ჩანაწერი (189, 44).

„ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში Click wrap ხელშეკრულება განიხილება, როგორც განხორციელებადი, ანუ სასარჩელო ძალის მქონე კონტრაქტი“ (8, 21). „ამას უმეტესწილად განაპირობებს ამ ტიპის შეთანხმებების მასობრივად გამოყენება სხვადასხვა მიზნებისთვის. ასეთი შემთხვევაა, როდესაც მეორე მხარეს სურს ვებგვერდის მოხმარების ან/და ამით სარგებლობის პირობები განსაზღვროს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მაგალითად: ელექტრონული საბანკო სექტორი, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, აუქციონი, აზარტული თამაშები, სადისკუსიო ფორუმები, chatroom, ახალი ამბები და ა.შ. „ (186, 406). „მიუხედავად მრავალი ასეთი შეთანხმებისა, Click Wrap გამოიყენება მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის სფეროში, მომხმარებელსა და მენარმე სუბიექტს შორის ვებგვერდზე სასყიდლიანი ხელშეკრულების გაფორმებისთვის“ (8, 21).

1.4.2.2. WEB-WRAP-ის ტიპის ხელშეკრულება

web-wrap-ის ტიპის ხელშეკრულება, ხანდახან ასევე მოხსენიებული როგორც browse-wrap ტიპის ხელშეკრულება, გარკვეულწილად ჰგავს click-wrap-ის ტიპის ხელშეკრულებას და ხშირად გამოიყენება მსგავსი გარემოებების პირობებში, გარდა რაიმე საფუძვლიანი სხვაობისა. თუ click-wrap-ის ტიპის ხელშეკრულება

მოითხოვს დადებით ქმედებას თანხმობის მითითების მიზნით (189, 45), როგორცაა განსაზღვრულ სიმბოლოზე დაჭერა და აქცეპტის ამ გზით განხორციელება (8, 22). web-wrap ტიპის ხელშეკრულების შემთხვევაში, ზემოხსენებული არ არის საჭირო (189, 45). ხელშეკრულების პირობები ხელმისაწვდომია ელექტრონულად და ვიზიტორი ვებგვერდზე შესვლისას ხსნის ხელშეკრულებას (8, 22). ზოგადად, ხელშეკრულების ეს ტიპი ასახავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მომხმარებელი აფორმებს კონტრაქტს ელექტრონულად და ვადები და პირობები მოცემულია მასში გამარტივებული ფორმით (189, 45). ხანდახან პირობები ნაჩვენები იქნება ვებ გვერდზე, რომლის გამოყენებაც აუცილებელია ელექტრონული ხელშეკრულების გასაფორმებლად, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება (189, 45).

სხვა მეთოდების გამოყენების დროს შესაძლოა მოვათავსოთ ტექსტური ბმული, რომელიც გაგვიხსნის ცალკეულ გვერდს, სადაც ვადები და პირობები უნდა მოვიძიოთ ინკორპორირების მიზნით (მაგ. როდესაც მხარეები ახდენენ პირობების ინკორპორირებას ელ-ფოსტის საშუალებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში), ან როდესაც დამატებითი ფანჯარა იხსნება, სადაც შესაბამისი პირობები „ამოვარდება“ სანამ მომხმარებელი იმყოფება ხელშეკრულების გაფორმების პროცესში (189, 45).

ტრადიციულად, იმ შემთხვევებში, სადაც ტექსტური ბმული იყო გამოყენებული, ის შეიძლება ვიხილოთ ვებ გვერდის ბოლოს ან პატარა ასოებით დაბეჭდილის სახით. (89)

„Browse wrap ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ სახელშეკრულებო პირობები შესაძლოა პირდაპირ ვებგვერდზე შესვლისას, სანყის გვერდზე არ იყოს მოცემული, არამედ მის გასაცნობად აუცილებელი გახდეს სხვა ელექტრონულ მისამართზე გადასვლა“ (8, 23).

ყველა შემთხვევაში საერთო უარყოფითი მხარე web-wrap-ის ტიპის ხელშეკრულებების გამოყენების დროს ატარებს პრობაციულ ხასიათს. მომხმარებელს არ მოეთხოვება ვადებსა და პირობებზე დაჭერა, თუკი ხსენებული წარმოდგენილია ტექსტური ბმულის

სახით (189, 46), და რამოდენიმე გზა არსებობს იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ პირმა იცოდა თუ არა იმ ფაქტის თაობაზე, რომ ტექსტური ბმული მოიცავდა საკონტრაქტო პირობებს, რომლის ინკორპორირებაც იყო განზრახული ელექტრონულ ხელშეკრულებაში. ასეთ შემთხვევებშიც კი, სადაც ვადები და პირობები აქტიურად არის წარმოდგენილი, კვლავ რთულად დასამტკიცებელია მისი წაკითხვის ან მასზე დათანხმების ფაქტი. ერთადერთი ასპექტი, რასაც მხარეს შეუძლია რომ პოტენციურად დაეყრდნოს არის ის ფაქტი, რომ მომხმარებელმა განაგრძო ტრანზაქცია. წარმოდგენილია, რომ თავისთავად არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი დაიცავს თანდართულ პირობებსა და ვადებს. ფორდერისა და სვანტესონის აზრით, იმ შემთხვევებში, როდესაც კომპიუტერული ყურნალი მიუთითებს მასზე, რომ მომხმარებელმა ჩამოტვირთა პირობები, რასაც მიაგნო ტექსტური ბმულის საშუალებით ივარაუდება, რომ მხარემ წაკითხა ხსენებული ან იცოდა მის შესახებ (189, 46).

შეერთებული შტატების კანონმდებლობით, click-wrap-ისა და web-wrap ის ტიპის ხელშეკრულებების თეორიული ბაზა ერთიანი სავაჭრო კოდექსია (189, 45). კონკრეტულად, ერთიანი სავაჭრო კოდექსის მიხედვით (§2-204): „საქონლის გაყიდვის შესახებ კონტრაქტი შეიძლება გაფორმდეს ნებისმიერი საშუალებით, რაც საკმარისი იქნება ხელშეკრულების საჩვენებლად...“ ეს პრინციპი ასევე შემდგომში გამყარდა ერთიანი ელექტრონული გარიგებების შესახებ კანონში (189, 46). (რომელიც მიღებულ იქნა შეერთებული შტატების უმეტესი შტატის მიერ), ისევე როგორც ელექტრონული ხელმოწერების ნაწილში გლობალურ და ეროვნული სავაჭრო კანონში (189, 46).

როგორც click-wrap-ის, ასევე web-wrap ის ტიპის ხელშეკრულებები განიხილება როგორც ე.წ. „შერწყმის კონტრაქტები,“ რაც გამოდინარეობს ინკორპორირებადი პირობების სტანდარტული ბუნებიდან და ამგვარად, ზოგადად ინტერპრეტირებულია შედარებით სუსტი მოვაჭრე მხარის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, ორი ტიპის ხელშეკრულება რეგულირდება სხვადასხვანაირად. (189, 48).

Groff America Online Inc.-ის საქმეში სასამართლომ click-wrap-ის ტიპის ხელშეკრულებებს ნამდვილად ცნო და განმარტა, რომ მხარე რომელიც ხელს აწერს დოკუმენტს, ავლენს თანხმობას მასზე და არ შეუძლია მოგვიანებით პრეტენზია განაცხადოს, რომ არ წაუკითხავს დოკუმენტი ან ვერ გაიგო მისი შინაარსი. ამ შემთხვევაში, მოსარჩელემ ეფექტურად „**მოანერა ხელი**“ ხელშეკრულებას დააჭირა რა ლილაკს „**ვეთანხმები**“ არა ერთხელ, არამედ ორჯერ. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ის ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები (189, 48).

click-wrap-ს ტიპის ხელშეკრულებებში დადგენილი პირობების აღსრულება ან ნამდვილობა გადაწყდება თითოეული შემთხვევაში ინდივიდუალურად.

დოქტრინაში მითითებულია პრინციპები, რომელიც შეეხება როგორც click-wrap-ის, ასევე web-wrap-ის ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობასა და აღსრულებას, კერძოდ, მომხმარებელმა უნდა იცოდეს შეთავაზებული პირობების არსებობის თაობაზე, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს არსებითი შესაძლებლობა განიხილოს პირობები, მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ კონკრეტული, შერჩევითი ქმედებით განხორციელებულია მისი თანხმობა პირობებზე და ბოლოს, მომხმარებელმა უნდა რეალურად იმოქმედოს (189, 50).

გაერთიანებული სამეფოს სასამართლო ინსტანციები ჯერ კიდევ არკვევენ, ვალიდურია და აღსრულებადი თუ არა click-wrap-სა თუ web-wrap -ის ტიპის ხელშეკრულებები, რის შესახებაც სამეცნიერო სტატიები საკმაოდ მწირი რაოდენობით არსებობს (189, 50).

ევროკავშირის გარკვეული დირექტივების, როგორც არის ევროკავშირის დისტაციურ რეჟიმში გაყიდვის შესახებ 97/7/EC (244), ასევე, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ 2000/31/EC დირექტივების (242) ინკორპორირებისას, გაერთიანებული სამეფო ადგენს დამატებით პირობებს 2002 წლის მისი ელექტრონული ვაჭრობის (ევროკავშირის დირექტივის) 2002/2013 რეგულაციებში (189, 50). რეგულაციების 9-ე მუხლში ნათქვამია, რომ სერვის პროვა-

იდერი, მომსახურების მიმღების მიერ შეკვეთის განთავსებამდე უზრუნველყოფს ამ მიმღებისათვის გასაგებ და ეჭვგარეშე ინფორმაციას, მათ შორის სხვადასხვა ტექნიკური ეტაპების შესახებ, რაც გასაველია კონტრაქტის გაფორმებისათვის (189, 50).

ევროკავშირის დისტანციურ რეჟიმში გაყიდვის შესახებ 97/7/EC დირექტივის 2(1) მუხლი მიმწოდებელს მომხმარებელთან დისტანციურ რეჟიმში, აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს. პირობების დიდი ნაწილი უკავშირდება მიმწოდებელთან, გაყიდული პროდუქტის თუ მომსახურების შესახებ მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდებას. ეს საფუძვლები, ასევე ინკორპორირებულ (განერილ) იქნა დიდი ბრიტანეთის 2000 წლის მომხმარებლის დაცვის (დისტანციურ რეჟიმში გაყიდვის) შესახებ 2000/2334 რეგულაციებში (189, 51).

არცერთი ზემოხსენებული პირობა არ ახდენს გავლენას click-wrap-სა თუ web-wrap-ის ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობაზე, მაგრამ მას შეუძლია იქონიოს გავლენა კონკრეტული პირობების აღსრულებაზე, თუკი ისინი არ იქნება სათანადო რეგულაციებთან შესაბამისობაში (189, 52).

ხელმონერილ კონტრაქტებში მხარის იდენტიფიკაციის ასპექტები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კლიკ-რეპის ხელშეკრულების შემთხვევაში. პირველ რიგში, იმ შემთხვევებში, სადაც გამოიყენება მონიშვნები, გაკეთდება შესაბამისი ნიშანი, და იმ შემთხვევებში, სადაც მხოლოდ დაჭერაა აუცილებელი, მოხდება ფიზიკურად მოქმედების ჩანერა. მეორე, რაც შეეხება მხარის იდენტიფიცირებას, ხსენებული ადვილად შეიძლება განხორციელდეს ან ფიზიკური პირის მიერ საკონტაქტო ან პირადი დეტალების უზრუნველყოფის ან ფიზიკური პირის IP მისამართის გარკვევისა და ჩანერის მეთოდის გამოყენებით (189, 64).

click-wrap და web-wrap ტიპის ხელშეკრულებები, როგორც წესი ნამდვილი და აღსრულებადია. მართალია ისინი შეიცავენ გარკვეულ რისკებს, მაგრამ მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მომხმარებელთა დამატებით დაცვას და უსაფრთხოებას იმ შემთხვევაში, როცა ისინი შეცდომას უშვებენ

მოულოდნელი ან უსამართლო პირობების გამო. მათ რეალურად აქვთ რეგრესის და გამოსწორების შესაბამისი უფლება (189, 64).

1.5. სუბიექტების იდენტიფიკაცია და ადგილმდებარეობის დადგენა

როგორც სამართლის დოქტრინაში, ასევე, სასამართლო პრაქტიკაში, ხელშეკრულების დადებულად ცნობისათვის მნიშვნელოვან იურიდიულ საკითხად, ოფერტისა და აქცეპტის რეგლამენტაციისა და ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრასთან ერთად კონტრაგენტების იდენტიფიკაცია და მათი ადგილმდებარეობის დადგენაც ითვლება.

ელექტრონული ფორმით დასადები ხელშეკრულების მონაწილეები მათთვის საჭირო ინფორმაციას ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით იღებენ. ასეთ შემთხვევაში უნდა დამონმდეს ინფორმაციის გარკვეული პირისათვის კუთვნილების ფაქტი. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირის დადგენას. ეს სავალდებულო პირობაა. ტრადიციული ხელშეკრულების ხელმოწერისას უფლებამოსილი პირის დადგენა ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემონმებით, მინდობილობის, იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტების წარდგენით. (62.63.)

ხელშეკრულებაში გამოხატული ნების და ნების გამოვლენის შესაბამისობის მიღწევისათვის საჭიროა, რომ მისი რეკვიზიტები არა მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის არამედ, ასევე, მისი შემქმნელის (მფლობელის, წარმდგენის) პირადობის იდენტიფიცირებას ახდენდნენ. ჩვეულებრივ პრაქტიკაში ეს დაფუძნებულია იმაზე, რომ ხელშეკრულების მხარეებს გააჩნიათ ან უშუალო ან არაპირდაპირი, მაგრამ აუცილებლად მატერიალური კონტაქტი. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებისას „მხარეებს შეიძლება არ ჰქონდეთ მატერიალური კონტაქტი და შეიძლება იყვნენ მიუწვდომლად დაშორებულნი, როგორც სივრცეში, ასევე, დროში“ (167, 94).

ონლაინ ტრანზაქციების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხარის ვინაობა უცნობია მეორე მხარისათვის. ელექტრონული ხელშეკრულებების კომპლექსური ბუნება შეუძლებელს ხდის ერთი მხარისათვის დაადგინოს, მეორე მხარე, რომელიც კომპიუტერის ეკრანის მიღმაა, არის თუ არა უფლებამოსილი გააფორმოს ხელშეკრულება (119, 6).

ხელშეკრულების დამდები პირის იდენტიფიცირება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს. ამით შეიძლება შემოწმდეს უფლებამოსილია თუ არა ის იმოქმედოს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ფარგლებში ეს შესაძლებელს ხდის გაკეთდეს პირადი ხელმოწერის ანალოგები. ისინი კისრულობენ ჩვეულებრივი ხელმოწერის ფუნქციას. (62, 64.)

ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხები ქვემოთ ცალკე თავში იქნება განხილული.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მხარეებს, ევრო-პარლამენტისა და საბჭოს შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებელთა დაცვის შესახებ დირექტივის (38, 105) მეორე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მიხედვით, წარმოადგენენ მოვაჭრე და მომხმარებელი. დირექტივაში **მოვაჭრე** განმარტებულია როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით, სავაჭრო, საქმიანი, სამრეწველო ან პროფესიული მიზნებისათვის;

მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დირექტივით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებში მოქმედებს იმ მიზნებისათვის, რომელიც არ ეხება მის სავაჭრო, საქმიან, სამრეწველო ან პროფესიულ მიზნებს (240).

გსკ-ის 312გ პარაგრაფით გათვალისწინებული ხელშეკრულების მხარეებს მენარმე და მომხმარებელი წარმოადგენენ. მენარმე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/ და უფლებათუნარიანობის მქონე ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამენარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში (251, §14., 38, 105).

რუსი მეცნიერის მ.ა. იაკუშევის აზრით, ინტერნეტში შესაძლო კონტრაპენტის საძიებლად გამოიყენება ე.წ. „საწყისი გვერდები“, რომელიც საჭირო საქონლის ან მომსახურების საპოვნელად უზრუნველყოფს ერთი სერვერიდან მეორეზე გადასვლას.

ამასთან, მომსახურე კომპიუტერზე ცალკეულ ქსელურ გვერდს შეიძლება ფლობდეს არა მარტო მომსახურე კომპიუტერის მესაკუთრე, არამედ, სხვა პირი, ვინაიდან ინფორმაცია სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი ობიექტია, ვებ-გვერდზე ინფორმაციის ფაქტიურ დამუშავებას ხშირად მესამე პირი ახორციელებს.

შესაბამისად, იქმნება ვითარება, როცა ხელშეკრულების დადების მსურველი პირი შეიძლება „დაიბნეს“ იმ პირის უფლებამოსილებაში, რომელთანაც დადო ან აპირებს გარიგების დადებას. ამ სიტუაციის ასაცილებლად მიზანშეწონილია სუბიექტის სანდო იდენტიფიკაციის მექანიზმის შექმნა, რომლის მიხედვით **პასუხისმგებლობა სანდოობაზე ქსელური მომსახურების განმხორციელებელ პირს დაეკისრება**. შესაძლოა დადგინდეს წესი, რომლის მიხედვით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, იგულისხმება, რომ მომსახურების (საქონლის, ინფორმაციის) გამყიდველია „ქსელური უბნის“ მფლობელი (175, 66).

სამენარმეო პრაქტიკაში ელექტრონული ფოსტის გამოყენებაც წარმოშობს მსგავს სირთულეებს. ინფორმაციის მიმღებს არ შეუძლია დანამდვილებით ამტკიცოს, რომ ელექტრონული ფოსტით მიღებული ინფორმაცია იმ პირის მიერაა გაგზავნილი, რომლის მისამართიდანაც გაიგზავნა და რომ ამ პირს გააჩნია შესაბამისი გარიგების დადების უფლებამოსილება. ამასთან არსებობს საშიშროება, რომ ინფორმაცია შეცვლილი ან გაყალბებული იყოს მესამე პირის მიერ. მხარეებს შორის უშუალო კონტაქტის არარსებობა ნებისმიერ შემთხვევაში ზრდის კონტრაგენტის პიროვნებაში შეცდომის რისკს, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია (66, 58). ასეთი შეცდომის რისკის შესამცირებლად, გაფორმებული გარიგების ნამდვილობისა და ზოგადად, ელექტრონული ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ყველაზე აშკარა და გავრცელებული საშუალება ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის განხორციელებაა (66, 58).

თუმცა აღსანიშნავია, რომ ვერცერთი არსებული ტექნიკური საშუალება ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ საიმედოობას, რაც საკითხის პრობლემურობას ვერ ხსნის და მიუთითებს, რომ რისკის სრულად აღმოფხვრა ელექტრონული ვაჭრობის პირობებში შეუძლებელია (66, 59).

კანონმა შესაძლოა წარმოშვას პრეზუმფცია, რომ როგორც კი ელექტრონული ხელშეკრულება გაფორმდება, ორივე მხარე უნდა ჩაითვალოს უფლებამოსილად და შემდეგ არცერთმა არ უნდა გამოთქვას პრეტენზია იმის გამო, რომ ხელშეკრულების რომელიმე მხარე არ იყო უფლებამოსილი გაეფორმებინა ის (119, 9).

კონტრაპენტის დადგენის პრობლემასთან ერთად სირთულეს წარმოშობს ელექტრონული საშუალებებით ურთიერთობისას **მათი ადგილსამყოფელის** დადგენა.

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებში მხარეთა ადგილსამყოფლის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები: საქმიანობის განხორციელების ადგილი და კომერციული საწარმოს ადგილსამყოფელი (155).

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო კომისიის (*UNICITRAL*) საქონლის საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე კონვენციის მე-7 მუხლში მოცემულია გარიგების მხარეთა ადგილსამყოფლის საკითხი. ელექტრონული ვაჭრობის შესახებ სამუშაო ჯგუფის 39-ე სესიაზე რეკომენდირებულია კონვენციაში შემდეგი დებულებების ფორმულირება:

1. ამ კონვენციის მიზნებისთვის ითვლება, რომ მხარეებს აქვთ კომერციული საწარმო იმ გეოგრაფიულ პუნქტში სადაც მიუთითეს... (გარდა იმ შემთხვევისა, როცა აშკარაა, რომ მხარეს არა აქვს კომერციული საწარმო მითითებულ ადგილას და ასეთი შეთანხმება გაკეთდა მხოლოდ იმის გამო, რომ გამოყენებულ იქნეს ეს კონვენცია ან არ იქნეს გამოყენებული).
2. თუ მხარეებს რამდენიმე საწარმო აქვთ, კონვენციის მიზნებისთვის კომერციულ საწარმოდ ითვლება ის საწარმო, რომელსაც, მხარეთათვის ცნობილი გარემოებების გათვა-

ლისწინებით, გარიგების დადებამდე ნებისმიერ დროს ან გარიგების დადების მომენტში ხელშეკრულებასთან ან მის შესრულებასთან ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს.

3. თუ ფიზიკურ პირს არა აქვს კომერციული საწარმო მხედველობაში მიიღება მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.
4. ხელშეკრულების დადებისას იურიდიული პირის მიერ გამოყენებული საინფორმაციო სისტემის მონყობილობისა და ტექნიკური საშუალებების ადგილსამყოფელი ან ადგილი, საიდანაც ასეთ საინფორმაციო სისტემასთან სხვა პირებს აქვთ წვდომა თავისთავად არ აყალიბებს კომერციულ საწარმოს (იმ შემთხვევის გარდა, როცა ასეთ იურიდიულ პირს არა აქვს კომერციული საწარმო).
5. ის ფაქტი, რომ პირი იყენებს რომელიმე კონკრეტულ ქვეყანასთან დაკავშირებულ დომეინ სახელს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს, არ ქმნის პრეზუმფციას, რომ ამ პირის კომერციული საწარმო ამ ქვეყანაში მდებარეობს“ (66, 57).

მხარეთა ადგილსამყოფლის განსაზღვრა იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, რომელი გარიგება დაიდო ტრანსსასაზღვრო თუ ნაციონალურ მართლწესრიგს დაქვემდებარებული. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა გადანყდეს **საკითხები, რომლებიც უკავშირდება იურისდიქციის განსაზღვრას, გამოსაყენებელ სამართალსა და შესრულების უზრუნველყოფას** (66, 60).

განსაკუთრებული დისკუსიის საგანი პროექტის პირველი პუნქტი გახდა, რომელიც მხარის ადგილსამყოფელის დადგენას უკავშირებს მისივე ვალდებულებას მიუთითოს კომერციული საწარმოს ადგილსამყოფელი. ასეთი ადგილსამყოფლის თავისუფალი მითითების დაშვებამ შესაძლოა ბრუნვის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, ვინაიდან, დავის წარმოშობისას, ერთი მხარის მიერ თავისი ადგილსამყოფლის არაკორექტული მითითება ამცირებს მეორე მხარის ინტერესების სამართლებრივი დაცვის ეფექტურობას. შესაბამისად, **კონვენციამ დაუშვა პრეზუმფცია მეორე მხარის სასარგებლოდ, რომლის მიხედვით საწარმოს ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია სწორად მიიჩნევა** (66, 61).

მკაცრი კრიტიკა გამოიწვია ფორმულირებამ სანარმოს ხელშეკრულებასთან ან მის შესრულებასთან ყველაზე მჭიდრო კავშირის შესახებ. (მე-2 პუნქტი). პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა გარიგებასთან მჭიდრო კავშირი კონტრაგენტის ერთ სანარმოს, ხოლო აღებული ვალდებულებების შესრულებასთან მეორე სანარმოს აქვს. მსგავს სიტუაციაში პრიორიტეტი იმ სანარმოს ადგილსამყოფელს უნდა მიენიჭოს, რომელსაც გარიგებასთან აქვს მეტი კავშირი, ვინაიდან სწორედ გარიგება ნარმოშობს კონტრაგენტთა უფლება-მოვალეობებს, მათ შორის შესრულების ვალდებულებას (66, 61).

რფსკ-ის 1209.1. მუხლის მიხედვით გარიგების ფორმა ექვემდებარება მისი დადების ადგილის სამართალს (252). კომპიუტერული ქსელების გამოყენებისას ასეთი ადგილის დადგენა საკმაოდ რთულია. მაგალითად, იმ სიტუაციაში, როცა აქცეპტი გაეგზავნა ერთ ქვეყანაში მცხოვრებ ოფერენტს, ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მეორე ქვეყნის სერვერზეა განთავსებული, ხოლო აქცეპტანტი მესამე ქვეყანის მოქალაქეა.

ლოგიკით, გარიგების დადების ადგილად სერვერის ადგილსამყოფელი ქვეყანა შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა პრაქტიკაში მიზანშეწონილია ასეთად ოფერენტის სახელმწიფო ჩაითვალოს (66, 63).

საქონლის საერთაშორისო ნასყიდობისას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ ჰააგის კონვენციის მესამე მუხლი მხარეთა ნების არარსებობისას ითვალისწინებს გამყიდველის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მყიდველის ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართლის გამოყენებას. აუქციონზე ან ბირჟაზე გარიგების გაფორმებისას გარიგების დადების ადგილად ითვლება აუქციონის ან ბირჟის ადგილსამყოფელი (66, 63).

1.6. მხარეთა შეთანხმება არსებით პირობებზე

სსკ-ის 327-ე მუხლი ხაზგასმით მიუთითებს, რომ მხარეთა შეთანხმების შინაარსი გულისხმობს ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებას.

ამდენად, იმისათვის, რომ წინადადება ოფერტად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია მასში არსებითი პირობების ჩამოყალიბება, რათა მისი მიმღების მიერ ამ პირობებზე მარტივად გამოხატული თანხმობით შესაძლებელი გახდეს ხელშეკრულების დადება.

327 II მუხლის თანახმად, არსებითად მიჩნეულია პირობები „რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“. „კანონი არ განსაზღვრავს არსებითი პირობების ჩამონათვალს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა“ (3, 92). „იშვიათ შემთხვევაში ის შესაძლოა, მითითებული იყოს კანონში კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში. მაგ., მითითება წერილობით ხელშეკრულებაში აუცილებლად გასათვალისწინებელ პირობებზე. თუმცა შესაძლებელია, ზოგიერთი ხელშეკრულება ასეთი პირობების საკმაო ჩამონათვალს მოიცავდეს. ასეთ შემთხვევაში, მათი შინაარსიდან და აზრიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, ისინი არსებითად თანაბარმნიშვნელოვანია თუ არა. ამოსავალი წერტილი ასეთი კვალიფიკაციისას არის ის, თუ რამდენად დააყენებდა ეჭვქვეშ ხელშეკრულების ნამდვილობას მათი გაუთვალისწინებლობა“ (3, 92). „თუმცა თითოეული ტიპის ხელშეკრულებას აქვს კანონით განერილი „მინიმალური შინაარსი“, რომელსაც ქმნიან ის პირობები (მაგ., ნასყიდობისას: მხარეები, საგანი, ფასი), რომლებზე შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება (ე.წ. *essentia negotii*). მხარეებს შეუძლიათ, კონკრეტული გარიგების კანონით განერილი „მინიმალური შინაარსი“ შეავსონ დამატებითი პირობებით, ზოგადად არაარსებითი პირობებისთვის (*accidentalialia negotii*) 327 II მუხლის გაგებით არსებითი ხასიათის მინიჭებით. აუცილებელია, რომ ამ პირობებთან დაკავშირებით მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას, სხვაგვარად ხელშეკრულება არ დაიდება“ (3, 92).

„ტრადიციულად, როგორც დოქტრინის, ისე პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბდა საკითხთა წრე, რომელზეც მხარეთა შეთანხმება აუცილებლადაა მიჩნეული, – საგანი, ფასი და ხელშეკრულების ვადა, – თუმცა ესენი ვერ იქნება გამოყენებული ყველა ტიპის ხელშეკრულების მიმართ“ (3, 92). „იმავედროულად, სასყიდლიან

ხელშეკრულებებში შესაძლებელია, ფასი პირდაპირ არ იყოს მითითებული და ეს არ გახდეს ხელშეკრულების დადების ხელშემშლელი გარემოება, თუ გათვალისწინებულია მისი განსაზღვრის წესი. საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის 55-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება ნამდვილად ითვლება მაშინაც, თუ ფასი არ არის განსაზღვრული და არც გარემოებებიდანაა შესაძლებელი მისი განსაზღვრა. ამ შემთხვევაში, თუ გარემოებები საპირისპიროზე არ უთითებენ, მხარეებმა იგულისხმეს იმ ფასით ხელშეკრულების დადება, რაც, ჩვეულებრივ, ასეთი ტიპის საქონელზე იყო ხელშეკრულების დადების მომენტში“ (237, 14., 3, 92). „ასეთ დროს საკმარისია, ხელშეკრულება შეიცავდეს ფასის განსაზღვრის მეთოდს, რაც შეიძლება, გამოიხატოს მაგ., განსაზღვრულ დროს არსებულ საბაზრო ფასებზე მითითებით, კონკრეტული ექსპერტის მიერ ფასის განსაზღვრის მინდობით და სხვ“ (195, 1-28., 3, 92).

ელექტრონული კავშირის თავისებურებებმა შექმნეს ობიექტური წინაპირობები სპეციალური პირობების შემუშავებისათვის, რომლებიც საჭირო იქნებოდა აუცილებლად შესულიყო ასეთ ხელშეკრულებებში (62, 24).

„ვინაიდან ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას მხარეები ფიზიკურად არ ხვდებიან ერთმანეთს, შესაბამისად, მომხმარებელი მოკლებულია შესაძლებლობას, წინასწარ დაათვალიეროს ან შეამოწმოს ხელშეკრულების საგანი. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომხმარებლისთვის მსგავს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა არ არის ჩვეული საქმიანობა და ის მეტ-ნაკლებად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება“ (38, 105).

ამიტომ ელექტრონული ფორმით დასადები თითოეული ხელშეკრულებისათვის არსებითი პირობები იქნება ის პირობები, რომლებიც არსებითია ასეთი სახის ჩვეულებრივი ხელშეკრულებისათვის. ხელშეკრულების შინაარსი განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ მასში ასევე, უნდა იყოს შეტანილი პირობები, რომლებიც ასახავენ მისი ელექტრონული ფორმის თავისებურებებს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ელექტრონული კავშირის სა-

შუალელების გამოყენებით დადებულ ხელშეკრულებას ჰქონდეს იურიდიული ძალა და მტკიცებულებითი ძალა, და ასევე, იმისათვის, რომ თავად მხარეებს და სხვა პირებს შეეძლოთ გაეცნონ ხელშეკრულების შინაარსს და გამოიყენონ აღნიშნული დოკუმენტი თავისი მიზნებისათვის (შეცვლა, კვლავწარმოება და ა.შ.) (62, 25).

მსგავსი პირობები მიმართულია ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, რომლებიც პირველ რიგში დაკავშირებულია ელექტრონული ხელშეკრულების დამდები პირის იდენტიფიცირებასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს შესაძლებლობა ხელშეკრულების ხელმოწერის საბოლოო სტადიაზე. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აისახოს ტექნიკური ნორმების გამოყენების თავისებურებები. მეტიც, კანონში უნდა მითითებულ იქნას ტექნიკური საშუალებების გამოყენების ამსახველი პირობების კონკრეტული ნუსხა. კერძოდ,

- 1) ხელშეკრულების დადების ტექნოლოგია (პროცედურა);
- 2) პირადი ხელმოწერის ანალოგების გამოყენების ტექნოლოგია და პროცედურა;
- 3) ხელშეკრულების პირობების შეთანხმებისას ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა და წესი;
- 4) აქცეპტის საშუალება და წესი;
- 5) შესაძლო შეცდომით აქცეპტის გამოსმობის საშუალება და წესი;
- 6) მითითება პირობებზე, რომლებიც შეტანილია ხელშეკრულებაში სხვა ელექტრონულ დოკუმენტზე მითითების გზით, და შესაბამის მითითებულ მასალასთან ტექნიკური წვდომის წესი;
- 7) ელექტრონული დოკუმენტების შენახვის და წარდგენის საშუალება და აღნიშნულ დოკუმენტაციასთან ელექტრონული წვდომის პირობები, და ასევე, ელექტრონული დოკუმენტების ქალაქზე გადმოტანილი ასლების წარდგენის პირობები.

- 8) ნ. სოლოვიანენკო ასევე გამოყოფს „ელექტრონული ვაჭრობის კორპორატიულ სისტემებში ხელშეკრულებების და სხვა გარიგებების დადების ზოგად პირობებს, რომლებზეც მონაწილეებმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას“ (170, 53). ასეთ პირობებს ნ. სოლოვიანენკო მიაკუთვნებს პირობებს ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის მეშვეობით გარიგებების დადების შესახებ, გარიგებების მხარეთა იდენტიფიცირების შესახებ, ელექტრონული ვაჭრობის სისტემაში გარიგებების შესრულებაზე მონაწილის უფლების შესაძლო შეზღუდვის შესახებ, ხელშეკრულებაში ისეთი პირობის შეტანის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც მიუთითებს სხვა ელექტრონულ დოკუმენტზე. სასამართლო პრაქტიკა ადგენს რიგ პირობებს, რომლებიც შეტანილი უნდა იყოს ხელშეკრულებაში და რომლებიც ითვალისწინებენ მის ელექტრონულ ფორმას. კერძოდ, ელექტრონული ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა შეიძლება იყოს „შეთანხმება რომელ მხარეს ეკისრება ამა თუ იმ ფაქტების და ხელმოწერის სარწმუნოების მტკიცების ტვირთი“ (62, 26).

ამკარაა, რომ დამატებით არსებით პირობებს არ შეუძლიათ ცვლილებების შეტანა თავად ვალდებულების შინაარსში. მათი ძირითადი ამოცანაა ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენების თავისებურებების ასახვა.

ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების თავისებურებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლს დაემატოს პუნქტი 4 შემდეგი შინაარსით: „ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების არსებით პირობებს, წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულის გარდა, წარმოადგენენ პირობები ელექტრონული ხელშეკრულების ფორმატის, პირადი ხელმოწერის ანალოგის სახის, ელექტრონული დოკუმენტების შენახვისა და წარდგენის საშუალებების და აღნიშნულ დოკუმენტაციასთან ელექტრონული წვდომის პირობების შესახებ“.

ამგვარად, ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით დასადები ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ ხელშეკრუ-

ლების მხარეებს შორის მიღწეულია შეთანხმება ხელშეკრულების შინაარსის ამსახველ ყველა არსებით პირობაზე, და ასევე, ყველა არსებით პირობაზე, რომლებიც ითვალისწინებენ ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენების სპეციფიკას.

ხელშეკრულებების დადებისას ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენების თავისებურებები შეიძლება ასახულ იქნას, როგორც თავად ხელშეკრულებაში, ასევე, ცალკე დასაძებ შეთანხმებაში. შეთანხმება არ შეეხება ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებებს (მინოდება, ყიდვა-გაყიდვა, გადაზიდვა), ანუ შეიძლება მივიჩნიოთ სუბსიდიურად ძირითად ვალდებულებასთან მიმართებაში (62, 27-28).

ვინაიდან ხელშეკრულება გარიგებაა (სსკ-ის მუხლი 50), მისი დადებისათვის საჭიროა ზოგადად გარიგების ნამდვილობის ყველა სამართლებრივი წინაპირობა (58, 974). გარიგება წარმოადგენს ოთხი ელემენტის ერთობლიობას: სუბიექტები - გარიგებაში მონაწილე პირები, სუბიექტური მხარე – ნებისა და ნების გამოვლენის ერთიანობა, ფორმა და შინაარსი. გარიგების ნებისმიერი ან რამდენიმე ელემენტის ნაკლი იწვევს მის ბათილობას (60, 287).

ელექტრონული გარიგებების ბათილობა და მათი შედეგები მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ კანონის რომელი მოთხოვნაა დარღვეული. ეს მოთხოვნები შემდეგია (62.33):

- 1) გარიგება თავისი შინაარსით უნდა შეესაბამებოდეს კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტს.
- 2) გარიგების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს.
- 3) იურიდიული პირის გარიგება უნდა შეესაბამებოდეს მის უფლებაუნარიანობას;
- 4) ნება უნდა იყოს ნამდვილი.

ელექტრონული გარიგების ნამდვილობის საკითხის კვლევისას მნიშვნელოვანია გარიგებების დადებისას საინფორმაციო – საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული თავისებურებების ანალიზი. ელექტრონული გარიგებების დადე-

ბისას ასევე ძირითად პრობლემას წარმოადგენს გარიგების დამდები პირის ქმედუნარიანობის დადგენა. ჩვეულებრივ, პირის ქმედუნარიანობა შეიძლება დადგინდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენით. მათი მეშვეობით წყდება ორი ამოცანა:

- 1) დასტურდება ფიზიკური პირის ვინაობა – რომ ის ნამდვილად ისაა, ვისადაც ასალებს თავს.
- 2) დგინდება მისი ასაკი, რომელიც საშუალებას იძლევა ან საშუალებას არ იძლევა შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

თუ პირი მოქმედებს წარმომადგენლის სახით, მისი უფლება გარიგების დადებაზე ან შესრულებაზე დამატებით დასტურდება მინდობილობით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს (სსკ-ის მუხლები 103-109). ამასთან იგულისხმება, რომ მარწმუნებელი დარწმუნდა რწმუნებულის ქმედუნარიანობაში.

იურიდიული პირი მოქმედებს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილება გააჩნია სადამფუძნებლო დოკუმენტების საფუძველზე ან რომლებსაც ის იძენს მინდობილობის საფუძველზე. გარდა ამისა იურიდიული პირი უნდა იყოს სათანადო წესით დარეგისტრირებული რაც დასტურდება სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერით.

კომპიუტერული ქსელის მეშვეობით გარიგების მეორე მხარესთან ურთიერთობისას შეუძლებელია აღნიშნული დოკუმენტების უშუალო გაცნობა. კომპიუტერული ქსელი არ იძლევა საშუალებას დადგინდეს წარმოდგენილი მონაცემების ნამდვილობა, თორიულად ნებისმიერ არასრულწლოვან პირს შეუძლია მიუთითოს გარიგების დადებისათვის საჭირო ასაკი (62, 34).

ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი ვარიანტი განხილულია ი. ალექსეევის მიერ. მას მოყავს შემდეგი მაგალითი. 1998 წლის 21 ოქტომბერს აშშ-ში ხელმოწერილია კანონი ქსელში ბავშვის კერძო ცხოვრების დაცვის შესახებ. ამ კანონის შესაბამისად საბავშვო აუდიტორიაზე მიმართული ინტერნეტ საიტების ოპერა-

ტორები ან ელექტრონული ვაჭრობის მონაწილეები, რომლებიც განზრახ მოითხოვენ პირადი ხასიათის ინფორმაციას 13 წლამდე ასაკის მყიდველ-ბავშვებისაგან, ვალდებულნი არიან შეასრულონ მთელი რიგი პირობები, სანამ სათამაშოს შეძენა ან დისნეი ლენდში ბილეთების შეკვეთა ჩაითვლება უდავო გარიგებად. ასე, მაგალითად, „ელექტრონული კომერსანტები“ ვალდებულნი არიან წინასწარი შემოწმებადი თანხმობა მშობლებისაგან ბავშვებისგან მიღებული პირადი ხასიათის ინფორმაციის მიღებაზე, გამოყენებასა და/ან გამჟღავნებაზე, გააცნონ მშობლებს გამყიდველის პრაქტიკა ინფორმაციის დაცვის სფეროში, და ასევე, შეასრულონ მთელი რიგი სხვა პირობები (152, 44); (157, 79). აშშ-ში საგადასახადო შეღავათების მიღებისათვის საჭიროა უზრუნველყოფილი იქნას მყიდველის ასაკის შემოწმება საკრედიტო ბარათით, ასაკის მითითებით არსებული ციფრული მონმობის მეშვეობით ან სპეციალური კოდით, რომელიც მიუთითებს, რომ მყიდველი სრულწლოვანი პირია (152, 44).

კანონში „ელექტრონული ხელმონერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ არ არის მოცემული მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც ხელმონერის გასაღების სერტიფიკატი ეძლევა პირს მხოლოდ მისი ქმედუნარიანობის მტკიცებულების წარდგენისას. ასეთ მტკიცებულებებს შეიძლება წარმოადგენდეს პირადობის მონმობა ან პასპორტი, იურიდიული პირის წესდება, იურიდიული პირის ფილიალის ხელმძღვანელის მინდობილობა და ა.შ. თუმცა პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს სრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანი პირისა და მხარდამჭერის მიმღების შემთხვევები.

არასრულწლოვანი პირების მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების თავიდან არიდების მიზნით, მიზანშეწონილია მოვაჭრეს დაუწესდეს ვალდებულება მომხმარებელს მოსთხოვოს, როგორც დაბადების თარიღის დადასტურება, ისე სხვა მეთოდით შემოწმდეს მისი ქმედუნარიანობა. როდესაც, საკითხი შეეხება სპეციფიური პროდუქტის შეძენას (მაგ. მედიკამენტი, იარაღი, სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები და ა.შ.) უმჯობესი იქნება მოვაჭრემ გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რაც მეტ-ნაკლებ

ბად გამორიცხავს არასრულწლოვანი ამ მხარდანერის მიმღები პირის შესაძლებლობას გახდეს ხელშეკრულების მხარე. თუ შეძენილი საქონლის ადრესატისთვის მიწოდებაც ხორციელდება მოვაჭრის მიერ, მან დოკუმენტურად უნდა გადაამონმოს პირის ვინაობა, ასაკი და სხვა მონაცემები (38.142.).

ჩვეულებრივი მყიდველის მიერ კომპიუტერული ქსელით საქონლის ყიდვა-გაყიდვისას როგორც წესი ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერა არ გამოიყენება. ამიტომ გამყიდველებს (სამუშაოს შემსრულებელ ან მომსახურების გამწვევ პირებს), სამწუხაროდ, მხოლოდ გარიგების კონტრაგენტის პატიოსნების იმედილარჩებათ.

ელექტრონული ხელშეკრულების გაფორმებისას დიდი ალბათობით არსებობს გარიგების შეცდომით დადების შანსი, ვინაიდან, ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტთან უშუალო კონტაქტის შეუძლებლობის გამო პირი შეზღუდული მოცულობის ინფორმაციას ღებულობს.

1.7. ელექტრონული შუამავლების კავშირი ელექტრონული ხელშეკრულების დადებასთან

1.7.1. ავტომატიზირებული პირები

ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით ხელშეკრულებების დადებისას სამართალურთიერთობების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ამ ურთიერთობებში ელექტრონული შუამავლების (ზოგიერთ სამართლებრივ წესრიგში-საინფორმაციო შუამავლები, პროვაიდერები ან ავტორიზებული პირები) სავალდებულო მონაწილეობა. პ.დ. ბარანოვსკი პროვაიდერებს განსაზღვრავს როგორც სპეციალიზებულ ორგანიზაციებს (ან ინდივიდუალურ მენარმეებს), რომლებიც აწვდიან ქსელში წვდომის, ქსელში ინფორმაციის განთავსების და გადაცემის მომსახურებას, რომლებიც არ ინიცირებენ ინტერნეტ-ურთიერთობებს, არ ირჩევენ გადასაცემი ინფორმაციის შინაარსს და მის მიმღებს და არ ზემოქმედებენ ინფორმაციის შინაარსზე (47, 20).

„ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ მოდელური კანონის მე-2 მუხლის თანახმად შუამავალი წარმოადგენს პირს, რომელიც სხვა პირის სახელით აგზავნის, ლეზულობს ან ინახავს მონაცემთა შეტყობინებას, ან აწვდის სხვა მომსახურებას ამ შეტყობინებასთან დაკავშირებით.

ელექტრონული ხელშეკრულებების მეშვეობით სრულდება ურთიერთობები სამოქალაქო ბრუნვის ისეთ მნიშვნელოვან სეგმენტში, რომელიც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას ახორციელებს აბონენტსა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელს შორის. მითითებული ურთიერთობები ნაწილობრივ **„ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონით** წესრიგდება, რომელიც 2005 წელს იქნა მიღებული (225). აღნიშნული კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ამ სფეროში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) ფუნქციებს, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების ფლობის, გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 2. ვ. მუხლის თანახმად, **ავტორიზებული პირია** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რეგისტრირებული ნებისმიერი სამენარმეო პირი, აგრეთვე ნებისმიერი არასამენარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას (ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი) ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას (ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი);

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

რეგლამენტის 3.თ. მუხლით მომსახურების მიმწოდებელი განმარტებულია, როგორც, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ან მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან რესურსებთან დაშვებული ავტორიზებული პირი, რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს ქსელის ამ ელემენტებით ან რესურსებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობა ხორციელდება ამ საქმიანობის ავტორიზაციის საფუძველზე, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეს და არა ამ მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებულ ტექნოლოგიებს. („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის 2.3(26), 14 მუხლები)

ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას შეიძლება გამოიყოს პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირები სუბიექტებს შორის. ელექტრონული ფორმით დასადები ხელშეკრულების მხარეებს შორის ურთიერთობები ხორციელდება პირდაპირი კავშირის ფარგლებში. ხელშეკრულების მხარეებს და **ავტორიზებულ პირს** შორის ურთიერთობები წარმოადგენენ არაპირდაპირ კავშირებს, რომელიც ხელს უწყობენ პირდაპირი კავშირების რეალიზებას. (62.77.)

ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის ხელშეკრულების დადება ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის უზრუნველყოფელი **ავტორიზებული პირის** მიერ მომხმარებელთან მომსახურების სასყიდლიანი განვეის შესახებ. შეთანხმება ავტორიზებულ პირთან არ ეხება ძირითად ვალდებულებას და არ შეიძლება მოახდინოს გავლენა ძირითადი ვალდებულებით ნაკისრ მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსზე. ამავე დროს, ის წარმოადგენს წინაპირობას, რომელიც უზრუნველყოფს თავად ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის შესაძლებლობას. ამიტომ ძირითადი ვალდებულების მხარეებს შეიძლება წარმოემვათ დამატებითი უფლება-მოვალეობები (ზომების მიღება ელექტრონული

დოკუმენტის ნამდვილობის შემონახვისთვის, ელექტრონული დოკუმენტის არა მხოლოდ ელექტრონულ მატარებელზე არამედ, ასევე, ქალაქშიც შენახვის უზრუნველყოფა ხელმონერის გასაღების (რომლითაც დამონმდა ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება), შენახვა ძირითადი ვალდებულების მიხედვით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე) (62, 78).

პირდაპირი კავშირები დამოკიდებულია ირიბი კავშირების სათანადო რეალიზაციაზე, რომელთა დეფექტი (ავტორიზებული პირის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა, ელექტრონურგის მიწოდების წყვეტა, გაუმართაობა პროგრამულ უზრუნველყოფაში) შეიძლება აისახოს ძირითადი ხელშეკრულების მხარეების მიერ ვალდებულებების სათანადო შესრულებაზე.

ავტორიზებული პირის აბონენტის უფლება-მოვალეობები ფიქსირდება ავტორიზებულ პირსა და აბონენტს შორის საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ წინასწარ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2.ა).

ელექტრონული ფორმით ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით, რომელის ქვეშაც კანონი გულისხმობს გამოძახებებისა და სხვადასხვა საინფორმაციო სიგნალების ელექტრონული დამუშავების, დამისამართების (კომუტაციის), გატარების და გადაცემის ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც მოიცავს სადენიან (მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვან), თანამგზავრულ, რადიოსიხშირულ ან ოპტიკურ აღჭურვილობას, სხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს და საოპერაციო ტექნიკურ რესურსებს, მათ შორის, ფიქსირებული (არხული და პაკეტური კომუტაციის, მათ შორის, ინტერნეტის) და მობილური კომუნიკაციების, ციფრული მაუნყებლობის, საეთერო და საკაბელო ქსელებს. („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2.ყ).

ამ შემთხვევაში ურთიერთობები ხელშეკრულების მხარეებს შორის რეგლამენტირებულია სასყიდლიანი მომსახურების განე-

ვის შესახებ სამოქალაქო კოდექსის ნორმებით (სსკ-ის 629-ე და მომდევნო მუხლებით). ასეთი ხელშეკრულების საგანი იქნება კომპიუტერულ ქსელთან წვდომის მიწოდება, ქსელის სხვა მომხმარებლებთან ინფორმაციის შეუფერხებელი გაცვლის უზრუნველყოფა, ხოლო რიგ შემთხვევაში ინფორმაციის შენახვა.

თუ, ელექტრონული ფორმით დასაადები ძირითადი ხელშეკრულების მხარეები სარგებლობენ ერთი ავტორიზებული პირის მომსახურებით, მიზანშეწონილია ძირითად ხელშეკრულებაში მხარეებმა შეიტანონ პირობები ამ პირის უფლებების, ვალდებულებების და პასუხისმგებლობის შესახებ.

უნდა გაიმიჯნოს ელექტრონული ფორმით დასაადები ხელშეკრულების მხარეებსა და ავტორიზებულ პირსა და ხელშეკრულების ერთ (ან ორივე მხარეს შორის) არსებული ვალდებულებები. ძირითადი ვალდებულება შეიძლება შეიცავდეს საქონლის გადაცემას, მომსახურების განევას ან გარკვეული სამუშაოს შესრულებას. ამავე დროს შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების დადების წესი და მისი შესრულების საშუალება. (62. 79)

ელექტრონული ხელშეკრულების დადებასა და შესრულებაზე ელექტრონული საშუალების გავლენის შესახებ საუბრისას უნდა გაიმიჯნოს ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, და ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ერთ-ერთი მხარის მიერ მისი ვალდებულებების ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით შესრულებასთან დაკავშირებით. ორივე შემთხვევაში ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების მხარეებს შეიძლება წარმოეშვათ სერიოზული ზარალი, რომელიც გამონვეულია ელექტრონული შეტყობინების მიღების დაყოვნებით. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით (კონსულტაციების მიცემა კომპიუტერული ქსელის მეშვეობით, ელექტრონული საბირჟო ვაჭრობა, კომპიუტერული პროგრამების განახლება). (62.80.)

ავტორიზებული პირის მონაწილეობა ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებისას სავალდებულოა, რაც ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი განუყოფელი ნიშანია. წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტრონული ურთიერთმოქმედება უბრალოდ ვერ განხორციელდება. მხარეებმა შეიძლება აირჩიონ ვალდებულების შესრულების საშუალება (მაგალითად, განახლებული მონაცემთა ბაზის შემცველი დისკის გადაგზავნა ფოსტით ან განახლება კომპიუტერული ქსელით). ძირითადი ხელშეკრულების მხარეს, რომელმაც თავისი ვალდებულების შესრულებისთვის შეარჩია კომპიუტერული ქსელი, შეუძლია ამ ვალდებულების შესრულება მხოლოდ სპეციალური სუბიექტის მეშვეობით, რომელსაც გააჩნია ტექნიკური შესაძლებლობები საჭირო ინფორმაციის გადაცემისთვის. იმ შემთხვევაში როდესაც ელექტრონული ხელშეკრულების მხარის მიერ მისი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება ელექტრონული ხელშეკრულების მხარის მიერ მისი ვალდებულების შესრულებისთვის მონვეული ავტორიზებული პირის ბრალეული ქმედების (უმოქმედობის) შედეგია სასამართლომ შეიძლება პასუხისმგებლობა ავტორიზებულ პირს დააკისროს, თუ ის არ დაამტკიცებს, რომ მის მიერ ნაკისრი ვალდებულება დაუძლეველი ძალის გამო დაირღვა. (62.81.)

ავტორიზებული პირის პასუხისმგებლობა მისი ბრალეული ქმედებით წარმოიშობა, მაგრამ ელექტრონულ რეჟიმში ურთიერთმოქმედებისას საჭიროა უფრო მეტი ზრუნვა და წინდახედულება ვიდრე ურთიერთმოქმედების ტრადიციულ პირობებში, რომელიც კონტრაგენტთან ან მის წარმომადგენელთან უშუალო კონტაქტს გულისხმობს (162).

დოქტრინაში ელექტრონული ურთიერთმოქმედების პერიოდში საყოველთაოდ ცნობილი გარემოებების გარდა, აღიარებულია დაუძლეველი ძალის შესაძლო სხვა გარემოებები. ნ. სოლოვიანენკო ელექტრონული ფორმით დასადები ხელშეკრულების მხარეებისათვის დაუძლეველ ძალად ტრადიციული გარემოებების (ხანძარი, წყალდიდობა, სტიქიური უბედურებები) გარდა მიუთითებს ისეთ დამატებითი გარემოებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების თავისე-

ბურებებზე (ელექტრონენერჯის არასტაბილურობა ან გათიშვა, რაც არ შეიძლება იყოს ნეიტრალიზებული აღნიშნული ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ტექნიკური საშუალებებით, პროგრამული უზრუნველყოფის, გამომთვლელი ტექნიკის, ორგ.ტექნიკის, კავშირის საშუალებების, ტელეკომუნიკაციის საშუალებების ჩათვლით, გაუმართაობა (169, 15).

სამართლის ახალი სუბიექტების საქმიანობის პრინციპებში უმნიშვნელოვანესია ავტორიზებული პირის სავალდებულო ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რაც გულისხმობს ვალდებულებას მოახდინოს საკუთარი თავის სრული და სარწმუნო ინდივიდუალიზაცია ინტერნეტ ქსელის მომხმარებლებთან საინფორმაციო ურთიერთობებში (62, 86).

ეს პრინციპი უზრუნველყოფს კომპიუტერულ ქსელებში საქმიანობის კანონიერებას და გამჭვირვალობას და იძლევა საკუთარი უფლებების დაცვისათვის შემდგომში მიმართვის გარანტიას (62, 88).

ელექტრონული კომერციის მონაწილეთა კანონიერი უფლებების დაცვისათვის გამიზნულია ასევე, ამ სფეროში სამართლებრივი რეგულირების ისეთი პრინციპის პრაქტიკული გამოყენება, **როგორცაა** ავტორიზებული პირის **გონივრული პასუხისმგებლობის პრინციპი**. ამ პრინციპით ავტორიზებული პირი პასუხს არ აგებს მისი მომსახურებით მოსარგებლე პირების უკანონო ქმედებებზე, თუ მას არა აქვს ინფორმაცია აღნიშნული ქმედებების შესახებ, ან არა აქვს შესაძლებლობა დროულად და სარწმუნოდ გამოავლინოს და მისცეს კვალიფიკაცია აღნიშნულ ქმედებებს (47, 11). ავტორიზებული პირი პასუხს აგებს ინტერნეტის ქსელის მომხმარებლებისთვის მისი საინფორმაციო რესურსების გამოყენების პირობების და ფუნქციონირების არსებითი თავისებურებების არასრული ან არასარწმუნო გაცნობისათვის (65).

საყურადღებოა საქმე John Green v. America Online and John Does 1 and 2 (No. 01-1120) (269., 62, 88).

2003 წლის 16 იანვარს აშშ-ს მესამე ოლქის სასამართლომ დაადასტურა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება

და უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოპასუხე America Online არის ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერი. მოსარჩელე John Green არის America Online-ის კლიენტი და სარგებლობდა მისი მომსახურებით მათ შორის დადებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

მოსარჩელის განცხადებით უცნობმა პირმა, რომელიც არ არის დაკავშირებული America Online-თან გაუგზავნა მას ვირუსული პროგრამა მოპასუხის კუთვნილ ჩატში. ამ პროგრამამ გამოიწვია ხარვეზები მოსარჩელის კომპიუტერის მუშაობაში. მოსარჩელემ ასევე განაცხადა, რომ უცნობმა პირმა ცილი დასწამა მას და გააგზავნა შეტყობინება America Online-ის ჩატში, რა დროსაც თავს ასალებდა მოსარჩელედ. მოსარჩელემ განაცხადა, რომ America Online-მა, მოსარჩელის მიერ ამის შესახებ გაგზავნილი შეტყობინების მიუხედავად, არ აიცილა თავიდან ეს მოქმედებები.

მესამე ოლქის სასამართლო დაეთანხმა მოპასუხეს America Online-ს, და აღიარა, რომ კომპიუტერული მომსახურების პროვაიდერი არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც სხვა პირის მიერ წარმოდგენილი და გავრცელებული ინფორმაციის წყარო. America Online-ის მოქმედებები არ არღვევენ მოსარჩელესთან დადებულ შეთანხმებას, მათ შორის მესამე პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გამო პასუხისმგებლობის გამორიცხვის ნაწილში.

კომპიუტერული ქსელი იძლევა ინფორმაციის სწრაფად კოპირების და გავრცელების საშუალებას. ასეთი უპირატესობის შედეგი ხშირად არის მომხმარებლების მიერ არა მოთხოვნილი სარეკლამო ხასიათის ელექტრონული ფოსტის ე.წ. სპამის მიღება (157, 79).

რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის 5.8. მუხლის მიხედვით, სატელეფონო, საკომპიუტერო და სხვა ფასიანი საცნობარო მომსახურებისას რეკლამა აბონენტს შეიძლება მიენოდოს მხოლოდ მისი თანხმობით. ამავე კანონის 21.3. მუხლის თანახმად კი პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგენილი წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონე-

ბისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.

რუსეთის კანონმდებლობის ფარგლებში სპამის დამგზავნი პირის პასუხისმგებლობა და ამისათვის კომპიუტერული ქსელის მიმწოდებელი პირების პასუხისმგებლობა რეგლამენტირებულია რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონით „რეკლამის შესახებ“ (მუხლი 18) (168, 1232). ელექტრო საკომუნიკაციო ქსელებით რეკლამის გავრცელება დასაშვებია მხოლოდ აბონენტის ან ადრესატის წინასწარი თანხმობით. ამასთან რეკლამა მიიჩნევა წინასწარი თანხმობის გარეშე გავრცელებულად, თუ რეკლამის გამავრცელებელი არ დაამტკიცებს ასეთი თანხმობის მიღებას. რეკლამის გამავრცელებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს რეკლამის გავრცელება იმ პირების მისამართით, რომლებმაც მიმართეს მას ასეთი მოთხოვნით (რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონი „რეკლამის შესახებ“ მე-18 მუხლი). სპამმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის მიყენება, ხოლო თავად მომხმარებლები დარჩნენ დაუცველნი. ამ კუთხით საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა წარმატებით ყალიბდება (62, 90).

ბევრ ქვეყანაში სპამის დაგზავნა სამართალდარღვევად განიხილება. მაგალითად, საქმეში *Brittney Fenn, et al v. Redmond Venture, Inc.* (Case No. 20030946- CA) (270., 62, 90).

იუტას შტატის სააპელაციო სასამართლომ 2004 წლის 15 ოქტომბერს დაადასტურა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხის – კომპანია Redmond Venture-ს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ეს კომპანია დაკავებული იყო პროგრამული უზრუნველყოფის რეალიზებით. სასამართლომ დაადგინა, რომ პროგრამული უზრუნველყოფის გამსაღებელ კომპანიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა მოსარჩელისთვის – Brittney Fenn გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინებისათვის, რომლებიც რეკლამას უკეთებენ მოპასუხის საქონელს, მაშინაც კი, თუ შეტყობინებები გაგზავნილია დამოუკიდებელი მხარეების მიერ, რომლებიც მოპასუხემ დაიქირავა ბა-

ზარზე მისი საქონლის დაწინაურებისთვის. სასამართლომ გამოიჩინა ასეთი დასკვნა, ვინაიდან საქონლის ასეთი დაწინაურების შეთანხმება კრძალავს არა მოთხოვნილი კომერციული შეტყობინებების გამოყენებას.

სხვა საქმეში 127623 Ontario Inc. v. Nexx Online Inc. (File No. C20546/99) (271., 62, 91) ონტარიოს (კანადა) უზენაესმა სასამართლომ 1999 წლის 14 ივნისს უარი თქვა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე Ontario Inc. იყენებდა საიტს, რომლის მეშვეობითაც ყიდდა ავეჯს. ეს საიტი რეგისტრირებული იყო მოპასუხე Nexx Online Inc. კუთვნილ სერვერზე. თავისი ინტერნეტ – ბიზნესის და საიტის რეკლამის მიზნით მოსარჩელე ინტერნეტის მომხმარებლებს უგზავნიდა არამოთხოვნილ რეკლამას-სპამს. სპამის მიმღებები ამასთან დაკავშირებით აგზავნიდნენ საჩივრებს მოპასუხესთან. Nexx Online Inc.-მა აცნობა მოსარჩელეს, რომ ასეთი საქმიანობა არ არის ნებადართული მათ შორის არსებული ხელშეკრულებით და შეიძლება გამოიწვიოს მოსარჩელის საიტის დახურვა. სპამის დაგზავნისათვის მოსარჩელემ გამოიყენა მესამე მხარის მომსახურება. ეს ელექტრონული შეტყობინებები (დღეში 200 000), კვლავ შეიცავდნენ მოსარჩელის საიტის Online Inc.-ის რეკლამას. შედეგად მოპასუხემ მოახდინა მოსარჩელეს საიტის დეაქტივირება.

მოსარჩელემ წარადგინა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა საიტის გააქტიურებას. სასამართლომ დაადგინა, რა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით აკრძალულია მსგავსი რეკლამის დაგზავნა, რის გამოც სარჩელი უარყო.

ამ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ ასევე გაითვალისწინა მოპასუხესა და კომპანია Exodus-ს – კომპანია Nexx Online Inc.-ის მომსახურების პროვაიდერს შორის არსებული ხელშეკრულება, რომლითაც იკრძალება სპამის დაგზავნა. მოპასუხეს მსგავსად Exodus-ი ასევე ლებულობდა საჩივრებს მოსარჩელეს ქმედებებზე. კომპანია Exodus-მა აცნობა Nexx Online Inc.-ს, რომ ეს არღვევს მათ შორის არსებული ხელშეკრულების პირობებს, და ამიტომ Exodus-ი შეწყვეტს მომსახურების გაწევას.

ამიტომ სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ, Ontario Inc.-მა, ვერ დაამტკიცა მისთვის მოპასუხის, Nexx Online Inc.-ის, მიერ ზიანის მიყენების ფაქტი. გარდა ამისა, მოსარჩელეს საიტის დიაგნოსტიკის უფლება ეძლევა მოპასუხეს მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის არსებული ხელშეკრულების პირობების თანახმად. მეტიც, კომპანია Ontario Inc.-ის საიტის საქმიანობის გაგრძელებას შეიძლება გამოეწვიოს ზარალი კომპანიისთვის Nexx Online Inc., რომელიც ბევრად აჭარბებს მოსარჩელის ნებისმიერ ზიანს.

ერთ-ერთ საქმეზე (265), სადაც მოსარჩელე ითხოვდა ელექტრონული აუქციონის შედეგების ბათილად ცნობას სისტემის ტექნიკური ან პროგრამული ხარვეზის გამო, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე აუქციონზე ვაჭრობის დროს იყენებდა ორ კომპიუტერს და სამი სახვადასხვა პროვაიდერის ინტერნეტ კავშირს. სასამართლომ საქმის მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვლია ვებ-ბრაუზერის და თვით კომპიუტერის ხარვეზი, ასევე პრობლემები ინტერნეტ კავშირის (ერთდროულად მაგთიკომის 4G, სილქნეტის DSL და ჯეოსელის 4G) ნყვეტის ან www.eauction.ge სერვერის შეფერხების სახით. საბოლოოდ, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება, რომ შესაბამის ლოტზე ვაჭრობისას ადგილი ჰქონდა სისტემის ტექნიკურ ან პროგრამულ ხარვეზს აღნიშნულის დაუდასტურებლობის გამო და სარჩელი უარყო.

1.7.2. ელექტრონული „წარმომადგენლები“

ხელშეკრულების გაფორმებაში გარკვეულ როლს ე.წ. „ელექტრონული წარმომადგენლები“ თამაშობენ. „ელექტრონული წარმომადგენლები“ არიან პროგრამები, რომლებიც კონკრეტული დავალებების შესასრულებლად იქმნება, მაგალითად კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების მოძიებისათვის, საუკეთესო ფასების შერჩევისა და მომხმარებლის სახელით ტრანზაქციების გაფორმებისათვის (110, 22).

ტექნოლოგიის განვითარებისა და შესაბამისი საკითხების გადამისამართების კვალდაკვალ ელექტრონული წარმომადგენლების

გამოყენება ელექტრონული ვაჭრობის განუყოფელი და აუცილებელი ნაწილი ხდება.

ყველაზე უახლესი ელექტრონული წარმომადგენლები იყენებენ რა ხელოვნურ ინტელექტს ადამიანის უშუალო ჩარევა არ არის საჭირო ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ოპერაციებისათვის, კერძოდ, მოცულობის, გეგმის, მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის საკითხები (118., 110, 23). ასეთ შემთხვევაში, საკითხი რომელიც ბუნებრივი გზით წარმოიშობა არის ხელშეკრულების გენერირებისა და განხორციელების საკითხი ინტელექტუალური წარმომადგენლის მიერ ადამიანის მხრიდან ჩარევით ან ჩარევის გარეშე (202, 204., 110, 23).

უცხოურ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რამდენად სამართლიანი და კომერციულად გონივრულია ადამიანს დავაკისროთ პასუხისმგებლობა შედეგებზე, რაც წარმოიშობა კომუნიკაციების გამოყენებით (ელექტრონული მონყობილობის გაუმართაობა, კალკულაციისას დაშვებული ხარვეზი ან პროგრამის გაუმართაობა) (176, 25), მხოლოდ იმიტომ, რომ ეს თეორიულად შესაძლებელია? (176, 25).

ელექტრონული კონტრაქტები ხელშეკრულებებია, რომლებიც ფორმდება და ხშირად კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით ხორციელდება. თუ ელექტრონული კონტრაქტის შემქმნელი შეტყობინება, ან ამ ხელშეკრულების საგანი, იგივეა, რაც ტრადიციული ხელშეკრულების, მის იურიდიულ ძალაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს შეტყობინების გაგზავნის საშუალებამ (110, 25).

ამასთან, ელექტრონული კონტრაქტების საკმაოდ განსხვავებული ხასიათის გამო არსებული სამართლებრივი პრინციპები მათ მიმართ ვერ გამოიყენება. ამჟამად ამ გამონწვევას კანონი არ აკმაყოფილებს და არ არსებობს სტაბილური, წინასწარ პროგნოზირებადი და თანმიმდევრული სამართლებრივი გარემო, რომელიც საჭიროა ელექტრონული კონტრაქტების გამოყენების ხელშესაწყობად (110, 25).

ძირითადად, ელექტრონული საშუალება არის კომპიუტერული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა, და არა ტექნიკური.

პროგრამულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას შორის განსხვავება შეიძლება წარმოჩინდეს შემდეგნაირად: „სისტემის ის ნაწილები, რასაც დაარტყამთ ჩაქუჩს (არ არის რეკომენდებული) ტექნიკური უზრუნველყოფაა. ის პროგრამული ინსტრუქციები, რასაც მისცემთ მიმართულებას - პროგრამული უზრუნველყოფა (94, 129). მაშასადამე, ელექტრონული საშუალება არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც დაინერა სპეციალური მოქმედების შესასრულებლად, ციფრულ გარემოში მისი მომხმარებლის მიზნის შესაბამისად (94, 129).

ელექტრონული ვაჭრობის კონტექსტიდან გამომდინარე, ელექტრონული საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნას რამოდენიმე მიზნით: იდენტიფიკაციის მიზნით, პროდუქტის ბროკერობის / კომერციული ბროკერობის მიზნით და შედარებისათვის, მყიდველი-გამყიდველის შეთანხმების მიზნით, შესყიდვის და მიწოდების მიზნით და გაყიდვების შემდგომი მომსახურებისა და შეფასების მიზნით (127., 94, 130).

ამ კონცეფციის ფარგლებში, ელექტრონული საშუალებები ჩვეულებრივ ამოქმედებს ტრანზაქციებს „რაც იქმნება ელექტრონული შეტყობინებებით, სადაც ერთი ან ორივე მხარის შეტყობინებები არ იქნება განხილული ფიზიკური პირის მიერ, როგორც ჩვეულებრივი ნაბიჯი ხელშეკრულების გაფორმებისათვის (94, 130).

„ელექტრონული საშუალება“ არის კომპიუტერული პროგრამა დანერგილი გარკვეული დავალებების შესასრულებლად კიბერსივრცეში ავტომატურ რეჟიმში და არა საჭიროებისამებრ თვით-ორგანიზაციის მხრივ (94, 130).

ამ საშუალების მაგალითებია Microsoft Outlook სისტემა გამოყენებული ელექტრონული ფოსტების ან კომპიუტერული პროგრამების გასაცვლელად, რაც საჭირო იყო amazon.co.uk-ისათვის, რათა მიყვეს კლიენტებს თითოეულ ეტაპზე შეკვეთის გაფორმებიდან.

ვინაიდან ელექტრონული საშუალება არ არის პირი რომელსაც შეუძლია გამოხატოს ნება, მას არ შეიძლება ჰქონდეს უფლებები და ვალდებულებები და ასევე არ შეიძლება იყოს რეალური წარმომად-

დგენელი-საშუალება. მაშასადამე, როდესაც ელექტრონული წარმომადგენელი/საშუალება უშვებს შეცდომას, პასუხისმგებლობა ეკისრება სხვა პირს (94, 130).

ელექტრონული წარმომადგენლის ტექნიკური ბუნების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიის მცოდნე პირის მიერ შექმნილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც იცავს ვებ-გვერდის მფლობელის მანდატს, ელექტრონული წარმომადგენელია და არა აქვს სამართლებრივი ვინაობა, რადგანაც ინტელექტუალური საკომუნიკაციო საშუალებაა (94, 167-170).

მხოლოდ პირს შეუძლია ჰქონდეს სურვილი, უფლებები და მოვალეობები, რაც არა აქვს ელექტრონულ წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პრინციპი წინააღმდეგობაში იქნებოდა ხელშეკრულებების შესახებ ტრადიციული სამართლის საფუძვლებთან. რეკომენდირებულია, ელექტრონული ვაჭრობის საერთაშორისო ხელშეკრულებების წესების დამუშავება იმ თვალსაზრისით, რაც დადგენილია ელექტრონული საშუალების მფლობელის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმებისას, როგორც არის amazon.co.uk, და იმ შემთხვევაში როდესაც მფლობელის გარდა სხვა პირი იყენებს მას ხელშეკრულების გაფორმებისას, როგორც არის eBay.co.uk, რეკომენდაცია იქნებოდა შემდეგი: „შეთავაზება და მიღება/დადასტურება შეიძლება გამოიხატოს ავტომატიზირებულ მონაცემთა შეტყობინების სისტემის მიერ წარმოებული მონაცემთა შეტყობინებებით, როგორც არის ელექტრონული წარმომადგენელი, როგორც კომუნიკაციის საშუალება მხარეთა შორის და ისინი ეხება პირს, რომელიც იყენებს მას ელექტრონული ხელშეკრულების გასაფორმებლად.“ ამ პირობით განისაზღვრება პირის პასუხისმგებლობა წარმომადგენლის მიერ დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე (94, 167-170).

ელექტრონული ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეთა მიერ შეცდომის დაშვებისას იგივე წესები უნდა იქნეს გამოყენებული რაც ჩვეულებრივი ხელშეკრულების გაფორმებისას (სსკ-ის 72-80 მუხლები).

შეცდომა სავარაუდო ვებ-გვერდის იდენტიფიცირებისას შეიძლება მიჩნეულ იქნას ისევე, როგორც შეცდომა მეორე მხარის იდენტიფიკაციისას ფიზიკურ გარემოში (სსკ-ის 74-ე მუხლი).

როდესაც ელექტრონული საშუალება ახორციელებს შეთავაზებას და უშვებს შეცდომას ხელშეკრულების გაფორმებისას, მაგალითად, თუკი იგი აჩვენებს ფასს არასწორად, ვებ-გვერდის მფლობელმა უნდა აგოს პასუხი შედეგებზე.

ვებ-გვერდის მფლობელის მიერ დადგენილ პირობებში, ელექტრონული საშუალების შეცდომის შემთხვევაში, თუ ეს პირობები გამოიყენა სხვა პირმა, მაგ. eBay.com, ძირითადად ელექტრონული საშუალების მომხმარებელს, ანუ იგივე მყიდველს უნდა ჰქონდეს ვალდებულება იკისროს პასუხისმგებლობა შეცდომის შედეგებზე და არა ვებ-გვერდის მფლობელს რომელიც არ არის ხელშეკრულების მხარე. (94, 167-170).

იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მხარე იყენებს ელექტრონულ საშუალებებს ელექტრონული ხელშეკრულების გასაფორმებლად, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია შეცდომებზე მათ საკუთარ ელექტრონულ საშუალებაზე. თუკი ხარვეზის წყაროს წარმოადგენს სხვა პირი, მაგ. ელექტრონული საშუალების პროგრამისტი, პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელს ეკისრება.

1.8. დასკვნა

გლობალურმა ქსელებმა უდიდესი კომფორტი შეუქმნა ადამიანს გახადა რა საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენლად სწრაფი, იაფი და დედამიწის ნებისმიერი მცხოვრებისთვის ხელმისაწვდომი. მიუხედავად, ასეთი პოზიტივისა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (მათ შორის) ელექტრონული ხელშეკრულებების დადებამ სერიოზული სამართლებრივი გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიო სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ხელშეკრულება როგორც ქართულ, ასევე უცხოურ იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია, მაგრამ ელექტრონული ხელშეკ-

რულების ცნება ყველა სამართლებრივ მართლწესრიგში, მათ შორის ქართულში, ნორმატიულად განმტკიცებული არ არის.

ვინაიდან უდავოა, რომ ელექტრონული ხელშეკრულება, ზოგადად, ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეა, ქართული სამართლის მეცნიერებაში აღიარებულია, რომ იგი მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების ნაირსახეობაა და შესაბამისად, მასზე ვრცელდება კერძო (სამოქალაქო) სამართალში ხელშეკრულების რეგულირებისთვის დადგენილი ნორმები.

შესაბამისად, ელექტრონული ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 327-ე მუხლია, რომლის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩათვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. მითითებული საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელი წანამძღვრების, კერძოდ, (1) მხარეთა შეთანხმების (ოფერტი-აქცეპტი), (2) შინაარსისა (არსებითი პირობები) და (3) ფორმის არსებობა განაპირობებს ხელშეკრულების დადებას და შესაბამისად, მონაწილეთა (ხელშეკრულების მხარეთა) უფლება-მოვალეობების წარმოშობას.

ელექტრონული ხელშეკრულებების დადებულად ცნობისთვის, როგორც მინიმუმ მითითებული სამი წანამძღვარი უნდა შესრულდეს, მაგრამ, მათ გარდა, აღნიშნული ხელშეკრულების დისტანციური და ურთიერთქმედების ტექნიკური ხასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთი თავისებურება გასათვალისწინებელია.

- გასაზიარებელია, დოქტრინაში არსებული მოსაზრება, რომ როგორც წესი, **ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება არა მხარის მიერ აქცეპტის გაკეთების, არამედ კრედიტორის მიერ მისი მიღების მომენტი.** მხოლოდ, ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულების დადების მომენტის გა-

ნსაზღვრისას კონცეპტუალური მნიშვნელობა თანხმობის მიღების დადასტურებას უნდა მიენიჭოს და აღნიშნული რეგლამენტაცია შესაბამის კანონში უნდა აისახოს.

- იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული ხელშეკრულებების უდიდესი ნაწილი სამოქალაქო ბრუნვაში სავაჭრო ანუ კომერციულ ურთიერთობებში ფორმდება, მიგვაჩნია, რომ **ხელშეკრულების არსებით პირობებში, მომხმარებლის უსაფრთხოებისა და გარანტირებული დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების არსებით პირობებში გათვალისწინებულ იქნეს სპეციალურ კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, ასევე „მომხმარებლის უფლების დაცვის შესახებ“ კანონპროექტში სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის ნაწილი.** შესაბამისად, სსკ-ის 327-ე მუხლს უნდა დაემატოს მეოთხე პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით: „ელექტრონული ხელშეკრულების არსებით პირობებს, წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულების გარდა, წარმოადგენენ პირობები საქონლის ძირითადი მახასიათებლების, ხელშეკრულების უარყოფის უფლების, ჯამური ფასის, მოვაჭრის ვინაობისა და ხელშეკრულების ხანგრძლივობის, ხოლო თუ განუსაზღვრელი ვადით მოქმედებს, მაშინ მისი შეწყვეტის შესახებ, ასევე, ყველა არსებით პირობაზე, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენების სპეციფიკას.
- **ელექტრონული ხელშეკრულების ცნება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:** ელექტრონული ხელშეკრულება არის მხარეთა შეთანხმება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული შუამავლების მონაწილეობით და ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის გზით, უშუალო ურთიერთობის გარეშე.
- საქართველომ უნდა მიიღოს ელექტრონული ვაჭრობის შესახებ კანონი, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებს ელექტრონული ხელშეკრულებების დადების, შესრულებ-

ბის, ელექტრონული ხელშეკრულების მხარეების უფლება-მოვალეობების, ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული ხელშეკრულებების დადებისას ელექტრონული შუამავლების მონაწილეობის, გამოსაყენებელი სამართლის საკითხებს, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამოქალაქო ბრუნვაში ქვეყნის მონაწილეობისთვის სტაბილური სამართლებრივი საფუძვლის შექმნას.

თავი 2. ელექტრონული ხელშეკრულების ფორმა

2.1. ხელშეკრულების ფორმა

„მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან არაპირდაპირ გამომდინარეობს ფორმის თავისუფლების პრინციპი, თუმცა, შესაბამისი ნორმის ფორმულირების ბუნდოვანება არ უნდა გახდეს იმის თქმის საფუძველი, რომ არ არის აღიარებული ფორმის თავისუფლება, რადგანაც ამ უკანასკნელის განმტკიცება განპირობებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის არსებობით და გამონაკლისი ფორმის თავისუფლების პრინციპიდან გარიგების სავალდებულო ფორმის დადგენით გამოიხატება“ (1, 270).

სამოქალაქო ბრუნვის შეფერხების თავიდან ასაცილებლად გარიგებების ნამდვილობისათვის რაიმე სპეცილური ფორმის დაცვა იშვიათ შემთხვევაშია საჭირო. ფორმის თავისუფლების პრინციპიდან არსებობს გამონაკლისი. გარიგების ფორმის თავისუფლებიდან გამონაკლისი დაიშვება ფორმასავალდებულოობის მიმართ მაღალი ინტერესის არსებობის შემთხვევაში. მაღალი ინტერესი კი, როგორც წესი, განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დაცვის ფუნქციით. (29.73.) გარდა დაცვითი ფუნქციისა, მხედველობაშია მისაღები ასევე სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინფორმირებულობის ფუნქცია, რა დროსაც ხელშეკრულების შინაარსის დამმონმებელი პირი, მაგალითად, ნოტარიუსი, მხარეებს აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსს და მის სამართლებრივ შედეგებს განუმარტავს. კანონი გარიგების ზეპირად ან წერილობით დადების შესაძლებლობას იძლევა (266).

„ელექტრონულ კომერციაზე მსჯელობისას არსებითია ამ გზით დადებული ხელშეკრულების ფორმის საკითხის გარკვევა. ელექტრონული ხელშეკრულების ტექსტს გარიგების მონაწილე ეცნობა ელექტრონული დოკუმენტით“ (44, 71-72). „შესაბამისად, საინტერესოა აღნიშნული ელექტრონული დოკუმენტი ხელშეკრულების რომელ ფორმას წარმოადგენს. იურიდიულ წრეებში მიუთითებენ, რომ ელექტრონული გზით დადებული ხელშეკრულება კლასიკურად გარიგების რომელიმე ფორმას არ მიეკუთვნება. მა-

რთალია, იგი უფრო მეტად ახლოს დგას გარიგების წერილობით ფორმასთან, თუმცა, მას ახასიათებს იმგვარი თავისებურებები, რომელთა გათვალისწინებითაც მისი წერილობით გარიგებად მიჩნევა მეტად კომპლექსური და პრობლემატური ხდება.

წერილობითი ფორმისგან მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო (მათ შორის, იმ გარემოების გამო, რომ ელექტრონული გზით დადებული ხელმოწერილი ხელშეკრულების ორიგინალი ვერსიის მატერიალურად წარმოდგენა შეუძლებელია) მიუთითებენ ხელშეკრულების ელექტრონულ და ტექსტურ ფორმებზეც. ელექტრონულ ფორმად მიიჩნევენ იმგვარ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით. ხოლო, რაც შეეხება ხელშეკრულების ტექსტურ ფორმას, აღნიშნულ ფორმას აღიარებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი და მიჯნავს მას ელექტრონული ფორმისგან“ (148, 78).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 126ა პარაგრაფი აწესრიგებს ელექტრონული ფორმის საკითხს და ადგენს, რომ თუ კანონით დადგენილი წერილობითი ფორმა უნდა შეიცვალოს ელექტრონული ფორმით, მაშინ ელექტრონული დოკუმენტი უნდა შესრულდეს ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. კანონის ამ დანაწესით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, რომ კანონით მოთხოვნილი წერილობითი ფორმის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ფორმა, გარდა თავად კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, რა დროსაც აუცილებელია ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაცვა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული კოდექსი ელექტრონული ხელშეკრულების მიმართ კონკრეტულ წინაპირობებს ითვალისწინებს, მათ შორის, ელექტრონული წესით ხელმოწერას, დოკუმენტის შემდგენლის მონაცემებს და ხელშეკრულების მხარეთა მიერ დოკუმენტის ერთი და იგივე ასლის ხელმოწერის აუცილებლობას (24, 54).

რაც შეეხება ტექსტურ ფორმას, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 126ბ პარაგრაფის თანახმად, თუ კანონით დადგენილია ტექსტური ფორმა, მაშინ ნების გამოვლენა უნდა მოხდეს დოკუმენტში, ან იმგვარი სახით, რომლითაც შესაძლებელია მუდმივად მისი წერი-

ლობითი რეპროდუქცია. ასევე, კოდექსის აღნიშნული მუხლის თანახმად, ნების გამომვლენი პირის დასახელება აუცილებელია და თავად ნების გამომვლენაც აუცილებლად უნდა იყოს ნათელი. მუდმივი რეპროდუქციის ქვეშ კანონმდებელი გულისხმობს შესაძლებლობას, რომ ნების გამომვლენის შინაარსი საბეჭდი ნიშნების მეშვეობით იმგვარად უნდა დგინდებოდეს, რომ იგი ვარგისი იყოს მუდმივი რეპროდუქციისათვის. ამასთან, ნების გამომვლენის მიმღების ინტერესების დაცვისათვის, განმცხადებელმა (შემთავაზებელმა) უნდა დაასახელოს საკუთარი პიროვნება; ამავდროულად, ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს გარეგნულად ცნობადი ხერხით, მათ შორის, მაგალითად, სკანირებული ხელმოწერით (24, 56).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზოგიერთი ქვეყნის (გერმანია, რუსეთი) სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით ელექტრონულ ხელშეკრულებებთან მიმართებით სპეციალურ ნორმებს არ შეიცავს. თუმცა გარიგების (ხელშეკრულების) ფორმის მარეგულირებელი ზოგადი ნორმების გათვალისწინებით ელექტრონული ხელშეკრულების დადება შესაძლებელია.

სამოქალაქო სამართლის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, მეცნიერები მიზანშეწონილად მიიჩნევენ „ელექტრონული ფორმის“ შესახებ რეგულირების შემოღებას, რომელიც ჩაანაცვლებდა წერილობით ფორმას, ელექტრონული წერილებისა და მსგავსი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში. ასევე, სამოქალაქო კოდექსით მონესრიგების ფარგლებში ელექტრონული კომერციის ირგვლივ სპეციალური საკითხების ცალკეული ქვეყნის ან საერთაშორისო რეგულაციებისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივების შესაბამისად გადანყვეტას. (11., 23).

2.2. ხელშეკრულების ელექტრონული და ტექსტური ფორმა

საქართველოს კანონმდებლობასა და

სასამართლო პრაქტიკაში

სსკ-ის 68-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს ზეპირი, ან წერილობითი ფორმით. კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის ამ დანაწესით აღიარებს ხელშეკრულების

მხოლოდ ზეპირ ან წერილობით ფორმას. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი (რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი), ადგენს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების წესს ელექტრონულ დოკუმენტებთან მიმართებით. გამომდინარე აღნიშნულიდან, საქართველოს კანონმდებლობა მოწესრიგების დონეზე იცნობს ხელშეკრულების ელექტრონულ ფორმას. სასამართლო დავის შემთხვევაში, ელექტრონული ან ტექსტური ტიპის ხელშეკრულებასთან წერილობითი გარიგებებისთვის არსებულ რეჟიმს ავრცელებს.

„საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 09 მარტის გადაწყვეტილებაში (საქმე №ას-898-848-2015) (259), იმსჯელა ელექტრონული აუქციონის ბუნებასთან დაკავშირებით და განიხილა ამ გზით წარმოშობილი გარიგების სამართლებრივი ხასიათი. პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ონლაინ/ინტერნეტ-აუქციონისას გამყიდველის მიერ გასაყიდი ნივთის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტში განთავსება წარმოადგენს ოფერტს, რადგან იგი მიმართულია პირთა განსაზღვრული წრისადმი – ვებ-გვერდზე რეგისტრირებული და ავტორიზაციაგავლილი პირების მიმართ. ამასთან, გამყიდველის მიერ გასაყიდი ნივთის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტში განთავსება იმ გარემოების გამოა მიჩნეული ოფერტად, რომ მას აქვს პირდაპირ განსაზღვრული პირობა, რომ აუქციონში გაიმარჯვებს ის პირი, რომელიც ყველაზე მაღალ თანხაზე გააკეთებს შეთავაზებას“ (136, 91).

„რაც შეეხება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით დადებულ გარიგებას, სასამართლომ ელექტრონული აუქციონის მეშვეობით უძრავ ნივთთან დაკავშირებით დადებული გარიგება არ გაათანაბრა სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით გაფორმებულ წერილობით ხელშეკრულებასთან, მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ ელექტრონულ აუქციონზე შესაბამისი მოქმედების განხორციელების დროს გასხვისების მსურველისა და პოტენციური მყიდველის მიერ არ მომხდარა ელექტრონული ხელმოწერების გამოყენება. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა,

რომ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული გარიგება გაუთანაბრდებოდა მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას და ამ სახით ნასყიდობის ხელშეკრულების წერილობით დადებას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში ცნობა აუქციონში გამარჯვების შესახებ არ წარმოადგენდა საკუთრების უფლების გადაცემის საფუძველს“ (136, 91). დოქტრინაში არსებული მოსაზრებით, სასამართლო კანონის მოთხოვნებს ფორმალურად მიუდგა, ვინაიდან, მხოლოდ ელექტრონული ხელმოწერის არარსებობის გამო უძრავ ქონებაზე დადებული გარიგება არ მიიჩნია წერილობითი ფორმის მქონედ, რითაც არ აღიარა ხელშეკრულების ტექსტური ფორმა და მასზე არ გაავრცელა წერილობითი ხელშეკრულებისთვის დაწესებული რეჟიმი. იმის გათვალისწინებით, რომ გარიგებების საკმაოდ დიდი ნაწილი დღესდღეობით ინტერნეტ სივრცეში სწორედ ტექსტური ფორმით იდება, სასამართლოს მითითებული მოსაზრება თანამედროვე სამართლის მოთხოვნებთან შეუსაბამოა (136, 91).

ხელშეკრულების დადებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ხელშეკრულების ფორმა. ხელშეკრულებების ფორმების სამართლებრივი რეგულირება გამოიხატება მის მიმართ მოთხოვნების და მათი დარღვევის შედეგების დადგენაში (50, 340).

„თითქმის ყველა სავაჭრო მოქმედება სახელშეკრულებო შეთანხმებას საჭიროებს. სწორედ აღნიშნული გახდა მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არაერთი მოსაზრება იქნა დაფიქსირებული საკანონმდებლო დონეზე ხელშეკრულების ელექტრონული ფორმის მონესრიგების თაობაზე (92, 397., 45, 114) რასაც ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულების ელექტრონული ფორმის დაკანონება მოჰყვა“ (251, 126ა., 45, 114).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების დასადავად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობებზე, არამედ საჭიროა ასევე, **რომ ეს შეთანხმება მოხდეს საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.**

ხელშეკრულების ფორმა მხარეთა მიერ შეთანხმებული ნების გარეგნული გამოხატვის საშუალებაა. გარიგებათა ზოგიერთი სახე მხოლოდ მაშინ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, როცა დადებულია განსაზღვრული ფორმით. თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ფორმის დაცვის თაობაზე მოთხოვნა არის გამონაკლისი თავისუფალი ფორმის ზოგადი პრინციპიდან, რომელიც, თავის მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გამოხატულებაა (76, 61).

ხელშეკრულებების ფორმების სამართლებრივი რეგულირება მის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შედეგებში გამოიხატება (50, 340).

ამ მოთხოვნების მიზანია მხარეთა ურთიერთობების გარკვევა, გარიგების შესრულებასა და შინაარსთან დაკავშირებით მომავალში დავის პრევენცია (50, 340).

„სსკ-ის 69-ე მუხლის თანახმად, გარიგებები იდება ზეპირად ან წერილობითი ფორმით (მარტივი ან სანოტარო). რადგან ხელშეკრულება გარიგებაა, ის შესაძლოა, დაიდოს გარიგების დასადებად გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით. ნებისმიერი ფორმა გულისხმობს, რომ ხელშეკრულება შესაძლოა, დაიდოს ზეპირად, მარტივი წერილობით ფორმით, რთული წერილობითი ფორმით, კონკლუდენტური მოქმედებით (აქვე მოიაზრება ის გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც დუმის ნების გამოვლენის მნიშვნელობა ენიჭება)“ (3, 99).

სსკ-ის 69-ე მუხლი ეხება გარიგების როგორც მარტივ, ასევე რთულ წერილობით ფორმებს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა წერილობითი ფორმით მოითხოვს ხელმოწერის არსებობას. სამოქალაქო ბრუნვაში (როგორც დოქტრინაში (142, 118); (43, 327), ასევე სასამართლო პრაქტიკაში (259)) ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება შეფასებულია როგორც მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ხელშეკრულება. დოქტრინაში ელექტრონული ფორმის წერილობითი ფორმასთან გათანაბრების მიზანია, ნების გამომვლენის იდენტურობის დადგენა,

მისი ნამდვილობის გადამოწმება და ამით გაყალბების შესაძლებლობის თავიდან აცილება.

კანონმდებელი გარკვეულ წესებს ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში განსაზღვრავს, როდესაც თავად სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად არის ამის საჭიროება და ფორმის დაწესებას შესაბამისი მიზანი გააჩნია (259).

„ხელშეკრულების ფორმის მიმართ დაწესებული ფორმალური მოთხოვნების ფუნქცია, ძირითადად, მტკიცების გაიოლება და განზრახვის სერიოზულობის დადასტურებაა“ (3, 99).

სსკ-ის 328 I მუხლი ადგენს: „თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა ან მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ“.

წერილობითი ხელშეკრულებები იდება: ა. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ბ. რამდენიმე წერილობითი დოკუმენტის გაცვლით.

„სსკ-ის 328 II მუხლი უთითებს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული წერილობითი ფორმის უზრუნველსაყოფად საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა. წერილების ურთიერთგაცვლა შეიძლება განხორციელდეს როგორც ჩვეულებრივი ფოსტის გამოყენებით. ამდენად, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან, რომ წერილობითი ფორმის ხელშეკრულება დადონ ელექტრონული გზით, მაშინ მათ მიერ შედგენილი ელექტრონული დოკუმენტები იურიდიული ბუნებით გაუთანაბრდება ქალაქზე შედგენილ მატერიალურ დოკუმენტებს, ანუ ხელშეკრულება დაიდება წერილობითი ფორმის დაცვით. ამასთან, აუცილებელია აღნიშნული ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომის საკანონმდებლო წესით განმტკიცება“ (19, 49).

„სსკ-ის 328.2. მუხლში ჩამოთვლილი ტექნიკური საშუალებები არ უნდა იქნეს ამომწურავად მიჩნეული და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების განვითარების გათვალისწინებით,

წერილობით დოკუმენტებში უნდა მოიაზრებოდეს ასევე ელექტრონულ-ციფრული ტექნიკის საშუალებით შედგენილი და ხელმოწერილი სხვა დოკუმენტებიც. შესაბამისად, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, დასკანერებული დოკუმენტის მიმოგზავნით და ა.შ. დადებული ხელშეკრულებამ შესაძლოა, ჩაანაცვლოს მხარეთა მიერ შეთანხმებული წერილობითი ფორმა (და არა კანონით დადგენილი). ასეთ დროს მთავარია, ტექსტში იკითხებოდეს მისი შემდგენელი, ანუ იძლეოდეს იმ ფაქტის განსაზღვრის უტყუარ საშუალებას, რომ ეს დოკუმენტი მომდინარეობს ხელშეკრულების მხარიდან“ (3, 107).

ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგი გარიგების ბათილობაა. სსკ-ის 59.1. მუხლის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.

ელექტრონული ხელშეკრულების ფორმის სავალდებულობა ელექტრონული სახელშეკრულებო ურთიერთობებისას კანონში პირდაპირ განსაზღვრული არაა, მაგრამ ასეთი საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება გარიგების მარტივი წერილობითი ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნების შესაბამისია (142, 118). შესაბამისად, წერილობით ხელშეკრულებებთან მიმართებით დადგენილი ყველა მოთხოვნა ვრცელდება, ასევე, ელექტრონულ ხელშეკრულებებზე (62, 40).

„კანონით დადგენილი წერილობითი ფორმის ალტერნატივად შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის თანამედროვე პრაქტიკას მისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტით, მათ შორის კვალიფიციურ ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას. ეს უკანასკნელი ადასტურებს როგორც ელექტრონული გზით გადაცემული ინფორმაციის სანდოობას, ისე მოწმობს იმას, რომ დოკუმენტი შედგენილი და ხელმოწერილია სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ“ (3, 107).

ელექტრონული ფორმით შედგენილი ხელშეკრულების ნამდვილობის სავალდებულო პირობებს, როგორც ნებისმიერი წერილო-

ბითი ხელშეკრულების, წარმოადგენს დოკუმენტის არსებობა და იმის დადგენის შესაძლებლობა, რომ ის ხელშეკრულების მხარისაგან მოდის (მათ შორის ხელმოწერის არსებობა). გარდა ამისა, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ მოდელური კანონის მე-6 მუხლში „წერილობითი ფორმა“ მოცემულია კიდევ ერთი მოთხოვნა ელექტრონული ფორმით შედგენილ დოკუმენტთან მიმართებაში. ის განპირობებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებებით (62, 40).

მოთხოვნა წერილობითი ფორმის შესახებ შესრულებულად ითვლება მონაცემების, შეტყობინების (ელექტრონული ფორმით შედგენილი დოკუმენტის) წარდგენის გზით, თუ მასში არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდგომში მასზე მითითებისათვის (234) (კერძოდ, ეს მოთხოვნა აისახა ირლანდიის კანონებში „ელექტრონული კომერციის შესახებ“ (მუხლი 12), ჰონკონგის ორდონანსში „ელექტრონული გარიგებების შესახებ“ (მუხლი 5)). ეს მოთხოვნა უზრუნველყოფს დარღვეული უფლების დაცვასა და დოკუმენტის კვლავწარმოებისა და ნაკითხვის შესაძლებლობას. მხარეებს შესაძლებლობა აქვთ მიუთითონ დოკუმენტზე სასამართლოს მიერ დავის განხილვის ან სახელმწიფო ორგანოში დოკუმენტის წარდგენისას (62, 41).

არ არსებობს ელექტრონული დოკუმენტის ერთიანი განმარტება. მეტიც, სხვადასხვა სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები მისი აღნიშვნისათვის იყენებენ განსხვავებულ ტერმინებს (მონაცემების შეტყობინება, ელექტრონული ჩანაწერი, ელექტრონული მონაცემები და ა.შ.) ამ ცნებების გაერთიანებისათვის არსებით ნიშანს წარმოადგენს ტრადიციული ქაღალდის ფორმებისგან განსხვავებული ინფორმაციის გამყარების, შენახვის და გამოყენების სხვა საშუალებების გამოყენება (62, 40).

ელექტრონული დოკუმენტის სამართლებრივი რეჟიმი „გულისხმობს დოკუმენტირების იურიდიული და ტექნოლოგიური პროცედურების, დოკუმენტის შექმნისა და საზოგადოებრივ ბრუნვაში მისი მოძრაობის ერთობლიობას“ (165, 101). ელექტრონული დოკუმენტი არ განიხილება მხოლოდ იურიდიული ან მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ისინი ორივე წარმოა-

დგენენ სისტემას, სადაც არც ერთი შემადგენელი ნაწილი არ შეიძლება ცალ-ცალკე იქნეს განხილული (62, 42).

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 2.ა. მუხლის თანახმად, ელექტრონული დოკუმენტი ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობაა.

საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებში გაეროს კომისიის მოდელურ კანონში ელექტრონული ვაჭრობის შესახებ ჩამოყალიბებულია თავისი შინაარსით ყველაზე ფართო განმარტება. გაეროს კომისია არ იყენებს ტერმინს „ელექტრონული დოკუმენტი“ და ცვლის მას სხვა ტერმინით „მონაცემთა შეტყობინება,“ რომელშიც იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია, მიღებულია, გაგზავნილია ან შენახულია ელექტრონული, ოპტიკური ან ანალოგიური საშუალებებით, მონაცემთა ელექტრონული გაცვლის, ელექტრონული ფოსტის, ტელეგრამის, ტელექსის ან ტელეფაქსის ჩათვლით და შემოიფარგლება აღნიშნულით (62, 43).

ელექტრონული დოკუმენტი – ესაა დოკუმენტი, რომელიც იქმნება, ინახება, მუშავდება, ჩაინერება, აისახება, გამოიყენება და/ან გადაეცემა ელექტრონული, ანალოგიური და სხვა ტრადიციული ქალაქის ფორმებისაგან განსხვავებული კავშირის საშუალებებით, რომელსაც გააჩნია კანონით დადგენილი სტრუქტურა და რეკვიზიტები, რომლებიც იძლევიან დოკუმენტის ავტორის დადგენის საშუალებას.

იურისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ელექტრონულ დოკუმენტს გააჩნია იგივე იურიდიული ძალა, რაც ქალაქის მატარებელზე არსებულ დოკუმენტს (მაგალითად, ი.ნ. ლუკიანოვა, ნ.ი. სოლოვიანენკო) (62, 45).

ელექტრონული დოკუმენტის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მისი ძირითადი თავისებურება – სამართლებრივი და ტექნოლოგიური მოთხოვნების ერთობლიობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მის სამართლებრივ რეჟიმზე ვრცელდება როგორც ტრადიციული მოთხოვნები ქალაქებზე არსებული დოკუმენტების

შესახებ, ასევე, ახალი მოთხოვნები, რომლებიც ასახავენ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სპეციფიკას.

კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნები ქალაქში შესრულებული დოკუმენტების მიმართ თანაბარნილად ვრცელდება ელექტრონული ფორმით შედგენილ დოკუმენტზეც. დამატებით წამოყენებულია მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპიუტერულ ქსელში ინფორმაციის უსაფრთხოებასა და უცვლელობას (მაგალითად, „პერსონალური ინფორმაციის დაცვის და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“ (77, 705) კანადის კანონის 37-ე მუხლში მოცემულია მოთხოვნა რომ დოკუმენტი უნდა ინახებოდეს განსაზღვრული ვადის განმავლობაში იმ ფორმატით, რომელშიც ის იყო შედგენილი, გაგზავნილი ან მიღებული, ან იმ ფორმატით, რომელიც არ ცვლის ელექტრონულ დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას; „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის მე-18 პარაგრაფით გათვალისწინებულია ისეთი ტექნიკური კომპონენტების და პროცედურების გამოყენება, რომლებიც სარწმუნოდ გამოავლენს ხელმოწერის ფალსიფიკაციას და ასევე, ხელმოწერილი მონაცემების გაყალბებას) (77, 574).

მხოლოდ სამართლებრივი ხასიათი არ ხსნის ელექტრონული დოკუმენტის არსს. ეს ცნება ატარებს ტექნოლოგიურ დატვირთვას, რომელიც გასათვალისწინებელია ელექტრონული დოკუმენტის სამართლებრივი რეჟიმის დამდგენი სამართლებრივი ნორმების შედგენისას.

ინტერნეტს ახასიათებს სირთულეები ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფაში. ყოველთვის არ არის შესაძლებელი შეტყობინების გამგზავნი პირის სარწმუნო იდენტიფიცირება. ამისათვის საჭიროა სპეციალური ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეტყობინების გამგზავნის გარანტირებულად იდენტიფიცირებას ამ პრობლემის ერთ-ერთი შესაძლო გადაწყვეტა – ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერა (56, 328).

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს

ანესრიგებს საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ. კანონი პირდაპირ უთითებს, რომ ელექტრონული დოკუმენტი ისეთივე იურიდიული ძალისაა, როგორც მატერიალური დოკუმენტი (4.2.) და კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერასაც აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა (3.1.). ამ კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებები იურიდიული ძალის მქონეა და აკმაყოფილებენ მარტივი წერილობითი ხელშეკრულებების მიმართ დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს (3).

ვინაიდან ელექტრონული კავშირის საშუალებები მოიხსენება ხელშეკრულების დადების ერთ-ერთ საშუალებად, მათი გამოყენება არ ცვლის დადებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ურთიერთობების არსს (62, 15).

ამგვარად, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერით ხელმოწერილი შეტყობინებების გაცვლის გზით დადებული ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებად. შესაბამისად, კანონის მოთხოვნა დაცულია.

ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებების დადების მეორე საშუალება რეალიზდება ინტერნეტ-მაღაზიის საიტზე (გვერდზე) ანკეტის (შეკვეთის, ბლანკის) შევსების გზით. მყიდველი აფორმებს თავის შეკვეთას საქონლის აღწერის, სურათის ან მახასიათებლების გაცნობის შემდეგ (მაგალითად, სადემონსტრაციო ვერსიის ჩამოტვირთვით), ის ასევე, აცნობებს საჭირო ინფორმაციას თავის შესახებ (სახელი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი). შეკვეთა გადაეცემა ინტერნეტ-მაღაზიის სერვერზე. სერვერის ყველა მონაცემი ინახება მყარ დისკზე, ანუ მატერიალურ მატარებელზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს შეკვეთის შემოსვლის თარიღი და დრო. სამწუხაროდ, ინტერნეტ მაღაზიაში საქონლის შექმნისას მყიდველები არ იყენებენ თავის ელექტრონულ (ციფრულ) ხელმოწერას, თუმცა მისი გამოყენება შექმნიდა საჭირო გარანტიებს ხელშეკრულების მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში (62, 50).

შეკვეთის მიღების შემდეგ გამყიდველმა შეიძლება გააგზავნოს შეკვეთის დადასტურების მოთხოვნა, დარეკოს მყიდველის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან სხვაგვარად დარწმუნდეს მყიდველის განზრახვაში. აღნიშნული დადასტურება და პასუხი შეიცავს მათი მიღების დროს, ისინი შეიძლება ამოიბეჭდოს და შეინახოს ხელშეკრულების მხარეთა მიერ განსაზღვრულ შუამავალთან. დავის წარმოშობის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები სასამართლოში წარადგენენ, პირველ რიგში, მოთხოვნების – პასუხების ამონაბეჭდს, და მეორე რიგში, თავად მატერიალურ მატარებელს, რომელზეც ინფორმაცია ინახება ელექტრონული სახით. ამით, ასევე, დაკმაყოფილება ელექტრონული ვაჭრობის შესახებ მოდელური კანონის მოთხოვნები.

ელექტრონული ფორმით შედგენილ დოკუმენტებთან მიმართებაშიც მოთხოვნა წერილობითი ფორმის გამოყენების შესახებ დაცულია. ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს სამართლის მოქმედი ნორმებიდან და შეიძლება გარანტირებული იყოს არსებული საინფორმაციო – საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. რუსეთის კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკით დაშვებულია ხელშეკრულებისათვის ისეთი ფორმის მიცემა, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შენახვას კომპიუტერის მეხსიერებაში, ან მაგნიტურ მატარებლებზე ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის საშუალებებში (78, 254).

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა ასევე აღიარებს, რომ ელექტრონული ხელშეკრულებები აკმაყოფილებენ წერილობითი ფორმის მოთხოვნას. საქმეში შატუკი კლოცბახის (Shattuk V. Klotzbach) წინააღმდეგ მასაჩუსეტის შტატის უზენაესმა სასამართლომ ელექტრონული წერილების გაცვლის საფუძველზე მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილად აღიარების მოთხოვნით წარმოებულ დავაში არ დააკმაყოფილა მოპასუხის საჩივარი სარჩელის უარყოფის მოთხოვნით (267., 62, 51).

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებას არ გააჩნია იურიდიული ძალა, ვინაიდან, მოპასუხის მიერ დაბეჭდილი და გაგზავნილი ელექტრონული შე-

ტყობინებები, რომლებიც შეიცავენ მისაღმებას და მოპასუხის სახელს, არ შეიძლება ჩაითვალოს წერილობითი ფორმით დადებული გარიგებად. მოსარჩელე ითხოვდა გარიგების ნამდვილად ცნობას. ის ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულება შედგება მხარეთა შორის გაცვლილი ელექტრონული შეტყობინებების სერიისაგან, რომელთაგან თითოეული შეიცავს შესაბამისი გამგზავნის დაბეჭდილ სახელს. შეტყობინებები ასევე შეიცავენ მითითებას საკუთრებაზე, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს, ფასს, შეთანხმებას 10%-იან პერიოდულ გადახდებზე, უარს ყველა ჩვეულებრივ გაუთვალისწინებელ გარემოებაზე, დაფინანსების ჩათვლით, ანუ შეიცავენ ხელშეკრულების არსებით პირობებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ელექტრონული შეტყობინებები იძლევიან ელექტრონული შეტყობინების გამგზავნი პირის იდენტიფიცირების საშუალებას, რის გამოც სასამართლომ უარი თქვა მოპასუხის საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სხვა საქმეში (268) „როზენფელდი ზერნეკის (Rosenfeld v. Zemeck) წინააღმდეგ ნიუ-იორკის სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ ხელმოწერილი ელექტრონული შეტყობინებები, რომლებშიც ის ლებულობს მოსარჩელის ოფერტს უძრავი ქონების ყიდვასთან დაკავშირებით, აკმაყოფილებენ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ უძრავი ქონებაზე უფლების გადაცვლასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები უნდა დაიდოს წერილობით ფორმით სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის ელექტრონული ხელშეკრულება აკმაყოფილებს წერილობითი ფორმის მოთხოვნას უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებისთვის. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნით, ელექტრონულ შეტყობინებებში უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობის არ არსებობის გამო (268). .

ანალოგიური დებულება მოცემულია ქართულ კანონმდებლობაშიც. სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი ხელშეკრულება შეიძლება აღიარებული იქნას დადებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის მიღწეულია შეთანხმება ყველა არსებით პირობაზე.

ნათელია, რომ ელექტრონული კომერციის ჩარჩოში არ შეიძლება დაიდოს გარიგებები, რომლებიც საჭიროებენ სანოტარო დადასტურებას ან სახელმწიფო რეგისტრაციას.

(ზოგიერთი სახელმწიფოს კანონებში ასეთმა ფორმამ მიიღო სახელწოდება „კვალიფიცირებული წერილობითი“ ფორმა (62, 53)). ამჟამად, შეუძლებელია კომპიუტერული ქსელით სანოტარო დადასტურების და სახელმწიფო რეგისტრაციის განხორციელება. ამიტომ ნებისმიერი ამგვარი გარიგება ჩაითვლება არარად კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო (სსკ-ის 59-ე მუხლი). თუმცა, ო.გ. კალიატინი არ გამოიციხავს მომავალში ელექტრონული გარიგების სახელმწიფო რეგისტრაციის განხორციელების შესაძლებლობას (56, 329).

საერთაშორისო პრაქტიკა იმ ხელშეკრულებების რიცხვს, რომლებიც არ შეიძლება დაიდოს ელექტრონული კომერციის ფარგლებში, მიაკუთვნებს უძრავ ქონებაზე უფლებების წარმოშობისა და გადაცემის, საოჯახო სამართალთან და მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ, თავდებობის ხელშეკრულებებს (242. მე-9 მუხლი).

აშშ კანონმდებლობაც ამ მხრივ გარკვეულ გამონაკლისებს ანესებს. ეს გამონაკლისები ეხება: ანდერძებსა და აპოსტილებს, მონდობილობებს, სასამართლო ბრძანებებს, უწყებებს, შუამდგომლობებსა და სხვა პროცესუალურ დოკუმენტებს, გასახლებისა და საალსრულებო ფურცლებს, სადაზღვევო ანაზღაურებით დოკუმენტაციას, განქორწინების, შვილად აყვანისა და სხვა საოჯახო საქმეებს, საშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებებისა და პროდუქტების ტრანსპორტირებას, ასევე გაკოტრებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს (146.112.).

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ერთ-ერთ საქმეზე (259) სასამართლომ ელექტრონულ აუქციონზე უძრავი ქონების შეძენისას აუქციონში გამარჯვებულ მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგება, **კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობის გამო, დადებულად არ მიიჩნია. საკასაციო სასამართლომ განჩინება, რომლითაც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ონლაინ აუქციონზე გამარჯვებულის, მესაკუთრედ**

ცნობის მოთხოვნით, სარჩელის უარყოფის თაობაზე, შემდეგი მოტივაციით დაასაბუთა:

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ თანამედროვე პრაქტიკაში გავრცელებულია ე.წ. ელექტრონული ხელშეკრულებების დადება. მხარეები სხვადასხვა ელექტრონული ვაჭრობის საშუალებებით ყოველდღიურად დებენ ხელშეკრულებებს. აღნიშნული ფორმით დადებული ხელშეკრულება შეფასებულია როგორც მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ხელშეკრულება. გადანყვეტილების მიღებისას სასამართლო დაეყრდნო საქმის განხილვის დროს მოქმედი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ა.ა ქვეპუნქტს, ამავე მუხლის „ე“ პუნქტს და მე-3 მუხლის პირველ პუნქტს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ელექტრონული აუქციონის ვებ-გვერდზე განთავსებულია აუქციონზე ქონების განთავსების მსურველი იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები. იურიდიული პირი სარეგისტრაციო ფორმაში ავსებს საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რის შემდეგაც სისტემის მიერ ავტომატურად ხდება სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემთა ბაზასთან მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრთან ინფორმაციის გადამონმება და მონაცემების უტყუარობის შემთხვევაში რეგისტრაციის შემდგომ ეტაპზე დაშვება, რეგისტრაციის დასკვნით ეტაპზე სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე სისტემა აგზავნის აქტივაციის კოდს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე – ვებ-გვერდის ბმულს. აღნიშნული ბმულის მომხმარებლის მიერ ბრაუზერში გახსნის და აქტივაციის კოდის შეყვანით სრულდება რეგისტრაციის პროცესი. რეგისტრაციის შემდეგ ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული მომხმარებლებისათვის ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში „მომხმარებლის სახელის“ („დასახელების“) და „პაროლის“ შეყვანის გზით (ვებ გვერდი: <https://www.eauction.ge>).

აუქციონის ვებ-გვერდზე განთავსებული წესების თანახმად, ურთიერთობა გამყიდველსა და მყიდველს შორის რეგულირდება

დამოუკიდებლად და სააგენტო იხსნის პასუხისმგებლობას მხარეებს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოების შემთხვევაში. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საშუალებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ელექტრონული აუქციონის ვებ გვერდზე სარეალიზაციოდ განათავსოს თავისი ქონება. ეს ხდება მომხმარებლის ხელშეწყობისთვის, გამოავლინოს პოტენციური მყიდველი, რომელიც ყველაზე მაღალ ფასად შეიძენს სარეალიზაციოდ გამოტანილ ქონებას, **ხოლო ქონების ნასყიდობის შესახებ შეთანხმება უნდა განხორციელდეს აუქციონში გამარჯვებულ პირსა და უძრავი/მოძრავი ქონების ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის ხელშეკრულების გაფორმებით.**

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ელექტრონულ აუქციონზე შესაბამისი მოქმედებების განხორციელების დროს გასხვისების მსურველისა და პოტენციური მყიდველის მიერ არ მომხდარა ელექტრონული ხელმოწერების გამოყენება, რისი არსებობის პირობებშიც იგი გაუთანაბრდებოდა მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას და ამ სახით, ნასყიდობის ხელშეკრულების წერილობით დადებას. ელექტრონული ხელმოწერების გამოყენების არარსებობის პირობებში, ელექტრონული აუქციონის სისტემა ვერ უზრუნველყოფს აუქციონის წარმოების პროცესში გასხვისების მსურველის და პოტენციური მყიდველის იდენტიფიცირების რაიმე ისეთი შესაძლებლობის არსებობას, რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირის მიერ გარკვეული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას. რის გამოც აუცილებელია მხარეთა შორის დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლის სუბიექტის მიერ ნებაყოფლობით აუქციონზე განკარგულ უძრავ ქონებაზე ნასყიდობის გაფორმებისა და საკუთრების წარმოშობის რაიმე განსხვავებულ წესს არ ადგენს. შესაბამისად, გარიგების ფორმისადმი შესაბამისობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით უძრავი ქონების გასხვისებისას დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად. (სსკ-ის 183-ე, 327-ე მუხლები).

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მიუხედავად ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებისა და მყიდველის მიერ შეთანხმებული პირობების შესრულებისა, კანონით იმპერატიულად განსაზღვრული ფორმის დაუცველობა ხელშეკრულების არსებობას და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულების (გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა) შესრულების მოთხოვნის კანონიერებას გამოორიცხავს.

2.3. დასკვნა

ელექტრონული ხელშეკრულების ფორმისა და ხელშეკრულების დადების საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო პრაქტიკა დაადგინა უზენაესმა სასამართლომ. კვლევაში განხილულ განჩინებაში, სასამართლომ ელექტრონულ აუქციონზე მხარეთა შორის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება არ ჩათვალა დადებულად კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობის გამო. აღნიშნული საფუძვლით, გარიგების დადებულად ცნობაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ელექტრონულ აუქციონზე შესაბამისი მოქმედებების განხორციელების დროს გასხვისების მსურველისა და პოტენციური მყიდველის მიერ არ მომხდარა ელექტრონული ხელმონერების გამოყენება, რისი არსებობის პირობებშიც იგი გაუთანაბრდებოდა მატერიალურ დოკუმენტზე ხელმონერას და ამ სახით, ნასყიდობის ხელშეკრულების წერილობით დადებას. სასამართლოს აზრით, ელექტრონული ხელმონერების გამოყენების არარსებობის პირობებში, ელექტრონული აუქციონის სისტემა ვერ უზრუნველყოფს აუქციონის წარმოების პროცესში გასხვისების მსურველის და პოტენციური მყიდველის იდენტიფიცირების რაიმე ისეთი შესაძლებლობის არსებობას, რაც გამოორიცხავს არაუფლებამოსილი პირის მიერ გარკვეული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას. რის გამოც სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია მხარეთა შორის დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება.

მითითებული მსჯელობა ბუნებრივია კითხვის ნიშნებს აჩენს აუქციონზე გამარჯვებული პირის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რომლისთვისაც აუქციონის მონაწილე მეორე მხარის მიერ

შეთანხმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვება არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს.

არსებული სასამართლო პრაქტიკის გაზიარების შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება. საქმის მასალების მიხედვით, აუქციონში მონაწილეობის მსურველმა (მომხმარებელმა) განახორციელა და დააკმაყოფილა ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობისთვის სავალდებულო ყველა პირობა (**მხარეთათვის ელექტრონული ხელმოწერის შესრულება მოთხოვნილი არ ყოფილა**), მიუხედავად ამისა, იქმნება ვითარება, რომ თუ მონაწილემდეგე მხარე უარს განაცხადებს მომავალში ცალკე იგივე ხელშეკრულების გაფორმებაზე, აუქციონში გამარჯვებული კარგავს აუქციონის შედეგებს და ნივთის შეძენის სამართლებრივ ინტერესს ვერაფრით იკმაყოფილებს, რაც ზოგადად ეწინააღმდეგება სამართლებრივი უსაფრთხოების, სახელშეკრულებო კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ზემოაღნიშნულიდან ასევე, გამოდის, რომ საქართველოში დღეს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (რომელსაც ყველაზე დიდი ინტერნეტ პორტალი აქვს საქართველოში) ვებ-გვერდზე (ასევე მსგავს გვერდებზე) განთავსებული ინტერნეტ-აუქციონის (<https://www.eauction.ge>), მეშვეობით ქონების შემძენი სამართლებრივი უსაფრთხოებით უზრუნველყოფილი ვერ იქნება. ასეთ პირობებში მან წინასწარ იცის, რომ ონლაინ-აუქციონის ეტაპზე ფორმის დაუცველობის გამო უცილოდ ბათილ გარიგებას დებს და მხოლოდ მატერიალური სახით გარიგების დადასტურება (ხელახლა დადება, სსკ-ის 61.2. მუხლი) „გადაარჩენს“.

არსებული სამართლებრივი პრობლემის მოგვარება შესაძლებლად მიგვაჩნია, ნორმატიულ აქტებში ცვლილებების განხორციელების საშუალებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში ან სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულებაში უნდა მიეთითოს მხარეთა საიდენტიფიკაციო მონაცემებში მათ მიერ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების აუცილებლობაზე.

თავი 3. ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი რეგლამენტაცია

„დღესდღეობით სოციალური კომუნიკაციების გარკვეული ნაწილი, კომპიუტერისა და სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ვირტუალურ სამყაროში (კიბერსფეროში) ხორციელდება, სადაც ინფორმაციის გაცვლა ფიზიკურად არათანმივდევრებლად შორის მიმდინარეობს, რამაც შეიძლება გაართულოს აღნიშნული მონაწილეების საიმედო იდენტიფიკაცია. ხშირ შემთხვევაში სამართლებრივ ურთიერთობებში ერთი სუბიექტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საკონტაქტო სუბიექტის ვინაობის ზუსტი და უსაფრთხო დადგენა. მოქმედი სამართალი პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით იყენებს ხელით შესრულებულ ხელმოწერას, რომელსაც ხელმოწერი ათავსებს დოკუმენტზე მისი შინაარსის დადასტურებისა და საკუთარი ვინაობის მითითების მიზნით. მაგრამ ამგვარი ხელმოწერის გამოყენება ვირტუალურად სამყაროსთან შეუთავსებელია. შესაბამისად, კიბერსფეროში სამართალი უნდა იყენებდეს ისეთ ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც შეთავსებადია ვირტუალურ სამყაროსთან და უზრუნველყოფს სუბიექტის ვინაობის სათანადო აღნიშვნას. აღნიშნული ამოცანები გადაწყვეტილია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით“ (210. 25.03.2020).

„ტრადიციული (ხელით შესრულებელი) ხელმოწერის აპლიკაცია ვირტუალურ სამყაროსთან შეუთავსებელია. შესაბამისად, ვირტუალურ სფეროზე ეფექტურობის მიღწევის მიზნით სამართალს ბევრ კლასიკურ კატეგორიებზე უარის თქმა და მათი სხვა ალტერნატივებით შეცვლა უნევს. ელექტრონული ხელმოწერა და ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება ამგვარ ალტერნატივად ჩაითვალოს“ (36, 26).

პანდემიის კრიზისმა გვაჩვენა რომ ონლაინ ვაჭრობა არის მომხმარებელთან კომუნიკაციისა და მცირე ბიზნესისთვის ეკონომიკური მოქმედების მნიშვნელოვანი საშუალება. პანდემიამ დაგვანახა ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობის აუცილებლობა (86. 17.10.2020).

კოვიდ-19 პანდემიამ ფუნდამენტალურად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ბიზნეს წარმოების სახე. უამრავმა ოფისმა დახურა ბიზნეს წარმოება, ზოგიერთი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე, ბევრი პირი კარანტინში მოექცა, რამაც გამოიწვია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების აუცილებლობა (123. 20.10.2020).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ელექტრონული ვაჭრობის სფეროში არაერთი საერთაშორისო აქტის არსებობის მიუხედავად, საქართველოში ხანგრძლივი დროის მანძილზე მსგავსი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაცია არ არსებობდა. საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიებით განპირობებული სამოქალაქო ბრუნვის გამოწვევების შედეგი იყო 2008 წელს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის შექმნა და მიღება, რომელიც 2017 წლის მაისიდან ჩაანაცვლა საქართველოს კანონმა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“.

მოქმედი კანონის მიზანია ელექტრონული ხელმოწერისა და სხვა სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა და მათი საშუალებით ელექტრონული მმართველობის, ელექტრონული ბიზნესის განვითარებისა და სხვა მიმართულებების ხელშეწყობა, ასევე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ფარგლებში არსებულ სამართლებრივ ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ახალი კანონის მიღება ასევე განაპირობა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საჭიროებამ. კერძოდ, კანონში ასახულია ყველა ნოვაცია, რაც მოცემულია „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო სერვისებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის №910/2014 რეგულაციით („Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on electronic identification and trust services for electronic transactions in the internal market and repealing Directive 1999/93/EC“) (241).

ახალი კანონის იდეა სწორედ ისაა, რომ ელექტრონული ხელმოწერის ცნებას ის აბსოლუტურად სხვანაირად ითვალისწინებს და განმარტავს. ახალი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას მატერიალური ხელმოწერის იურიდიული ძალა ენიჭება. პირს შესაძლებლობა აქვს ელექტრონული დოკუმენტი გამოიყენოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება დოკუმენტის წერილობითი ფორმა (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი) (208., 04.04.2020).

„კანონით დეტალურად არის მოწესრიგებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის საკითხი, განსაზღვრულია მისი გამოყენების წინაპირობები და სრულად არის უზრუნველყოფილი მისი სანდოობის მაღალი ხარისხი. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა უტყუარად ადასტურებს ხელმომწერის ვინაობას და იცავს ხელმოწერილ დოკუმენტს. ამასთან, ელექტრონული მმართველობის განვითარებით საგრძნობლად მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები, იზოგება მწვანე საფარი და გარემო (7., 04.04.2020).

აღსანიშნავია, რომ საქართველო მუდმივად აუმჯობესებს საკუთარ პოზიციებს ელექტრონული მმართველობისა და ღია მმართველობის საკითხებში. კერძოდ:

1. გაერთიანებული ერების ელექტრონული მმართველობის ინდექსის მიხედვით, 2014 წელს საქართველო 56-ე ადგილზეა 196 ქვეყანას შორის. ამ მაჩვენებლით რეგიონში მონინავე პოზიციებზეა და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი. შედარებისათვის, 2008 წელს საქართველო აღნიშნულ რეიტინგში მე-100 ადგილს იკავებდა. ინდექსი ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ახლდება.
2. ღია მმართველობის ინდექსის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს მთავრობების ღიაობას მსოფლიოში, საქართველო იკავებს პირველ ადგილს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 13 ქვეყანას შორის და, ზოგადად,

102 ქვეყანას შორის – 29-ე ადგილს. 2014 წელს საქართველო არჩეულ იქნა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ მმართველი კომიტეტის წევრად, ხოლო 2017 წელს დაიკავა თავმჯდომარის მოადგილე ქვეყნის პოზიცია. საქართველო ღია მმართველობის ინიციატივაში სამაგალიტოა საკანონმდებლო და სასამართლო შტოების აქტიური მონაწილეობით და ამბიციური გეგმებით, დემოკრატიის, მთავრობისადმი ნდობის ამაღლებისა და საქმიანობის გამჭვირვალობისკენ მიმართული რეფორმებით“ (7., 04.04.2020).

3.1. ელექტრონული ხელმოწერის ცნება, არსი.

„დღეისათვის არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც სხვა საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს დებულებებს დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ“ (143, 87).

ელექტრონული ციფრული ხელმოწერა ერთდროულად წყვეტს ავტორის იდენტიფიკაციისა და დოკუმენტის მთლიანობის საკითხებს. ამგვარად, ელექტრონული ციფრული ხელმოწერის დასმა ელექტრონულ დოკუმენტზე აძლევს დოკუმენტს იურიდიულ ძალას და უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტის გამოყენებას საკუთარი უფლებების დაცვისას (75, 32).

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ ელექტრონული ციფრული ხელმოწერის აღიარება პირადი ხელმოწერის ტოლფასად იურიდიულ ფიქციას წარმოადგენს (164, 4). ხოლო ა.ვ. ტკაჩოვის აზრით, ელექტრონული ციფრული ხელმოწერა თეორიულადაც კი არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ადამიანის პირადი ხელმოწერის ანალოგი (73, 43).

როგორც აღნიშნავს რ.ო. ხალიკოვი „ელექტრონული ციფრული ხელმოწერა არ შეიძლება არსებობდეს ელექტრონული დოკუმენტის ან ელექტრონული ხელშეკრულებისაგან ცალკე“ (75, 9). როგორც ფიზიკური ხელმოწერის ანალოგს მას გააჩნია ორი ძირითადი თვისება:

- 1) მისი კვლავწარმოება ხდება მხოლოდ ერთი პირის მიერ, ხოლო მისი ნამდვილობა შეიძლება დადასტურდეს ბევრის მიერ.
- 2) ის განუყოფლად დაკავშირებულია მხოლოდ კონკრეტულ დოკუმენტთან (154, 12).

ეს თვისებები უზრუნველყოფენ ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის მიერ ჩვეულებრივი ხელმოწერის ფუნქციის შესრულების შესაძლებლობას (62, 65).

ხელშეკრულების ხელმოწერა ტრადიციულ სამართალურთიერთობებშიც და ელექტრონულ კომერციაშიც წარმოადგენს მისი გაფორმების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 69-ე მუხლი ეხება გარიგების როგორც მარტივ, ასევე რთულ წერილობით ფორმებს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, **ნების გამოვლენა წერილობითი ფორმით მოითხოვს ხელმოწერის არსებობას**. სამოქალაქო ბრუნვაში (როგორც დოქტრინაში (142, 118), ასევე სასამართლო პრაქტიკაში (259)) ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება შეფასებულია როგორც მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ხელშეკრულება. ელექტრონული ფორმის წერილობით ფორმასთან გათანაბრების მიზანია, ნების გამოვლენის იდენტურობის დადგენა, მისი ნამდვილობის გადამოწმება და ამით გაყალბების შესაძლებლობის თავიდან აცილება.

უკვე აღინიშნა, რომ სსკ-ი ზოგიერთი ქვეყნის (გერმანია, რუსეთი) სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით **ელექტრონულ ხელშეკრულებებთან მიმართებით სპეციალურ ნორმებს არ შეიცავს**. თუმცა გარიგების (ხელშეკრულების) ფორმის მარეგულირებელი ზოგადი ნორმების გათვალისწინებით ელექტრონული ხელშეკრულების დადებას არ კრძალავს.

ხელშეკრულების ხელმოწერა ტრადიციულ სამართალურთიერთობებშიც და ელექტრონულ ვაჭრობაშიც მისი გაფორმების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. ბ.დ. ზავიდოვი აღნიშნავს, რომ „არაუფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტზე ბეჭ-

დის არსებობა ამ დოკუმენტს არ ანიჭებს ნამდვილობას, მაშინ როდესაც, უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ცალსახად ადასტურებს ხელშეკრულების დადებას, ბეჭდის არ არსებობის შემთხვევაშიც“ (54, 5). ზოგიერთი იურისტი საერთოდ მიიჩნევს, რომ მხარეები თავად წყვეტენ დასვან თუ არა ბეჭედი ხელშეკრულებაზე (173, 70).

ელექტრონული დოკუმენტის იურიდიული ძალა არ შეიძლება გარანტირებული იყოს მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით. ელექტრონული დოკუმენტისთვის იურიდიული ძალის მინიჭებისთვის საჭიროა ტექნოლოგიური მექანიზმები. სწორედ ასეთ მექანიზმს წარმოადგენს ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერა (62, 65).

„ელექტრონული ხელმოწერა სამართალში არსებობს და იგი როგორც წესი ჩვეულებრივ ხელმოწერას უთანაბრდება“ (140, 30).

„ელექტრონული ხელმოწერა არის ელექტრონული საშუალებებით შექმნილი მონაცემი (სუბიექტის ვინაობის შემცველი ინფორმაცია), რომელიც დაკავშირებულია ლოგიკურად სხვა ელექტრონულ ინფორმაციასთან (ელექტრონულ დოკუმენტთან) და მიზნად ისახავს ამ დოკუმენტის შემქმნელის (ნების გამომვლენის) ვინაობის განსაზღვრას. ხელით შესრულებული ხელმოწერის მსგავსად, ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტის ავტორის იდენტიფიკაციის მიზნით. განსხვავებით ჩვეულებრივი ხელმოწერისაგან, ელექტრონული ხელმოწერა არ არის ხელმოწერის მიერ საკუთარი ხელით შესრულებული, არამედ იგი იქმნება ელექტრონული მონოპოლიობისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენების მეშვეობით. სწორედ აღნიშნულის გამო, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულ ურთიერთობებში (მაგალითად, კომუნიკაცია კომპიუტერის ან ინტერნეტის მეშვეობით). ელექტრონული ხელმოწერის ტიპიურ და ყველაზე გავრცელებულ სახეობებს წარმოადგენენ: ხელმოწერა ელექტრონულ ფოსტაში შედგენილ წერილზე, ან PIN-ი, რომელიც შეყვანილია მფლობელის მიერ, ან კლასიკური ხელმოწერის ფაქსიმილია“ (210, 25.05.2020).

„ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის კანონის (რომელიც ამჟამად გაუქმებულია) მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით ელექტრონული ხელმოწერა განიმარტებოდა როგორც, ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმოწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად“ (145, 210).

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონის 2.ა. მუხლის მიხედვით, ელექტრონული დოკუმენტი ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობაა, ხოლო ამავე კანონის 2.ე. მუხლის მიხედვით, **ელექტრონული ხელმოწერა არის ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება.**

ერთიანი ელექტრონული გარიგებების შესახებ კანონსა და ელექტრონული ხელმოწერების ნაწილში გლობალურ და ეროვნული სავაჭრო კანონთან დაკავშირებით, „ელექტრონული ხელმოწერა“ ინტერპრეტირებულია, როგორც „ელექტრონული **ბგერა, სიმბოლო ან პროცესი**, რაც თან ერთვის ან **ლოგიკურად ასოცირდება** ჩანაწერთან და შედგენილია ან მიღებული იმ პირის მიერ, რომელსაც განზრახული აქვს **მოაწეროს ხელი** ჩანაწერს“. ორივე საშუალება ასევე ამარტივებს ელექტრონულ ხელშეკრულებებსა და გარიგებებს, რადგანაც ის უკავშირდება წერილობით მოთხოვნების ოფიციალურად შესრულებას და ხელმოწერებს (189, 46).

„მითითებული განმარტებების საფუძველზე შესაძლებელია დასკვნა, რომ ვინაიდან ელექტრონული ხელმოწერისას ხდება ხელმოწერი პირის კავშირის დადგენა ელექტრონულ დოკუმენტთან, განმსაზღვრელია არა ის ტექნიკური საშუალება, რისი მეშვეობითაც ხდება ხელმოწერა, არამედ ხელმოწერი პირის ნების განსაზღვრა. თუმცა ეს, თავის მხრივ არ გულისხმობს ტექნიკური საშუალების გაუმართაობას. თავისთავადია, რომ ელექტრონული

ხელმოწერა უნდა განხორციელდეს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვით“ (145, 211).

„ციფრული ხელმოწერა იქმნება სპეციალური ტექნოლოგიის მეშვეობით. განსხვავებით სხვა ხელმოწერებისგან, ციფრული ხელმოწერა დაფუძნებულია ე.წ. ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის ტექნოლოგიაზე, რომელიც იყენებს ორ განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან მათემატიკურად დაკავშირებულ გასაღებს: ღია (საჯარო) და დახურული (კერძო) გასაღები (ე.წ. „გასაღების წყვილი“). დახურული გასაღები გამოიყენება ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად და ელექტრონული დოკუმენტის შინაარსის დაშიფრვისათვის. იურიდიული თვალსაზრისით, ამ გასაღებით ინფორმაციის გამგზავნი ხელს აწერს ელექტრონულად ნების გამოვლენას. დახურული გასაღები ექვემდებარება მკაცრი დაცვის რეჟიმს. ღია გასაღები გამოიყენება ადრესატის მიერ ციფრულად ხელმოწერილი დოკუმენტის გამომგზავნის ვინაობის შესამოწმებლად. ამგვარი გასაღები საჯაროა. მისი ცოდნა აუცილებელია ადრესატისათვის, რომ მოახდინოს გამომგზავნის ვინაობის საიმედო შემოწმება. ღია და დახურული გასაღები წარმოადგენენ მათემატიკური ციფრების ერთობლიობას. გასაღებებში გამოყენებული ციფრები ასიმეტრიულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ციფრები, რომლებიც მოცემულია გასაღებებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. შესაბამისად, ღია გასაღების ციფრებიდან არ გამომდინარეობს დახურული გასაღების ციფრების კომბინაცია, რაც ამ უკანასკნელის დაცვას უზრუნველყოფს“ (210. 25.05.2020).

გარდა ციფრული ხელმოწერისა, რომელიც ელექტრონული სახედი მომსახურების მხოლოდ ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, წინამორბედი კანონი არ აწესრიგებდა სხვა სახედი მომსახურების გამოყენებას, როგორცაა კვალიფიციურ ელექტრონულ შტამპთან, ხელმოწერის/შტამპის ნამდვილობის კვალიფიციურ დადგენასთან, დროის კვალიფიციურ აღნიშვნასა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის კვალიფიციურ შენახვასთან დაკავშირებული მომსახურებები. შესაბამისად, საჭირო გახდა ახალი კანონის მიღება, რომელშიც ასახული იქნებოდა არა მხოლოდ ელექტრონული ხელმოწერის, არამედ – ზოგადად, სა-

ნდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. (მუხლი 1.1.)

მოქმედი კანონით არ იზღუდება მოქალაქის ნების თავისუფლება თავად განსაზღვროს სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმა, – იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით. ასევე კერძო სამართლის სუბიექტებს უფლება აქვთ თავად გადაწყვიტონ გამოიყენონ მატერიალური თუ ელექტრონული დოკუმენტი. (მუხლი 1.2.)

მოქმედი კანონის მიზანია ელექტრონული ხელმოწერისა და სხვა სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა და მათი საშუალებით ელექტრონული მმართველობის, ელექტრონული ბიზნესის განვითარებისა და სხვა მიმართულებების ხელშეწყობა, ასევე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ფარგლებში არსებულ სამართლებრივ ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

„აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტებისა და, კერძოდ, ელექტრონულად დადებული დოკუმენტების (დოკუმენტები, რომლებიც არასდროს ყოფილა წარმოდგენილი ქალაქის სახით) შექმნას. რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს ქალაქის დოკუმენტბრუნვას და ამალღებს დოკუმენტაციის დაცულობის ხარისხს“ (19, 15).

კანონის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით ხდება ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების უფრო ფართო გავრცელება. ადრე მოქმედი კანონისგან განსხვავებით, რომელიც ელექტრონულ დოკუმენტზე უარის თქმის საშუალებას უზღუდავდა მხოლოდ სასამართლოს, ახალი კანონი, პრაქტიკულად, ავალდებულებს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოებს, უარი არ თქვან ელექტრონულ დოკუმენტზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის წარდგენილი არ არის მატერიალური ფორმით (ქალაქდური სახით). (მუხლი 3.7.) ამასთან, ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება დოკუმენტის წერილობითი ფორმა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. (მუხლი 4.2.)

„კანონის მითითებული 4.2. მუხლი ბლანკეტური ხასიათისაა. საჭიროა განისაზღვროს ისეთი შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ გარიგებებთან ან ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც წერილობით უნდა დაიდოს, გამორიცხული იქნება მხარეთა შეთანხმება ელექტრონული ფორმის გამოყენებაზე, როდესაც წერილობითი ფორმა განზრახვის სერიოზულობის/გაფრთხილების ფუნქციის მატარებელია. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობით ამგვარი შემთხვევების გაუთვალისწინებლობა არ უნდა შეფასდეს მათთან მიმართებით ფორმის თავისუფლების მოქმედებად“ (1, 271).

ახალი კანონის იდეა სწორედ ისაა, რომ ელექტრონული ხელმოწერის ცნებას ის აბსოლუტურად სხვანაირად ითვალისწინებს და განმარტავს. ახალი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას მატერიალური ხელმოწერის იურიდიული ძალა ენიჭება. პირს შესაძლებლობა ეძლევა ელექტრონული დოკუმენტი გამოიყენოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება დოკუმენტის წერილობითი ფორმა (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი) (7).

ახალი კანონით, ელექტრონული ხელმოწერა რაიმე გრაფიკულ ნიშანთა სისტემა არ არის, ეს არის ბინარულ ნიშანთა, ნულების და ერთიანების კომბინაციებისგან შემდგარი სისტემა (7).

კანონის თანახმად, დეტალურად არის მოწესრიგებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის საკითხი, განსაზღვრულია მისი გამოყენების წინაპირობები და სრულად არის უზრუნველყოფილი მისი სანდოობის მაღალი ხარისხი. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა უტყუარად ადასტურებს ხელმოწერის ვინაობას და იცავს ხელმოწერილ დოკუმენტს. ამასთან, ელექტრონული მმართველობის განვითარებით საგრძნობლად მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები, იზოგება მწვანე საფარი და გარემო (7).

„ახალი კანონი არ განსაზღვრავს იმ ჩამონათვალს, რომელიც განისაზღვრებოდა ძველი კანონის მე-3 მუხლით. (კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

341-ე, 892-ე, 942-ე და 1357-ე მუხლებით განსაზღვრულ გარიგებებზე ან/და ხელშეკრულებებზე.) იგი ატარებს ბლანკეტურ ხასიათს მისი წინამორბედისაგან განსხვავებით“ (1, 90).

კანონმა დაამკვიდრა ისეთი ცნებები, როგორცაა „კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა“, „კვალიფიციური ელექტრონული შტამპი“, „ხელმოწერის შექმნის მონაცემები“, „ხელმოწერის შემოწმების მონაცემები“, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი“ და სხვ.

„მოქმედი კანონით განისაზღვრა და რეგულირებას დაექვემდებარა კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდება, ასევე, არსებითად დაიხვეწა და გამკაცრდა მოთხოვნები კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიმართ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი სტანდარტების დაცვა ნებისმიერი ასეთი მომსახურების მიწოდებისას, მათ შორის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებისას, რომელსაც ენიჭება პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა. (მუხლი 5) ადრე მოქმედ კანონში, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ნაკლებად მკაცრად იყო ჩამოყალიბებული ეს მოთხოვნები, რაც გარკვეული რისკის მატარებელი იყო“ (7).

„კანონში მოცემული კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობის მკაცრმა რეგულირებამ საშუალება მისცა ქვეყანას, დაეწყო პროცესი საქართველოში არსებული კვალიფიციური სანდო მომსახურების ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღიარების მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად კანონმა დააწესა ზედამხედველობის ვალდებულება, განსხვავებით ადრე მოქმედი კანონისაგან, რომელიც მხოლოდ ნებაყოფლობით აკრედიტაციას ითვალისწინებდა. (მუხლი 5.2.)

კანონმა ასევე მოაწესრიგა საზღვარგარეთ მოქმედი კვალიფიციური სანდო მომსახურების აღიარების საკითხი. კანონის შესაბამისად, თუ საქართველოს დადებული აქვს ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის სუბიექტთან, რომელიც მოიცავს ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ საკითხებს, სხვა ქვეყნებში მოქმედ ან საერთაშორისო ორგანიზაციების კვალიფი-

ციურ სანდო მომსახურებას ექნება საქართველოში მოქმედი კვალიფიციური სანდო მომსახურების თანაბარი იურიდიული ძალა. (მუხლი 12)“ (7)

„კანონმა ასევე მკაფიოდ მოაწესრიგა იურიდიული პირების სახელით კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების წესი, რამაც ერთგვარი ბიძგი მისცა ელექტრონული ხელმოწერის განვითარებას და ელექტრონული დოკუმენტის გავრცელებას. მაგალითად, შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი ორგანოების მიერ ოფიციალური დოკუმენტების გაცემა ელექტრონული ფორმით ისე, რომ არ გახდეს საჭირო ამ დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების გამოქვეყნება მაღალი ხელმისაწვდომობის მქონე ვებ-პორტალებზე, (მუხლი 4.4.) განსხვავებით ადრე არსებული მდგომარეობისაგან. ნებისმიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირს შესაძლებლობა მიეცა შეექმნა ისეთი გარემო, სადაც დისტანციური ფორმით მომხმარებლის იდენტიფიცირების საფუძველზე მოხდება მომსახურების განევა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო, სადაზღვევო და ჯანდაცვის სექტორში არსებული სერვისებისათვის. შემოთავაზებული კანონით ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნესისა და კერძოდ კი, ქვეყანაში ელექტრონული კომერციის განვითარებას.“ (7)

„კანონის მე-11 მუხლის მიხედვით კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი, ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – **ციფრული მმართველობის სააგენტოში**.

ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი მრავალი ორგანო საქართველოში უკვე აწარმოებს დოკუმენტებს ელექტრონული სახით. ამ დოკუმენტების მოქალაქეებზე გაცემისას შესაბამის ასლებს იურიდიული ძალა აქვთ მხოლოდ იმითომ, რომ ელექტრონული ორიგინალები დაცულია მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის საშუალებით არის ხელმისაწვდომი. ეს ყოველივე, გარდა საოპერაციო ხარჯებისა (საჭიროა უფრო ძლი-

ერი სერვერული და სხვა ინფრასტრუქტურა და კავშირი ინტერნეტთან), ასევე, შეიცავს ინფორმაციის დაზიანების ან დაკარგვის რისკებს. იურიდიული პირის სახელით კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენება უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებზე სრულფასოვანი, ავტონომიური და უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამონმებული ელექტრონული დოკუმენტების გაცემას. აღნიშნული დოკუმენტების სისწორის შემონმებისას აუცილებელი აღარ არის მათი ჩამოტვირთვა გამცემი ორგანოს ვებრესურსებიდან.“ (7)

„კანონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლეა დროის აღნიშვნის და, განსაკუთრებით, დროის კვალიფიციური აღნიშვნის, სამართლებრივი რეგულირება. დროის კვალიფიციური აღნიშვნა საშუალებას იძლევა უტყუარად დამონმდეს დოკუმენტის ან მასზე განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერის არსებობა დროის კონკრეტულ მომენტში. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის იურიდიული ძალა. (მუხლი 7)

კანონის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შენახვა ხანგრძლივი დროით, რაც წარმოადგენს კვალიფიციურ სანდო მომსახურებას და გულისხმობს სანდოობის გახანგრძლივებას მათი ტექნოლოგიური მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგაც, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ე.წ. „ელექტრონულად დაბადებული“ დოკუმენტების არქივაციის უმთავრეს წინაპირობას. ამ სამართლებრივი წინაპირობის შექმნა დღეს უკვე ძლიერ აქტუალურია, რადგან საქართველოში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრესთან ერთად, ე.წ. „ელექტრონულად დაბადებული“ დოკუმენტები არქივაციას რაც შეიძლება მალე უნდა დაექვემდებაროს, რათა ქვეყანაში არ მოხდეს წყვეტა დოკუმენტური მესხიერების შენახვის პროცესში. (მუხლი 9)“ (7)

საბოლოოდ, კანონის თანახმად მართალია ელექტრონული ფორმით შედგენილი დოკუმენტი გათანაბრებულია მატერიალური ფორმით შედგენილ დოკუმენტთან და ელექტრონული ხელმოწერის საკითხიც მონესრიგებულია დირექტივის რეგულირების მი-

ხედვით, მაგრამ ეს კანონი და არც სხვა მოქმედი ნორმატიული აქტი არ არეგულირებს სხვა საკითხებს ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო სამართლის სფეროში ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენების თაობაზე საერთაშორისო პრაქტიკაში გარკვეული მოთხოვნები შემუშავდა, რომელთა მიხედვით ელექტრონული დოკუმენტი უთანაბრდება ქალაქის დოკუმენტს.

- 1) ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერა იმ მონაცემების დაცვით გამოიყენება, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში.
- 2) დადგენილია ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის ნამდვილობა ხელმოწერის გასაღების მეშვეობით;
- 3) ხელმოწერის გასაღებების ფლობა ხორციელდება კანონიერ საფუძველზე, მართლზომიერად;
- 4) დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ ხელმოწერის ნამდვილობას, გააჩნიათ იურიდიული ძალა.
- 5) ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის გამოყენებისას მისმა მფლობელმა არ უნდა დაარღვიოს მოქმედი კანონების იმპერატიული ნორმები და სხვა პირების უფლებები. ის უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად (62, 68).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლის სუბიექტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც შეიმუშავებენ და დაამონმებენ ელექტრონულ ციფრულ ხელმოწერებს. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს გარანტიებს, რომელიც უზრუნველყოფენ ასეთ სუბიექტთან მიმართავი პირების კანონიერი ინტერესების დაცვას (62, 69).

მაგალითად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლით კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან ერთზე მეტი კვალიფიციური სანდო მომსახურების ან სანდო მომსახურების მიწოდება და დაადგინოს შესა-

ბამისი საზღაური. ამავე მუხლის მეორე ნაწილით იგი ვალდებულია: შეიმუშაოს შინაგანანესი და უზრუნველყოს მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობა ყველა მომსახურებისათვის, რომელთა მიწოდებასაც იგი ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს. შინაგანანესში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ გამოყენებული უსაფრთხო სისტემების, საშუალებებისა და პროცედურების აღწერილობა, კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობის დაზღვევის საფუძვლები და ფარგლები, მათ შორის, კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობის შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სერტიფიკატის მფლობელისთვის, დროის აღნიშვნის მომსახურების მომხმარებლისთვის ან/და მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ უსაფრთხო სისტემების, საშუალებებისა და პროცედურების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიერ მიწოდებული მომსახურების საიმედოობას და დაცული მონაცემების მთლიანობას, მონაცემთა ავთენტიკურობის შემოწმებას და გაყალბებისა და არასანქცინირებული გამოყენებისაგან დაცვას. კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი ასევე, ვალდებულია (5.4. მუხლი) აანაზღაუროს ამ მუხლის მოთხოვნათა დაუცველობით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანი ფორსმაჟორული გარემოებებითაა გამოწვეული.

პირი, რომელსაც სურს გახდეს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი, ვალდებულია მისი საქმიანობის ამ კანონთან და ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დასადაგენად გაიაროს ავტორიზაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – ციფრული მმართველობის სააგენტოში.

ციფრული მმართველობის სააგენტო ახდენს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობის ზედამხედველობას. (მუხლი 11.1.)

მოთხოვნათა გარკვეული ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტის იურიდიულ ძალას, ეხება თავად

სერტიფიკატს. პირველ რიგში ეს ეხება თავად სერტიფიკატში მოცემულ მონაცემებს. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატი სულ მცირე უნდა შეიცავდეს: ელექტრონული დამუშავებისათვის გამოსადეგ აღნიშვნას იმის თაობაზე, რომ სერტიფიკატი გაცემულია, როგორც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატი, მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც საკმარისია კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის იდენტიფიკაციისათვის: სულ მცირე კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის დასახელებას და იმ ქვეყნის კოდს, რომელშიც რეგისტრირებულია იგი, მონაცემთა ერთობლიობას, რომელიც საკმარისია ხელმოწერის/შტამპის დამსმელის იდენტიფიკაციისათვის: სულ მცირე სახელს ან/და ფსევდონიმს/სრულ სახელწოდებასა და საიდენტიფიკაციო კოდს, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შემომწმების მონაცემებს, რომლებიც შეესაბამება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის მონაცემებს, სერტიფიკატის მოქმედების დაწყებისა და დასრულების თარიღებს, სერტიფიკატის საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის უნიკალურია (6.1. მუხლი).

კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას ახორციელებს, ამ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა, ვალდებულია: ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად მოახდინოს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის იდენტიფიკაცია, რომელზედაც სერტიფიკატი გაიცემა, სერტიფიკატის გაცემისას უზრუნველყოს მასში ჩანერილი მონაცემების უტყუარობა, აწარმოოს თავის მიერ გაცემული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატების მონაცემთა ბაზა და უზრუნველყოს მისი განახლება, დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, ინტერნეტის საშუალებით, უწყვეტ რეჟიმში მიაწოდოს მას

ინფორმაცია სერტიფიკატის მოქმედების სტატუსის ან სერტიფიკატის გაუქმების შესახებ, უზრუნველყოს თავის მიერ გაცემული სერტიფიკატების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ყველა იმ მონაცემისა და ფაქტის აღრიცხვა და სერტიფიკატების გაუქმებიდან სულ მცირე 6 წლის განმავლობაში (შინაგანაწესით განსაზღვრულ ცალკეულ შემთხვევებში – 6 წელზე მეტი ხნით) შენახვა და შესაბამისი დროის ზუსტად მითითება, რომლებიც შესაძლებელია სამართალწარმოების დროს ან მომსახურების განგრძობადობის მიზნებისთვის იქნეს გამოყენებული. (6.5. მუხლი)

საერთაშორის პრაქტიკამ შეიმუშავა ნორმატიული საკმარისობის კრიტერიუმების კიდევ ერთი ჯგუფი – ესაა თავად ელექტრონული კომერციის მონაწილეთა ქცევა.

ყველაზე დეტალურად ეს მოთხოვნები შემუშავებულია 2001 წლის მოდელურ კანონში ელექტრონული ხელმოწერების შესახებ (236). სუბიექტის სტატუსის მიხედვით მოდელური კანონი გამოყოფს მოთხოვნებს:

- 1) ელექტრონული დოკუმენტის ხელმოწერის მიმართ.
- 2) მასერტიფიცირებული მომსახურების მიმწოდებლის მიმართ.
- 3) მიმწოდები მხარის მიმართ.

მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობის დადგენა მათ მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

მოდელური კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად თითოეული ხელმოწერი:

- 1) იჩენს გონივრულ წინდახედულებას, რათა არ დაუშვას მისი მონაცემების არასანქცირებული გამოყენება ხელმოწერის შექმნისთვის.
- 2) გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე იყენებს მასერტიფიცირებული მომსახურების მიმწოდებლის მიერ მის განკარგულებაში გადმოცემულ საშუალებებს ან სხვაგვარად

დებულობს გონივრულ ზომებს, რათა აცნობოს ნებისმიერ პირს რომელიც, ხელმოწერის გონივრული ვარაუდით, ენდობა ელექტრონულ ხელმოწერას ან აწვდის მომსახურებას მასთან დაკავშირებით, თუ: ხელმოწერისთვის ცნობილია, რომ მონაცემები ხელმოწერის შექმნისათვის კომპრომეტირებულია ან ხელმოწერისთვის ცნობილი გარემოებები განაპირობებენ არსებით რისკს იმისა, რომ მონაცემები ხელმოწერის შექმნისათვის შეიძლება იყოს კომპრომეტირებული (62, 69).

მოთხოვნების სისტემა შემუშავებულია ასევე ელექტრონულ (ციფრულ) ხელმოწერასთან დაკავშირებული მომსახურების მიმწოდებლების მიმართ. იმ შემთხვევებში, როდესაც მასერტიფიცირებული მომსახურების მიმწოდებელი წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერის მომსახურებას, რომელიც გამოიყენება იურიდიული ძალის მქონე ხელმოწერად, მასერტიფიცირებული მომსახურების ასეთი მიმწოდებელი:

- 1) მოქმედებს იმ დაპირებების შესაბამისად, რომლებსაც ის იძლევა თავისი საქმიანობის პრინციპებსა და პრაქტიკასთან მიმართებაში.
- 2) უზრუნველყოფს გონივრულად ხელმისაწვდომ საშუალებებს, რომლებიც მიმწოდებელს მხარეს საშუალებას აძლევს სერტიფიკატის მეშვეობით დაადგინოს: მასერტიფიცირებული მომსახურების მიმწოდებლის მონაცემები, რათა სერტიფიკატში იდენტიფიცირებულ ხელმოწერს ჰქონდეს ხელმოწერის შექმნისათვის საჭირო მონაცემების კონტროლის საშუალება სერტიფიკატის გაცემის მომენტში, კერძოდ, გააკონტროლოს ხელმოწერის შექმნისათვის საჭირო მონაცემების ნამდვილობა სერტიფიკატის გაცემის მომენტში ან სერტიფიკატის გაცემის მომენტამდე.
- 3) უზრუნველყოფს გონივრულად ხელმისაწვდომ საშუალებებს, რომლებიც მიმწოდებელს მხარეს საშუალებას აძლევენ, დაადგინონ ხელმოწერის იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული მეთოდი, რომლის მეშვეობით დგინდება, რომ

მონაცემები ხელმონერის შექმნისათვის ნამდვილია და არ იყო კომპრომეტირებული. პასუხისმგებლობის ნებისმიერი შეზღუდვა შეთანხმებულია მასერტიფიცირებელი მომსახურების მიმწოდებლის მიერ. არის თუ არა შეთავაზებული დროული გაუქმების მომსახურება. (62.72.)

პასუხისმგებლობა ასევე შეიძლება დაეკისროს იმ მხარეს, რომელთანაც შედის ელექტრონული (ციფრული) ხელმონერით დამონმებული დოკუმენტი. მიმწოდებ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებში: თუ მან არ მიიღო გონივრული ზომები ელექტრონული ხელმონერის საიმედოობის შემონმებისათვის ან როდესაც ელექტრონული ხელმონერა გამყარებულია სერტიფიკატით, თუ მან არ მიიღო გონივრული ზომები სერტიფიკატის ნამდვილობის შემონმებისათვის, სერტიფიკატის შეჩერებისათვის ან ანულირებისათვის და სერტიფიკატთან მიმართებაში ნებისმიერი შეზღუდვის დაცვისთვის (ელექტრონული ხელმონერების შესახებ მოდელური კანონის 11-ე მუხლი).

ამგვარად, ნორმატიული აქტების და დოქტრინაში არსებული მოსაზრებების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ელექტრონული (ციფრული) ხელმონერის გამოყენების შემდეგი სამართლებრივი კრიტერიუმები:

- 1) დოკუმენტის შედგენა ელექტრონული ფორმით ან ხელშეკრულების დადება ელექტრონული კავშირის საშუალებების გამოყენებით და მათი ხელმონერა პირადი ხელმონერის ანალოგებით კანონით აკრძალული არ არის.
- 2) ელექტრონული (ციფრული) ხელმონერა გამოიყენება ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად.
- 3) ელექტრონული (ციფრული) ხელმონერის ნამდვილობის დადგენა წარმოებს ხელმონერის გასაღებების მეშვეობით.
- 4) ხელმონერის გასაღებების ფლობა ხორციელდება კანონიერი საფუძველებით, მართლზომიერად.
- 5) ხელმონერის ნამდვილობის დამადასტურებელ დოკუმენტებს გააჩნიათ იურიდიული ძალა.

- 6) ხელშეკრულების მხარეებმა გამოიჩინეს სათანადო წინდახედულება ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერით ხელმოწერილი დოკუმენტების ნამდვილობისთვის და ერთმანეთს აცნობეს ხელმოწერის გასაღების ან მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში (62, 74).

გასაზიარებელია ზემოთ მითითებული ანალიზის საფუძველზე შემდეგი დასკვნები:

პირველ რიგში, ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის გამოყენებისთვის სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა სავალდებულო პირობაა, რომლის დროსაც ელექტრონული დოკუმენტი ასრულებს ქალაქზე არსებული დოკუმენტის ფუნქციას და გამოიყენება მის თანაბრად.

მეორე, სამართლის ნორმებს გააჩნიათ არსებითი როლი, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის სამართლებრივი რეგულირების ერთადერთ კრიტერიუმს. ასეთი კრიტერიუმების შემადგენელ ნაწილს ასევე, წარმოადგენს ელექტრონული კომერციის სუბიექტების ქმედებაც და ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის ტექნოლოგიური თავისებურებები. ამიტომ ნებისმიერი პირი, რომელსაც სურს ელექტრონული კავშირის საშუალებების შესაძლებლობების გამოყენება, უნდა აცნობიერებდეს სრულად სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელსაც ის კისრულობს.

ამის შედეგად ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის და ზოგადად ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებულ კანონებმა უნდა მოაწესრიგოს მოთხოვნები ელექტრონული კომერციის მონაწილეთა ქცევის მიმართ.

მესამე, ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის სამართლებრივი უზრუნველყოფა საკმაოდ შეზღუდულია. თავისი თავისებურების გამო სამართალი ეხება მხოლოდ ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის გამოყენების ცალკეულ ასპექტებს (გარიგებების დადების წესი, მათი ნამდვილობის პირობები, სუბიექტების სამართლებრივი სტატუსი). ტექნიკური პროცესების უმეტესობა

მიმდინარეობს სამართლებრივი რეგულირების ფარგლებს გარეთ. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს სამართლის ნორმების და ტექნიკური ნორმების გარკვეული დონე, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული კომერციის მონაწილეთა დაცვას და არ დატვირთავს ამ პროცესს ზედმეტი შეზღუდვებით და აკრძალვებით (62, 75).

ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ცნება გვხვდება ბევრ საერთაშორისო და სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში. **სამწუხაროდ, თითქმის ყოველი ქვეყანა ან საერთაშორისო ორგანიზაცია ცდილობს შეიტანოს შესწორებები ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ცნებაში, აღწეროს მისი დამატებითი ნიშნები, სხვანაირად გაიაზროს მისი დანიშნულება და გამოყოს დამახასიათებელი ნიშნები.** საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საერთო ცნება და ნაწილობრივ გამოიყენება ისეთი სინონიმები, როგორც არის ელექტრონული ხელმოწერა, ციფრული ხელმოწერა (75, 33).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ელექტრონული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ (UNCITRAL)-მა შეიმუშავა მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (Model Law on Electronic Commerce 1996-1998) (234). „ელექტრონული ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე UNCITRAL-ის ჯგუფმა განიხილა ამ რთული ურთიერთობების ყველა სამართლებრივი ასპექტები. მისი 31-ე–38-ე სესიები მიეძღვნა „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მოდელური კანონის პროექტის შემუშავებას, რომლის მიზანიც იყო ისეთი საშუალებების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ელექტრონული ხელმოწერების გამოყენებისას ტექნიკური საიმედოობის კრიტერიუმების შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ხელით შესრულებული ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის ექვივალენტობას. შესაბამისად, „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მოდელურ კანონს შეუძლია დაეხმაროს სახელმწიფოებს თანამედროვე, ჰარმონიზებული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნაში, რომელიც აღნიშნული საკითხის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს

შეასრულებს“ (145, 210). UNCITRAL-ის მე-40 სესიაზე (2002 წლის ოქტომბერი) წარდგენილ იქნა კონვენციის პროექტი „ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით დადების შესახებ“ (235).

მეტად მნიშვნელოვანია ევროპული კავშირის ქვეყნებში ელექტრონული ვაჭრობის უნიფიკაციის საკითხიც. მიღებულ იქნა დირექტივები „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (242), ასევე დირექტივა „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ (243). მოდელური კანონებისა და მითითებული დირექტივების ძირითადი დებულებების საფუძველზე მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ მიიღო ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული ხელმოწერების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

„ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-2 თავი ელექტრონულ ხელმოწერას განმარტავს, როგორც მონაცემთა გზავნილში არსებულ ელექტრონულ მონაცემებს, რომლებიც მიზნულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია მასთან და რომლებშიც შეიძლება გამოყენებული იქნას, ხელმოწერის მონაცემთა გზავნილთან კავშირის მიზნით, ხელმოწერის იდენტიფიცირებისთვის და მიუთითებს ხელმოწერის თანხმობას იმ ინფორმაციაზე, რაც განთავსებულია მონაცემთა გზავნილში (236).

ელექტრონული ხელმოწერის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომები გამოიკვეთა ელექტრონულ ვაჭრობაში მომუშავე ჯგუფის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ელექტრონული შეტყობინებების გამოყენების შესახებ კონვენციის პროექტის დამუშავებისას. კომისიამ უარი თქვა შეთავაზებაზე ხელშეკრულების ნამდვილობა ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით განესაზღვრა, რადგანაც სამართლებრივი სისტემების დიდ ნაწილში არ არსებობს საერთო მოთხოვნები ხელმოწერასთან დაკავშირებით, ყველა ტიპის ხელშეკრულების ნამდვილობის პირობების ნაწილში (238, 32).

ელექტრონული ხელმოწერის ცნება ნახსენები იყო „ელექტრონული ხელმოწერებისათვის საზოგადოებათა სამართლებრივი საფუძვლების“ შესახებ 1999 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამე-

ნტისა და საბჭოს 1999.93.EC დირექტივაში (შემდგომში – ევრო-პარლამენტის დირექტივა „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“) (241), რომლის თანახმადაც ელექტრონული ხელმოწერა – არის ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი მონაცემები, რაც უერთდება ან ლოგიკურად ასოცირდება სხვა ელექტრონულ მონაცემებთან და ემსახურება მისი ნამდვილობის დადგენას. მითითებული დირექტივა არ იზღუდება ელექტრონული ხელმოწერის მხოლოდ ამ განსაზღვრებით და გვთავაზობს ასევე გამოყენებულ იქნას ელექტრონული ციფრული ხელმოწერის კვალიფიცირებული ფორმა – გაფართოებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ნიშნავს ელექტრონულ ხელმოწერას, რაც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- (ა) უნიკალურად უკავშირდება ხელმოწერ პირს.
- (ბ) საკმარისია ხელმოწერის იდენტიფიცირებისათვის.
- (გ) იქმნება იმ საშუალებათა გამოყენებით, რაც ხელმოწერ პირს შეუძლია აკონტროლოს.
- (დ) უკავშირდება მონაცემებს, რომელსაც ის განეკუთვნება, ისე, რომ ნებისმიერი შემდეგი ცვლილება მონაცემებში აღმოჩენილ იქნება (75, 34).

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1997 წელს მიღებული საერთაშორისო ვაჭრობის ციფრული საშუალებით დამონების ნესებში (75, 35) გამოიყენება ტერმინი ციფრული ხელმოწერა, რაც გულისხმობს შეტყობინების ასიმეტრიული კრიპტოსისტემით გარდაქმნას ისე, რომ პირს, რომელიც ფლობს სანდო შეტყობინებას და ღია გასაღებს შეუძლია ზუსტად დაადგინოს:

- (ა) იყო თუ არა გარდაქმნა დახურული გასაღების გამოყენების შედეგი, რაც შეესაბამება ხელმოწერი პირის ღია გასაღებს, და (ბ) იყო თუ არა ხელმოწერილი შეტყობინება შეცვლილი გარდაქმნის მომენტიდან (75, 35).

2002 წლის აშშ-ს კანონი „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ საერთაშორისო და ეროვნულ კომერციულ მიმოქცევაში“ (მოცემული კანონი ხელმოწერილია აშშ-ს პრეზიდენტის ბილ კლინტონ-

ნის მიერ მისი საკუთარი ხელმოწერის ელექტრონული ასლის დახმარებით, რაც მან დააფიქსირა კომპიუტერულ გრაფიკულ პლანშეტზე), მოიცავს ელექტრონული ხელმოწერის შემდეგ განსაზღვრებას: „ელექტრონული ბგერა, სიმბოლო თუ პროცესი, მიერთებული ან ლოგიკურად დაკავშირებული ხელშეკრულებასთან ან სხვა დოკუმენტთან (ჩანაწერთან) და განხორციელებული ან მიღებული პირის მიერ, დოკუმენტზე (ჩანაწერზე) ხელის მოწერის მიზნით“ (75, 36).

დიდი ბრიტანეთის 2000 წლის 25 მაისის კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, ელექტრონული ხელმოწერა იშიფრება როგორც ელექტრონული ფორმის სახეობა, რომელიც შედგენილია ან სხვა საშუალებით არის ლოგიკურად ასოცირებული ნებისმიერ ელექტრონულ მონაცემებთან, მონაცემთა ნამდვილობის დადგენის, მათი მთლიანობის მიზნით ან ორივე ასპექტის ერთად გასათვალისწინებლად (75, 36).

სხვადასხვა განმარტებების გათვალისწინებით ზოგიერთი ცივილისტი ტერმინებს „ელექტრონული ციფრული ხელმოწერა“ და „ელექტრონული ხელმოწერა“ ერთმანეთთან აიგივებს (77, 43).

განმარტება, რომ **ელექტრონული ციფრული ხელმოწერა წარმოადგენს ელექტრონული დოკუმენტის რეკვიზიტს**, საერთოა დსთ-ს ქვეყნების (ყირგიზეთის გარდა) ელექტრონული ხელმოწერების შესახებ კანონებში (77, 50). აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ელექტრონული ციფრული ხელმოწერა არ შედის თვით დოკუმენტის შემადგენლობაში, ხოლო შეტყობინების ტექსტი იშიფრება გამგზავნის დახურული გასაღებით, და მიღებული სიმბოლოების ჯაჭვი მაგრდება დოკუმენტზე. მიმღები, გამგზავნის ღია გასაღების საშუალებით შიფრავს ხელმოწერას და ადარებს მას ტექსტთან (70, 184).

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ელექტრონული დოკუმენტის დაცვის ორი ძირითადი წესი: **ტექნოლოგიურად ნეიტრალური და ტექნოლოგიურად ორიენტირებული**. პირველი გამოიხატება დოკუმენტის დაცვის ერთიან საკანონმდებლო დონეზე გამყარებული ტექნოლოგიის არარსებობაში. შესაბამისად, ტექ-

ნოლოგიურად ორიენტირებული წესი ლეგალურად აფიქსირებს მხოლოდ ერთ ტექნოლოგიას, რომელიც გამოიყენება ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაში. აღნიშნული წესი ასახულია 2001 წლის მოდელურ კანონში ელექტრონული ხელმოწერების შესახებ. სწორედ აღნიშნული წესის რეალიზების მიზნით 2001 მოდელურ კანონში ელექტრონული ხელმოწერების შესახებ გამოყენებულია ტერმინი „ელექტრონული ხელმოწერა“ (236, მუხლი 3).

„ტექნიკური პროგრესისა და ინტერნეტის სწრაფი გავრცელების გათვალისწინებით აუცილებელია ტექნიკურ თვალსაზრისით ელასტიური სამართლებრივი კონსტრუქციების შექმნა, რომლებიც აქცენტს ფუნქციურ ელემენტზე გააკეთებს და არ შეიზღუდება ერთი ან რამდენიმე აპრიორი დადგენილი კონკრეტული ტექნოლოგიის ინკორპორაციით, რითაც ამავედროულად შესაბამისობაში იქნება ტექნიკური ნეიტრალურობის პრინციპთან (36, 2). თუმცა ელექტრონული ხელმოწერის მხოლოდ ტექნიკური ნეიტრალურობის პრინციპზე დამყარებას თავისი საზღვრები გააჩნია. რიგ შემთხვევაში ტექნიკური ნიუანსები თუ კონცეფციები გარკვეულ სამართლებრივ მნიშვნელობას იძენენ. ელექტრონული ხელმოწერების იურიდიული თვალსაზრისით კლასიფიკაცია ტექნიკური გამართულობისა და უსაფრთხოების ხარისხის კრიტერიუმებს ემყარება“ (36, 2).

მოდელურ კანონში საზგასმულია ელექტრონული ხელმოწერის ორი ძირითადი ფუნქცია:

1. ის ადგენს შეტყობინების ავტორს და
2. ადასტურებს მის ნებას და ნების გამოვლენას. ტექნოლოგიურად ნეიტრალური პრინციპი მიღებულია მრავალი ქვეყნის მიერ, რომლის მიხედვით მართლზომიერად ითვლება ნებისმიერი ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის სისწორესა და სანდოობას. ტექნოლოგიურად ნეიტრალური წესი, მხოლოდ ძირითადი მოთხოვნების ფორმულირებას ახდენს და იძლევა ახალი საშუალებების გამოყენების საშუალებას კანონმდებლობის არსებითი დამატებითი ცვლილებების გარეშე (62, 66).

საქართველოს კანონის „ელექტრონული კომუნიკაციის“ შესახებ 2.3²⁶ მუხლით ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპი განმარტებულია როგორც პრინციპი, რომლის მიხედვითაც მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეს და არა ამ მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებულ ტექნოლოგიებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ხელმოწერისა და მისი რეჟიმის მკაფიოდ განსაზღვრული ტექნოლოგიების არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლის არაკეთილსინდისიერი სუბიექტების მხრიდან მისი ბოროტად გამოყენება.

ტექნოლოგიურად ორიენტირებული მიდგომა ხელმოწერას აკავშირებს ერთ ტექნოლოგიასთან. ხშირად ასეთი ტექნოლოგია ციფრულია. ხელმოწერის ასეთი ტექნოლოგია XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარდა (მაგალითად, იუტას შტატის 1995 წლის კანონი „ციფრული ხელმოწერის შესახებ“, 1997 წლის 26 მარტის მალაიზიის კანონი „ციფრული ხელმოწერის შესახებ“, 1999 წლის 5 თებერვლის კორეის კანონი „ციფრული ხელმოწერის შესახებ“ (77, 716; 77, 758; 77, 854)). რუსეთის ფედერალური კანონი „ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ“, ელექტრონულ ციფრულ ხელმოწერას განსაზღვრავს როგორც ელექტრონული დოკუმენტის რეკვიზიტს, რომელიც განკუთვნილია მოცემული ელექტრონული დოკუმენტის დასაცავად გაყალბებისგან. ის მოპოვებულია ინფორმაციის კრიპტოგრაფიული გარდაქმნის შედეგად, ელექტრონული ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების გამოყენებით და ხელმოწერის გასაღების სერტიფიკატის მფლობელის იდენტიფიცირებისა და ელექტრონულ დოკუმენტში ინფორმაციის უცვლელობის საშუალებას იძლევა (მუხლი 3).

დსთ-ს ქვეყნების შესაბამის კანონებში ძირითადად ტექნოლოგიურად ორიენტირებული პრინციპია ფორმულირებული (62, 67).

ტექნოლოგიურად ორიენტირებული პრინციპი გულისხმობს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ტექნოლოგიების გამოყენე-

ბას, რაც ამცირებს ელექტრონული კომერციის განვითარების შესაძლებლობას. ამ პრინციპის უარყოფილი თვისებები აღიარებულია მრავალი იურიისტის მიერ (161, 73); (171, 29).

როგორ უკვე აღინიშნა, ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის ერთ-ერთი ფუნქციაა ელექტრონულად დადებულ ხელშეკრულებას მიენიჭოს იურიდიული და მტკიცებულებითი ძალა. მაგრამ ნათელია, რომ სიმბოლოების ნებისმიერ სისტემა არ დააკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერა, რომ სასამართლოებმა შეძლონ ელექტრონული დოკუმენტის როგორც მტკიცებულების გამოყენება?

ამგვარი პირობების უფრო ზუსტად აღწერისათვის შემოთავაზებულია ტერმინის „ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის დაშვების სამართლებრივი კრიტერიუმები“ შემოღება. ესაა პირობების ერთობლიობა, რომელიც ახლავს ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის გამოყენებას ელექტრონული კომერციის ფარგლებში, და რომლის წყალობითაც თვითონ ელექტრონულ (ციფრულ) ხელმოწერასა და მისით ხელმოწერილ დოკუმენტს ენიჭება იურიდიული და მტკიცებულებითი ძალა (62, 67).

3.2. ელექტრონული ხელმოწერის ტექნოლოგიები:

წლების მანძილზე განვითარდა ელექტრონული ხელმოწერის არაერთი ტექნოლოგია. თითოეული ტექნოლოგია მიზნად ისახავს სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და განსხვავებული უსაფრთხოების დონის მიწოდებას. ელექტრონული აუთენტიფიკაციის ბმომღების ცოდნაზე დაფუძნებული (მაგალითად, პასპორტის ნომერი, პიროვნების საიდენტიფიკაციო ნომრები), მომხმარებლის ფიზიკურ მახასიათებელზე დაფუძნებული (მაგალითად, ბიომეტრიული) და მომხმარებლის მიერ გარკვეული ნივთის ფლობაზე (კოდი ან სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც დატანილია მაგნიტურ ბარათზე). მეოთხე კატეგორიად შეიძლება ჩაითვალოს აუთენტიფიკაციისა და ხელმოწერის სხვადასხვა მეთოდები, რომელიც არ ჯდება არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ კა-

ტეგორიაში და რომელიც შესაძლოა ასევე იქნეს გამოყენებული ხელმოწერის ავტორის მისათითებლად (მაგალითად, ფაქსიმილე, რომელიც ასახავს ხელით შესრულებულ ხელმოწერას, ან ელექტრონული შეტყობინების ბოლოში ბეჭდური სახით მითითებული სახელი და გვარი) (239).

ხელმოწერისა და აუთენტიფიკაციის 4 ძირითადი მეთოდია: ციფრული ხელმოწერები, ბიომეტრიული მეთოდი, პაროლები და ჰიბრიდული მეთოდები, სკანირებული ან ბეჭდური სახით შესრულებული ხელმოწერები, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს (239):

1. ციფრული ხელმოწერა ფაქტობრივად წარმოადგენს აპლიკაციას, რომელიც ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის გამოყენებით (ასევე ეწოდება საჯარო გასაღების კოდირების სისტემა) უზრუნველყოფს ელექტრონული შეტყობინების აუთენტიფიკაციასა და მთლიანობას. დღესდღეობით ციფრული ხელმოწერის სხვადასხვა სახე გამოიყენება, როგორებიცაა: ფაილ სტოპ ციფრული ხელმოწერა, ბრმა ხელმოწერები და უდავო ხელმოწერები;
2. ბიომეტრიული მეთოდი ამოსაცნობად იყენებს პიროვნების ისეთ არსებით ქცევებსა და მახასიათებლებს, როგორებიცაა: დნმ, თვალის ფერადი გარსი, ბადურა, ხელისა და სახის აგებულება, სახის თერმოგრამა, ყურის ფორმა, ტანის სუნი, ხელმოწერა თუ სიარულის მანერა;
3. პაროლები და კოდები გამოიყენება ინფორმაციაზე ან სერვისზე წვდომის გასაკონტროლებლად და ელექტრონული კომუნიკაციის დროს „ხელმოსაწერად“. დღესდღეობით მათი გამოყენება გაცილებით ხშირია, ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა პაროლი და კოდია. მათ გამოიყენებენ მრავალი ტიპის ტრანზაქციის დროს, მათ შორის ინტერნეტ-ბანკინგისა თუ ნაღდი ფულის გაცემის დროს ე.წ. ბანკომატებთან და საკრედიტო ბარათებთან;
4. სკანირებული და ბეჭდური სახით შესრულებული ხელმოწერები.

„კერძო სამართლის სექტორში ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი მოწესრიგებისას დავა წარმოებდა იმის თაობაზე, თუ როგორ გავლენას მოახდენდა ახალი ტექნოლოგიები კანონების შესრულებაზე. ტექნოლოგიებზე ამგვარმა ყურადღებამ, იქნებოდა ეს ნებით თუ უნებლიეთ, გამოიწვია ის, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები დაიხვეწა, რათა უსაფრთხოების უფრო მაღალი მასშტაბები შემოეთავაზებინა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრავალი ბიზნეს სუბიექტი ჯერ კიდევ არ იყენებს ელექტრონული ხელმოწერის არც ერთ ფორმას“ (145, 212).

სამართლებრივი და ტექნოლოგიური შეუსაბამობა არის ის ორი ძირითადი სირთულე, რომელიც სახელმწიფოთაშორის ელექტრონული ხელმოწერისა და აუთენტიფიკაციის მეთოდების გამოყენებისას იკვეთება, კერძოდ კი იმ ვითარებაში, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივად ნამდვილი ხელმოწერის ჩანაცვლებას. ტექნიკური შეუსაბამობა გავლენას ახდენს აუთენტიფიკაციის სისტემების ფუნქციონალური თავსებადობის მიღწევისას. ძირითადი სამართლებრივი შეუსაბამობა თავს იჩენს მაშინ, როცა სხვადასხვა ქვეყნის სამართალს სხვადასხვა მოთხოვნები და პირობები აქვთ ელექტრონული ხელმოწერების სინამდვილესა და კანონიერებასთან (239).

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნებისმიერი ელექტრონული ხელმოწერა არ არის პირადი ხელმოწერის ტოლფასი. მაგალითად, ინტერნეტსივრცეში არსებობს უამრავი ვებ-გვერდი და აპლიკაცია, სადაც შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერის დამზადება, რომელიც დოკუმენტებზე მისაბმელად გამოიყენება, თუმცა ქართული კანონმდებლობით მხოლოდ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა (230, მუხლი 3.1.). „ამავე კანონის მიხედვით კი, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა აუცილებლად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული. ეს კი გამორიცხავს სხვა ნებისმიერ ისეთ ხელმოწერას, რომელიც სპეციალური სერტიფიკატის საფუძველზე არაა შესრულებული“ (142, 130). „საქართველოში ელექტრონულ ხელმოწერას წერილობითი დოკუმენტის გასაფო-

რმებლად მხოლოდ ორ შემთხვევაში იყენებენ: საბანკო მიმართულებით და ID ბარათით ციფრული ხელმოწერის პორტალის გამოყენებით“ (8, 31).

„საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრული საბანკო ოპერაციებისთვის და კონკრეტული მოცულობის თანხის ფარგლებში. დღეისათვის ბანკები ელექტრონულ ხელმოწერას მხოლოდ მომხმარებელთან პირისპირ მომსახურების განხორციელებისას იყენებენ. ვებგვერდი დისტანციური სივრცეა, ამდენად, ელექტრონული ხელმოწერა აქვერ იქნება გამოყენებული, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებლად ბანკის ტერიტორიაზე სრულდება, მომხმარებელთან საბანკო მომსახურების პირისპირ განევის დროს. რაც შეეხება მეორე მიმართულებას – ID ბარათით ციფრული ხელმოწერის პორტალის გამოყენებას, აქ ხელმოწერის განხორციელება სახლიდან, საკუთარი კომპიუტერით ანუ დისტანციურადაა შესაძლებელი. ზემოხსენებულ პორტალში მომხმარებელი ხელმოსაწერად ტვირთავს სასურველ დოკუმენტს და მეორე მხარეს უზიარებს. ამისათვის კი აუცილებელია მეორე მხარესაც ანალოგიურად ჰქონდეს რეგისტრაცია ციფრული ხელმოწერის პორტალზე გავლილი. ეს კი, რა თქმა უნდა, პრობლემაა, რადგან ამ პროცესისთვის მომხმარებელს ესაჭიროება ID ბარათის სპეციალური წამკითხველი და კომპიუტერში საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა“ (8, 32).

„ამ პრინციპით, ელექტრონული ხელმოწერა, რა თქმა უნდა, ასრულებს გარიგების წერილობითი ფორმის ფუნქციებს, მაგრამ საკითხავია, რამდენად ხშირად გამოიყენება ხელშეკრულებების გასაფორმებლად ციფრული ხელმოწერის პორტალი. უდავოა, რომ ID ბარათი უფუნქციოა იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ასევე ხელშეკრულებების გასაფორმებლად ქართული ვებგვერდების აბსოლუტური უმრავლესობა არ იყენებს ID ბარათით იდენტიფიკაციის ფუნქციას, მათ შორის, არც ინტერნეტ ბანკები“ (8, 32). „ასევე იმ პირობებში, როდესაც ვებგვერდზე გარიგებების დადება სწრაფ და მოქნილ პროცესთანაა დაკავშირებული, მომხმარებლისთვის სპეციალური წამკითხველებისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაინსტალირება

გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. ამავდროულად, შეუძლებელია ციფრული ხელმოწერის პორტალის გამოყენება მობილურ ტელეფონში, მაშინ, როდესაც ვებგვერდზე ხელშეკრულების გაფორმება ნებისმიერი, ინტერნეტთან დაკავშირებული მონყობილობითაა ხელმისაწვდომი“ (37, 45).

3.3. ფუნქციური ეკვივალენტის პრინციპი

„UNCITRAL-ის მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ მთლიანად ეფუძნება ე.წ. **ფუნქციური ეკვივალენტის პრინციპს**. ეს ნიშნავს, რომ, თუ, ნაციონალური კანონმდებლობის თანახმად, გარიგების დადების და შესრულების პროცესში ქმედებები უნდა აისახოს წერილობითი ფორმით ან წერილობითი დოკუმენტის გამოყენებით, ეს მოთხოვნა ითვლება შესრულებულად მაშინ, როცა მითითებული ქმედებები ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ელექტრონული შეტყობინების საშუალებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. ცხადია, ელექტრონული გარიგების დადებაზე გადანაცვეტილებას მხარეები თავად იღებენ. სწორედ ამიტომ, მოდელური კანონით დადგინდა ელექტრონული ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრინციპი: **მხარეებს, რომლებმაც დადეს გარიგება, უფლება არა აქვთ, ეჭვის ქვეშ დააყენონ მისი ნამდვილობა და სავალდებულობა მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის დადებული და ხელმოწერილია ელექტრონული საშუალებით. ინფორმაციას არ შეიძლება წაერთვას იურიდიული ძალა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მონაცემთა ელექტრონული შეტყობინების ფორმა აქვს. აღნიშნულს პირობითად ტექნოლოგიური არადისკრიმინაციის პრინციპსაც უწოდებენ, რისი მიზანიც მონაცემთა ელექტრონული შეტყობინებისა და ქალაქის დოკუმენტების მიმართ თანასწორი რეჟიმის უზრუნველყოფაა.“ (142, 116) „ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება სრულად პასუხობს გარიგების მარტივი წერილობითი ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ: ელექტრონული ვაჭრობისას გარიგება იდება დოკუმენტების ელექტრონული საშუალებით გაცვლის შედეგად, რაც იძლევა იმის დანამდვილებით**

დადგენის საშუალებას, რომ გამოვლენილი ნება ხელშეკრულების მხარისაგან მომდინარეობს; ასეთი დოკუმენტები არსებობს ელექტრონული ჩანაწერის სახით. ელექტრონულ დოკუმენტს ხელს აწერს ხელშეკრულების მხარე ან მის მიერ სათანადო წესით უფლებამოსილი პირი; ელექტრონული ვაჭრობისას გარიგების ხელმოსაწერად გამოიყენება ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა ან პირადი ხელმოწერის სხვა ანალოგი“ (142, 116).

3.4. ელექტრონული ხელმოწერა, როგორც პირის იზივობის ინსტრუმენტი

ელექტრონული ფორმით დასაბუთებული ხელშეკრულების მონაწილეები მათთვის საჭირო ინფორმაციას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით იღებენ. ასეთ შემთხვევაში უნდა დამოწმდეს ინფორმაციის გარკვეული პირისათვის კუთვნილების ფაქტი. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირის დადგენას. ეს სავალდებულო პირობაა. ტრადიციული ხელშეკრულების ხელმოწერისას უფლებამოსილი პირის დადგენა ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით, მინდობილობის, იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტების წარმოდგენით (62, 63).

„ელექტრონული დოკუმენტით ნების გამომვლენმა არა მარტო საკუთარი სახელი უნდა მიუთითოს, არამედ დოკუმენტს უნდა დაურთოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა“ (9); (8, 26).

ქართული კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ დოკუმენტი წერილობითი ფორმის მიზნებისთვის არსებობდეს ელექტრონულადაც. ამ შემთხვევაში, აუცილებელია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის არსებობა, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, წერილობითი ფორმისთვის მთავარი მომენტი ხელმოწერის არსებობაა, სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს კიდევ წერილობითი ფორმის არსებობა-არარსებობის საკითხს. გერმანიის სამოქალაქ-

ლაქო კოდექსი პირდაპირ არეგულირებს ელექტრონულ ფორმას, როგორც წერილობითი ფორმის ქვესახეობას. §126ა პარაგრაფის მიხედვით, დოკუმენტის შემდგენელმა თავის განცხადებას უნდა დაუსვას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ კანონის §2-ის №2-ისა და №3-ის მიხედვით (24, 54).

ელექტრონული კავშირის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია სარწმუნოდ დადგინდეს, რომ დოკუმენტი მომდინარეობს ხელშეკრულების მხარისაგან. ხელშეკრულებაში გამოხატული ნების და ნების გამოვლენის შესაბამისობის მიღწევისათვის საჭიროა, რომ მისი რეკვიზიტები არა მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის არამედ, ასევე, მისი შემდგენლის (მფლობელის, წარმდგენის) პირადობის იდენტიფიცირებას ახდენდნენ (62, 63). პრაქტიკაში ჩვეულებრივი ხელშეკრულების მხარეებს გააჩნიათ ან უშუალო ან არაპირდაპირი, მაგრამ აუცილებლად მატერიალური კონტაქტი. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებისას კი „მხარეებს არა აქვთ მატერიალური კონტაქტი და დაშორებულნი არიან, როგორც სივრცეში, ასევე, დროში“ (167, 94).

სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, „ხელმოწერა უნდა განხორციელდეს გარიგებისათვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე (კონტრაქტზე) საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმოწერის სახელი და გვარი გარკვევით, წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაქტი ნამდვილი არ არის“ (263). „სწორედ ამიტომ, პრაქტიკაში (მაგ., ბანკები), ხშირ შემთხვევაში ითხოვენ მხარეებისგან, რომ მათ გარკვევით მოაწერონ ხელი დოკუმენტს, რათა ხელმოწერის ვინაობა დადგენადი იყოს. როგორც წესი, ამ დროს საკმარისია გვარის მითითება, მხოლოდ სახელის მონერით ვერ სრულდება ხელმოწერის ფორმის წინაპირობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი ფსევდონიმით ან რაიმე კონკრეტული სახელითაა ცნობილი. მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, რამდენად „გაკრული ხელით“ არის ხელი მოწერილი, მთავარია, ხელმოწერა მთლიანობაში იძლეოდეს ხელმოწერის იდენტიფიცირების საშუალებას“ (9, gccc.ge, მუხლი 69).

ხელშეკრულების დამდები პირის იდენტიფიცირებისას უნდა გაირკვეს უფლებამოსილია თუ არა ის იმოქმედოს იურიდიული პირის ან მოქალაქის სახელით. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ფარგლებში პირადი ხელმონერის ანალოგები კისრულობენ ჩვეულებრივი ხელმონერის ფუნქციას და მათი შესრულება უმნიშვნელოვანესია კონტრაქტის იდენტიფიკაციისთვის. რუსულ დოქტრინაში არსებული მოსაზრებით ელექტრონული ციფრული ხელმონერის აღიარება პირადი ხელმონერის ტოლფასად იურიდიულ ფიქციას წარმოადგენს (164, 4). ხოლო ა.ვ. ტკაჩოვის აზრით, ელექტრონული ციფრული ხელმონერა თეორიულადაც კი არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ადამიანის პირადი ხელმონერის ანალოგი (73, 43).

როგორც რ.ო. ხალიკოვი აღნიშნავს „ელექტრონული ციფრული ხელმონერა არ შეიძლება არსებობდეს ელექტრონული დოკუმენტის ან ელექტრონული ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად“ (75, 9). როგორც ფიზიკური ხელმონერის ანალოგს მას გააჩნია ორი ძირითადი თვისება:

ა. მისი კვლავწარმოება ხდება მხოლოდ ერთი პირის, ხოლო ნამდვილობა შეიძლება დადასტურდეს მრავალი პირის მიერ.

ბ. ის განუყოფლად დაკავშირებულია მხოლოდ კონკრეტულ დოკუმენტთან (154, 12).

ეს თვისებები უზრუნველყოფენ ელექტრონული (ციფრული) ხელმონერის მიერ პირადი ხელმონერის ფუნქციის შესრულების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ელექტრონული დოკუმენტის ანალოგიით ფუნქციონალურ – ეკვივალენტური პრინციპის გამოყენება (62, 65).

იდენტიფიცირების პროცედურა არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც სრულდება კომპიუტერის ან ქსელის მომხმარებლის ვინაობის შემოწმება ან რომელიც ფაქტიურად ადასტურებს, რომ მომხმარებელი არის ზუსტად ის ადამიანი, რომლადაც ასაღებს თავს (77, 39). ა.პ. ფილიპოვი იძლევა ელექტრონული ციფრული ხელმონერის განსაზღვრებას, როგორც ელექტრონული დოკუმენტების ავტორის ნამდვილობის დადასტურების საშუალებას, ღია

და დახურული გასაღების დახმარებით (57, 106). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია 1987 წელს ფულადი საშუალებების ელექტრონული გადარიცხვების თაობაზე, აუთენტიფიკაციას განმარტავს, როგორც იდენტიფიცირებას ფიზიკური, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, რაც მიმღებს საშუალებას აძლევს დაადგინოს ფაქტი, რომ შეტყობინება მომდინარეობს მოცემული წყაროსგან (77, 160).

გამოყოფენ იდენტიფიცირების კლასიფიკაციის სხვადასხვა საფუძვლებს: ოფიციალურს და არა ოფიციალურს. პირველი, ჩვეულებრივ შემოიფარგლება კანონით ან სამართლებრივი აქტით (მაგალითად, უძრავი ქონების გარიგებების გაფორმებისას, ნებართვების/ლიცენზიების აღებისას სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან). არაოფიციალური იდენტიფიცირების დროს, მხარეები დამოუკიდებლად, სახელშეკრულებო ურთიერთობების ჩარჩოებში განსაზღვრავენ ავტორის განსაზღვრის პროცედურას. უმეტეს შემთხვევებში, გასაღების სერთიფიკატის მფლობელის იდენტიფიცირება ხორციელდება არაოფიციალურად, თუმცაღა ამჟამად ადგილი აქვს ოფიციალურ იდენტიფიცირებას ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გამოყენების ნაწილში (მაგალითად, ელექტრონული ფოსტით საგადასახადო დეკლარაციის წარდგენისას, რომელზედაც დასმულია ელექტრონული ციფრული ხელმოწერა ან ბანკების მხრიდან ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენებით საგადასახადო ორგანოების ინფორმირება იურიდიული პირების მიერ საანგარიშსწორებო ანგარიშების გახსნის თაობაზე).

იდენტიფიცირების კლასიფიკაციის მეორე ნიშანი – ავტორის მატერიალური ან პიროვნული ნიშანია. პიროვნული ნიშნის დროს იდენტიფიცირება ხდება დოკუმენტის ავტორის ბიომეტრიული მახასიათებლების საფუძველზე. იდენტიფიცირება ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გამოყენებით განეკუთვნება იდენტიფიცირებას მატერიალური ნიშნით, ანუ მისი საშუალებით გამოიყოფა კონკრეტული საგანი, პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ეკუთვნის მომხმარებელს (ხელმოწერის გასაღები, სმარტ-ბარათი) (77, 40-41).

3.5. ელექტრონული ხელმოწერა-გაცალბებისაგან დაცვისა და კონფიდენციალობის გარანტი

ელექტრონული ციფრული ხელმოწერა, თავისი არსით წარმოადგენს კოდს, რომელიც იქმნება კრიპტოგრაფიული საშუალებების დახმარებით. ელექტრონული ციფრული ხელმოწერის კოდირების ასეთი საშუალებების გამოყენების წყალობით, დოკუმენტი საკმაოდ კარგად არის დაცული გაცალბებისგან და უზრუნველყოფს დამახინჯებისა და ცვლილებების შეტანის გარეშე ელექტრონული დოკუმენტის დაცვის მაღალ დონეს.

ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გენერირებისას გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტის ან შეტყობინების ჰეშირების ფუნქციის გამოთვლის მათემატიკური ალგორითმი. ჰეშირების ფუნქცია ნებისმიერი ზომის დოკუმენტს გადააქცევს სიმბოლოების საბოლოო, ჩვეულებრივ თანმიმდევრობად, რაც თან ერთვის ორიგინალს. ამჟამად, ტერმინი ელექტრონული ხელმოწერა დოკუმენტების მთლიანობის მოცემული ნამდვილობის მეთოდისათვის, არ გამოიყენება. უფრო ხშირად გამოიყენებენ ტერმინებს „ნაძერწი“, „კორექტურა“, „დაიჯესტი“. ძალიან კარგად ესადაგება ასევე ტერმინი „ელექტრონული ბეჭედი“ (167, 26). თითოეული დოკუმენტის ჰეშირების მნიშვნელობა უნიკალურია და დოკუმენტში სულ მცირეოდენი ცვლილების შეტანისას (თუნდაც ერთი მძიმეც კი რომ შეიცვალოს), შეიცვლება მისი ჰეშირების მნიშვნელობა. ამგვარად, დოკუმენტის მიმღებს შეუძლია გამგზავნის ღია გასაღების დახმარებით გაშიფროს ჰეშირების მნიშვნელობა, მითითებული გამგზავნის მიერ და შეადაროს ის მიღებული დოკუმენტის მის ფაქტიურ ჰეშირების მნიშვნელობას. თუკი ისინი ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ ეს იქნება გარანტი იმისა, რომ დოკუმენტი ხელმოწერილი იყო ზუსტად მოცემული დახურული გასაღების მფლობელის მიერ და, რომ დოკუმენტის გადაგზავნის პროცესში მასში შეტანილი არ იყო ცვლილებები (54, 17).

ელექტრონული ციფრული ხელმოწერა წარმოადგენს კრიპტოგრაფიული გარდაქმნის შედეგს.

კრიპტოგრაფიის განსაზღვრება ეფუძნება სიტყვის – „კრიპტოგრაფია“ – მნიშვნელობას. კრიპტოგრაფიის განსაზღვრება მოცე-

მულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მოდელური კანონის მიღების რეგულაციაში: კრიპტოგრაფია წარმოადგენს გამოყენებითი მათემატიკის დარგს, რაც იძლევა საშუალებას შეტყობინებები გარდაიქმნას გაურკვეველ ფორმებში და დაბრუნდეს უკან სანყის ფორმაში. ტერმინი „ასიმეტრიული კრიპტოსისტემა“ განიმარტება საერთო უნარ-ჩვევებში, ციფრული საშუალებით დამონმებისათვის. ასიმეტრიული კრიპტოსისტემა, ასევე ხშირად განსაზღვრული როგორც „კრიპტოსისტემა ღია გასაღებით“ არის ინფორმაციული სისტემა, რომელიც იყენებს ალგორითმს ან მთელ რიგ ალგორითმებს, რომლებიც უზრუნველყოფს კრიპტოგრაფიული გასაღებების წყვილს, რაც შედგება დახურული გასაღებისა და მისთვის შესაბამისი ღია გასაღებისგან. (54, 17).

გასაღების წყვილს აქვს ისეთი თვისებები, რომ:

ღია გასაღებით მტკიცდება ციფრული ხელმოწერის სისწორე, რაც იქმნება დახურული გასაღების გამოყენებით, და ფიზიკურად შეუძლებელია გამორიცხვების გზით გამოვყოთ ან შევქმნათ დახურული გასაღები ღია გასაღებისგან. ამდენად, ღია გასაღები შეიძლება გაიხსნას დახურული გასაღების გახმაურების სერიოზული რისკის გარეშე. (54, 17).

ხელმოწერის უსაფრთხოება და გაყალბებისგან დაცვა კანონის შესაბამისი ნორმებითაცაა უზრუნველყოფილი. კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ უსაფრთხო სისტემები, საშუალებები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიერ მიწოდებული მომსახურების საიმედოობას და დაცული მონაცემების მთლიანობას, მონაცემთა ავთენტიკურობის შემონმებას და გაყალბებისა და არასანქციონირებული გამოყენებისგან დაცვას. მონაცემთა შექმნა და ცვლილება მხოლოდ კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ ავტორიზებული პირებისთვისაა დასაშვები. (ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ კანონის 5.2.დ. მუხლი)

კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი ასევე, ვალდებულია საზედამხედველო ორგანოს არაუგვიანეს 24 საათისა აცნობოს საკუთარი სისტემების უსაფრთხოების ან მონაცემთა მთლიანობის დარღვევის თაობაზე ან სხვა მოვლენის შესახებ, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ამ კანონითა და ტექნიკური რეგლამენტით მისთვის განსაზღვრული საქმიანობის წარმართვას. (ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ კანონის 5.6. მუხლი)

3.6. ელექტრონული ხელმოწერა სხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და საერთაშორისო აქტებში

საერთაშორისო სამართალი და სხვა ქვეყნების კანონმდებლობა ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გამოყენების რეგულირების სფეროში აქტიურად ვითარდებოდა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შუა პერიოდთან.

1995 წლის მარტში ამერიკის იურისტთა ასოციაციამ შეიმუშავა სავაჭრო პარტნიორებს შორის მონაცემების ელექტრონულად გაცვლის თაობაზე მოდელური ხელშეკრულება (62.28).

„მონაცემების ელექტრონული გზით გაცვლის თაობაზე“ შეთანხმებაში გამოყოფილია სამი ძირითადი იურიდიული მიზანი, კერძოდ:

- (ა) გამარტივდეს, განიმარტოს და გათანამედროვდეს სავაჭრო გარიგების რეგლამენტირების სამართლებრივი მექანიზმი;
- (ბ) აღიარებულ იქნას ელექტრონულად განხორციელებული გარიგებების იურიდიული ძალა. უზრუნველყოფილ იქნას მათი სამართლებრივი აღიარება, მათ შორის სასამართლოში.
- (გ) ხელი შეეწყოს სავაჭრო პრაქტიკის შემდგომ გაფართოვებას მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე (171, 28).

საერთაშორისო აქტების ავტორები მიუთითებენ, რომ ელექტრონული შეთანხმებების რეგულირების ნაწილში სამართლებ-

რივი ბაზის განვითარებისათვის არ არის საჭირო არსებულ კონვენციებში შესწორებების შეტანა, რომლებიც ვრცელდება არა მხოლოდ ტრადიციული გზით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, არამედ ელექტრონულ ხელშეკრულებებზეც (მაგალითად, გაერთიანებული ერების კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ, ვენა, 1980 წლის 11 აპრილი) (62.28).

„წერილობითი ფორმით“ კონვენციის მიზნებისათვის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენციის მე-13-ე მუხლის თანახმად, ითვლება ასევე შეტყობინებები ტელეგრაფისა და ტელეტაიპის მეშვეობით. გასათვალისწინებელია, რომ კონვენციის ეს მითითება ატარებს ტერმინოლოგიურ განმარტებას ელექტრონულად ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებების სხვა სახეობებისათვის, რაც იძლევა საშუალებას დარწმუნებით დადგინდეს, რომ დოკუმენტი მომდინარეობს ხელშეკრულების მხარისგან. არსებობს ამ მიდგომის ორი საფუძველი. პირველი, არა კონვენციით, არამედ ეროვნული სამართლით განისაზღვრება მოთხოვნები გარიგების წერილობით ფორმასთან მიმართებაში, როდესაც მისი მიღება განპირობებულია ეროვნული სამართლის იმპერატიული ნორმებით. მეორე, კონვენციის 13-ე მუხლში სიტყვის „ასევე“ გამოყენება არ შეიძლება მოწმობდეს ჩამონათვალისთვის იმპერატიული ხასიათის განზრახვის მიცემას (69, 18).

ცნობილი ცივილისტი ნ.ი. სოლოვიანენკო სამართლიანად აღნიშნავს, რომ უცხოურ იურიდიულ დოქტრინაში ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გამოყენების რეგულირების საკითხზე არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც ელექტრონული ციფრული ხელმოწერის სამართლებრივი გაგების გლობალურ ხასიათთან დაკავშირებით და ელექტრონული კომერციის საერთაშორისო განვითარების ასპექტების გათვალისწინებით, ეროვნული უნდა მიეფასადაგოთ რამდენადმე უნიფიცირებულ კანონებს, რათა ეს უკანასკნელი გახდეს საერთაშორისო და გამჭვირვალე. მოცემული პრინციპი ასახულია „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ ევროპარლამენტის დირექტივაში. დირექტივის თანახმად

დგინდება მონაწილე სახელმწიფოთა კანონმდებლობასთან დაკავშირებული შემდეგი მოთხოვნები:

- ელექტრონული ხელმოწერების გასაღების სერთიფიკატების გაცემასთან დაკავშირებული მომსახურების წარმოდგენა არ უნდა იყოს დამოკიდებული წინასწარ გადაწყვეტილებაზე.
- ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა აღიაროს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებული ელექტრონული ხელმოწერის საშუალებები, რაც შეესაბამება ფართოდ აღიარებულ სტანდარტებს („ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ ევროპარლამენტის დირექტივა, თავი 3).
- გარანტირებულ იქნას დირექტივებში გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისი ელექტრონული ხელმოწერების საშუალებათა თავისუფალი მიმოქცევა შიდა ბაზარზე.
- გარანტირებულ იქნას ის ფაქტი, რომ ელექტრონული ხელმოწერები, რაც შექმნილია ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საიმედო საშუალებათა დახმარებით და რომელთაც აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, აკმაყოფილებს ხელმოწერის იურიდიულ მოთხოვნებს ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილ მონაცემებთან დაკავშირებით, როგორც პირადი ხელმოწერა აკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნებს.
- აუცილებელია, რომ ელექტრონული ხელმოწერების იურიდიული ძალა და ამ უკანასკნელთა დაშვება მტკიცებულებების სახით არ იქნას უარყოფილი იმ მიზეზით, რომ ხელმოწერები ელექტრონულია, ან არ არის შექმნილი ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საიმედო საშუალებათა დახმარებით, ან არ აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი (დირექტივა, თავი 5).

ციფრული ხელმოწერის შესახებ მსოფლიოში პირველი კანონი მიღებულ იქნა ამერიკის შტატის იუტას მიერ 1995 წლის 09 მარტს (75, 84).

ევროპაში პირველი სახელმწიფო, რომელმაც მიიღო კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ, გახდა გერმანია. გერმანული მოთხოვნა ელექტრონულ ხელშეკრულებებზე იურიდიული ძალის მინიჭებასთან დაკავშირებით, საკუთრივ ხელმოწერის მოთხოვნის ნაწილში, მკაცრი რეჟიმის პირობებს აკმაყოფილებს.

1997 წელს ძალაში შევიდა კანონი ციფრული ხელმოწერის შესახებ, რაც წარმოადგენს „ინფორმაციული და კომუნიკაციური მომსახურების ძირითადი პირობების რეგულირების შესახებ“ კანონის 3-ე მუხლს. გერმანიაში ღია/დახურული გასაღებით კრიპტოგრაფიის გამოყენების რეგულირების პროცესი ეხება სერტიფიცირების ორგანოების ტექნიკურ მოთხოვნებს, რაც სრულად უნდა შეესაბამებოდეს კანონს იმისათვის, რომ მიღებულ იქნას ნებართვა საქმიანობის განხორციელებაზე. კანონში ძირითადი აქცენტი გამახვილებულია ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ინფრასტრუქტურის შექმნაზე, მაგრამ არა მათი იურიდიული ძალის აღიარებაზე (348.26).

„გერმანიის სამოქალაქო კოდექსს 13.07.2001 წელს სამოქალაქო ბრუნვის გასამარტივებლად დაემატა ელექტრონული (251.§126a) და ტექსტური ფორმები (251.§126b), რომლებიც მთელს მსოფლიოში, თანამედროვე საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, ნების გამოვლენის სწრაფად და ფაქტობრივად დანაკარგის გარეშე გადაცემის შესაძლებლობას ქმნის. ცვლილების მიზანს გერმანული კერძო სამართლის თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის გამონწვევებთან მისადაგება წარმოადგენს“ (8, 34). „კანონის განმარტების თანახმად, თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა, სადაც განვითარებულია ვაჭრობის მობილურობა და ჩართულია ფართო მასები, არ უნდა ბრკოლდებოდეს გსკ-ით დადგენილი წერილობითი ფორმით, შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული საშუალებებით შედგენილი გარიგების, ელექტრონული გზებითვე გაგზავნა, რა დროსაც გამოირიცხება დოკუმენტის პირადი ხელმოწერა. ცვლილების შესაბამისად პირადი ხელმოწერის ჩანაცვლება ელექტრონული ხელმოწერით მოხდა (251. §126a) და ფორმასაც შესაბამისად გარიგების ელექტრონული ფორმა

ენოდა, რომელიც წერილობითი ფორმის ნაცვლად მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება“ (8, 34). „ის გულისხმობს ნების გამომვლენის მიერ ელექტრონულ დოკუმენტზე თავისი სახელისა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დასმას ხელმოწერის შესახებ კანონის შესაბამისად (251. §126ა, I) ამასთან, მეორე მხარე თანახმა უნდა იყოს ელექტრონული ფორმის გამოყენებაზე, აღნიშნულზე თანხმობა გამოთქმულ უნდა იქნას სულ ცოტა კონკლუდენტურად, საკმარისი არ არის ელექტრონულ ბრუნვაში მხოლოდ მონაწილეობის მიღება“ (8, 35). **„ელექტრონული ხელმოწერა ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ქმნის, ეს შესაძლებელია, როდესაც მხარეები ხელს აწერენ ერთი და იმავე შინაარსის დოკუმენტს ელექტრონულად, ასევე, თუ ხელშეკრულების დადებისას ერთი მხარე იყენებს წერილობით ფორმას, ხოლო მეორე ელექტრონულ ფორმას“** (8, 35).

2000 წლის 13 მარტს საფრანგეთმა მიიღო კანონი N2000-230 „ელექტრონული ხელმოწერისა და ინფორმაციული ტექნოლოგიებისათვის დამამტკიცებელი ძალის მინიჭების თაობაზე“ (75, 84). მოცემულმა კანონმა შეიტანა ცვლილებები და დამატებები საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში და დაადგინა ცნება, ძირითადი მახასიათებლები, ასევე კრიტერიუმები, რომელთა შესრულების დროსაც ელექტრონული ციფრული ხელმოწერა აღიარებული იქნება იურიდიული მნიშვნელობის მქონედ. ელექტრონული ხელმოწერით უნდა მოხდეს იმ პირის ვინაობის იდენტიფიცირება, რომელმაც ის განახორციელა და უნდა შესრულდეს საიმედო საშუალებით, რაც მოგვცემს იმ დოკუმენტთან მისი კავშირის გარანტიას. ასეთი საშუალების სანდოობა ივარაუდება საწინააღმდეგოს შესახებ მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, თუკი განხორციელებულია ელექტრონული ხელმოწერა, ხელმომწერი პირის ვინაობა დადგენილია, ხოლო სამართლებრივი დოკუმენტის მთლიანობა გარანტირებულია სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით დადგენილი პირობების შესაბამისად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე მოსამართლე დამოუკიდებლად

განსაზღვრავს უფრო მეტად სარწმუნო დოკუმენტს, დამოუკიდებლად მისი ფორმისა. ამგვარად, ელექტრონული დოკუმენტის იურიდიული ძალა, სადაც განხორციელებულია ელექტრონული ციფრული ხელმოწერა, შეიძლება აღმოჩნდეს უფრო წონიანი, ვიდრე ქალაქდზე შესრულებული (75, 84).

აშშ-ში ფედერალური კანონი „გლობალურ და ეროვნულ კომერცი-აში ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მიღებულ იქნა 2000 წლის 30 ივნისს. „Kahn Consulting Inc“-ის კომენტარების თანახმად, მოცემული კანონი იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის აშშ-ს პირველი ფედერალური კანონი, წარმოადგენს საერთო კანონს ყოველგვარი მკაცრი იმპერატიული ნორმების გარეშე. ელექტრონული ხელმოწერის ლიბერალური დეფინიცია ასევე აიხსნება 1978 წლის 10 ნოემბრის „ფულადი საშუალებების ელექტრონული გადარიცხვის შესახებ“ კანონით. ელექტრონული ხელმოწერა აშშ-ს კანონის თანახმად არის ელექტრონული ბგერა, სიმბოლო ან პროცესი, რომელიც უერთდება ან ლოგიკურად ასოცირდება ხელშეკრულებასთან ან სხვა ჩანაწერთან და შესრულებულია იმ პირის მიერ, რომელსაც სურს მოაწეროს ხელი დოკუმენტს (75, 86). განსაზღვრება ტექნოლოგიურად ნეიტრალურია, არ ადგენს ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გენერაციის მკაცრ ტექნოლოგიურ პროცედურებს და მისი მიზანია ტექნოლოგიის განვითარებით ელექტრონული ხელმოწერის ცნების გაფართოვება (75, 86). ხელს აწერს პირი რომელიც მიუთითებს თავის სახელს ელექტრონულ ფოსტაში ან Windows-ის გრაფაში აღნიშნავს „ვეთანხმები“, ასევე გამოიყენებს DocuSign და AdobeSign ან მსგავს ტექნოლოგიას, ასევე ცოცხლად ხელს მოაწერს ხელშეკრულებას შემდეგ მოცემულ დოკუმენტს, დაასკანერებს და ჩასვამს PDF ფორმატში და ამის შემდეგ გააგზავნის მოცემულ ფაილს შესაბამის მისამართზე (123).

შეერთებულ შტატებში არსებობს სამი კატეგორიის ელექტრონული ხელმოწერა: მარტივი, დაცული და ციფრული. მოცემული დაყოფა არ არის მკაცრი, არ ასახავს კვალიფიციურ განსხვავებებს მტკიცებულებითი ძალის ხელმოწერას, ტექნოლოგიურ ნიშნებსა და შექმნის პროცედურებს შორის (75, 86).

მარტივი ელექტრონული ხელმოწერა განისაზღვრება როგორც ხელმოწერის ნებისმიერი მეთოდი ნებისმიერი სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე. ასეთ ხელმოწერად შესაძლებელია გამოდგეს ხელმოწერი პირის ელექტრონული მისამართი; საკუთრივ ხელმოწერის ციფრული ფორმა; „დანკაპება-ჩაკეცვა“ („click-wrap“) რაც თავის მხრივ წარმოადგენს კლავიშზე დაჭერას პროგრამაში, რომლის საშუალებითაც ხელმოწერი თანხმდება გარკვეული მოქმედების შესრულებაზე (ეს მეთოდი გავრცელებულია ელექტრონულ მაღაზიებში). (75, 86).

დაცული ელექტრონული ხელმოწერის პირობებში, განსხვავებით მარტივი ხელმოწერისგან, გამოიყენება მთელი რიგი ტექნოლოგიები იდენტიფიკაციისა და იურიდიული ძალის ამაღლებისათვის, როგორც არის: „დინამიური ხელმოწერა,“ რაც გამოიხატება დოკუმენტზე ხელისმოწერაში საკუთრივ სენსორული ეკრანის დახმარებით; ადამიანის ბიომეტრიული მახასიათებლები (ხმა, ტექსტის ბეჭდვის ნიშნები), საკუთრივ კრიპტოგრაფიული მეთოდები.

ციფრული ელექტრონული ხელმოწერა ეფუძნება ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გენერაციისა და დადასტურების კრიპტოგრაფიულ მეთოდს. ელექტრონული ციფრული ხელმოწერის სამართლებრივი სტატუსი, რომელიც გამოიყენება რუსეთში, შეესაბამება ელექტრონული ხელმოწერის მოცემულ ტიპს. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს ფედერალური კანონი ტექნოლოგიურად ნეიტრალურია, აშშ-ს შტატებისა და სხვა სახელმწიფოების მოთხოვნები ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გამოყენების თაობაზე მიუღებელია მხარეთა შეთანხმებით ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გამოყენების შემთხვევაში (75, 86).

აშშ-ს კანონის 301-ე მუხლის თანახმად მხარეები დამოუკიდებლად ადგენენ საკუთარ გარიგებებში გამოყენების მოდელებისა და ნამდვილობის დამადასტურებელ მისაღებ ტექნოლოგიებს იმის გარანტიით, რომ ასეთი მოდელები და ტექნოლოგიები ექვემდებარება იძულებით უზრუნველყოფას. მაგრამ ელექტრონული ციფრული ხელმოწერის მაღალი იურიდიული ძალის გათვა-

ლისწინებით, რაც მიიღება კრიპტოგრაფიის საფუძველზე, აწწ-ს იურისტები რეკომენდაციას უწევენ კრიპტოგრაფიული მეთოდის გამოყენებას (123).

მნიწვენლოვანია განიმარტოს, რომ ერთი ფორმალური ელექტრონული ტრანზაქციის აქტი (UETA) და ფედერალური ელექტრონული ხელმონწერის გლობალური და ეროვნული კომერციული აქტი (E-SIGN) ზოგიერთ დოკუმენტში არ გამოიყენება. მაგალითად: მოცემული არ გამოიყენება ადგილობრივი კანონის შემცვლელ დოკუმენტაციაში, უძრავი ქონების წარმოების დასრულების საბუთებში, ზოგიერთ ხელშეკრულებაში რომელიც ექვემდებარება უნიფორმალურ კომერციულ კოდექს (UCC). მოცემული საბუთები გამოიყენებს შესაბამის ხელმონწერის წესებს (123).

ბევრი საბუთი პანდემიამდეც ექვემდებარებოდა ელექტრონულ ხელმონწერას, მაგრამ არა ისეთი საბუთები როგორც არის ანდერძი, მინდობილობა, განქორწინება და სხვა ფინანსური საბუთები. მოცემულმა პანდემიამ გამოავლინა გამონაკლისი შემთხვევები როგორც არის ნიუ-იორკის ფედერალური რეზერვის ბანკის განკარგულება სადაც ნებართვას გაიცა რომ გარკვეული საბუთების მიღება განხორციელდეს ელექტრონული ხელმონწერით (123).

შვედეთის 2000 წლის N832 კანონში „კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმონწერების შესახებ“ ელექტრონული ხელმონწერის სამი ტიპია განსაზღვრული: მარტივი, გაფართოებული და კვალიფიცირი. გამოყენებული ელექტრონული ციფრული ხელმონწერის ტიპი დამოკიდებულია შეტყობინებისა და ელექტრონული ციფრული ხელმონწერის ავტორის იდენტიფიცირების ერთმნიშვნელობაზე, ელექტრონული ხელმონწერის შექმნის ტექნიკურ საშუალებებზე (77, 972).

ელექტრონული ხელმონწერა ევროკავშირში მოიცავს eIDAS და GDPR.

eIDAS (ელექტრონული იგივეობა, აუთენტიკაცია და ნდობის მომსახურება დაფუძნდა 2014 წლის ივლისის თვეში და მოი-

ცავს ელექტრონული იგივეობის, ციფრული სერტიფიკატების, ელექტრონული ბეჭდისა და ელექტრონული ხელმოწერის კანონებს რომლის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ერთიანი კანონი ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის (99).

ევროკავშირი ელექტრონულ ხელმოწერას eIDAS რეგულაციებიდან გამომდინარე განმარტავს, როგორც მონაცემების ელექტრონულ ფორმას რომელიც თანდართულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია სხვა ელექტრონული ფორმის მონაცემებთან და რომელიც გამოიყენება ხელმომწერი პირის მიერ ხელმოწერისთვის“ (99).

გასათვალისწინებელია რომ ელექტრონული ხელმოწერა არ არის აუცილებელი იყოს ხელმომწერი პირის ხელმოწერის მსგავსი.

ელექტრონული ხელმოწერისას გამოიყენება ელექტრონული მაიგივებელი მეთოდი როგორცაა ციფრული სერტიფიკატები, პერსონალიზირებული ლოგინი და შესვლის კოდები, რომელიც თანდართულია ხელმომწერი პირის საიდენტიფიკაციოდ და ასევე ასიმეტრიული კოდირება (99).

მოცემული უსაფრთხოების ღონისძიებების სწორად შესრულება ხელმოწერის იურიდიული უსაფრთხოების გარანტიაა. შედეგად ელექტრონული ხელმოწერა ძნელად ექვემდებარება გაყალბებას (99).

დსთ-ს ქვეყნები არ ჩამორჩებიან მსოფლიო სამართლის განვითარების ეტაპს. 2000 წლის იანვარში ბელარუსის რესპუბლიკამ მიიღო კანონი „ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, სადაც განსაზღვრულია ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი, ელექტრონულ დოკუმენტებთან მიმართებაში. ტაჯიკეთის რესპუბლიკაში 2002 წლის 10 მაისიდან მოქმედებს კანონი „ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“. კანონი ანალოგიური სახელწოდებით მოქმედებს თურქმენეთის ტერიტორიაზეც 2000 წლის 19 დეკემბრიდან (75, 88).

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაში გამოყენებულია სამი სახის ხელმოწერა: მარტივი, გაძლიერებული არაკვალიფიციური და გაძლიერებული კვალიფიციური. ქალაქის დოკუმენტს იურიდიული ძალა აქვს თუ

შეიცავს სავალდებულო რეკვიზიტებს, ფიზიკური პირის მიერ პირადად შესრულებულ ხელმოწერას და ზოგიერთ შემთხვევაში ბეჭედს (55).

მარტივი ხელმოწერა – სმს-ით ხელმისაწვდომი ყველასთვის ნაცნობი კოდებია, სმს კოდები, წყვილი „მომხმარებელი-პაროლი“, პირად კაბინეტში ვებ-გვერდებზე და ელექტრონულ ფოსტაში. მარტივი ხელმოწერა იქმნება საინფორმაციო სისტემის საშუალებებით და ადასტურებს, რომ ელექტრონული ხელმოწერა კონკრეტულმა ადამიანმა შექმნა. მარტივი ელექტრონული ხელმოწერა ყველაზე ხშირად გამოიყენება საბანკო ოპერაციებში, ასევე საინფორმაციო სისტემებში აუთენტიფიკაციისთვის სახელმწიფო მომსახურების მისაღებად.

მარტივი ელექტრონული ხელმოწერა საკუთარი ხელით შესრულებულ ხელმოწერას უთანაბრდება, თუ აღნიშნული რეგლამენტირებულია ცალკეული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით ან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის თაობაზე მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს წესებს, რომლითაც ხელმოწერს მარტივი ელექტრონული ხელმოწერით განსაზღვრავენ, ასევე, ამავე შეთანხმებით მოსარგებლე ვალდებულია დაიცვას მარტივი ელექტრონული ხელმოწერის გასაღების დახურული ნაწილის კონფიდენციალობა. (მაგ. ტელეფონის მიღებული „მომხმარებელ-პაროლის“ წყვილის პაროლი ან სმს კოდი) (55).

გაძლიერებული არაკვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა კრიპტოშიფრის პროგრამის (программ криптошифрования) დახმარებით იქმნება ელექტრონული ხელმოწერის დახურული გასაღების გამოყენებით. არაკვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით წარმოებს მფლობელის იგივეობა, ასევე, შესაძლებელია მისი გაგზავნის შემდეგ, ფაილში ცვლილების შემომწება.

არაკვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება შიდა და გარე ელექტრონულ ბრუნვაში, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდნენ ამის თაობაზე (55).

სახელმწიფოს მიერ ყველაზე რეგლამენტირებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერაა. ეს უკანასკნელი, არაკვალი-

ფიციურის მსგავსად კრიპტოგრაფიული ალგორითმებით იქმნება და დაფუძნებულია ღია გასაღების ინფრასტრუქტურაზე. კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას, არაკვალიფიციურისგან განსხვავებით, აქვს ნორმატიულად განსაზღვრული სტრუქტურის კვალიფიციური სერტიფიკატი ქალაქის ან ელექტრონული სახით, კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერებთან სამუშაო პროგრამა სერტიფიცირებულია ფედერალური უშიშროების სამსახურის მიერ და მისი გაცემა სპეციალური სამინისტროს მიერ აკრედიტებული დამადასტურებელი ცენტრის მიერაა შესაძლებელი (55).

საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულია ორი სახის ელექტრონული ხელმოწერა: განვითარებული და კვალიფიციური (230, მუხლი 2, მ,ნ.). მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ განვითარებული ხელმოწერა შექმნილია ელექტრონული ხელმოწერის შექმნის იმ მონაცემების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც ხელმომწერს, მტკიცე რწმუნებით, ერთპიროვნული კონტროლით შეუძლია, ხოლო განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა-კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული;

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/ელექტრონული შტამპის სერტიფიკატს გაცემს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც ავტორიზებულია კანონის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – მონაცემთა გაცვლის სააგენტოში (230, მუხლი 11).

ქართული კანონმდებლობით მხოლოდ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა, ასევე თუ ფიზიკურ პირებს ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის შეთანხმება არსებობს, ელექტრონულ დოკუმენტსა და ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის აქვს, შესაბამისად, მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა (230, მუხლი 3.1., მუხლი 3.8).

3.7. სოსიოლოგიური გამოკითხვის შედეგები

მონოგრაფიის ავტორის მიერ საქართველოში ელექტრონული ხელშეკრულებისა და ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისა და გამოყენების განსაზღვრის მიზნით განხორციელდა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდა 338 აპლიკანტი.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი პროფესიით იურისტი, ეკონომისტი ან ფინანსისტია, ხოლო უმრავლესობის ასაკი 31-45-ს შეადგენს.

შეკითხვაზე იცის თუ არა რა არის ელექტრონული ხელმოწერა, რესპოდენტთა თითქმის 90%-მა დადებითი პასუხი გასცა, უფრო ნაკლებმა – 57,7% იცის ელექტრონული ხელმოწერის სახეების (მარტივი, კვალიფიციური) შესახებ, ხოლო კიდევ უფრო ცოტას 59,5% გამოუყენებია იგი.

განსაკუთრებით საყურადღებოა მონაცემი, სადაც რესპოდენტთა 89%-მა შეკითხვაზე მისაღებია თუ არა მათთვის ელექტრონული დოკუმენტის გაფორმება უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო გამოკითხულთა 59,2% არ ენდობა ელექტრონულ ხელმოწერას. შესაბამისად, 64,8%-ის აზრით, საქართველოში სამოქალაქო ბრუნვაში ელექტრონული დოკუმენტების მაჩვენებელი საშუალოდ შეფასდა. თუმცა რესპოდენტთა 91.4% მიაჩნია, რომ მომავალში სამოქალაქო ბრუნვა ძირითადად ელექტრონული დოკუმენტების საფუძველზე განვითარდება.

3.8. დასკვნა

ელექტრონული ხელმოწერის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულაციების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა და საერთაშორისო ინსტიტუტი ელექტრონული კომუნიკაციების განვითარების კვალდაკვალ ავითარებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის იურიდიულ საფუძვლებს, რათა მყარი გარანტია შექმნას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის.

ამ გზაზე მნიშვნელოვანია ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი ნაწილობრივი შექმნა და მოქმედება. კვლევამ აჩ-

ვენა რომ, საერთაშორისო დონეზე ელექტრონული ხელმოწერის ერთიანი უნიფიცირებული ცნება და სისტემა არ არსებობს, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში ძირითადად მიღებულია ელექტრონული ხელმოწერის დაყოფა მარტივ, განვითარებულ და კვალიფიციურ ხელმოწერად. ავტორები ერთხმად აღიარებენ, რომ ელექტრონული ხელმოწერის ძირითადი ფუნქცია ელექტრონულ დოკუმენტზე (ელექტრონულ ხელშეკრულებაზე) ხელმოწერი პირის იდენტიფიკაცია და დოკუმენტის კონფიდენციალობისა და გაყალბებისგან დაცვაა.

2014 წლის ივნისის თვეში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველოს სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა დაუახლოოს ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს. შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას. შეთანხმების მე-1 თავის 1-ლი ქვენაწილი ეხება ელექტრონულ კომერციას. შეთანხმების 127-ე მუხლის თანახმად, მხარეები აღიარებენ რა, რომ ელექტრონული კომერცია მრავალ სექტორში ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს, თანხმდებიან, ხელი შეუწყონ მათ შორის ელექტრონული კომერციის განვითარებას. 128-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ ვალდებულება აიღო, აწარმოოს დიალოგი ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის მომხმარებელთა დაცვის შესახებ, ელექტრონული კომერციის ფარგლებში. ამ და შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა უამრავი ვალდებულების შესასრულებლად საქართველოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5-წლიანი ვადა განესაზღვრა (224).

ქართული სახელმწიფოს მიერ 2017 წელს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონის მიღება, რომელმაც ჩაანაცვლა 2008 წლის კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, განაპირობა სწორედ ზემოთ მითითებული ასოცირების ხელშეკრულებასა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან ჰარმონიზაციისა და დაახლოების საჭიროება-ვალდებულებამ.

მოქმედი კანონით მხოლოდ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას ენიჭება მატერიალური ხელმოწერის იურიდიული ძალა. პირს შესაძლებლობა ეძლევა ელექტრონული დოკუმენტი გამოიყენოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება დოკუმენტის წერილობითი ფორმა (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი).

ახალი კანონით, ელექტრონული ხელმოწერა რაიმე გრაფიკული ნიშანთა სისტემა არ არის, ეს არის ბინარულ ნიშანთა, ნულების და ერთიანების კომბინაციებისგან შემდგარი სისტემა.

კანონის თანახმად, დეტალურად არის მოწესრიგებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის საკითხი, განსაზღვრულია მისი გამოყენების წინაპირობები და სრულად არის უზრუნველყოფილი მისი სანდოობის მაღალი ხარისხი. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა უტყუარად ადასტურებს ხელმომწერის ვინაობას და იცავს ხელმოწერილ დოკუმენტს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალი კანონი არ განსაზღვრავს იმ გარიგებების ჩამონათვალს, რომელიც არ შეიძლება არსებობდეს ელექტრონული ფორმით. იგი ატარებს ბლანკეტურ ხასიათს მისი წინამორბედისაგან განსხვავებით. სასურველია მომავალში აღნიშნული საკითხი დეტალურად მოწესრიგდეს კანონით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მუდმივად აუმჯობესებს საკუთარ პოზიციებს ელექტრონული მმართველობისა და ღია მმართველობის საკითხებში, სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა 89%-სთვის ელექტრონული დოკუმენტის გაფორმება არ არის მისაღები, ხოლო გამოკითხულთა 59,2% არ ენდობა ელექტრონულ ხელმოწერას.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სასურველი და აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე ცვლილებებისა და ახალი აქტების (მაგ. კანონი ელექტრონული ვაჭრობის ან კომერციის შესახებ) მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო ბრუნვის მაქსიმალურ ელექტრონიზაციას, რა დროსაც სანდო ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების მყარი და უსაფრთხო სამართლებრივი მექანიზმის შექმნა უპირველესად მნიშვნელოვანია.

თავი 4. ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი

„თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა ვაჭრობის ტრადიციაში. ხელშეკრულების დადების ინოვაციურმა საშუალებებმა, დისტანციური და ელექტრონული კომერციის განვითარებამ, ელექტრონული მედიისა და ინტერნეტის არნახულმა პროგრესმა აუცილებელი გახადა ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ადაპტირება ახალ ტექნოლოგიებთან და ვაჭრობის წესებთან“ (203, 568-569., 25, 225).

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მომხმარებელთა სამართლის ნაწილზე, კერძოდ, მომხმარებლის დაცვაზე აქცენტირება და მომხმარებელთა დაცვის შესახებ, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა. ვინაიდან არსებული პრაქტიკის მიხედვით ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული კომერციის არსებობა და განვითარება ელექტრონული ხელშეკრულებების გარეშე წარმოუდგენელია. ამ ტიპის ხელშეკრულებათა მხარედ კი ძირითადად მომხმარებელი გვევლინება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული სტანდარტები ელექტრონულ ხელშეკრულებებში უნდა აისახოს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში ხელმოწერილი „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებით, საქართველომ მიზნად დაისახა ევროკავშირში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია, საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულირებებთან დაახლოება, რამაც ევროპულ ბაზართან ქართული მეწარმეობის დაახლოება და ეკონომიკური ინტეგრაცია უნდა გამოიწვიოს (224. მუხლი 2.1.).

„ასოციირების ხელშეკრულების მე-13 თავი მომხმარებელთა პოლიტიკას ეძღვნება, რომლის დანიშნულებაც მომხმარებლის დაცვის მაღალი დონისა და წევრ სახელმწიფოებთან ქართული სისტემის დაახლოებაა (224. მუხლი 345). ასოციირების შეთანხმების 169-ე მუხლი განსაკუთრებულ რეგულირებას აწესებს მომხმარებელთა დაცვის კუთხით (198, 0001-0390).

ეკონომიკური მდგრადობის ზრდაზე საუბრისას მხედველობაში მიიღება საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი მონაწილე – „მომხმარებელი“ („consumer“), რომლისთვისაც დაცულობის გარანტიების შექმნა სახელმწიფოებისათვის არაა მხოლოდ ეკონომიკური კატეგორია, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სამართალ-სისტემასთან და ეროვნული კანონმდებლობის გვერდით თანაარსებულ საერთაშორისო კავშირების მიერ მიღებულ აქტებთანაც, რომელმაც ე.წ. „soft law“ მეტწილად ჩვეულებიდან და დამკვიდრებული პრაქტიკიდან საკანონმდებლო ლეგიტიმაციით აღჭურვა და სავალდებულო უნიფიკაციის შესაძლებლობა გააჩინა“ (151, 58).

არსებობს რამდენიმე აქტი, რომელიც არეგულირებს ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საკითხებს მათ შორის, ევროკავშირის დირექტივები „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (The Electronic Commerce (EC Directive) Regulation 2002) (242), დირექტივა „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ (243, 0012-0020), „მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ რეგულაცია (The consumer protection (Distance Selling) Regulations 2000) (247), რომის კონვენცია (Rome 1 convention on contractual obligations) (213), საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია (CISG) და სხვა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ონლაინ-ვაჭრობა უფროდაუფრო მნიშვნელოვანი ხდება დღესდღეობით. აღნიშნული არა მხოლოდ კოვიდით გამოწვეული პანდემიის შედეგია, სადაც ბევრი კორონას საფრთხისგან მოშორებით კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებულ „შოპინგს“ ამჯობინებს მაღაზიებში სიარულს და რომლით გამოწვეული საბაზრო კრიზისის დროსაც ამაზონმა არსებითად გაზარდა მოგება. არამედ ონლაინ-პლატფორმების მოგება უკვე დიდი ხანია იმდენად გაიზარდა, რომ მან ორნიშნა

მილიონებში გადაინაცვლა. შესაბამისად, აუცილებელი და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ამ სფეროში მომხმარებელთა უფლებების ეფექტური დაცვა (13, 31).

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი ითვალისწინებს **განსაკუთრებულ დებულებებს მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების დასაცავად**. განსაკუთრებით საყურადღებო და ნიშანდობლივია **ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ფორმასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებები, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და განსაკუთრებული სტანდარტის გამჭვირვალობა**. ასევე რიგი აკრძალვები, როგორცაა, **დისკრიმინაციის აკრძალვა და სტანდარტული პირობების შეთანხმებისას კანონის სტანდარტიდან ან შეზღუდვებიდან გადახვევის დაუშვებლობა** (13, 1).

მომხმარებელთა უფლებების დამცავი კერძო-სამართლებრივი რეგულაციების ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ჰქონდა და აქვს **ევროკავშირს** და მის სამართალს (13, 1).

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლის მთავარი მამოძრავებელია ე.წ. მეორადი (სეკუნდარული) სამართალი, სახელდობრ, ევროკავშირის **დირექტივები და რეგულაციები**. ამასთან, რეგულაციებს ახასიათებს საყოველთაო მოქმედება; ის სრულად სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის და არის **ამ ქვეყნებში პირდაპირ მოქმედი სამართალი**. რეგულაციებისგან განსხვავებით დირექტივა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის **სავალდებულოა მხოლოდ მასში გათვალისწინებული მიზნების** ნაწილში. სხვა მხრივ, კერძოდ, ამ მიზნების მიღწევის საშუალებებისა და ფორმების არჩევაში სახელმწიფოებს აქვთ არჩევანის თავისუფლება. სწორედ აქედან გამომდინარე, დირექტივები (პირდაპირ მოქმედი და სრულად სავალდებულო რეგულაციებისგან განსხვავებით) საჭიროებს **იმპლემენტაციას (დანერგვას, ტრანსფორმაციას) ეროვნულ კანონმდებლობაში** (13, 2).

ევროპულმა პარლამენტმა და ევროპულმა საბჭომ 1997 წლის 20 მაისს მიიღო 97/7/EC დირექტივა დისტანციურად დადებულ ხელ-

შეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი პირველი ევროპული დირექტივაა. აღნიშნული დირექტივა მნიშვნელოვანია იმით, რომ დაამკვიდრა მომხმარებლის დაცვისათვის უმნიშვნელოვანესი - ხელშეკრულების უარყოფის უფლება (88, 31-32., 25, 234).

„უნდა ითქვას, რომ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ დირექტივა თავისი თავდაპირველი დანიშნულებით არ იყო ორიენტირებული ელექტრონულ კომერციაზე. 1997 წელს ონლაინ კონტრაქტების დადების საშუალებები ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული. იმ დროისათვის **დისტანციურ ხელშეკრულებებში, ძირითადად, ტელემარკეტინგისა და კატალოგის მეშვეობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები მოიაზრებოდა.** დისტანციური ვაჭრობა, თანამედროვე ფორმებითა და შინაარსით, საერთოდ არ არსებობდა. ამ თვალსაზრისით, ყურადღება გამახვილდა ჯერ დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებზე, შემდგომ კი, ელექტრონულ ვაჭრობაზე. საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების ხელშეწყობა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობებისა და საერთო ევროპული ბაზრის განვითარებას“ (25, 235).

„თანამედროვე გამონვევის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ახალი რეგულაციების შემუშავება. შედეგად, ევროპული კავშირის ფარგლებში მომხმარებელთა დაცვის უნიფიცირებისა და გამარტივების მიზნით, მიიღეს 2011/83/EU დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ, რომელმაც დაამკვიდრა ერთიანი კონცეფცია დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა დაცვის უზრუნველსაყოფად (105); (25, 235). და რომელიც კავშირის სამართლის სისტემაში 2014 წლის 13 ივნისიდან დადებულ ხელშეკრულებებზე მოქმედებს და წევრებს იმპლემენტაციის სპეციფიურ პირობებს განუსაზღვრავს“ (240); (151, 59).

2011/83/EU დირექტივით ცვლილება შევიდა 93/13/EEC და 1999/44/EC დირექტივებში, ხოლო 85/577/EEC და 97/7/EC დირექტივები გაუქმდა (240); (151, 59).

„2011/83/EU დირექტივა რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საფუძველი მომხმარებელთა მონაწილეობით დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების უნიფირებული მონესრიგების მცდელობისა, რომლის საფუძველზეც შესაბამისი ცვლილებები შევიდა ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სახელშეკრულებო სამართალში. მეორე, დირექტივამ განსაზღვრა მკაცრი მონესრიგების რეჟიმი რამდენიმე სფეროში – ეს არის **მომხმარებელთა ინფორმირების ვალდებულება**. დირექტივით გამოიყო ინფორმირების ვალდებულების ორი ძირითადი რეჟიმი: პირველი ეხება ხელშეკრულებებს რომელიც იდება ბიზნეს სანარმოს გარეთ (ქუჩაში დადებული) ხელშეკრულებების, ხოლო მეორე დისტანციურად დადებული ხელშეკრულებები. ამავე სეგმენტისათვის **ერთგვაროვნად მონესრიგდა ხელშეკრულების უარყოფის უფლების საკითხი**, საინტერესოა, ასევე დირექტივასა და მის განმარტებებში ასახული მსჯელობა ელექტრონულ აუქციონსა და, მასთან მიმართებით, ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით. დირექტივით, ასევე დამკვიდრდა ერთგვაროვანი განმარტებები მომხმარებლისა და მოვაჭრის ცნებებთან დაკავშირებით“ (25, 235).

„83-ე დირექტივა, მიუხედავად საკუთარი დასახელებისა, არ წარმოადგენს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთიან კოდექსს (83, 3). (151, 60) მისი ძირითადი დებულებები მხოლოდ ქუჩაში დადებულ და დისტანციურ ხელშეკრულებებს შეეხება. ბიზნესსა და მომხმარებელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში დირექტივა არეგულირებს: ინფორმაციის მიწოდება მოვაჭრის ადგილსამყოფელზე; ინფორმაციის მიწოდება სავაჭრო ადგილისგან მოშორებით; ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და მომხმარებლის პასუხისმგებლობა; მიწოდება და რისკის გადასვლა და ბოლოს, გადასახდელები და გადახდის საშუალებები.

დირექტივა შეიცავს მთელ რიგ არსებით დამატებებს არსებული რეგულირებისათვის ქუჩაში დადებულ და დისტანციურ ხელშეკრულებებზე. აღსანიშნავია გასვლის ვადის 14 დღემდე გახანგრძლივება. თუმცა, მომეტებულ ყურადღებას იმსახურებს

„ჰარმონიზაციის მაქსიმუმის ინსტრუმენტი“ (240), აღნიშნული გულისხმობს, რომ წევრ ქვეყნებს არ შეუძლიათ განაგრძონ, ან დაამატონ დირექტივის ჰარმონიზებულ პირობებს საკუთარი პირობები თავისი შეხედულებით ეროვნულ კანონმდებლობაში. შესაბამისად, ნაციონალურ სივრცეში მოქცევამდე კარგად უნდა გაანალიზდეს დირექტივის მოქმედების სფერო და მისი სივრციდან გარკვეული ხელშეკრულებების გამორიცხვის ავტომატური მექანიზმი; ასევე, დირექტივის დისპოზიციური ნორმები და კიდევ, დირექტივის აღსრულების მექანიზმები.

დირექტივებთან ერთად ევროპის კომისიის მიერ შემუშავებულია ასევე „ევროკავშირის მომხმარებელთა პოლიტიკა“ (EU Consumer policy), რომელიც მიზნად ისახავს ბაზარზე მომხმარებლის ჩართულობისა და ნდობის მაქსიმალურად გაზრდას, რისთვისაც ევროკომისია სტრატეგიულ ხედვაში პერიოდულად აყალიბებს ძირითად მიზნებს“ (151, 60).

„ევროპის კომისიამ 2012 წელს მიიღო „ევროპის მომხმარებელთა დღის წესრიგი“, რომლითაც შეცვალა მანამდე არსებული 2007-2013 წლების სტრატეგიის ერთიანი დოკუმენტი (79). საგულისხმოა, რომ თავად დოკუმენტის მითითებით, „უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ევროკავშირმა დანერგა რიგი მიდგომები და წესები ევროკავშირის მომხმარებლებისათვის დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის, რათა მიეცა მათთვის შესაძლებლობა ესარგებლათ ევროპისა და მისი შიდა ბაზრის მიერ მიღწეული სოციალური და ეკონომიკური პროგრესით“ (79, 151, 61).

მომხმარებელთა უფლებების კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ გარანტიებს კონსტიტუციურ ღირებულად მიიჩნევს საქართველოს კონსტიტუცია და მას კანონით დაცულ სფეროდ აცხადებს (219, მუხლი 26.4).

საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1996 წელს მიიღო საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომლის შემდეგაც, 1997 წლის 15 მაისს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი სამომხმარებლო კოოპერაციების შესახებ“ (233).

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია სამოქალაქო კოდექსამდე, რაც ნათლად მიუთითებს ქართველი კანონმდებლის მზაობაზე და მაღალ სამართლებრივ კულტურაზე, დაიცვას ხელშეკრულების სუსტი მხარე კომერსანტთან ურთიერთობაში. 2012 წელს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მიღებით გაუქმდა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. არაერთი მცდელობის მიუხედავად, უნიფიცირებული აქტი ამ სფეროში პარლამენტს დღემდე მიღებული არ აქვს.

კოდიფიცირებული აქტის არარსებობა არ უნდა მივიჩნიოთ რეგულირების არარსებობად, რაც მომხმარებელს დაუცველს დატოვებს და შექმნის სამართლებრივ სიცარიელეს სამოქალაქო ბრუნვაში. ამ კუთხით უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში მყიდველის შესაგებლებს და უსამართლო პირობებისაგან თავდაცვის მექანიზმებს. განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსისგან, ქართული სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს მომხმარებელთა უფლებების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს, რაც უფრო მეტად გერმანიაში რეფორმის დასრულების დროით უნდა იყოს განპირობებული“ (26, 41).

„არაერთი ცვლილებისა და დამატების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებსა და დისტანციურ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითად საკანონმდებლო აქტად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უნდა მივიჩნიოთ. რომლის რეგულირებაც მეტად მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მის გადანყვებაზეა მიმართული, ვიდრე პრევენციაზე. ხელშეკრულების დადებამდე მისაწოდებელი ინფორმაციის დეტალური ჩამონათვალი, უარყოფის პროცედურების დიფერენცირებას მიწოდების სახის მიხედვით და რისკის გადასვლის სპეციალურ წესს სამოქალაქო კოდექსი ამ სახის ხელშეკრულებებისათვის არ იცნობს“ (151, 61).

„საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ არსებულ პრობლემებს, გარდა შესაბამისი კანონმდებლობის არ არსებობისა, განაპირობებს გარკვეული ბიზნეს სექტორის დაბალი სოციალური პასუხისმგებლობა და მომხმარებელთა პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის სიმცირე. ასევე, თავის მხრივ, ადგილობრივი მომხმარებლის პასუხისმგებლობისა და სამომხმარებლო კულტურის დეფიციტის თავისებურებანი“ (32, 8).

„საქართველოში მოქმედი მომხმარებელთა უფლებების დამცველი ასოციაციების ინფორმაციით, მომხმარებელი ტრადიციულად ძალიან პასიურია და შესაბამისად, თითქმის არ არსებობს სამართალწარმოებები საჩივრებთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ორგანიზაციებმა, რომელმაც დაიწყო მომხმარებელთა უფლებების დაცვა და საკონსულტაციო მომსახურებების შეთავაზება მათთვის, ვისი უფლებებიც იყო დარღვეული, ძალიან ცოტა საჩივარი მიიღეს მომხმარებლისაგან.

მომხმარებლისთვის ზიანის მიყენების ძირითადი მიზეზი არის საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობა“ (32, 8).

„არსებული რეალობიდან გამომდინარე საქართველოში დღის წესრიგში დადგა მომხმარებელთა შესახებ სპეციალური კანონის მიღების საკითხი. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე 2013 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა. კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს არეგულირებს, როგორცაა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგადი პრინციპები, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მოვაჭრესთან მისი პროდუქციის პირადი მოხმარებისათვის გამოყენების მიზნით, არეგულირებს უსაფრთხოების ნორმებს, უზრუნველყოფს ეკონომიკური ინტერესების დაცვას და სხვ“ (32, 11).

„აღნიშნულ პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, მომხმარებელთა

უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის წარმომადგენლები და ექსპერტები.

USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის პროექტის“ ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2016 წელს დაიწყო მუშაობა რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტზე“ (32).

„ანგარიშში ანალიზი გაკეთდა იმ დებულებებზე, რომელიც გარკვეულწილად სიახლეა ქართული კანონმდებლობისთვის, კერძოდ მომხმარებელთა უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე ადგილზე გაყიდვების შემთხვევაში 7 დღის განმავლობაში; ასევე მომხმარებელთა უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, უარი თქვან ხელშეკრულებაზე დისტანციური ან ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების დროს 14 დღის განმავლობაში და მომხმარებელთა ომბუდსმენის აპარატის შექმნაზე“ (32).

„კანონპროექტი არ ითვალისწინებს ჯარიმების შემოღების საკითხს, რომლებიც „მომხმარებელთა უფლებების დირექტივის“ 24-ე მუხლშია მოცემული. ერთადერთი მექანიზმი, რამაც კანონის მოთხოვნების დაცვა უნდა უზრუნველყოს არის მომხმარებელთა ომბუდსმენი. თუმცა, ომბუდსმენის გადანყვეტილება არ არის სამართლებრივად სავალდებულო. საბოლოოდ, მომხმარებელს ერთადერთი გზა რჩება, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დარღვევის ფაქტი გაასაჩივროს სასამართლოში.

ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება საკმაოდ განსხვავებულია. რიგ ქვეყნებში, მოქმედ უწყებებს გადაეცათ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონტროლის ფუნქცია, როგორცაა, მაგ. მომხმარებელთა დაცვის სააგენტოები. სხვა ქვეყნებში, მომხმარებელთა ომბუდსმენის აპარატი შეიქმნა გარკვეული დარგების/პროდუქტებისათვის“ (32.12.)

4.1. დისტანციური ფორმით დადებული ხელშეკრულების მხარეთა

„მომხმარებელთა უფლებების სფეროში დამკვიდრდა აბრევიატურა „B2C“ ან „B to C“, რომელიც აღნიშნავს „**Business to**

Consumer“ (მენარმე და მომხმარებელი) და „B2B“ ანუ „Business to Business“, რომელიც უკვე მენარმე სუბიექტების ორმხრივი ურთიერთობის აღმნიშვნელია და „C2C“ ანუ „Consumer to Consumer“, რომელიც აღნიშნავს მხოლოდ მომხმარებელთა საქმიან ურთიერთობებს ერთმანეთთან (13, 2).

ღირეტივის მიხედვით მომხმარებელი – ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც არ მოქმედებს თავისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოვნებო ან პროფესიული მიზნებიდან გამომდინარე (240). ხოლო მოვაჭრეს წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მიუხედავად იმისა, სახელმწიფოა თუ კერძო, რომელიც მოქმედებს, მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოვნებო ან პროფესიული მიზნებით იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომელიც მოცემულია ამ ღირეტივით (240).

„მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონპროექტით (232) გაზიარებულ იქნა ღირეტივის მიდგომა და მომხმარებელი განიმარტება შემდეგი სახით-მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას პირადი მოხმარების, და არა მისი სამენარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით“ (150, 109).

ზოგადად მომხმარებლებად მიიჩნევიან მხოლოდ **ფიზიკური პირები**, რომელიც უმთავრესად მოქმედებენ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო იურიდიული პირები, მათი ფორმის მიუხედავად, როგორც წესი არიან მენარმეები და არა მომხმარებლები.

„საქმეზე France v Di Pinto (257) სასამართლომ დაადგინა, რომ მენარმე, მიუხედავად სხვა სფეროში არასაკმარისი გამოცდილებისა, არ შეიძლება ჩაითვალოს მომხმარებლად (84, 10). ეს პოზიცია განმტკიცდა მეორე საქმეზე Francesco Benincasa v Dentalkit (258), სადაც მოპასუხე მოქმედებდა თავისი პროფესიული საქმიანობის ინტერესის გარეშე. ევროსასამართლომ განმარტა, რომ ღირეტივის მიზნებისთვის მომხმარებლად განიხილება კერძო მყიდველი, რომლის მიერ რაიმე საგნის შეძენა არ არის დაკავშირებული მის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობასთან“ (84, 10-11., 150, 109).

„გარდა ამისა, ფიზიკური პირები უნდა მოქმედებდნენ კონკრეტული მიზნით, რომელიც არ უკავშირდება მათ სამენარმეო ან პროფესიულ საქმიანობას. ევროკავშირის სასამართლო თავის გადწყვეტილებებში აღნიშნავს, რომ ხსენებული ტერმინი მოიცავს ყველა საქმიანობას/მოქმედებას, რომელიც არ არის სამენარმეო ან პროფესიული. ზოგიერთი დირექტივა კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ საკითხს და განმარტავს, რომ აქ ფიზიკური პირის ის საქმიანობა/მოქმედებაც მოიაზრება, რომელიც არ არის **ხელსაქმე (ხელოსნობა), „ბიზნესი“ ან კომერციული**“ (13, 5).

„თუ მომხმარებლისას **ჭარბობს პირადი საჭიროება/მიზანი**, მაშინ პირი სარგებლობს **მომხმარებლის სტატუსით**. მომხმარებელი ასევე შეიძლება იყოს **მენარმე, როგორც ფიზიკური პირი**, როცა კი ის შედის **პირად გარიგებებში**“ (13, 9).

„სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის დირექტივა RL 1999/44/EG, განეკუთვნება იმ ნორმატიული აქტების რიცხვს, რომლებიც იძლევა მომხმარებლის განმარტებას:

მუხლი პირველი (2) წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის შემდეგ ტერმინებს აქვთ შემდეგნაირი განმარტება

- a) „მომხმარებელი“ არის ყველა ის ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს ამ დირექტივის გამოყენების სფეროში მოქცეული ხელშეკრულების ფარგლებში და იმ მიზნისთვის, რომელიც არ განეკუთვნება მისი პროფესიული ან სამენარმეო საქმიანობის სფეროს;
- b) „სამომხმარებლო საქონელი“ არის მოძრავი ფიზიკური საგნები, გარდა, საქონლისა, რომელიც იყიდება იძულებითი აღსრულების ან სხვა სასამართლოს მიერ დადგენილი ღონისძიებების საფუძველზე, წყალი და გაზი, თუ ისინი არ არის მოქცეული შესაბამის ჭურჭელში შეზღუდული მოცულობით ან გარკვეული რაოდენობით, დენი;
- c) „გამყიდველი“ არის ყველა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე და თავისი პროფესიული ან სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ყიდის სამომხმარებლო საქონელს“ (13, 20);

„ევროკავშირის სასამართლომ თავის 9.11.2016-ის გადაწყვეტილებაში (ნომერი C-149/15) „გამყიდველის“ ცნება სამომხმარებლო საქონლის დირექტივის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის c ქვეპუნქტის გაგებით განმარტა იმგვარად, რომ მასში ასევე მოაქცია ფიზიკური პირისთვის მოქმედი მენარმე შუამავალი, რომელმაც სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის დადებისას მყიდველს ჯეროვნად არ მიანოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნასყიდობის ნივთის შესაკუთრე არის (სხვა) ფიზიკური პირი, რაც ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა შემომწმდეს თითოეულ კონკრეტულ საქმეში სასამართლოს მიერ“ (13, 21).

„ევროკავშირის სასამართლოსთვის მსგავს შემთხვევებში არსებითია, რომ მყიდველმა მიიღოს ინფორმაცია გამყიდველის ვინაობის და მისი (ფიზიკური პირის ან მენარმის) სტატუსის შესახებ, რათა მან ისარგებლოს დირექტივით (1999/44) უზრუნველყოფილი დაცვით“ (13, 21).

„გამყიდველის პასუხისმგებლობა დირექტივა 1999/44-ის მიხედვით უნდა დაეკისროს შუამავალს, რომელიც მომხმარებლის წინაშე თავისივე წარდგომით ქმნის ცდომილების საფრთხეს, როდესაც მომხმარებელს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ სწორედ ის არის ნასყიდობის ნივთის შესაკუთრე“ (13, 23).

„დისტანციური ფორმით დადებული ხელშეკრულების მეორე მხარის განმარტების დროს როგორც ქართულ კანონმდებლობაში, ასევე ევროკავშირის დირექტივებში შეინიშნება ტერმინოლოგიური სხვადასხვაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თუ რომელი ტერმინი უნდა იქნეს გამოყენებული მის აღსანიშნავად.

DSD დირექტივის (244) თანახმად, მეორე მხარე მოხსენიებულია „supplier“-ით. 2011/83/EC დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად, კი მეორე მხარე მოხსენიებულია „trader“-ით, რომელიც აღნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს, თავისი სამენარმეო, ბიზნეს, სავაჭრო ან პროფესიული საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე.

მენარმე შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ასევე იურიდიული პირიც. ისინი უნდა მოქმედებდნენ კონკრეტული

მიზნით, რომელიც დაკავშირებულია და მიეკუთვნება მათ სამენარმეო ან პროფესიულ საქმიანობას. ზოგიერთი დირექტივა კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ საკითხსაც და საჭიროდ მიიჩნევს იმის განსაზღვრას, სახეზეა თუ არა **ხელსაქმე (ხელოსნობა), „ბიზნესი“ ან კომერციული საქმიანობა**“ (13, 7).

„ის, ვინც **მოჩვენებითად ახორციელებს სამენარმეო ან პროფესიულ მიზანს**, ვერ ისარგებლებს მომხმარებელთა უფლებების დამცავი ნორმებით. მას, ვინც ეყრდნობა და მიუთითებს თავის, როგორც მომხმარებლის სტატუსზე, ეკისრება ამის შესაბამისი **განმარტებისა და მტკიცების ტვირთი.**

მენარმედ არ არიან მიჩნეული მხოლოდ **მოვაჭრეები**, არამედ ასევე **თავისუფალი პროფესიის ადამიანები** (როგორებიც არიან ექიმები, ადვოკატები და ა.შ), ხელოსნები, მწარმოებელი ფერმერები“ (13, 10).

საქართველოს კანონპროექტით კი შემოთავაზებულ იქნა ახალი ტერმინი – „მოვაჭრე“.

დირექტივა, ასევე, საქართველოს კანონპროექტიც მოვაჭრის ცნებას ფართოდ განმარტავს, რომლის თანახმად, მოვაჭრე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, ასევე, ნებისმიერი სხვა პირი მოქმედი მისი სახელით, რომელიც მოქმედებს თავისი პროფესიული, სავაჭრო ან/და სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში (150, 109).

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების რეგულირების კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი ქართულ კანონმდებლობაში ჯერ გათვალისწინებული არ არის. უფლებების დაცვა ხორციელდება ზოგად ნორმებზე მითითებით. სადავო საკითხები წყდება ოფერტისა და აქცეპტის, სახელშეკრულებო ბოჭვის, პირველადი და მეორეული მოთხოვნების სისტემის გამოყენებით“ (25, 239).

„ევროპულ კავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველოს სახელშეკრულებო სამართლის ევროპეიზაციის პროცესი უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტის შემუშავება ამის თვალსა-

ჩინო მაგალითია. ახალი 2011/83/EU დირექტივა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ადრე მოქმედ 97/7/EC დირექტივასთან შედარებით, უფრო მაღალი სტანდარტით ითვალისწინებს, რაც, უპირატესად, **ინფორმირების ვალდებულების გამკაცრებასა და უარყოფის უფლების განახლებულ რეგულირებაში ვლინდება**; ახალი დირექტივით განიმარტა სხვაობა საჯარო და კერძო აუქციონებს შორის და განსხვავებულად მონესრიგდა მომხმარებელთა ხელშეკრულების უარყოფის უფლება“ (25, 239).

4.2. ინფორმირების ვალდებულება

„სამომხმარებლო ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ინფორმაციის ასიმეტრიულობა – არასწორად გაცვლილი და აღქმული ინფორმაცია (არასრული ინფორმაცია-თ.ე), რომელიც როგორც წესი ბაზრის შემცირების ან სრულად გაქრობის ერთ-ერთი მიზეზია. როდესაც მცირე ინფორმაციის ფლობის გამო მომხმარებელმა არ იცის თუ რა საქონელს ან/და მომსახურებას ყიდულობს, მცირდება მისი სურვილი გადაიხადოს თანხა მისთვის უცნობ საქონელსა თუ მომსახურებაში, ხოლო თავის მხრივ დაბალი შეთავაზებული ფასი სურვილს უკლავს გამყიდველს ბაზარზე გამოიტანოს საქონელი ან/და მომსახურება, რაც ბუნებრივად იწვევს ბაზრის შემცირებას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მომხმარებელს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რაც მას სწორი არჩევანის გაკეთების საშუალებას მისცემს“ (32.9).

„**ინფორმაციის ასიმეტრიულობა, ასევე განიხილება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად.** მეტიც, მეწარმეთა მხრიდან შეთავაზებული საქონლის, ან მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მისი გამჭვირვალეობა ყოველთვის არ უზრუნველყოფს სამომხმარებლო ხელშეკრულებების სიცხადეს და მომხმარებელთა დაცულობას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებს“ (25, 228).

„აღსანიშნავია, რომ დროში შეზღუდვის გამო მომხმარებელს ხშირად სწრაფად უწევს გადაწყვეტილების მიღება, ისე, რომ ფაქტობრივად ვერ ახერხებს მისთვის სასურველი საქონლის ან/და მომსახურების შესახებ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მიღებას, რაც ფაქტობრივად რისკის ქვეშ აყენებს მომხმარებლის შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას“ (32).

„ინფორმაციის მინოდების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების დროს, როდესაც მომხმარებელს არა აქვს სრული ინფორმაცია საქონლის თვისებებისა და ხასიათის შესახებ და ვერ აფასებს საქონელს კონტრაქტის აღსრულებამდე“ (32).

მოვაჭრე არ უნდა ელოდოს, რომ მომხმარებელი თავად მოიძიებს ინფორმაციას. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება პირდაპირ გამოკვეთილია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაშიც. საქმეზე „Content Services Ltd v. Bundesarbeitskammer“. სასამართლომ განმარტა, რომ მეწარმე პირი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი თვითონ შეიძლებენ ამ ინფორმაციის მოძიებას. მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით (144, 148). დირექტივის მე-8 (1) მუხლის ფორმულირებით კი შეიძლება ითქვას, რომ პასიური მომხმარებელი ყოველთვის შეიძლება არ მოექცეს დირექტივით დაცვის სფეროში (190, 150).

2011/83/EU დირექტივის მე-6 მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის ინფორმაციას, რომლის მინოდებაც სავალდებულოა დისტანციური და ფართიდან მოშორებით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში (240). ამასთანვე, ინფორმაციის მინოდების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ სახელშეკრულებო ბოჭვაზე, არამედ ასევე შესატყვის ოფერტზეც (240). მსგავსი დანაწესით მუხლის მოქმედების სფეროში წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებიც ექცევა, რაც სამოქალაქო კოდექსის 317-ე და 318-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში ჰარმონიზაციის მაღალ დონეს განაპირობებს. ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დარღვე-

ვის შემთხვევაშიც ამგვარი განმარტება სასამართლო პრაქტიკაშიც შესაძლებელია (264).

„დირექტივის მე-6 მუხლში არის არსებითი გარემოებების შემცველი დებულებები, რომელთა გაუმჟღავნებლობა ხელშეკრულების არსებითი პირობის დარღვევას უთანაბრდება. ვალდებულების შესრულების ნაწილში მომხმარებელი „მოლოდინის რეჟიმში“ იმყოფება, მაშინ, როცა კონტრაჰენტი აქტიურად მოქმედებს და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული რისკების მატარებელია. დირექტივა ყურადღებას ამახვილებს შესაძლებლობაზე, მიიღოს ინფორმაცია და მისი ფაქტობრივი გაცნობა ვერ იქნება გამოყენებული მომხმარებლისათვის პასუხისმგებლობის ტვირთის გასაზრდელად“ (26, 124).

„ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისას ტვირთის განაწილების საკითხს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო არაერთ საქმეზე შეეხო, სადაც განმარტა, რომ სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას მენარმისათვის მძიმე შედეგები მოჰყვება. საქმეზე C-42/15 ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ ინფორმაციის მიწოდებლობამ კრედიტი საფასურისგან/პროცენტისგან თავისუფალ კრედიტად აქცია (272); რაც შეეხება საქმეს C-49/11, სასამართლომ აქცენტი კვლავ მენარმის აქტიურ როლზე გაამახვილა, ერთიანი მიდგომის დამკვიდრებას შეუწყო ხელი და „სუსტი მხარის“ დაცვის მაღალი სტანდარტი დაანესა“ (26, 20-23).

„მომხმარებლის მიერ მბოჭავი ნების გამოვლენამდე, მიწოდებულმა უნდა უზრუნველყოს მისთვის სავალდებულო ინფორმაციის ნათლად და ამომწურავად მიწოდება (240). დირექტივაში მითითებული ინფორმაცია მოიცავს პროდუქტისა და მწარმოებლის მიკვლევადობისთვის აუცილებელ ელემენტებს, რაც მომხმარებელს ნდობასთან ერთად პროდუქტის და მისი გამყიდველის იდენტიფიცირების საშუალებასაც აძლევს.

მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალს შეიცავს დირექტივის მე-6 მუხლი, ქართული კანონპროექტის მე-7 მუხლი ეძღვნება მოვაჭრის ზოგად ვალდებულებებს ინფორმაცი-

ასთან დაკავშირებით, ხოლო მე-8 მუხლი ინფორმაციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში.

დირექტივის მე-8 მუხლის მიხედვით,

1. ხელშეკრულება ითვლება ქუჩაში დადებულად თუ ის იდება მოვაჭრის სარენის (სამენარმეო საქმიანობის ადგილი) ფარგლებს გარეთ და მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფას, ასევე, რომელიც იდება მოვაჭრის სარენის ფარგლებში ან დისტანციურად, მაგრამ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა აღნიშნულის თაობაზე პირადად და ინდივიდუალურად შეთავაზება მიიღო მოვაჭრის სარენის ფარგლებს გარეთ.
2. **დისტანციური ხელშეკრულება იდება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და არ მოითხოვს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფას.**
3. დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის პარალელურად, გასაგები ფორმით (მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში – წერილობით) მიანოდოს მომხმარებელს ინფორმაცია:
 - ა) ხელშეკრულების დადების დროს გამოყენებული დისტანციური კომუნიკაციის ხარჯების შესახებ, თუ იგი არ შედის ძირითად ფასში;
 - ბ) მომხმარებელს საჩივრით მიმართვის უფლების შეზღუდვის ან დაკარგვის პირობების შესახებ, ასევე საჩივრის საფუძვლების არსებობისას, გასაჩივრების პირობებისა და მასთან დაკავშირებული წარმოების შესახებ, მათ შორის, დავის ალტერნატიული საშუალებებით გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ;
 - გ) მინიმალური ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც მოვაჭრე კისრულობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში პროდუქციის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ხარჯების ერთ-ერთი მხარის მიერ დაფარვის შესახებ;

ე) მოვაჭრის მხრიდან ფინანსური გარანტიის მოთხოვნის უფლებისა და ამ მოთხოვნის წინაპირობების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. მოვაჭრე ვალდებულია მიაწოდოს მომხმარებელს ხელშეკრულების ასლი, მისი წერილობითი ფორმით არსებობის შემთხვევაში, ან ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს პროდუქციის მიწოდებამდე/შესრულების დაწყებამდე, მარტივად გასაგებ ენაზე, ბეჭდური ფორმით. მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში, ასევე, დისტანციური ხელშეკრულებისას, შესაძლებელია სხვა საშუალების გამოყენებაც. თუ ხელშეკრულებით მომხმარებელს ეკისრება ფასის გადახდა, ამ შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ე“, „ი“ ქვეპუნქტებითა და ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს მიაწოდოს მის მიერ ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენამდე.
5. მოვაჭრე ვალდებულია გონივრულ ვადაში დაუდასტუროს მომხმარებელს დისტანციური ხელშეკრულების დადება და არაუგვიანეს პროდუქციის მიწოდებამდე/შესრულების დაწყებამდე მიაწოდოს მას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.
6. სატელეფონო კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მომხმარებლის ხელმოწერა ან წერილობითი თანხმობა. მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის სატელეფონო კომუნიკაციის დაწყებისთანავე მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საუბრის კომერცი-

ული მიზნისა და საკუთარი და იმ პირის ვინაობის შესახებ, ვისი სახელითაც იგი მოქმედებს.

7. ვებგვერდის მეშვეობით ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, არაუგვიანეს შეკვეთის პროცესის დაწყებისა, მომხმარებელს უნდა მიენოდოს ინფორმაცია პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და მოქმედი გადახდის საშუალებების შესახებ.

კანონპროექტის 8.2. მუხლი განსაზღვრავს დისტანციური ხელშეკრულების შინაარსს, თუმცა სრულად არ ასახავს 2011/83/EC დირექტივის 2(7) მუხლის შინაარსს“ (30, 67). “შესაბამისად, მიზანშეწონილია კანონპროექტის დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა და აღნიშნული მუხლის შემდეგი სახით ჩამოყალიბება: „დისტანციური ფორმით დადებული ხელშეკრულება ნიშნავს ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის მომსახურების ან საქონლის შესყიდვის მიზნით, სპეციალურად ორგანიზებული სისტემის მეშვეობით, მომხმარებლისა და მოვაჭრის ერთდროულად ფიზიკური დასწრების გარეშე, დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე საშუალებების გამოყენებით, როგორც ხელშეკრულების მომზადების, ასევე მისი დადების ეტაპზე“ (150, 107).

დირექტივის მე-6 მუხლი მოიცავს ისეთ ცნობებს, როგორიცაა:

- საქონლის ან მომსახურების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, იმ მოცულობით რაც შეესაბამება პირობებს/საშუალებას და საქონელს ან მომსახურებას;
- მოვაჭრის ვინაობა, როგორიცაა მისი სავაჭრო სახელი;
- ხელშეკრულების დადებისთვის დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებისათვის გადასახდელი, თუ ეს გადასახდელი არ იანგარიშება საბაზისო ტარიფით;
- გადახდის, მიწოდების, შესრულების პირობები, ვადა, რომლის განმავლობაშიც მოვაჭრე ვალდებულია იღებს მიწოდის საქონელი ან შეასრულოს მომსახურება და, თუ არსებობს, მოვაჭრის საჩივრის განხილვის პოლიტიკა;

- თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არსებობს, ამ უფლების განხორციელების პირობები, ხანდაზმულობა და პროცედურა 11.1 მუხლის შესაბამისად, ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის სანიმუშო ფორმა რომელიც დადგენილია დანართ I(B)-ში;
- ყოფაცქევის კოდექსის არსებობა 2005/29/EC დირექტივის 2.f მუხლის შესაბამისად და როგორ შეიძლება მისი ეგზემპლარის მოპოვება, ასეთის არსებობის შემთხვევაში (151, 63).

დირექტივის მე-6 მუხლის თანახმად, საქონლის ან მომსახურების ძირითადი მახასიათებლების შესახებ მოვაჭრის ვალდებულების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, დისტანციური კომუნიკაციის საშუალებები, რომლითაც ხდება საქონლის ან მომსახურების შეთავაზება, ასევე, საქონლის ან მომსახურების ბუნება.

„ის ფაქტი, რომ პროდუქტისა და სერვისების ბუნება შესაძლოა იქნეს გათვალისწინებული მიუთითებს იმაზე, რომ თუკი აღნიშნული პროდუქტი ან სერვისი არის ნაცნობი და მათი მახასიათებლები მომხმარებელმა კარგად იცის, მაშინ მათი მთავარი მახასიათებლების შესახებ საერთოდ აღარაა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ან მხოლოდ მცირე დოზით“ (196, 415-458). ამასთანავე, ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ კომერციული საკომუნიკაციო საშუალებები არ იძლევიან ბევრი ინფორმაციის მიწოდების საშუალებას (196, 415-458). “Ving Sverige-ის საქმეზე, სასამართლომ დაადგინა, რომ არ შეიძლება მოთხოვნილ იქნას პროდუქტის აღწერილობაში დეტალიზაციის ერთი და იგივე ხარისხი. აღნიშნული კი დამოკიდებულია გამოყენებული კომერციული კომუნიკაციის ფორმაზე (მაგალითად: რადიო, ტელევიზია, ელექტრონული საშუალებები თუ ქაღალდი). სასამართლომ, ასევე დაადგინა, რომ შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს პროდუქტის მხოლოდ ზოგიერთი მახასიათებლის მიწოდება (დატანა) და მოვაჭრეს შეუძლია გამოიყენოს ვებ-საიტიც, იმ პირობით, რომ აღნიშნულ ვებ-გვერდზე განთავსებული იქნება საკმარისი ინფორმაცია პროდუქტის მთავარი მახასიათებლების შესახებ“ (196, 415-458); (150, 111).

„მომხმარებლის დაცვით ფუნქციას ასრულებს ის დებულება, რომელიც ანესებს, რომ თუ მომხმარებელი დამატებითი ხარჯების შესახებ არ იქნება ინფორმირებული, იგი არაა ვალდებული გადაიხადოს აღნიშნული ხარჯები (196, 415-458). კანონპროექტის შემუშავების დროს არსებობს, რეკომენდაცია, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონპროექტში გაჩნდეს შემდეგი ჩანაწერი: თუ მოვაჭრე არ შეატყობინებს მომხმარებელს ინფორმაციას გადაზიდვის, მინოდების ან საფოსტო ხარჯების შესახებ, ან სადაც ამგვარი ხარჯების წინასწარი კალკულაცია შეუძლებელია, იმ ფაქტის შესახებ, რომ შესაძლოა გადასახდელი იყოს ამგვარი დამატებითი ხარჯები, მომხმარებელი არ იქნება ვალდებული ეს დამატებითი ხარჯები გადაიხადოს (30, 64). აღნიშნული დებულების დამატების შემთხვევაში ეს მუხლი იქნება დირექტივასთან შესაბამისი“ (150, 112).

„განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებების დროს ან გამოწერის ხელშეკრულებების დროს, ჯამური ფასი დაანგარიშებულ უნდა იქნას თითოეული საანგარიშო პერიოდისათვის. თუ აღნიშნული ხელშეკრულებები ფორმდება ფიქსირებული განაკვეთით, ჯამური ფასი ნიშნავს თვიურ ჯამურ ღირებულებას. თუ ფასები ვერ დაანგარიშდება წინასწარ, მაშინ უნდა მიეთითოს თუ რა გზით მოხდება მისი დაანგარიშება“ (196, 415-458). აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონპროექტი არ ითვალისწინებს მსგავს დებულებას.

„მოვაჭრის მიერ მისაწოდებელი ინფორმაცია ვინაობისა და მისი სავაჭრო სახელის შესახებ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მოვაჭრის სავაჭრო სახელის შესახებ, მისი გეოგრაფიული მისამართის, სადაც განთავსებულია, თუ შესაძლებელია, ტელეფონის ნომრის, ფაქსისა და ელექტრონული მეილის მისამართის შესახებ, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და ჰქონდეთ ეფექტური კომუნიკაცია. „სადაც შესაძლებელია“ ნიშნავს, რომ მოვაჭრე არ არის ვალდებული თავის ვებ-საიტზე მიუთითოს ტელეფონის ნომერი, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებლისათვის შესაძლებელია მოვაჭრეს დაუკავშირდეს სწრაფად და ჰქონდეს

ეფექტური კომუნიკაცია კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით (196, 415-458) და საჭიროების შემთხვევაში შეძლებს საჩივრით მიმართვას“ (199); (150, 112).

„ევროპის სასამართლოს გადანყვეტილებით საქმეზე, Deutsche Internet Versicherung, იმსჯელა ტელეფონის ნომრის შესახებ, ინფორმაციის მიწოდების სავალდებულობის შესახებ, სადაც განმარტა, რომ არ არის სავალდებულო მიწოდებულ იქნას ინფორმაცია ტელეფონის ნომრის შესახებ, მთავარია მიწოდებულ იქნას ინფორმაცია სად შეიძლება დაეკონტაქტოს მომხმარებელი საჭიროების შემთხვევაში სწრაფად და ეფექტურად“ (196, 415-458).

„მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია საქონლის შესაბამისობის შესახებ სამართლებრივი გარანტიის არსებობის თაობაზე (196, 415-458). კერძოდ, ყველა იმ გარანტიისა და მისი გამოყენების პირობების შესახებ რაც შეუძლია გამოიყენოს მაგ.: თანხის დაბრუნება, საქონლის დაბრუნება, კომპენსაციის მიღების უფლება და ა.შ.“ (150, 113).

„ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება გულისხმობს, რომ მომხმარებელმა არა თუ უნდა იცოდეს, რომ უფლება აქვს უარყოს მის მიერ გამოხატული ნება, არამედ უნდა ფლობდეს ინფორმაციას, რა დროის განმავლობაში შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული უფლება და რა პროცედურა უნდა გაიაროს მის განსახორციელებლად“ (196, 415-458). „მოვაჭრემ მომხმარებელს, ასევე, უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების გასვლის უფლების განსახორციელებლად დირექტივის მიხედვით დადგენილი სტანდარტული ფორმა. მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ შესაძლებელია საქონლის უკან დაბრუნება. ასევე, აღნიშნული უნდა იყოს როგორ ხდება უკან დაბრუნება და როგორ მოხდება უკან დაბრუნების ხარჯების განაწილება. მითითებული უნდა იყოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მომხმარებელს დაეკისრება საქონლის დაბრუნების ხარჯები. თუ საქონელი, თავისი ბუნების მიხედვით არ შეიძლება დაბრუნდეს ფოსტის მეშვეობით, მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს მისი დაბრუნების ხარჯების ოდენობის შესახებ. თუ ზემოაღნიშნული ხარჯების შესახებ მომხმარებელი არ იყო

ინფორმირებული შესაბამისად, მას ამ ხარჯების გადახდაც არ დაეკისრება“ (150, 114).

„კანონპროექტი არ ითვალისწინებს დებულებას, რომ მოვაჭრე ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების (იგულისხმება ხელშეკრულების უარყოფის უფლება) არსებობის შესახებ, თუმცა გათვალისწინებულია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზების მიმართ მოქმედი წესები. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტს აკლია: დებულება ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს გაფრთხილების გაგზავნა ინფორმაციის გადაცემისა და ხანგრძლივად შენახვის საშუალებებით თუ წერილობით. როგორ და რა საშუალებით უნდა ისარგებლოს მომხმარებელმა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს არ შეატყობინეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ“ (30, 71); (150, 16).

„არსებობს მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არ იყო ინფორმირებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ, გამოთხოვის უფლების გამოყენების ვადის დენა არასდროს დაინყება (196, 415-458). აღნიშნულ მიდგომას დაეთანხმა ევროპის სასამართლო Heiniger-ის საქმეზე. აღნიშნული მიდგომა შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული ევროპული კანონმდებლის მიერ და დირექტივაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების ხანდაზმულობის ვადად უნდა დადგინდეს 12 თვე იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი ამ უფლების შესახებ არ იყო ინფორმირებული“ (150, 114).

„ისეთი დისტანციური ფორმის საშუალებით, ინფორმაციის მიწოდებისას სადაც შეზღუდულია ინფორმაციის განთავსება. მაგ.: SMS-ის მეშვეობით, სადაც ინფორმაციის განთავსება შეზღუდულია სიტყვათა რაოდენობით, მოვაჭრე ვალდებული იქნება მიაწოდოს ინფორმაცია ძირითადი მახასიათებლების, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობის შესახებ, ჯამური ფასის, მოვაჭრის შესახებ ინფორმაცია და ხელშეკრულების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია, ხოლო თუ განუსაზღვრელი ვადით მოქმედებს, მაშინ მისი შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია, ხოლო

სხვა დანარჩენი ინფორმაცია მიაწოდოს სხვა ხელსაყრელი საშუალებით“ (196, 415-458); (150, 114).

„2011/83/EC დირექტივის თანახმად, ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნას ნათელი და გასაგები ფორმით „in a clear and comprehensible manner“. კანონპროექტშიც (232) მოცემულია, რომ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს გასაგები ენით“ (150, 116).

„ინფორმაციის ვალდებულებებისას ევროკავშირის დირექტივა გამომდინარეობს **ინფორმირებული და ინფორმირებადი მომხმარებლის** წარმოდგენიდან, რომელიც უნდა აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, სადაც შეძლებს რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული ეფუძნება იდეას, რომ ბაზრის მონაწილე, როცა ის კარგად არის ინფორმირებული, იღებს მისთვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებას. ამასთან, უფროდაუფრო ფართოვდება ინფორმაციის ვალდებულებები“ (13, 38).

„აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა განსხვავებული მოსაზრება, როცა საქმე სამომხმარებლო კრედიტს ეხება (13, 38). მომხმარებელსა და კრედიტის გამცემს შორის არსებული დისბალანსის გამო **დიდი ხანია, საყოველთაოდ არის აღიარებული** პირადი (არაკომერციული) მიზნით მოქმედი **მომხმარებლის დაცვის აუცილებლობა**. დღეს მსესხებელი მომხმარებლის სასარგებლოდ მოქმედი განსაკუთრებული რეგულაციების მიზანია, **ინფორმაციის მიწოდებისა და ფორმის დაცვის ვალდებულებების დანესებით** უზრუნველყოს, რომ მომხმარებელი კრედიტის აღებისას სრულად აცნობიერებდეს კრედიტის აღებაზე თავისი გადაწყვეტილების შედეგებსა და მასშტაბებს. ჩვეულებრივ, მომხმარებელს უწევს ბანკების მიერ მომზადებული **კომპლექსური სახის სახელშეკრულებო დოკუმენტაციასთან** „გამკლავება“, მათ მიერ მომზადებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გაცნობა, რომლებიც მისთვის ბუნდოვანი და გაუგებარია“ (13, 37).

„სამომხმარებლო კრედიტს **ბიუროკრატიის მონსტრსაც** უწოდებენ: ბოლო კვლევები **არსებულ საინფორმაციო მოდელს წარუმატებლად აფასებენ**“ (13, 39). „ინფორმაციის ვალდებულება იმდენად შორს მიდის, რომ კრედიტის მიმღებს ხშირად გასაცნობად

გადაეცემა 50-გვერდიან საინფორმაციო პაკეტი. ბუნებრივი და მოსალოდნელია, რომ თითქმის არცერთი კლიენტი ამ რაოდენობის ინფორმაციას არ გაეცნობა. ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც ახლად ანესრიგებს სამომხმარებლო სესხის სამართალს და არ არის დავალდებული ვეროკავშირის რეგულაციებით, ვურჩევდი, რომ არ დახერგონ **ვეროკავშირის სამართლით გათვალისწინებული წესები სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით**“ (13, 39).

მომხმარებელთა უფლებების ეფექტური დაცვა ნამდვილად არ დავერ ხორციელდება წლიურ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე ინფორმაციის მიწოდებით. გამჭვირვალობა, ისეთი, როგორისკენაც პრინციპში იღწვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, მიღწეული იქნებოდა, თუ ბანკს **აეკრძალებოდა ყველა დამატებით გადასახდელი თანხის** დარიცხვა სასესხო თანხაზე, გარდა წლის ბოლოს დასარიცხი საპროცენტო სარგებლისა (13, 39).

„2011/83/EC დირექტივის თანახმად, ინფორმაციის მიწოდება შეიძლება წერილობითი ფორმით ან თუ მომხმარებელი თანახმაა „მყარი მატარებლის“ (144, 156) მეშვეობით. დირექტივა მყარ მატარებელს განმარტავს, როგორც ნებისმიერ ინსტრუმენტს, რომელიც მომხმარებელს ან მოვაჭრეს მისცემს საშუალებას თავისთვის უცვლელად შეინახოს ინფორმაცია განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმით, რომ მომხმარებელს ყოველთვის ჰქონდეს შესაძლებლობა მისთვის სასურველ დროს გაეცნოს მიწოდებულ ინფორმაციას. რაც ქმნის მომხმარებლის დაცვის გაზრდილ გარანტიას. ვინაიდან ონლაინ-ვაჭრობის მიზანს წარმოადგენს სავაჭრო სფეროს გაძლიერება. ამ დროს არ ხდება წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება და საქონლის შეძენა ხდება მარტივად ცალკეულ ღილაკებზე ხელის დაჭერით. სწორედ ამ დროს ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა ლინკზე გადასვლით ან ინფორმაციის საიტზე განთავსებით (144, 158). ამ შემთხვევაში ლინკი საიტზე ისე უნდა იყოს განთავსებული, რომ გონივრულ მომხმარებელს შეეძლოს მისი შემჩნევა და ინფორმაციის მიღება“ (196, 415-458). (150,117).

„ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს (240. მუხლი 6.9.), (150. 20), (190). მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტი კი არ ითვალისწინებს აღნიშნულ საკითხს. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს მომხმარებლის დაცვის გარანტიას და მიზანშეწონილია კანონპროექტში ცვლილება იქნას შეტანილი“ (150, 117).

„ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ღირეტივა ითვალისწინებს მომხმარებლის უფლებას, რომ გავიდეს ხელშეკრულებიდან. თუმცა სხვა სახის შედეგებს, როგორცაა კომპენსაციის უფლება, ნივთის შეცვლის მოთხოვნის უფლება და ა.შ. არ ითვალისწინებს და ნევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება თავად გადაწყვიტონ და ეროვნულ კანონმდებლობაში განსაზღვრონ.

კანონპროექტის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდებისთვის მოვაჭრე პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე მხარე არ ახდენს სავალდებულო ინფორმაციის მიწოდებას? ქართულ კანონმდებლობაზე მითითება არ მიაჩნდება, თუ რა შეიძლება იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები (30, 62). შესაბამისად, მიზანშეწონილია მოხდეს ინფორმაციის მიწოდებლობის შედეგების შესახებ რეგულირების ასახვა, ვინაიდან მომხმარებელმა შეძლოს საკუთარი უფლებების ჯეროვანი დაცვა. ამდენად, რეკომენდაციის თანახმად, საქართველოს კანონპროექტშიც უნდა გაჩნდეს ჩანაწერი ინფორმაციის მიწოდებლობის შედეგების შესახებ, რაც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მოვაჭრის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა, რამაც მომხმარებელი სამომხმარებლო ხელშეკრულების დადებაზე წააქეზა, გამოიწვევს ამ ხელშეკრულების გაუქმებას. მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას სამომხმარებლო ხელშეკრულებაზე ამ საფუძვლებით, მიუხედავად იმისა, მოვაჭრის მიერ მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, არსებობდა თუ არა მისი მხრიდან კლიე-

ნტის ხელშეკრულების დადებაზე ნაქეზების განზრახვა. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება წყდება მისი დადებიდან ერთი წლის შემდეგ“ (30, 62); (150, 118).

„1999/44/EC დირექტივის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს შეუსაბამო საქონლის მიწოდებისათვის მოითხოვოს დირექტივით განსაზღვრული დაცვის საშუალებების გამოყენება საქონლის მიწოდებიდან 2 წლის ვადაში, როდესაც ნაკლი არსებობდა მიწოდების დღესვე. აღნიშნულ დებულებას ითვალისწინებს კანონპროექტიც (10.8. მუხლი). თუმცა ძალზე სადავოა 2 წლიანი ვადის შემოღება. აღნიშნულით არაპირდაპირ ხდება მომხმარებლის დავა-დებულება, რომ შეამონმოს მიღებული პროდუქტი და არაპირდაპირ ეკისრება მისი შემონმების მტკიცების ტვირთი. ვინაიდან დირექტივის ეს დებულება არ არის სავალდებულო, ვეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ **გაზიარებულ არ იქნას იგი და არ დანესდეს შეუსაბამობისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა** (30, 75). ამავე დირექტივით განსაზღვრულია, რომ თუ ნაკლი გამოვლინდება ნივთის მიწოდებიდან 6 თვის ვადაში, ივარაუდება, რომ ეს ნაკლი არსებობდა ნივთის მიწოდების დღესვე, გარდა იმ შემთხვევაში თუ ეს ვარაუდი არ შეესაბამება ნივთის ან ნაკლის ბუნებას. აღნიშნული წარმოადგენს მომხმარებლის დაცვის გარანტიას და მისთვის ხდება მტკიცების ტვირთის შემსუბუქება. შესაბამისად, მომხმარებლის მაქსიმალური დაცვის გარანტიის შექმნის მიზნით მიზანშეწონილია, რომ მოხდეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტის 1999/44/EC დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა“ (150, 119).

საქართველოს კანონით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ საქართველოს კოდექსი“, რომელიც 2012 წელს შევიდა ძალაში (227) შეიცვალა საქართველოს 1996 წლის 20 მარტის კანონი „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“. კანონის მიზანია, ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა, განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზედამხედველობის, მშე-

ნებლობის, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, მეტროლოგიისა და ტექნიკური რეგლამენტების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა განვითარებულ ქვეყნებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. (მუხლი 1). ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების მიზნით საფუძვლის შექმნა, ტექნიკური რეგლამენტებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, ასევე ხარისხის ინფრასტრუქტურის მარეგულირებელი კანონმდებლობის კონსოლიდაცია და ერთიანი კოდიფიცირება.

კანონში უშუალოდ ელექტრონული ვაჭრობის რეგულაციაზე საუბარი არაა, მაგრამ ბევრი ნორმა მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია დისტანციური, მათ შორის ელექტრონული ვაჭრობის მხარეთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, როცა საქმე მწარმოებელსა და მომხმარებელს შეეხება.

მაგალითად, კანონის ორი კარი ძირითადად აერთიანებს ისეთ ნორმებს, რომლებიც ეხება პროდუქტის მწარმოებლის ვალდებულებებს, რათა მომხმარებელს მიაწოდოს სრული ინფორმაცია პროდუქტზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსებას და მომხმარებლების სრულად ინფორმირებულობას, როგორც პროდუქტის მწარმოებლის, ასევე თვითონ პროდუქტის შესახებ.

კანონის მე-11 მუხლის მიხედვით მწარმოებელი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარგანსაზღვრული ვადის განმავლობაში, აგრეთვე იმ რისკის შესახებ, რომელიც შეიძლება დაუყოვნებლივ არ გამოვლინდეს, ხოლო მე-12 მუხლით მწარმოებელი/დისტრიბუტორი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რაც მას სწორი არჩევნის შესაძლებლობას მისცემს.

მომხმარებელს პროდუქტის შესახებ უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) პროდუქტის დასახელება და სახე;
- ბ) პროდუქტის დამამზადებლის საფირმო სახელწოდება და მისამართი, იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამამზადებელი პროდუქტი;
- გ) შესაბამის შემთხვევაში – იმ პროდუქტის ვარგისობის ვადა (პროდუქტის გამოყენების ბოლო თარიღი ან დამამზადებლის თარიღი და შენახვის ვადა), რომლის სამომხმარებლო თვისებები დროთა განმავლობაში უარესდება;
- დ) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის წონა ან/და მოცულობა;
- ე) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხა;
- ვ) შესაბამის შემთხვევაში – პროდუქტის შედეგიანი და უსაფრთხო გამოყენების წესები და პირობები, აგრეთვე შენახვის სპეციალური პირობები;

ახალი და გლობალური მიდგომის ევროპული დირექტივების ამგვარი იმპლემენტაციის გზით განხორციელება, ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული საქართველოს კანონმდებლობის კიდევ უფრო მეტად დაახლოება ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასთან, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ევროპულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობით მოცული ცნობების ჩამონათვალი არაა ამომწურავი და ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი მწარმოებელს/დისტრიბუტორს უფლებას აძლევს, თავისი სამეწარმეო მიზნებისათვის მომხმარებელს მიაწოდოს უფრო მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამ მუხლით (151, 64).

„ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მსგავსად, უალტერნატივოდაა მიჩნეული გარიგების დადებამდე მხარისათვის მბოჭავი ნების გამოვლენის შეცნობადობის აღქმის განმარტება, რომლის უზრუნველყოფასაც დირექტივის მე-8 მუხლი ემსახურება და მოვალეობას სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალს უდგენს (240), ხოლო ერთ-ერთ კომპონენტად ვიზუალიზა-

ციის ელემენტსაც მოიაზრებს: მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელი, როდესაც იძლევა თავის შეკვეთას, ნათლად ათვითცნობიერებს, რომ შეკვეთა გულისხმობს გადახდის ვალდებულებას. თუ შეკვეთის მიცემა საჭიროებს ღილაკის აქტივაციას ან მსგავს ფუნქციას, ეს ღილაკი ან სხვა მსგავსი ფუნქცია უნდა იყოს აღნიშნული მარტივად, გასაგებად მხოლოდ შემდეგი სიტყვებით „შეკვეთა გადახდის ვალდებულებით“ ან შესაბამისი ნათელი ფორმულირებით იმის აღნიშვნით, რომ შეკვეთის მიცემას შედეგად მოსდევს მოვაჭრისათვის თანხის გადახდის ვალდებულება. თუ მოვაჭრე არ გაითვალისწინებს ამ ქვეპარაგრაფის პირობებს, მომხმარებელი არ არის შებოჭილი ხელშეკრულებით ან შეკვეთით“ (151, 66); (196, 415-458).

„ინფორმაციის სიცხადისა და მინოდების ვალდებულების შეუსრულებლობას ევროპელი კანონმდებელი მთლიანად ხელშეკრულების მბოჭავი ძალის არარსებობას უკავშირებს და ამით ერთგვარ მინიშნებას იძლევა მისი იმპლემენტაციისას სისტემურ განმარტებაზე, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში შემდეგნაირად უნდა მოიაზრობდეს: ინფორმაციის კონკრეტული მოცულობა და სახე განისაზღვროს, როგორც საქართველოს სსკ-ის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილით კანონით დადგენილი არსებითი პირობა, რომლის დარღვევის შემთხვევაში გარიგებას არ ექნება მბოჭავი ძალა კონტრაქტის მიმართ, თუმცა დეტალურ რეგულირებას დირექტივა არ ითვალისწინებს, რაც მის უნივერსალურ ხასიათს განაპირობებს და სხვადასხვა სისტემაში იმპლემენტაციის შესაძლებლობას იძლევა“ (151, 66).

4.3. ხელშეკრულების უარყოფის უფლება.

„მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში, მენარმეთა კეთილსინდისიერად და გულისხმიერად მოქმედების ვალდებულება დამატებითი იმპერატიული ნორმებითაა უზრუნველყოფილი (85, 107-117). ამიტომაც უფლების დაცვის საერთო საფუძვლებთან ერთად, არათანაბარ სახელშეკრულებო ურთიერთობებში (მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული დისტა-

ნციური ხელშეკრულებები კი სწორედ ასეთებად განიხილება) მომხმარებელი დამატებით დაცულია ხელშეკრულების უარყოფის უფლებით, როგორც ადეკვატური და ეფექტიანი საშუალებით მის მიმართ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების უგულვებელყოფისას“ (25, 232).

„ხშირად ქვეყნების მიერ მომხმარებლების მხრიდან ხელშეკრულებაზე უარის თქმა ისეთ ვითარებებში გამოიყენება, სადაც ყველაზე მაღალია ალბათობა იმისა, რომ მომხმარებელს არ შეუძლია რაციონალური შენაძენის გაკეთება. ეს არის დისტანციური და ქუჩის გაყიდვები. ევროკავშირის დირექტივა 2011/83 მომხმარებლებისათვის დისტანციურ და ქუჩის გაყიდვებთან დაკავშირებულ პრობლემას ასე განსაზღვრავს: დისტანციური გაყიდვების შემთხვევაში, მომხმარებელი ვერ ხედავს საქონელს კონტრაქტის დადებამდე და ამიტომ, მას უნდა ჰქონდეს საქონლის უკან დაბრუნების უფლება. იგივე მიზეზით, მომხმარებელს უნდა მიეცეს უფლება შეამოწმოს და გამოსცადოს მის მიერ შეძენილი საქონელი, რათა დაადგინოს საქონლის ხასიათი, თვისებები და ფუნქციონირება“ (32).

„ხელშეკრულებიდან გასვლის (უარყოფის) უფლება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა დაცვის სამართალში, სწორედ ნების უეცარი გამოვლინება, მისი შინაარსობრივი აცდენა კონტრაქტის ნამდვილ მიზანთან უბიძგებს ხოლმე ბრუნვის მონაწილეს, უარი თქვას კერძო სამართლის პრინციპზე „pacta sunt servanda“ (ვალდებულება უნდა შესრულდეს) და გავიდეს სამართალურიერთობიდან“ (151, 66).

„როგორც წესი, ხელშეკრულების უარყოფის უფლების იმპერატიული ხასიათი უკავშირდება ბიზნეს სანარმოს გარეთა და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებს. ასევე იგი გვხვდება გარკვეული ტიპის საკრედიტო ურთიერთობებშიც. მეტწილად ურთიერთდაკავშირებულ საკრედიტო ხელშეკრულებებში“ (116, 109-117., 25, 240).

„მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ხელშეკრულების უარყოფის

უფლებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა და ის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია“ (121, 13-22., 25, 240).

„საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ინფორმაციის მიღებისა და საქონლის დაბრუნების პირობები ძირითადად ეხმარება მონყველადი კატეგორიის მომხმარებლებს, რომლებიც ხშირად ე.წ. «ცივი ზარის“ (გამყიდველის ვიზიტი ან ზარი პოტენციურ კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე) მსხვერპლნი არიან“ (32).

„ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია შეაკეთოს, შეცვალოს, ფასი დააკლოს ან დაიბრუნოს საქონელი, რომელიც წუნიანი აღმოჩნდება ან არ აღმოჩნდება ისეთი, როგორც რეკლამაში იყო. თუ მომხმარებელი შეიძენს საქონელს ან მომსახურება ინტერნეტით ან მაღაზიის გარეთ (ტელეფონით, ელ. ფოსტით, კარიდან-კარზე გაყიდვებით), უფლება აქვს გააუქმოს და დააბრუნოს შეკვეთა 14 დღის განმავლობაში ნებისმიერი მიზეზით და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. თუმცა, ადგილზე შეიძენის შემთხვევაში, მოვაჭრისათვის სავალდებულო არ არის დაიბრუნოს საქონელი დასაბუთების გარეშე. ზოგიერთი მოვაჭრე, ნებაყოფლობით სთავაზობს ამგვარ შესაძლებლობას“ (32).

„ევროპულ დირექტივებში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნების სამართლებრივ დოქტრინაში ხელშეკრულების უარყოფის უფლებას სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ. ზოგან იგი აღნიშნულია ხელშეკრულების გაუქმების, ზოგან-შენწყვეტის, ხან - ნების უკან გამოთხოვის და ხანაც – ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების სახელით“ (25, 241).

„მომხმარებელთა უფლებებისადმი მომეტებული ინტერესის გაჩენამდე, ნების უკან გამოთხოვის საკითხი ძირითადად ოფერტის მბოჭავი ძალის კონტექსტში განიხილებოდა, როგორც საგამონაკლისო რეგულაცია“ (188, 15-16., 25, 242).

„მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში დამკვიდრებული უარყოფის უფლება, თავისი შინაარსით,

სრულიად განსხვავდება ოფერტის მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების დანაწესისაგან. ეს არის არა ოფერტის, არამედ აქცეპტის – ცალმხრივად უარყოფის უფლება. რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელს შეუძლია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამოიხმოს სხვა შემთხვევაში გამოუხმობადი აქცეპტი“ (25. 242).

„2011/83/EU დირექტივაც განამტკიცებს უარყოფის უფლების იმპერატიულ ხასიათს და დაუშვებლად მიიჩნევს ამ უფლების მხარეთა შეთანხმებით შეზღუდვას, გაუქმებას ან მასში ცვლილებების შეტანას უფლებამოსილი პირის ინტერესების საზიანოდ. დირექტივის მე-3 თავი ეთმობა მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულებას და ხელშეკრულების უარყოფის უფლებას დისტანციურ და ბიზნეს სანარმოს გარეთ დადებულ ხელშეკრულებებში: გადაფიქრების ვადას [სხვაგან ასევე მოხსენიებული „გაგრილების პერიოდად“ – cooling-off period]; უფლების რეალიზების წესს; ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას“ (240, 9., 25, 243).

„დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებისათვის უარყოფის უფლების არსი ვლინდება მომხმარებლის შესაძლებლობაში ხელშეკრულების დადებისა და საქონლის მიღების შემდგომ, სავაჭრო სივრცის პირობების მსგავსად, დარწმუნდეს შეძენილი საქონლის სარგებლიანობაში. მომხმარებელი უზრუნველყოფილია დამატებითი შესაძლებლობით საქონლის მიღების შემდგომ გადაწყვიტოს საქონლის სამუდამოდ შეძენის საკითხი – დაიტოვოს ან უკან დააბრუნოს იგი“ (125, 174-175); (177, 118-119); (25, 247). ხელშეკრულების უარყოფის უფლებას ნამახალისებელი ეფექტი აქვს. იგი აძლევს მომხმარებელს დამატებით სტიმულს ჩაებას დისტანციურ ვაჭრობაში და მინიმუმადე დაიყვანოს მასთან ასოცირებული რისკები. თავიდან აიცილოს დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შემდგომი სინანულის გრძობა. გარდა ამისა, როდესაც მომხმარებელმა წინასწარ იცის, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეძლებს ნაყიდი საქონელის უკან დაბრუნებას, იგი მეტად თავისუფალია გადანყვეტილების მიღებისას. ხელშეკრულების უარყოფის უფლების არსებობის პირობებში მაღალი ფასიც აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას (250, 77).

„დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში უარყოფის უფლება შესაძლებელს ხდის მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში საქონლის ფლობას, დათვალეობას და, გარკვეულწილად, მოხმარებასაც. ევროპელი კანონმდებლის ერთ-ერთი მიზანიც ეს იყო – უზრუნველყო მომხმარებელი საქონელის შეფასების დამატებითი შანსით. იმ შემთხვევაში, თუ ნაყიდი საქონელი არ გამართლებს მომხმარებლის მოლოდინს, იგი უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და ნივთი უკან დააბრუნოს. მეტიც, მომხმარებელი მაშინაც არის უფლებამოსილი უარყოს ხელშეკრულება, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია საქონლის ან მომსახურების შესახებ სრული და აუცილებელი ინფორმაციის მიღების შედეგად. დაცვის ასეთი გადაჭარბებული მექანიზმის უკან დგას მომხმარებლის მერყევი განწყობა დისტანციური ხელშეკრულებების მიმართ და ევროპელი კანონმდებლის სურვილი, წაახალისოს იგი დისტანციურად ხელშეკრულებების დადებისაკენ“ (106.8., 25, 247).

„შეცდომით, მოტყუებითა და იძულებით დადებული გარიგებები საცილო გარიგებების ბათილად ცნობის კლასიკურ საფუძვლად არის აღიარებული. თუმცა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელშეკრულებო სამართალში თავს იმკვიდრებს ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების ახალი ინსტიტუტი – მომხმარებლისათვის მინიჭებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რომელიც, ერთი მხრივ, იცავს ურთიერთობის კონკრეტული სუბიექტის – მომხმარებლის სახელშეკრულებო თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მისთვის ხელშეკრულებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას.“ (25, 250)

„ტრადიციული მიდგომის თანახმად, შეცილების წინაპირობა თავისუფალი თანხმობის არ არსებობაა. ამის პარალელურად, მომხმარებლისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებით კანონმდებელი წინ უსწრებს მოვლენებს და უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მომხმარებლის თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე შესაძლოა არ იყოს მისი თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგი და წინასწარ ანიჭებს მას მომავალში დასადები ხელშეკრულების უარყოფის უფლებას“ (109, 243., 25, 251)

„მოვაჭრის ან მენარმის მიერ მომხმარებლის დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე ინფორმირებული თანხმობის არარსებობის პირობებში, როდესაც იგი მოკლებულია დაფიქრებისა და საქონლის მახასიათებლების სათანადო შეფასების შესაძლებლობას, შეიძლება ჩაითვალოს *contrabonosmores* საწინააღმდეგოდ დადებულ და, შესაბამისად, ბათილ გარიგებად ამავდროულად, იმედგაცრუებული მომხმარებელი ვალდებული იქნებოდა ემტკიცებინა გარიგების ბათილად ცნობის შესაბამისი საფუძვლის არსებობა.“ (134, 214., 25, 251).

„ხელშეკრულების უარყოფის უფლება მომხმარებელს აკისრებს ხელშეკრულების არსებობის, მისი ნამდვილობის საკითხის გადაწყვეტის პასუხისმგებლობას, მეორე მხარის თანხმობის, თუ მასთან შეთანხმების გარეშე“ (134,214., 25, 251). „ამ გაგებით ხელშეკრულების უარყოფის უფლება ემსგავსება მერყევად ბათილ გარიგებებს რომელთა სამართლებრივი ვარგისიანობა დამოკიდებულია უფლებამოსილი პირის შეცდომაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის გადამწყვეტია არა ოფერტის აქცეპტირება, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, არამედ მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების გამოუყენებლობა“ (42.50). „ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულება, რომლის უარყოფაც დასაშვებია, იმყოფება გადაუწყვეტელ ფაზაში მისი საბოლოო შედეგის თვალსაზრისით. მხოლოდ მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების რეალიზებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ხდება ცხადი, ხელშეკრულების ყველა პირობა ზედმიწევნით შესრულებულად, თუ გაუქმებულად ჩაითვლება“ (134, 214., 25, 251).

„ელექტრონული ხელშეკრულებების სამყაროში მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც ელექტრონულ პროგრამაში ინფორმაციის შეტანის დროს დაშვებული ცდომილებით, ასევე წინასწარი შეცნობით არასწორი ინფორმაციის მითითებით, რაც გავლენას ახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე ხელშეკრულების დადებისას. შეიძლება ითქვას, რომ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებები იმითაც განსხვავდება პირისპირ დადებულისაგან, რომ მომხმარებელს

პროგრამულად ატვირთულ მონაცემებთან და გადამამისამართებელ ბმულებთან უნევს გამკლავება. თუ მომხმარებელი სათანადოდ არ ერკვევა ახალ ტექნოლოგიებში, ერთი შეხედვით ხელშეკრულების დადების მარტივი და კომფორტული ხერხი, შესაძლოა, მრავალი უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების მიზეზად იქცეს“ (132, 51., 25, 253).

„ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი იცავს მომხმარებელს არა შეცდომით ნების გამოვლენისაგან, არამედ შეცდომით დადებული ხელშეკრულებისაგან“ (188, 33., 25, 253).

ხელშეკრულებიდან გასვლაზე ნების გამოვლენა მიღებასავალდებულო ნებას წარმოადგენს, რომელიც მე-11 მუხლის მიხედვით მოვაჭრეს უნდა ეცნობოს წინასწარ დადგენილი ან ადეკვატური ფორმით, რომელიც მისი აღქმის საშუალებას იძლევა (240). (151, 16).

„2011/83/EU დირექტივის მე-9 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების უარყოფის ვადა 14 დღეა, რომლის გამოყენებისათვისაც არაა საჭირო საპატიო მიზეზის მითითება ან არაჯეროვან შესრულებაზე აპელირება, იგი ერთგვარად უპირობო უფლებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელიც დირექტივის გარანტიას წარმოადგენს არასასურველი სამართლებრივი შედეგის თავიდან აცილებისთვის“ (151, 16., 25, 267).

„ხელშეკრულების უარყოფის უფლების თაობაზე მომხმარებლის სათანადო ინფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აღსანიშნავია, რომ გასვლის უფლებაზე ინფორმაცია დირექტივის 6.1 მუხლის თანახმად მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის სავალდებულოდ გასაცნობი კატეგორიაა, რომლის შეუსრულებლობაც მხარისათვის საგულისხმო შედეგებს განაპირობებს.“ (25, 265).

„უარყოფის უფლების მსგავსად, გონივრული ინფორმირების შესახებ წესების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც, მომხმარებელთა უფლებები იმპერატიული ნორმებითაა დაცული. იქ, სადაც მენარმე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ხელ-

შეკრულების გადახედვისათვის განსხვავებული ვადები მოქმედებს“ (83, 22). “ეს ორ ძირითად ასპექტში ვლინდება. ჯერ ერთი, ხელშეკრულების გადახედვისათვის განსაზღვრული 14 დღიანი ვადის ათვლა არ დაიწყება სანამ მომხმარებელი არ იქნება ადეკვატურად ინფორმირებული მისი ამ უფლების შესახებ და მეორე, მოსაფიქრებელი ვადის ხანგრძლივობა ერთ წლამდე გაიზრდება“ (240, 10., 25, 268).

„გარდა ინფორმირების ზოგადი სტანდარტისა, მომხმარებლებს ხელშეკრულების დადებამდე, ან ხელშეკრულებით წერილობით, ან მისთვის მისაღები სხვა ფორმით (ელექტრონულად), უნდა მიენოღოს თვალსაჩინო ინფორმაცია ხელშეკრულების უარყოფის უფლების, მისი რეალიზების პირობებისა და ვადის შესახებ; მენარმის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, საქონლის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ; ინფორმაცია ფულადი დეპოზიტებისა და სხვა ფინანსური გარანტიების შესახებ, რაც გადახდილი ან უზრუნველყოფილი უნდა იყოს მენარმის მოთხოვნის შემთხვევაში. ინფორმაცია იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც უნდა გაცხადდეს უფლების რეალიზება, აგრეთვე, იმ გარემოებებისა თუ ხელშეკრულების საგნის შესახებ, რომლის პირობებშიც არ მოქმედებს ხელშეკრულების უარყოფის უფლება. მაგალითად, ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება მალფუჭებად ან სწრაფმომხმარებად ნივთებს ისევე, როგორც მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები, როდესაც მომსახურება გაინევა ხელშეკრულების დადებისთანავე“ (240, 5.III). (125,154). (104, 14-18). (25, 265).

„დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში ანალოგიური დათქმაა გათვალისწინებული ციფრული შინაარსის საქონლის შექმნის შემთხვევაში. მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ნების უკან გამოთხოვის შესაძლებლობით, ვიდრე ციფრული შინაარსის მქონე შიგთავსის გადმოტვირთვის პროცესი დაიწყება. როგორც კი ამ სახის პროდუქტის მიწოდება დაიწყება, ან დასრულდება, მომხმარებელი (შემძენი) კარგავს ხელშეკრულების უარყოფის უფლებას. ამ შემთხვევაში, ციფრული საქონლის მიწოდებას წინ უნდა უსწრებდეს მომხმარებლის ინფორმირებული

თანხმობა ჩამოტვირთვის დაწყებაზე და მენარმის მხრიდან სავალდებულო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ შექმნილი საქონლის ჩამოტვირთვის დაწყებისთანავე, მომხმარებელი კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას“ (240, 5.III). (125.154). (104, 14-18). (25, 266).

„გამყიდველს დამატებით/დაგვიანებითაც შეუძლია ამ განმარტების განხორციელება. აღნიშნული ვადაც სწორედ ამ მომენტიდან აითვლება. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება წყდება არაუგვიანეს ერთი წლისა და 14 დღისა“ (13, 33).

„ვადის გამოთვლის მიმართ მოქმედებს ზოგადი წესები. ვადის ათვლა ერთ შემთხვევაში უკავშირდება ხელშეკრულების დადებას, ხოლო მეორე შემთხვევაში საქონლის მიწოდებას, რაც უნდა ეცნობოს მომხმარებელს სათანადო ჩანაწერით“ (25, 266). „ვადის ათვლა სხვადასხვა მომენტიდან იწყება:

- საქონლის შექმნისას ვადის ათვლა იწყება საქონლის მიღების დღიდან,
- სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში (მაგალითად, ელექტრო-ენერჯის მიწოდება) ვადის დენა იწყება ხელშეკრულების დადებიდან“ (13, 33).

„2011/83/EU დირექტივით ბიზნეს სანარმოს გარეთ და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში, **საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკი გადადის მომხმარებელზე მისთვის საქონლის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის მომენტიდან.**“ (240, მუხლი 20). (199, 13., 25, 271).

„**მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივა არ შეიცავს მითითებას რისკის გადასვლასთან დაკავშირებულ მტკიცების ტვირთზე.** ამავდროულად, დირექტივა სამომხმარებლო ნასყიდობებისა და გარანტიების შესახებ ითვალისწინებს ე.წ. ბრალისაგან თავისუფალი მიწოდების ცნებას, რომლის თანახმად, უნაკლო ნივთის მიწოდების მტკიცების ტვირთი აწევს გამყიდველს, თუ ნაკლის აღმოჩენა მიწოდებიდან ექვსი თვის განმავლობაში მოხდა“ (240, 6.3). (25, 271).

„2011/83/EU დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე, ევროპელმა კანონმდებელმა აირჩია შეტყობინების თავისუფალი ფორმა (240, მუხლი 11.), რაც იმას ნიშნავს, რომ შეტყობინება ხელშეკრულების უარყოფის შესახებ შეიძლება, განხორციელდეს როგორც წერილობით, მაგალითად, უფლებამოსილი პირის ელექტრონულ მისამართზე გაგზავნილი წერილით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით მენარმის მიერ მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე (104, 262), გასვლის შემთხვევაში მხარეთა მიმართ მოქმედებს ორმხრივი რესტიტუციის სამართლებრივი რეჟიმი, რომელსაც დირექტივის მე-13 მუხლი არეგულირებს და მოვალეობის მომხმარებლის მიერ გადახდილი ყველა თანხის ანაზღაურებას აკისრებს“ (240, მუხლი 13, 11). (151, 67).

„უარყოფის უფლების შედეგად წარმოშობილი რესტიტუცია მიმართულია მხოლოდ მიღებული საქონლის ნატურით დაბრუნების ვალდებულებაზე. ამის მიზეზი უფლების რეალიზების შეზღუდული ვადაა.“ (111. 415.). (25, 275).

„თუ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, გადაცემული სიკეთე ფიზიკურად ნადგურდება, ეს მომხმარებლის რისკის სფეროს განეკუთვნება და ავტომატურად სპობს უარყოფის უფლების გამოყენების შესაძლებლობას, მეტიც, თუ მიღებული საქონელი სხვა ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად იქცევა, უფლება ასევე ქარწყლდება“ (240, მუხლი 16). (25, 275).

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ კლიენტმა საქონელი 14 დღის განმავლობაში უნდა გაგზავნოს უკან. ამასთან, ის არ არის ვალდებული, გამოიყენოს ორიგინალი შეფუთვა. ტრანსპორტირებისას ნივთის დაზიანების ან დაკარგვის საფრთხე გადადის გამყიდველზე (13, 35).

„მომხმარებლის მიერ შესრულების უკან დაბრუნება ავტომატურად წარმოშობს მეორე მხარის შემხვედრ ვალდებულებას – სრულად დააბრუნოს მიღებული სარგებელი. სარგებელში იგულისხმება საქონელში გადახდილი ღირებულება. ამასთან, თანხის უკან დაბრუნება უნდა მოხდეს მომხმარებლის მიერ გამოყენებული ანგარიშსწორების იმავე ხერხით, უარყოფის უფლების გა-

მოყენების შესახებ მენარმის შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.“ (25, 275).

აღსანიშნავია, რომ ანაზღაურება არ წარმოადგენს უცილობელ შედეგს და მისი არსებობა მომხმარებლის მიერ გაკეთებულ არჩევანზეცაა დამოკიდებული, მოვაჭრეს არ მოეთხოვება დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, თუ მომხმარებელმა აშკარად არჩია მიწოდების ეს სახეობა, მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ უფრო იაფ სტანდარტულ მიწოდებას (240, მუხლი 12.2.).

მოვაჭრის წინარე მოქმედებებს დირექტივა მისი ვალდებულებების განსაზღვრისას კონსტიტუციურ მნიშვნელობას ანიჭებს, თუ მოვაჭრეს არ გაუკეთებია შეთავაზება, რომ საქონელს თვითონ წამოიღებდა, ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებაში, მოვაჭრეს შეუძლია უარი თქვას ანაზღაურებაზე, სანამ ის არ მიიღებს საქონელს უკან, ან სანამ მომხმარებელი არ მიაწვდის საქონლის უკან გაგზავნის მტკიცებულებას, იმის მიხედვით, რომელიც პირობაც უფრო ადრე დადგება (240, მუხლი 13.3.).

ხელშეკრულებიდან გასვლისას მოვაჭრის ინტერესს გადაცემულის უკან დაბრუნება წარმოადგენს, რაც მხარეთა შეთანხმების შესაბამისად ეკისრება ერთ-ერთ მხარეს (240, მუხლი 14.1.). მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისთვის დირექტივის მე-14 მუხლი სახელმძღვანელო დებულებებს გადმოსცემს. მომხმარებლისათვის გამოირიცხება ხარჯების გადახდა, თუ მას არ მიუღია მოვაჭრისაგან სავალდებულო ინფორმაცია ან/და მის მიერ თანხმობა არ ყოფილა გაცხადებული 14 დღიან პერიოდში (240, მუხლი 14.4.).

„გაბატონებული აზრის მიხედვით, დაუშვებელია მომხმარებლებისათვის რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრება ხელშეკრულების უარყოფის უფლებით სარგებლობისათვის. მომხმარებელს არ შეიძლება დაეკისროს დამატებითი სანქცია“ (88, 44., 25, 276).

უარყოფის უფლების გამოყენებისას დირექტივა არ ითვალისწინებს რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ან კონკრეტული თანხის დაკისრების შესაძლებლობას. (244). (25, 277).

გამყიდველმა მყიდველს არა მხოლოდ ფასი უნდა აუნაზღაუროს, არამედ ასევე ტრანსპორტირების ხარჯი, რომელიც მან გადაი-

ხადა საქონლის შეძენისას მისი გადაგზავნისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს ხარჯები ისეთი დამატებითი მომსახურებისთვის, როგორცაა, მაგალითად, დაჩქარებული/ექსპრეს-მიწოდება და მსგავსი. **კლიენტმა** კი უნდა **იკისროს ნივთის უკან დაბრუნების ხარჯი**, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამყიდველმა განაცხადა მათი დაფარვის მზაობა ან კლიენტს ხელშეკრულების დადებამდე არ მიანოდა ინფორმაცია ნივთის უკან დაბრუნების ხარჯის დაფარვის ვალდებულებაზე (13, 35).

თუ მყიდველმა **დააზიანა საქონელი** ან ნივთმა სხვა მიზეზით დაკარგა ღირებულება, **გამყიდველს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება**, თუ მან მყიდველს ხელშეკრულების დადებამდე მიანოდა ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და მისი შედეგების შესახებ. ეს ნესი არ მოქმედებს, როცა **ნივთის ღირებულების დაკარგვა უკავშირდება მასთან ისეთ მოპყრობას, რომელიც აუცილებელია მისი თვისების, მახასიათებლების ან/და ფუნქცია-უნარიანობის შემონახვას**. ამრიგად, კლიენტს აქვს უფლება გახსნას ნივთის შეფუთვა და ასევე გამოცადოს ის. ამაში ასევე მოიაზრება ნაწილებად მიწოდებული ავეჯის აწყობა, რაც არ იწვევს ნივთის ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებას ან ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დაკარგვას (13, 35).

„2011/83/EU დირექტივაში კეთდება მითითება მომხმარებელთა პასუხისმგებლობაზე ნებისმიერი სახით საქონლის ღირებულების შემცირებისათვის (240, 14.3). (25, 278). თუმცა, ეს დებულება იმდენად ზოგადია, რომ შეუძლებელია, ცალსახად იმის დადგენა, თუ რა ჩაითვლება საქონლის დასაშვებ მოხმარებად. მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, შემონახვის მიზნით, **საქონლის გამოყენება უარყოფის უფლების ძირითადი ღირსებაა, რაც, თავისთავად, იწვევს იმის ვარაუდს, რომ საქონლის მთლიანობა დაირღვევა ან შემცირდება მისი ღირებულება**. მაგალითად, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპიუტერის ყიდვისას ლოგიკურია მისი ჩართვა შემონახვის მიზნით. ასევე შეიძლება აუცილებელი ან დასაშვებ იყოს გარკვეული პროგრამების ჩატვირთვა. შესაბამისად, ასეთი სახის სარგებლობა არ უნდა ჩაითვალოს მომხმარებლისათვის კომპენსაციის დაკისრების წინაპირობად.

მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივაში პირდაპირაა მითითებული, რომ მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა საქონლის ღირებულების შემცირებისათვის, თუ იგი არ ყოფილა სათანადო წესით ინფორმირებული უარყოფის უფლების შესახებ (240, 14.2), რაც ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ მენარმეთა მიერ ინფორმირების ვალდებულების უგულებელყოფას, შედეგად მოჰყვება მომხმარებელთა დროში შეუზღუდავი შესაძლებლობა, მოიხმარონ შეძენილი საქონელი და შემდეგ უკან დააბრუნონ იგი.“ (25, 279).

„მომხმარებლისათვის დამატებითი ხარჯების დაკისრების აკრძალვა არ გამორიცხავს სამართლიანი კომპენსაციის დაკისრების შესაძლებლობას, იმ შემთხვევისათვის, როდესაც მომხმარებელი დისტანციური ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი ნივთით სარგებლობს სამოქალაქო სამართლის პრინციპებთან შეუსაბამო ფორმით. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ნივთით სარგებლობის უფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერებისა და უსაფუძვლო გამდიდრების პრინციპებს.“ (25, 280).

„კანონმდებელი არ ზღუდავს ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოებს განსხვავებული რეგულაციები შემოიღონ იმ შემთხვევებში, როდესაც საქონლის ან მომსახურების ღირებულება არ აღემატება **50 ევროს**. კერძოდ, 2011/83/EU დირექტივის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თვითონ გადაწყვიტონ გაავრცელონ თუ არა ამ დირექტივის დანაწესები ისეთ ხელშეკრულებებზე, რომელთა ფასიც არ აღემატება აღნიშნულ თანხას. მათ უფრო დაბალი ზღვრის დადგენაც შეუძლიათ ეროვნული კანონმდებლობით“ (240. მუხლი 3.4., 25, 280).

ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არსებობს ყველა დისტანციურ ხელშეკრულებაში, რომელთა დადებაც ხდება დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებებით, როგორცაა, ინტერნეტი, სატელეფონო საუბარი, წერილი, საფოსტო ბარათი ან ფაქსი. აღნიშნულის წინაპირობაა, რომ **მენარმე თავის საქმიანობას რეგულარულად ახორციელებს დისტანციურად**. აქ არ მოიაზრება, მაგალითად, ჯიხური/კიოსკი, სადაც დროდადრო შესაძლებელია ტელეფონით პროდუქციის შეკვეთაც (13, 33).

„ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედება არ ვრცელდება, მომხმარებლის მითითებით, აშკარად პერსონიფიცირებულ, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ საქონელზე. მაგალითად, მომხმარებლის მოთხოვნით, საქონელზე (კაბაზე, მანქანაზე და ა.შ.) გამოსახული იქნება სპეციალურად შერჩეული ნახატი ან მომხმარებლის ფოტო. ასევე არ გამოიყენება იმ გარეგებებში, სადაც ნასყიდობის საგანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ასეთებად მიიჩნევა (25, 283) :

- მალფუჭებადი და სწრაფად ამოწურვადი საქონელი, მაგალითად, როგორცაა სასმელი და საკვები პროდუქტები შედარებით მოკლე ვარგისიანობის ვადით ან, თუ მათი შენახვისთვის სათანადო პირობების დაცვა აუცილებელი (მაგალითად, მაცივარში შენახვა).
- ასევე საქონელი, რომლის შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემდეგ იგი კარგავს ღირებულებით დანიშნულებას ან მისი შემდგომი გამოყენება საზიანოა ჰიგიენური წესების დაცვის თვალსაზრისით ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის (240, მუხლი 16.ე.) მაგალითად, თუ მყიდველი მოაშორებს კოსმეტიკურ კრემს დალუქულ სახურავს, ის დაკარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. აღნიშნული ეხება მხოლოდ ისეთი სახის საქონელს, რომლის ხელმეორედ გაყიდვაც შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენის დაცვის ნორმების შელახვის გარეშე. ხოლო თუ შესაბამისი განმენდის შემდეგ ექვემდებარება ბაზარზე დაბრუნებასა და გაყიდვას, მაშინ ის აღარ ხვდება აღნიშნული გამონაკლისის მოქმედების არეალში. მაგალითად, უნიტაზის დასაჯდომი მოწყობილობა არ წარმოადგენს ჰიგიენურ საშუალებას. არც მატრასებია ამ გაგებით ჰიგიენური საშუალებები. გარდა აღნიშნულისა, ევროკავშირის სასამართლომ ასევე დაადასტურა, რომ არც ტანსაცმელი ექვევა წარმოდგენილი გამონაკლისის ქვეშ.
- დალუქული აუდიო და ვიდეო დისკები (CD, DVD), თუ მყიდველმა მოხსნა მათ ლუქი,

- ისეთი მომსახურებისას, როგორცაა **მხარის გაცნობა შუამავლის დახმარებით, თარგმანი ან კონსულტაცია** ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება შეწყდეს, თუ **მენარმემ უკვე სრულად შეასრულა თავისი ვალდებულება**. თუმცა, კლიენტი უნდა დაეთანხმოს ამ ფაქტს და მენარმეს ასევე დაუდასტუროს, რომ იცის, რომ ამ დათანხმებით კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. ამისთვის საკმარისი არ არის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში მინიშნების/მითითების განთავსება აღნიშნულის თაობაზე,
- ისეთი **ციფრული პროდუქტების შექენისას**, როგორცაა მუსიკა და ფილმი შესაძლოა შეწყდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, როგორც კი დაიწყება პროდუქტის ჩამოტვირთვა ან გაშვება (13, 34).
- მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ვადასთან ან, თუ ხელშეკრულება იდება წინასწარ განსაზღვრულ თარიღზე მითითებით უარყოფის უფლება არ გამოიყენება, როგორც იმპერატიულად მოქმედი ნორმა. ეს ძირითადად ეხება ხელშეკრულებებს, რომლებიც დაკავშირებულია მუდმივი დანიშნულების გარეშე წინასწარ განსაზღვრული ვადით საცხოვრებელი სადგომის, სასტუმროში ოთახის, გარკვეული ვადით სატრანსპორტო საშუალებების ქირავნობას, საქონლის ტრანსპორტირებას, ტურისტული საგზურის, ბილეთების და სხვა მსგავსი სახის მომსახურების შექენას.“ (25, 284).

„ინტერნეტით გამართულ აუქციონებში ხელშეკრულების უარყოფის უფლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის დამკვიდრების მიზნით, 2011/83/EU დირექტივაში მომხმარებელთა უფლებების შესახებ პირდაპირ მიეთითა, რომ ამ დირექტივის მოქმედება და, შესაბამისად, ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ ვრცელდება მხოლოდ საჯარო აუქციონებზე. ამასთან, განიმარტა საჯარო აუქციონის შინაარსიც. კერძოდ, ასეთად მიიჩნევა ისეთი აუქციონი, რომელსაც მენარმე და მომხმარებელი პირადად ეს-

წრება ან აქვთ პირადად დასწრების შესაძლებლობა. ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენება აუქციონებისათვის, რომლებიც მომხმარებლების და მენარმეების განკარგულებაშია, არ უნდა ჩაითვალოს საჯარო აუქციონად ამ დირექტივის მიზნებისათვის“ (240., 25, 238).

„შესაბამისად, თუ აუქციონი ტარდება ინტერნეტის გამოყენებით ისე, რომ მხარეებს არა აქვთ მასზე დასწრების შესაძლებლობა, ეს ჩაითვლება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებად და **მომხმარებელი უფლებამოსილი იქნება სურვილის შემთხვევაში ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით**. ამასთან, უფლების არსებობის შესახებ მომხმარებელს უნდა ეცნობოს აუქციონის დასრულების, შედეგების გამოცხადებისა და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ. (25, 251-252). ამგვარი რეგულირება ანგარიშს უწევს ინტერნეტ-აუქციონის თავისებურებას. კერძოდ, აუქციონის მიმდინარეობისას კონკრეტულ მხარესთან ხელშეკრულების დადებამდე ფაქტობრივად შეუძლებელია ხელშეკრულების პოტენციური და, ამასთანავე, უცნობი პირისათვის მისი უფლებების ინდივიდუალური განმარტება. მომხმარებელს მხოლოდ სახელშეკრულებო ბოჭვის პირობებში ეძლევა ხელშეკრულების ცალმხრივად უარის თქმის უფლება. გარდა ამისა, რადგანაც მომხმარებელი ხელშეკრულების დადებისთანავე უნდა იქნას გაფრთხილებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების წესისა და პირობების შესახებ, მენარმე ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე წერილობით განუმარტოს მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების თაობაზე. ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გახანგრძლივებას“ (25, 251-252).

საყურადღებოა, რომ უკან დაბრუნების სისტემის შემოღებამ საცალო მოვაჭრეების უკმაყოფილება გამოიწვია. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიზნესისთვის ფინანსური და ადმინისტრაციული დანახარჯის ტვირთი საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოთათვის, რამაც შესაძლოა ზოგიერთი ბიზნესის საქმიანობა გააჩეროს. (32.16).

4.4. სტანდარტული პირობების კონტროლი

„ნორმატიული აქტების იერარქიაში დირექტივის იმპლემენტაციის მიუხედავად რთულია განისაზღვროს საკანონმდებლო აქტის სავარაუდო ადგილი და შინაარსი, რაც ევროპის კომისიის განხილვის საგანსაც წარმოადგენდა (83). სწორედ ამიტომ, შიდა ბაზრის დასაცავად და ჰარმონიზაციის დონის შესანარჩუნებლად წევრ სახელმწიფოებს ერთგვარი ჩარჩოები დაუდგინდა, რომლის მიმართაც დათქმის განხორციელების უფლება არ გამოიყენება“ (151, 69).

„თუ ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა, მომხმარებელს უფლება არა აქვს უარი თქვას იმ უფლებებზე, რომელიც მას აქვს ამ დირექტივის იმპლემენტაციის შედეგად. როგორც აღინიშნა, რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებათა ნამდვილობისა და ფორმირების მიმართ გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივი ნორმები, რომელიც შესაძლებელია მხარეს ნების თავისუფლების კონტექსტში უტოვებდეს შესაძლებლობას უარი განაცხადოს სუბიექტური ან ობიექტური მოტივებით მისთვის მინიჭებულ უფლებაზე. თუმცა ამგვარ უარს დირექტივა გამოორიცხავს, რითაც დაცვის უფლებას **ზეიმპერატიულ სტატუსს ანიჭებს** სამართალურთიერთობისთვის და ერთგვარად საჯარო წესრიგის ნაწილადაც კი განიხილავს“ (151, 69).

„რაც შეეხება ხელშეკრულების რომელიმე პირობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უფლებას ართმევს ან უზღუდავს იმ უფლებას, რომელიც მას მინიჭებული აქვს ამ დირექტივის შედეგად, მომხმარებლისთვის არ იქნება სავალდებულო. თუ პირველ შემთხვევაში მომხმარებელი თავად აცხადებდა უარს უფლებაზე, აქ იგი ეთანხმება შემზღუდველ ნორმას, რომელიც იმთავითვე ბათილად მიიჩნევა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, აქ შესაძლოა საქმე სტანდარტულ პირობებთან გვექონდეს (261), რომელიც უკვე ასახულია ხელშეკრულების ტექსტში და მომხმარებელს ერთგვარი სტაბილურობის განცდას უჩენს, ზრდის რწმენის ხარისხს, რომ იგი პირველი არაა, ვინც ამგვარ შესრულებას იძენს და მისი უფლებები გარანტირებული იქნება“ (18, 342; 183., 151, 69).

დირექტივების ე.წ. ზეიმპერატიული ნორმები, ხშირად ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში გამოიხატება.

„ევროპულ სახელშეკრულებო სამართალში სტანდარტული პირობებით დადებული ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი საფრთხეების გამო მომხმარებელთა უფლებებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამასთან, სუსტი მხარის ინტერესების დაცვა მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი გახლავთ გაუმართლებელი უპირატესობის შედეგად მენარმეთა შეუსაბამოდ მაღალი შემოსავლის მიღების პრევენცია, ხოლო მეორე, – ნდობისა და კეთილსინდისიერების სანინაალმდეგოდ დადებული ხელშეკრულებებისაგან დაცვა, რაშიც, ცხადია, ხელშეკრულების უსამართლო პირობები იგულისხმება.“ (25, 230).

შესაბამისად, საყურადღებოა მომხმარებელთა განსაკუთრებული **დაცვა შეუსაბამოდ ცუდ მდგომარეობაში ჩაყენებისგან ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სფეროში**. თუმცა, აქ **საუბარი არ არის მომხმარებლის უფლების სპეციალურ დაცვაზე**, არამედ საქმე ეხება კონტრაჰენტის დაცვას გამომყენებლის მიერ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით სარგებლობისას. აღნიშნულ მიდგომას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ **მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონტრაჰენტი მომხმარებელი** (შესაბამისი ნორმების გაგებით), ის არის განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გზით აღმოჩნდეს **შეუსაბამოდ ცუდ მდგომარეობაში**. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტი მენარმეა, დაცვის ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე მომხმარებლის მიმართ. ამ მხრივ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართალიც გარკვეულწილად შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთგვარი გამოვლინება (13, 53).

„სტანდარტული პირობებით დადებული ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელია მენარმეთა გაუმართლებელი უპირატესობის რისკი, რომელიც გამოიხატება მხარეთა უფლება-მოვალეობების არაკეთილსინდისიერ გადანაწილებაში. ცხადია, რომ ასეთ დროს, უმეტესწილად, იზღუდება იმ მომხმარებლის ინტერესები, რომელიც მოკლებულია ხელშეკრულების პირობების შედგენაში მონა-

წილეობის მიღებას. მენარმეთა უპირატესობა სწორედ პირობების დამოუკიდებლად ჩამოყალიბებაში ვლინდება, რომლებიც, არც თუ ისე იშვიათად, უსამართლო დათქმებს შეიცავს“ (138, 39-40). საყურადღებოა უჩვეულო და ბუნდოვანი პირობებიც, რომელთა გაგება ყოველთვის მარტივი არ არის, ამიტომაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსი საშუალო მომხმარებლის მოლოდინით იზომება (24, 187).

„ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ინდივიდუალური დათქმისგან განსხვავებით არის ყველა **წინასწარ ფორმულირებული სახელშეკრულებო პირობა**, რომელიც წინასწარვე შედგენილი და განკუთვნილია მრავალი ხელშეკრულებისთვის და რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე (ე.წ. გამომყენებელი) წაუყენებს (სთავაზობს) ხელშეკრულების მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებისას. ამასთან, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ეს სტანდარტული პირობები უკვე გამოყენებული იყო თუ არა სხვა ხელშეკრულებებში. მთავარია, ისინი განკუთვნილი იყოს სხვა ხელშეკრულებებში გამოყენებისთვის“ (13, 53).

„თავის დროზე გერმანიის შესაბამის კანონმდებლობაში განერილი რეგულაციები ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ თითქმის სრულად აისახა ევროკავშირის სამართალში და ჩამოყალიბდა ევრო-გაერთიანების დირექტივაში 93/13. აღნიშნული დირექტივა ავალდებულებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, გამოსცენ გარკვეული საკანონმდებლო რეგულაციები, რათა დაიცვან მომხმარებლები ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევებისგან. დღესდღეობით **შემუშავების პროცესშია** ახალი საკავშირო რეგულაცია, რომელიც მიზნად ისახავს **ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებული დებულებების სრულ უნიფიკაციას** ევროკავშირის მასშტაბით“ (13, 54).

„მომხმარებელთა დაცვა სტანდარტული პირობებისაგან კიდევ უფრო აქტიუალურია დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში. უშუალო კომუნიკაციის არარსებობის პირობებში ხელშეკრულებაზე მარტივი მიერთება საკმაოდ მაღალი რისკის მატარებელია. დისტანციურად დამყარებულ ურთიერთობებში ხელ-

შეკრულება ყოველთვის ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ვინაიდან ინფორმირებულობის ხარისხი, რომლის მიხედვითაც მიიღება ხელშეკრულების დადების გადაწყვეტილება, შედარებით დაბალია. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება არა ინფორმაციის გახსნილობისა და გამჭვირვალობის სტანდარტი, არამედ მომხმარებელთა მიერ მათი აღქმის უნარი“ (25, 229).

„ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დებულება ბათილია, თუ ის **კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ** შეუსაბამოდ/არასათანადოდ ტვირთავს/ცუდ მდგომარეობაში აყენებს ხელშეკრულების პარტნიორს/კონტრაჰენტს. **შეუსაბამოდ ცუდ მდგომარეობაში ჩაყენებად** მიიჩნევა ასევე ის შემთხვევებიც, როცა დებულება ბუნდოვანი და გაუგებარია. ამას გარდა, შეუსაბამოდ ცუდ მდგომარეობაში ჩაყენებად ითლება ასევე, როცა ცალკეული დებულება გვერდს უვლის, აცდენილია და/ან შეუსაბამობაშია **კანონის ნორმასთან, მის არსთან**, ან როცა დებულება იმგვარად ზღუდავს ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე არსებით უფლებებს ან ვალდებულებებს, რომ ამით **საფრთხის ქვეშ დგება ხელშეკრულების მიზნის განხორციელება**“ (13, 54).

„თანამედროვე ეკონომიკის პირობებში მხარეები, ხელშეკრულების რთული და მასშტაბური პირობების განსაზღვრისა და ამასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად სარგებლობენ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებით. სტანდარტული პირობების გამოყენება ამარტივებს ხელშეკრულების დადებასა და განხორციელებას. ისინი ითვალისწინებენ შეთავაზებული საქონლის/მომსახურების თავისებურებებსა და ნათელს ჰფენენ იმ საკამათო საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა კანონის ნორმების გამოყენებისას. მცირდება დროის დანახარჯი, რომელიც აუცილებელი იქნებოდა თითოეული დეტალის შესათანხმებლად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანსაქციის ხარჯებს (31, 182). მეორე მხარისათვის რისკის გადაკისრება არის სტანდარტული პირობის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მიზანი. პრაქტიკულად ყოველი სტანდარტული პირობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება იმ მიზნით, რომ გაამყაროს

მისი შემთავაზებლის პოზიციები მეორე მხარის პოზიციების ხარჯზე“ (31, 182-183).

„რისკის ამ დაუბალანსებელი გადანაწილების მიუხედავად, შემთავაზებელი, როგორც წესი, უპრობლემოდ ახერხებს სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევას, რადგან კლიენტი, ჩვეულებრივ, იღებს სტანდარტულ პირობას ისე, რომ არ ეცნობა მას. ის ან ვერ აცნობიერებს სტანდარტული პირობების რეალურ შინაარსსა და მნიშვნელობას, ან თავს იმით იმშვიდებს, რომ ამ პირობების ამოქმედება ნაკლებსავარაუდოა და თავიდან იცილებს ჩამნაცვლებელი რეგულაციების შექმნასთან დაკავშირებულ (დროისა თუ ფულად) ხარჯებს (სტანდარტული პირობების დეტალურად ნაკითხვა, სხვა პირობებთან შედარება, სამართლებრივი კონსულტაციის მიღება, საწინააღმდეგო პირობების ჩამოყალიბება და ა.შ.). კლიენტი ყოველთვის ორიენტირებულია ფასზე და არა სტანდარტულ პირობებზე, მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი იაფ შემთავაზებას შეიძლება გაცილებით უფრო არახელსაყრელს ხდიდეს ძვირადღირებულ შეთავაზებასთან შედარებით“ (31, 183).

„ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ შემთავაზებლის სამართლებრივი პოზიცია მეორე მხარესთან შედარებით არაპროპორციულად გაძლიერდება და, ფაქტობრივად, შეილახება მეორე მხარის უფლება, კანონის ფარგლებში **თავისუფლად დადოს ხელშეკრულებები და განსაზღვროს ამ ხელშეკრულებათა შინაარსი** (სსკ-ის მუხლი 319. I.). ამ დისბალანსის რეგულირებისა და შესაბამისი რისკების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა სსკ-ის 344-ე, 345-ე, 346-ე, 347-ე, 348-ე მუხლები, რაც არის სოციალური სახელმწიფოს ფუნქციის განხორციელება, სტანდარტული პირობების მეშვეობით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაშიც შესაბამისი ხარისხით უზრუნველყოს სახელშეკრულებო სამართლიანობა“ (31, 183).

დირექტივის მე-12 მუხლი ეძღვნება ხელშეკრულების უსამართლო პირობებს:

1. ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეთა ინდივიდუალური შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა, უნდა

ჩაითვალოს უსამართლოდ, თუ ეწინააღმდეგება კეთილ-სინდისიერების პრინციპებს და იწვევს მომხმარებლის საზიანოდ გაუმართლებელ დისბალანსს სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებში.

2. მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ხელშეკრულების პირობები წარმოადგენდა ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანს, ეკისრება მოვაჭრეს.
3. ხელშეკრულების პირობის უსამართლოდ ცნობისას მხედველობაში არ მიიღება ხელშეკრულების ფასისა და ხელშეკრულების საგნის ადეკვატურობა, თუ აღნიშნული წარმოადგენდა მხარეთა შეთანხმების საგანს.
4. მომხმარებლისათვის წერილობითი ფორმით მიწოდებული პირობები უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიო და გასაგებ ენაზე. ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობები განიმარტება მომხმარებლის სასარგებლოდ.

აღნიშნული ნორმა ადგენს სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების სავალდებულო სტანდარტებს. მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმები დირექტივის აღნიშნულ მუხლთან შესაბამისობაშია.

4.5. დასკვნა

საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ელექტრონული ხელშეკრულებების დიდი ნაწილი მომხმარებელთან ფორმდება, ამდენად, ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დღეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთი სტრუქტურის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, არა მარტო ამ კონკრეტულ სეგმენტში, არამედ, ზოგადად.

ვიზიარებთ, დოქტრინაში არსებულ მოსაზრებას, რომ საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ არსებულ პრობლემებს, გარდა შესაბამისი კანონმდებლობის არ არსებო-

ბისა, განაპირობებს გარკვეული ბიზნეს სექტორის დაბალი სოციალური პასუხისმგებლობა და მომხმარებელთა პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის სიმცირე. მომხმარებელი ტრადიციულად ძალიან პასიურია და შესაბამისად, თითქმის არ არსებობს სამართალწარმოებები საჩივრებთან დაკავშირებით.

ევროპული კავშირის ფარგლებში მომხმარებელთა დაცვის უნიფიცირებისა და გამარტივების მიზნით, მიიღებულია 2011/83/EU დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ, რომელმაც დაამკვიდრა ერთიანი კონცეფცია დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა დაცვის უზრუნველსაყოფად. 2011/83/EU დირექტივით ცვლილება შევიდა 93/13/EEC და 1999/44/EC დირექტივებში, ხოლო 85/577/EEC და 97/7/EC დირექტივები გაუქმდა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების რეგულირების კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი ქართულ კანონმდებლობაში ჯერ გათვალისწინებული არ არის. უფლებების დაცვა ხორციელდება ზოგად ნორმებზე მითითებით.

2011/83/EU დირექტივა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ადრე მოქმედ 97/7/EC დირექტივასთან შედარებით, უფრო მაღალი სტანდარტით ითვალისწინებს, კერძოდ, გამკაცრდა **ინფორმირების ვალდებულება გამკაცრებასა და უარყოფის უფლების განახლებულ რეგულირებაში ვლინდება.**

ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს.

საქართველოს კანონპროექტში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ უნდა აისახოს რეგულირება ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგების შესახებ, რაც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მოვაჭრის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა, რამაც მომხმარებლის მიერ სამომხმარებლო ხელშეკრულების დადება გამოიწვია, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია.

საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ საქართველოს კოდექსი“, უშუალოდ ელექტრონული ვაჭრობის რეგულაციაზე საუბარი არაა, მაგრამ ბევრი ნორმა მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია დისტანციური, მათ შორის ელექტრონული ვაჭრობის მხარეთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, როცა საქმე მწარმოებელსა და მომხმარებელს შეეხება.

ელექტრონულად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებლებსათვის უარყოფის უფლების მინიჭება დასაბუთებულია ამ ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობებში ინფორმაციის დეფიციტით, რასაც ასევე ემატება საქონლის ფიზიკურად დათვალეირების შესაძლებლობის არ არსებობა. ეს ფაქტორები არათანაბარ პირობებში აყენებს მომხმარებელს და მას ხელშეკრულების სუსტ მხარედ აქცევს.

2011/83/EU დირექტივის მე-9 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების უარყოფის ვადა 14 დღეა, რომლის გამოყენებისათვისაც არაა საჭირო საპატიო მიზეზის მითითება ან არაფეროვან შესრულებაზე აპელირება, იგი ერთგვარი უპირობო უფლებაა.

გარდა ინფორმირების ზოგადი სტანდარტისა, მომხმარებლებს ხელშეკრულების დადებამდე, ან ხელშეკრულებით წერილობით, ან მისთვის მისაღები სხვა ფორმით (ელექტრონულად), უნდა მიენოდოს თვალსაჩინო ინფორმაცია ხელშეკრულების უარყოფის უფლების, მისი რეალიზების პირობებისა და ვადის შესახებ.

გასვლის უფლებაზე ინფორმაცია დირექტივის 6.1 მუხლის თანახმად მოვაჭრის მიერ მომხმარებლისათვის სავალდებულოდ გასაცნობი კატეგორიაა, რომლის შეუსრულებლობაც მხარისათვის საგულისხმო შედეგებს განაპირობებს.

ზემოთ მითითებული საკითხების გადაწყვეტა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა პრობლემის გადაწყვეტისთვის საკმარის და საჭირო მონესრიგებას არ შეიცავს, რის გამოც მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მიღება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

თავი 5. გამოსაყენებელი სამართალი

„ინტერნეტის გამოყენებით კომერციული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობამ წარმოშვა მისი რეგულირების აუცილებლობაც, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ასეთ ურთიერთობებში მონაწილე პირები სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ რეჟიმებს განეკუთვნებიან. როგორც უკვე აღინიშნა, დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებად ჩაითვლება ისეთი გარიგებები, რომლებიც იდება ერთსა და იმავე ან სხვადასხვა იურისდიქციას დაქვემდებარებულ მომხმარებელსა და მენარმეს შორის. დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულებების უმეტესობა შიდასახელმწიფოებრივ საზღვრებში არ არის მოქცეული. შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება ამ ფორმით დადებული გარიგებებისადმი გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის საკითხი“ (26,115).

5.1. უცხოური და ქართული რეგულირება

„რამდენადაც მარტივი და მოსახერხებელია ინტერნეტის საშუალებით ვაჭრობა, იმდენად რთული და კომპლექსურია მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი სამართლის არჩევა და მისი გადაჭრა“ (149, 110., 19, 19-21). „იმისთვის, რომ აღნიშნულმა ფაქტობრივმა თანაბრობამ იურიდიული ძალა შეიძინოს, საჭიროა ნორმატიული საფუძველი“ (148, 77., 19, 19-21).

„იურისდიქცია გულისხმობს იმის განსაზღვრას, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს დავა. იურისდიქციისა და გამოსაყენებელი სამართლის არჩევა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახეზეა ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება“ (148, 78., 19, 19-21).

დღეისათვის საკითხის გადაწყვეტის ზუსტი სამართლებრივი მონესრიგება არ არსებობს. გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის ელექტრონული ვაჭრობის შესახებ მოდელური კანონი და გაეროს კონვენცია „საერთაშორისო ხელშეკრულებებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ“ ინტერნეტ-იურისდიქციის რეგულირებას არ გვთავაზობს. თუმცა იძლევა მხარეთა ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას, რამაც შესაძლოა, იურისდიქციისა და გამოსაყენებელი სამართლის არჩევის საკითხის გადაჭრაში გარკვეული როლი შეასრულოს (148, 78., 19, 19-21).

„გლობალური კომერციული ან მომხმარებელთა დაცვის სასამართლოების არარსებობისას, ელექტრონული კომერციის დავის წარმოება ძალზედ კომპლექსური და რთული პროცესია“ (193, 52). „პირველი პრობლემა, რომელიც წამოიჭრება ელექტრონული კომერციის, როგორც ინტერნაციონალურ სავაჭრო დავაში, განსჯადობის საკითხია – თუ რომელ სასამართლოს ექნება იურისდიქცია ამ დავაში. საერთაშორისო სავაჭრო დავის განმხილველი ნებისმიერი ტრანსნაციონალური სასამართლოს არარსებობის პირობებში, მხარეთა დავა უნდა განიხილოს იმ ეროვნულმა სასამართლომ, რომელსაც აქვს საკმარისი კავშირი დავასთან“ (183, 53).

„დისტანციურ, ინტერნეტით შემდგარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, საყურადღებოა, რომელი ქვეყნის სამართლით უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების ფორმასთან შესაბამისობა. გამოსაყენებელი სამართლის შესახებ რეგულაციის (Rome 20 I) მე-11 მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულება დადებულია მხარეთა შორის ერთსა და იმავე ქვეყანაში, მაშინ ფორმასთან შესაბამისობა დარეგულირდება მხარეთა მიერ შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართლით ან იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ხელშეკრულება დაიდო (Lexlocicontractus). ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, ხელშეკრულების ფორმა ჩაითვლება დაცულად იმ ქვეყნის სამართლის შესაბამისად, რომლითაც რეგულირდება ხელშეკრულება, იმ ქვეყნის სამართლით, სადაც

ერთ-ერთი მხარე (ან წარმომადგენელი) იმყოფება, ან ერთ-ერთი მხარეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“ (148, 78., 19, 19-21).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სკს) 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ. სკს არ ადგენს გამოსაყენებელი სამართლისთვის საჭირო სავალდებულო ფორმას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო დავა ქართული კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ან ტექსტური ფორმით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფორმის დაცვის მოთხოვნა არ არსებობს მათ შორის მომხმარებელსა და პროფესიონალ სერვისის ან საქონლის მიმწოდებელ პირს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, რაც ნიშნავს, იმას რომ მომხმარებელთან დადებული ელექტრონული ხელშეკრულებით ნებისმიერი ქვეყნის სამართლის არჩევა ჩაითვლება ნამდვილად“ (148, 78); (19, 19-21).

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების კომპეტენციაა, თავისი ინიციატივით, უწყებრივი ქვემდებარეობის შემოწმება (28, 23).

სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო კომპეტენცია“, ხოლო 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე „საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.“ ზემდგომი ინსტანციის

სასამართლოები, მხარეთა პრეტენზიის/მითითების არ არსებობის პირობებშიც კი, ვალდებულნი არიან, შეამოწმონ განსახილველი საქმის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობა და საერთაშორისო კომპეტენცია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

„არ არსებობს ეროვნული სამართლის მიერ წინასწარ დადგენილი რაიმე წესი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ. თითოეული ქვეყნის სასამართლო თვითონვე წყვეტს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხს და მას იმ ჩარჩოებში განიხილავს, რომელსაც ის მიიჩნევს კომპეტენტურად აღნიშნული დავის განხილვაში. ეს თავისუფლება არც საერთაშორისო სამართლის ნორმებითაა შეზღუდული. სახელმწიფოების ეროვნულ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები, როგორც წესი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით რეგულირდება (მაგალითად, გერმანიაში), ანდა სპეციალური კანონებით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (მაგალითად, საქართველოში)“ (6, 384-385).

„საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის (განსჯადობის) შემთხვევებს, აგრეთვე საქართველოს სასამართლოების **განსაკუთრებულ** საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს სკს“ (28, 24). „დასახელებული კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე – საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც ასეთი საქმისწარმოებისას გამოიყენება“ (35.128.).

სკს სტრუქტურულად, ორ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი, კერძოდ: კანონის მატერიალური და საპროცესო ნორმები.

კანონის მატერიალური ნორმების ნაწილი მოიცავს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას (თავი II, 8-20-ე მუხლები), ვალდებულებით სამართალს, სახელმწიფოებო და კანონისმიერი ურთიერთობებს (თავი VI, 35-43-ე მუხლები) (35.128.).

„სკს-ის კანონის 8-20-ე მუხლების წინაპირობების კვლევა მნიშვნელოვანია საქმეზე საქართველოს სასამართლოების საერთა-

შორისო კომპეტენციის შესამონმებლად. დასახელებული კანონის მე-8 მუხლი სახელდებულია როგორც საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპი, რომელიც სამი წინაპირობიდან ერთ-ერთის არსებობის დადასტურების შემთხვევაში მიიჩნევს, რომ გამოვლენილია საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია. კერძოდ: „თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“ (ასეთ ვითარებაში თითოეული წინაპირობის შემონმება სასამართლოს ვალდებულებაა), მე-9 მუხლი კი განსაზღვრავს საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევების კონკრეტულ ამომწურავ ჩამონათვალს: საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ: ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა; გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა; დ) დავა ეხება იმ სანარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია“ (35.128.).

„აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევების მსგავსად, განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის სარჩელის დავის საგანიც ამომწურავად არის მითითებული კანონში. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხო ელემენტით დატვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შემონმებისას, საქართველოს საერთო სასამართლოებს აქვთ იმ კონკრეტული წინაპირობების ჩამონათვალი, რომელიც სასამართლოს საერთაშორისო ან განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრის კრიტერიუმებს ეხება და სასამართლოს მიხედულებით, ამ წინაპირობების განვრცობა (გაფართოება) დაუშვებელია“ (35,130.).

სკს-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ

კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით იგი კომპეტენტი არ არის. ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს: ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით; ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან უნდა ყოფილიყო ცნობილი.

„მას შემდეგ, რაც მოხდება იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტა, სასამართლოს წინაშე დგება სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი – რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული დავის გადასაწყვეტად. ვინაიდან ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა (კომპანიების) მიერ, შესაძლოა, საჭირო გახდეს ორი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაც. ბუნებრივია, ხელშეკრულების ორივე მხარეს სურს, დავა გადაწყდეს მისთვის ნაცნობი, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი ინტერესების დაბალანსება; ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად ასევე სასურველი იქნება, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან, რომელმა სასამართლომ რომელი ქვეყნის კანონმდებლობით იხელმძღვანელოს დავის გადასაწყვეტად. თუმცა ასეთის არარსებობისას თავად სასამართლომ უნდა განსაზღვროს ყველაზე შესაბამისი კანონი“ (149, 110-112., 19, 19-21).

„ელექტრონული ვაჭრობისას გამოსაყენებელი კანონმდებლობის არჩევის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა ადგილსამყოფელს, როგორც ხელშეკრულების დადების, ისე წინარე პერიოდში. სპეციფიკურად ელექტრონული საშუალებით მენარმეთა შორის (B2B) ან მენარმესა და მომხმარებელს (B2C) შორის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის შესახებ არ არსებობს საერთაშორისო რეგულაცია. შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულების მომხმარებელთა დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა არ შეიცავს არანაირ დათქმას გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, თუმცა პრაქტიკაში დამკვიდრებულია „წარმოშობის ქვეყნის“ პრინციპი, რაშიც მოიაზრება სერვისის მიმწოდებლის წარმოშობის ქვეყანა. ეს პრინციპი შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ

მხარეებს ხელშეკრულებაში მითითება არ აქვთ გაკეთებული არც საერთაშორისო და არც ეროვნულ კანონმდებლობაზე“ (149, 110-112., 19, 19-21).

ბუნებრივია პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როცა არ არსებობს შეთანხმება გამოსაყენებელ სამართალზე რომელი სახელმწიფოს სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ამ დავის მიმართ. ამასთან, თუ გამოსაყენებელი სამართალი საჭიროდ მიიჩნევის ხელშეკრულების წერილობით ფორმას, დააკმაყოფილებს თუ არა ვებგვერდის საშუალებით დადებული კონტრაქტი ამ მოთხოვნას (149, 110-112); (19, 19-21); (183, 54); (136, 93).

„დღესდღეობით არ არსებობს საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ინტერნეტის მომხმარებელი ყველა სახელმწიფოს მიერაა ხელმოწერილი და რომელიც არეგულირებს ინტერნეტის მეშვეობით წარმოებული ტრანსნაციონალური კომერციის სამართლებრივ ჩარჩოს. ამასთან, ის აქტები, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ვაჭრობას, სრულიად აღარ შეესაბამება ამჟამინდელ რეალობას, რადგან ისინი ინტერნეტის ხანამდე იქნა მიღებული“ (149, 110-112); (19, 19-21); (183, 56); (136, 93).

„კანონმდებელი სკს-ის მე-18 მუხლით განსაზღვრავს მხარეთა თავისუფლებას აირჩიონ იმ ქვეყნის სასამართლო, რომელსაც ექნება საერთაშორისო იურისდიქცია. გამონაკლისი მხარეთა კერძო ავტონომიიდან არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს აქვს გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია (მე-10 მუხლი) ან სახეზეა სკს 11-16 მუხლებით გათვალისწინებული უდავო საქმეთა წარმოება“ (137, 131).

„საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისთვის კანონმდებელი ადგენს სავალდებულო შემდეგ ფორმებს – ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო. ბრიუსელის კონვენცია, რომლის მსგავს რეგულირებასაც გვთავაზობს სკს, არ ითვალისწინებდა ბრიუსელის რეგულაციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის

შესაბამის ჩანაწერს. აღნიშნული პუნქტის თანახმად **ელექტრონული საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს შეთანხმების შენახვის შესაძლებლობას უთანაბრდება წერილობით ფორმას**. ელექტრონული ფორმის წერილობითთან გათანაბრება კომუნიკაციის ახალი ფორმების განვითარებამ განაპირობა“ (107, 419., 8, 40-44).

„აღნიშნული დათქმა შეესაბამება ელექტრონული ვაჭრობის შესახებ No 2000/31/EC დირექტივას, რომელიც მოითხოვს წვერი სახელმწიფოებისგან, რომ თავიანთ სამართლებრივ სისტემებში უზრუნველყონ ელექტრონული საშუალებებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა (107, 419., 8, 40-44). **ელექტრონული საშუალებით დადებული ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს რეგულაციით განსაზღვრულ ძირითად პირობას – შესაძლებელი უნდა იყოს მისი შენახვა, რეპროდუცირება, შემდგომი გამოყენება**. „აღნიშნული რეგულირება მოიცავს ელექტრონული ფოსტით დადებულ შეთანხმებებსაც, ვინაიდან ელექტრონული შეტყობინებები შესაძლებელია ადვილად იქნეს შენახული მიმღების საფოსტო ყუთში (Mailbox), გადმოიწეროს კომპიუტერში ან ამოიბეჭდოს“ (107, 419); (8, 40-44). „ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა **ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Jaouad El Majdoub v. Cars On The Web.DeutschlandGmbH, რომლითაც სასამართლომ განმარტა ე.წ. დანკაპუნებით დადებული ხელშეკრულების (Click-wrapping) შესაბამისობა, ბრიუსელის რეგულაციის განსახილველ ნორმასთან**. აღნიშნულ საქმეზე მხარე უთითებდა, რომ ხელშეკრულების ზოგადი პირობები (General terms and conditions), რომელიც შეიცავდა დათქმას საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე, არ იხსნებოდა ავტომატურად, ვებ-გვერდზე რეგისტრაციის დროს და არც თითოეული შექმნის განხორციელების დროს. ნაცვლად ამისა მითითებული იყო „მიწოდების და გადახდის პირობების ახალ ფანჯარაში გასახსნელად დაანკაპუნეთ აქ“. მყიდველი სანამ შეიძენდა ნივთს ეთანხმებოდა ზოგად პირობებს, თუმცა პირობები ავტომატურად არ იხსნებოდა და დამატებით დანკაპუნება იყო საჭირო. მოსარჩელის

მითითებით ფორმა დაცულად ჩაითვლებოდა თუ ავტომატურად გაიხსნებოდა ხელშეკრულების პირობები. CJEU-მ განმარტა, რომ ბრიუსელის რეგულაციის მიზნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა ელექტრონული საშუალებით დადებული შეთანხმების ფაქტობრივად შენახვა განხორციელდა თუ არა. ნორმა მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილის იყოს შენახვის შესაძლებლობა. ანალოგიურად არის განმარტებული ნორმა კომენტარში, რომლის თანახმად მთავარია შესაძლებელი იყოს შეთანხმების რეპროდუცირება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის მყარ დისკზე ჩანერით, ამობეჭდვით ან სხვა ფორმით. რა ფორმით იქნება შენახვის შესაძლებლობა ან ფაქტობრივად განხორციელდა თუ არა შენახვა, ფორმის დაცვის შეფასების მიზნებისთვის არ აქვს მნიშვნელობა“ (107, 419). (8, 40-44). „ისევე როგორც წერილობითი ფორმის შემთხვევაში, ფორმასთან შესაბამისობის განხილვისას ძირითადი კრიტერიუმი იმის დადგენაა არსებობს თუ არა მხარეთა ნამდვილი თანხმობა სასამართლოს არჩევასთან დაკავშირებით. განსახილველ საქმეზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მყიდველი შესაბამისი ველის მონიშვნით (დანკაპუნებით), დაეთანხმა ძირითად პირობებს, რომლის შემადგენელი იყო დათქმა საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე. მეორე საყურადღებო საკითხს წარმოადგენდა შეთანხმების ნამდვილობა მათ შორის იმ წინაპირობის შემონიშვნის თვალსაზრისით, იძლეოდა თუ არა ელექტრონული ფორმა ხელშეკრულების ჩამოტვირთვის ან სხვაგვარად შენახვის შესაძლებლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ Click-wrapping მეთოდით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში შესაძლებელია მისი ჩამოტვირთვა ან ამობეჭდვა ხელშეკრულების დადებამდე. შესაბამისად სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მოსაზრება, რომლის თანახმად ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდზე დარეგისტრირების ან თითოეული შესყიდვის განხორციელების მომენტში ხელშეკრულება ავტომატურად არ იხსნებოდა, გავლენას ახდენდა მის ფორმასთან შესაბამისობაზე. აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე სასამართლომ დაადგინა, რომ ელექტრონული საშუალებით „Click-wrapping“ მეთოდით დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს სასამართლოს არჩევის შესახებ პირობას, წარმოადგენს კომუნიკაციას ელექტრონული საშუალებით, რომელიც უზრუნვე-

ლყოფს ხელშეკრულების შენახვის შესაძლებლობას. აღნიშნული მეთოდით ხელშეკრულების დადებამდე, შესაძლებელია შეთანხმების ტექსტის ჩამოტვირთვა, ამობეჭდვა, შენახვა“ (8, 40-44).

„ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დათქმას ტექსტური ფორმის წერილობითან გათანაბრებასთან დაკავშირებით. სკს მე-18 მუხლი, ბრიუსელის კონვენციის გავლენით (რომელშიც არ იყო აღნიშნული ნორმა), მხოლოდ წერილობით ფორმას, ზეპირი შეთანხმების წერილობით დადასტურებას და საერთაშორისო ჩვეულებებით დადგენილ ფორმას აღიარებს. შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულირების გარეშე რჩება ელექტრონული საშუალებებით დადებულ ხელშეკრულებებში არსებული პირობები სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ელექტრონული საშუალებით საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ შეთანხმება, ვერ მიიჩნევა ნამდვილად, ვინაიდან არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ არცერთ ფორმას“ (148, 83).

სკს-ის 35-ე მუხლის მიხედვით მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ სამართალი, კერძოდ: „სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება - მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით“.

სკს-ის 35-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით ხელშეკრულების დადების შემდეგაც, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია, რომ სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.

სკს-ის 36-ე მუხლი მიუთითებს თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ

რომელიმე ქვეყნის სამართალი. თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია.

ამრიგად, ზემოთ მითითებული ნორმების ანალიზი ცალსახად იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ საკოლიზიო პრინციპად გამოყენებულია მითითება იმ ქვეყნის სამართალზე, სადაც სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელ მხარეს ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია. (27, 85.)

„საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში მხარეთა მიერ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის თავისუფლება საკმაოდ ფართოა და მოიცავს მესამე ქვეყნის სამართლის არჩევის შესაძლებლობასაც. აღნიშნულ პრინციპს მხარეები პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მხარეებს, მეტი თანასწორობისა და ობიექტურობის გამო, ურჩევნიათ მიმართონ “ნეიტრალური“ ქვეყნის სამართალს. მაგრამ ამ შემთხვევაში მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ, სრულად და ობიექტურად არეგულირებს თუ არა არჩეული მესამე ქვეყნის სამართალი შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებს, ხომ არ შეიძლება, რომ მომავალში, რომელიმე მხარემ სადავოდ გახადოს ესა თუ ის ნორმა საკუთარი ქვეყნის საჯარო წესრიგისა და იმპერატიულ ნორმებზე მითითებით“ (139, 57).

„საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლები დაუქვემდებარონ სხვადასხვა ქვეყნის სამართალს, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების ფორმა შეიძლება დაექვემდებაროს გერმანულ სამართალს, ანგარიშწორების წესები განისაზღვროს ფრანგული სამართალით, ხოლო მისი განადგურების რისკი დაექვემდებაროს ავსტრიულ სამართალს“ (139, 57).

5.2. გამოსაყენებელი სამართლის საკითხი მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში

„გამოსაყენებელი სამართლის საკითხი შეიძლება განსხვავებულიად გადაწყდეს მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში. განსჯადობის ზოგადი წესის თანახმად, სხვადასხვა იურისდიქციას მიკუთვნებულ პირებს შორის დავის შემთხვევაში, განსჯადობის საკითხი წყდება მოპასუხის ადგილსამყოფლის ან/და იურიდიული მისამართის მიხედვით ან/და ხელშეკრულების დადების ადგილისა და მისი შესრულების ადგილის მიხედვით. ეს ზოგადი დებულება რეგლამენტირებულია არა ერთ საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ აქტში“ (132, 64-65., 26, 116) “თუმცა, მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში, ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ადგილი დემატერიალიზებულია ზოგადი განსჯადობის წესებისაგან. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულების მხარე მომხმარებელია, ასეთი ხელშეკრულებების მიმართ სპეციალური განსჯადობის წესი მოქმედებს“ (91, 1-7., 26, 116)

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონტექსტში, დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულებები მონესრიგებულია მოდელური კანონებით, ჩარჩო შეთანხმებებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, რომლებიც შეიცავენ სპეციალურ წესებს სხვადასხვა იურისდიქციას მიკუთვნებულ მომხმარებელსა და მენარმეს შორის ინტერნეტის გამოყენებით დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. თავის მხრივ, ყველა ასეთი სპეციალური აქტი მომხმარებელს სახელშეკრულებო ურთიერთობის სუსტ მხარედ მიიჩნევს და ითვალისწინებს ქმედით მექანიზმებს ელექტრონულ კომერციაში მათი თვითდაჯერებულობის უზრუნველსაყოფად“ (91, 1-7., 26, 116)

„ელექტრონული კომერციის ფარგლებში მომხმარებელთა არათანაბარი მდგომარეობა მენარმე სუბიექტებთან შედარებით ვლინდება მათ მიმართ უნდობლობის ასპექტშიც. ხშირად, მომხ-

მარებლისათვის უცნობია მონაცემები მენარმის ადგილმდებარეობის, მისი საქმიანი რეპუტაციის, მის მიერ წარმოებული საქონლის ხარისხის შესახებ. ამ შემთხვევაში მომხმარებელს ისლა დარჩენია, ენდოს ვებ-ვერდზე მოცემულ ინფორმაციას. გარდა ამისა, საფრთხის შემცველია მენარმეთა მოთხოვნა მომხმარებლის მაიგივებელი მონაცემების წინასწარ გახსნისა და ანგარიშსწორების შესახებ (სახელი, გვარი, ანგარიშის ნომერი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, უმეტეს შემთხვევაში ის მონაცემებია რომელთა მითითებაც მომხმარებელს მოეთხოვება დისტანციურად ხელშეკრულების დადებისას“ (91, 1-7., 26, 116).

„დასახელებულ საფრთხეთა კომპლექსურობა, რომელთა წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდეს მომხმარებელი დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებულ ხელშეკრულებებში ისევე, როგორც ელექტრონული კომერციისათვის დამახასიათებელი დემატერიალიზებული ბუნება, აუცილებელს ხდის ქმედითი წესების შემოღებას მომხმარებელთა დასაცავად ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობებში“ (97, 7., 26, 117). „ამასთან, უცხო ქვეყნის მენარმესთან დისტანციურად დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა წარმოშობს ორ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემას: 1) მომხმარებელი, რომელიც უცხო ქვეყნის მენარმისაგან, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იძენს საქონელს ანდა მომსახურებას, დავის შემთხვევაში, რომელი ქვეყნის იურისდიქციას უნდა დაექვემდებაროს – თავისას თუ მენარმისას და მეორე, დავა რომელი ქვეყნის სამართლის გამოყენებით უნდა გადაწყდეს“ (91, 1-7., 26, 117).

„ევროკავშირის ფარგლებში სხვადასხვა იურისდიქციას მიკუთვნებულ პირებს შორის დადებული ხელშეკრულების განსჯადობის საკითხი მონესრიგებულია 593/2008 სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ აქტით, რომელიც „რომი ერთი“ რეგულირების სახელითაა ცნობილი“ (245. 6-16., 26, 117). „ამასთან, გამოსაყენებელი სამართლის არჩევა შეიძლება მივაკუთვნოთ მხარეთა ავტონომიის სფეროსაც, რაც გამოიხატება მხარეთა შესაძლებლობაში, თავად განსაზღვრონ მათი მონაწილეობით დადებული ხელშეკრულების

მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საკითხი“ (15, 10-11., 26, 117) “თუმცა, ასეთი არჩევანის უფლება, ხშირად იწვევს ერთ-ერთის, ძირითადად მომხმარებლის, უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებები უმეტესწილად მოცემულია სტანდარტული პირობების ან/და სტანდარტული ფორმის ხელშეკრულებების სახით. მომხმარებელთა მონაწილეობა კი მათ ფორმირებაში მხოლოდ პირობებზე ფორმალური „დათანხმებით“ გამოიხატება. გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნის სამართალზე მითითება ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელთა ინტერესების ეფექტურად დამცავი შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების გამოყენება ავტომატურად გამოირიცხება“ (128, 4., 26, 117).

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართ ევროპის კავშირის ტრადიციულად მკაცრი მიდგომის გათვალისწინებით, მენარმეები ყოველთვის არ არიან თავისუფალნი მათ მიერ შეთავაზებული სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაში. **„რომი ერთი“ რეგულირება პირდაპირ მიუთითებს, რომ მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებები, მათში გამოსაყენებელ სამართალზე დათქმის მიუხედავად, განსახილველად ექვემდებარებიან იმ ქვეყნის სამართლებრივ დანაწესებს, სადაც მომხმარებელს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“** (245. 6-16., 26, 118). “შესაბამისად, **სამომხმარებლო ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს სპეციალური რეგულირება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, იმპერატიული ხასიათისაა და მისი შეცვლა ან ჩანაცვლება მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.** ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია არა მხოლოდ მომხმარებლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის განსაზღვრა, არამედ იმის დადგენაც, თუ რა იგულისხმება სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაში მომხმარებლის ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

ამ საკითხის განმარტებას მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების ფარგლების ლეგიტიმაციისთვისაც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მომხმარებლისათვის მინიჭებული ეს საგამონაკლისო უფლებაც ერთ-ერთია, რომელიც

იმპერატიული ხასიათის ნორმებით რეგულირდება. მეორე მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ ხელშეკრულებები, სადაც მათი ცალმხრივად უარყოფის შესაძლებლობა იმპერატიულადაა მოცემული, საერთოდ გვერდს უვლიან განსჯადობის საკითხს. მომხმარებელი უფლებამოსილია, გამოიყენოს ხელშეკრულების უფლება უპირობოდ, თუ ხელშეკრულება დადებულია მენარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ ანდა დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმის გამოყენებით. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება მოქმედებს მხოლოდ სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიმართ. საკითხი შედარებით მარტივად გადასაწყვეტია, თუ მომხმარებელიც და მენარმეც ერთსა და იმავე იურისდიქციას მიეკუთვნებიან, ან, როცა მენარმის იდენტიფიცირება არ წარმოადგენს პრობლემას. იმ შემთხვევაში კი, როცა მენარმე სხვა ქვეყნის იურისდიქციის პირია, მომხმარებლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის ფარგლებში სამენარმეო საქმიანობის განხორციელება შესაბამის ყურადღებას იმსახურებს“ (128, 3., 26, 118).

„მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებები, მხოლოდ მაშინ ექცევიან საგამონაკლისო განსჯადობის ფარგლებში, თუ სამენარმეო საქმიანობა ხორციელდება მომხმარებელთა ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, რომი I-ის რეგულირება აქცენტს აკეთებს ორ გარემოებაზე, რომელთა მიხედვითაც შეიძლება დადგინდეს მენარმეთა მოქმედების არეალი. პირველი, როცა მენარმე მიჰყვება თავის საქმიანობას მომხმარებლის იურისდიქციის სახელმწიფოში და მეორე, როცა იგი პირდაპირ ეწევა თავის საქმიანობას სხვა ქვეყანაში. მიყოლაში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება სამენარმეო საქმიანობის განხორციელება შუამავლების მეშვეობით, რომელიც მოიცავს აგრეთვე არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებსაც. მაგალითად, თუ მომხმარებლის დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე ხდება სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული კომპანიის წარმომადგენლის მეშვეობით მომხმარებლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის მიხედვით, საცხოვრებელ

სახლთან ან სამუშაო ადგილთან. სამენარმეო საქმიანობის მიყოლა, ასევე მოიცავს ფილიალების მეშვეობით მოქმედებასაც“ (128, 3., 26, 119).

„გაცილებით რთულია მეორე შემთხვევის განმარტება, რომელიც გულისხმობს სამენარმეო საქმიანობის პირდაპირ განხორციელებას. მართალია, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა იძლევა მენარმის განმარტებას, და მასში გულისხმობს ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, მაგრამ არ უთითებს, თუ რა იგულისხმება ასეთ საქმიანობაში. მაშინ როდესაც, რომი I რეგულირება სამომხმარებლო ხელშეკრულებებს სპეციალურ განსჯადობას მიაკუთვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოკვეთილია მომხმარებლის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელ ტერიტორიაზე სამენარმეო საქმიანობის პირდაპირი განხორციელების მიზანი“ (245. 6-16., 26, 119)).

„ამასთან, სამენარმეო საქმიანობის პირდაპირ განხორციელებაზე მიუთითებს ბრიუსელის რეგულირებაც, რომელიც განსაზღვრავს განსჯადი სასამართლოს საკითხს იმ შემთხვევისათვის, თუ დავაში ერთი ან მეტი ქვეყანა მონაწილეობს. ნიშანდობლივია, რომ ეს აქტივ გამორიცხავს მისი გავრცელების შესაძლებლობას მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებზე, თუ მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში გამოკვეთილია სამენარმეო საქმიანობის პირდაპირი განხორციელების მიზანი, მომხმარებლის ადგილსამყოფელ ქვეყანაში“ (26.119). “საგულისხმოა, რომ რომი I რეგულირების განმარტება შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ სამენარმეო საქმიანობის პირდაპირი განხორციელების მიზანი უნდა განიმარტოს ბრიუსელის რეგულირებასთან ერთობლიობაში“ (245. 6-16., 26, 119).

„სამენარმეო საქმიანობის პირდაპირი განხორციელება ძირითადად განმარტებას მოითხოვს ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით, ოფერტების მენარმეთა ვებგვერდების მეშვეობით გაკეთებისას. ამ შემთხვევაში მომხმარებელთა ინტერნეტთან წვდომა არ არის საკმარისი გარემოება იმისათვის, რომ ხელშეკრულება სხვადასხვა ქვეყანას მიაკუთვნებულ პირებს შორის და-

დებულად ჩაითვალოს, თუმცა საკმარისია იმისათვის, რომ ხელშეკრულება დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებულად მიიჩნეოდეს“ (122, 158-163., 26, 120). “ამასთან, მნიშვნელოვანია მენარმეთა ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსი. კერძოდ, რამდენად შესაძლებელია მასზე დაყრდნობით იმის იდენტიფიცირება, რომ სამენარმეო საქმიანობა პირდაპირ განკუთვნილია მომხმარებელთა ჩვეულებრივი ადგილსამყოფლისათვის. მენარმის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაცია ცალსახად უნდა მიუთითებდეს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე სხვა ქვეყნის მომხმარებლებთან“ (128, 6., 26, 120).

„საკითხის სიმწვავეს ისიც ცხადყოფს, რომ იგი ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტების საგანიც კი გახდა. საქმეში „Pammer v Schluter“ სასამართლომ რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო შეეხო იმას, რომ ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე, მენარმეთა ვებგვერდები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს როგორც ევროპის კავშირის ფარგლებში, ისე მის გარეთაც. მაგრამ მხოლოდ ვებგვერდების ხელმისაწვდომობა იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც მენარმეს აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი სამენარმეო საქმიანობა მიმართულია ტრანსსაზღვრო სახელშეკრულებო ურთიერთობების დასამყარებლად. აუცილებელია, რომ მენარმემ გამოხატოს თავისი ნება იმდაგვარად, რომ მისგან გამომდინარეობდეს ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მომხმარებელთან კომერციული ურთიერთობების დამყარების სურვილი. შესაბამისად, ცალსახად უნდა დგინდებოდეს სხვა წევრი სახელმწიფოების მომხმარებლებთან ხელშეკრულების დადების ნება. ამ მოთხოვნასთან შესაბამისობის დასადგენად სასამართლო რამდენიმე კრიტერიუმის არსებობაზე მიუთითებს. პირველ რიგში, მენარმეთა ვებგვერდებზე მხოლოდ მათი ელექტრონული მისამართის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ანდა ტელეფონის ნომრების მითითება, საერთაშორისო ინდექსების ან შესაბამისი კოდების გარეშე, არ ჩაითვლება სათანადო ინფორმაციად იმის საილუსტრაციოდ, რომ მენარმე მზადაა დაამყაროს

ტრანსსასაზღვრო სახელშეკრულებო ურთიერთობა სხვა ქვეყნის მომხმარებლებთან, ვინაიდან ეს მონაცემები არ ითვლება საკმარისად მენარმესთან საჭიროების შემთხვევაში დასაკავშირებლად. ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის მიზანი უნდა გამომდინარეობდეს შედარებით სპეციფიკური ელემენტებიდან, მაგალითად, ვებგვერდის ელექტრონული მისამართის გაფართოებიდან „.com“ ან „.eu“, მითითებული საერთაშორისო კოდებიდან, ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციის სხვადასხვა ენაზე გაცნობის ანდა ანგარიშსწორების შესაძლებლობიდან და ა.შ.“ (128, 6., 26, 120).

„სასამართლოს გადანყვევტილებაში დასახელებული გარემოებების გარდა, სხვა ქვეყნის მომხმარებლებთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების სურვილი შეიძლება დასტურდებოდეს, მომხმარებლებზე პირდაპირი და უშუალოდ მიმართული რეკლამის, ანდა ინდივიდუალური შეთავაზების შემთხვევაში; მენარმის ვებგვერდზე მოცემული ქვეყნების კატალოგიდან, სადაც მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს თავისი ქვეყანა. ამასთან, თუ ჩამონათვალში კონკრეტული სახელმწიფო არ არის მითითებული, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება ამ კონკრეტული ქვეყნის მომხმარებლებთან მენარმის განზრახვას არ ნარმოადგენს“ (91, 37., 26, 121). “ყველა შემთხვევაში, იმისათვის, რომ მომხმარებელთა მონანილეობით დადებული ხელშეკრულება მოექცეს სპეციალური განსჯადობის ფარგლებში, სამენარმეო საქმიანობა უნდა პასუხობდეს დასახელებულ კრიტერიუმებს. თავის მხრივ, ამან შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები და, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის დადგენის აუცილებლობა, რაც მნიშვნელოვნად არყევს მომხმარებელთა დამაჯერებლობას და, მით უფრო, სურვილს, მონანილეობა მიიღონ ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობებში. **სწორედ ამ კონტექსტში ვლინდება მომხმარებლებისათვის მინიჭებული ხელშეკრულების ცალმხრივად უარყოფის უფლების უპირატესობა, რომელიც იცავს მომხმარებლებს კონკრეტული საფრთხეებისაგან და, მათ შორის, ყოველჯერზე სამომხმარებლო ხელშეკრულებების განსჯადობის საკითხის გარკვევისგანაც.**“ (26,121).

„ამასთან, ხელშეკრულების უარყოფის უფლების უპირატესობა, სპეციალურ განსჯადობის წესებთან მიმართებაში, იმაშიც ვლინდება, რომ „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა იძლევა რა არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების განმარტებას, აქცენტს არ აკეთებს არც მენარმეთა იურიდიულ რეგისტრაციაზე და არც მომხმარებელთა ჩვეულებრივ ადგილსამყოფელზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ხელშეკრულების უარყოფის უფლების არსებობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, ხელშეკრულების მხარეები ერთი და იმავე თუ სხვადასხვა იურისდიქციას ექვემდებარებიან**“ (26,121). „უფლების სავალდებულო წესით არსებობას განსაზღვრავს მხოლოდ ნების ჩამოყალიბების ფორმატი. **არაოფიციალურ ვითარებასა და დისტანციური კომუნიკაციის მეთოდებით დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელი დაცულია ნების უკან გამოთხოვის უფლებით, განსჯადობის საერთო თუ სპეციალური წესის გვერდის ავლით.** ამასთან, უფლების სავალდებულობის ხასიათიდან გამომდინარე, მისი დაცვითი ეფექტი მოქმედებს ყველა მომხმარებელზე, მიუხედავად იმისა, იგი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა თუ არა. მაგალითად, თუ საქართველოში ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის მქონე მომხმარებელი შეიძენს საქონელს ევროპის ქვეყნის მენარმისაგან მასთან დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, იგი ყოველთვის დაცული იქნება ხელშეკრულების უარყოფის უფლებით, როგორც იმპერატიულად მოქმედი წესით, რასაც ვერ ვიტყვით პირიქით განვითარებულ მოვლენებზე. კერძოდ, თუ ევროპელი მომხმარებელი, დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქართული კომპანიისაგან საქონელს შეიძენს, ჩვენს კანონმდებლობაში ხელშეკრულების უარყოფის სპეციალური წესის არარსებობის გამო, მას, უკმაყოფილების შემთხვევაში (პირობითად თუ საქონელი ნაკლიანი აღმოჩნდება) უფლების დაცვა მისი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმებით მოუწევს (რომი | რეგულირება). შემდეგ კი დადგება ამ გადანყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი საქართველოში. ყველა ეს ეტაპი დაკავშირებულია დროსა და ხარჯებთან, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეაფერხოს ევროპელი მო-

მხმარებლების აქტივობა ქართულ ბაზარზე.“ (26,121). “მაგრამ, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების უარყოფის უფლება იმავე წესით, როგორც იგი მოქმედებს ევროპის სახელმწიფოებში, ეს საშუალებას მისცემს ევროპელ მომხმარებელს, შეუფერხებლად ჩაებას ტრანს-სასაზღვრო სახელშეკრულებო ურთიერთობებში საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებთან. თავის მხრივ კი, ქართულ კერძო სამართალში ამ უფლების სრულფასოვანი დამკვიდრება ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის გაფართოებას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, რაც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილ ასოცირების შეთანხმებასთანაც“ (26,121).

„იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდებოდა შესაბამისი კონვენციების მიღება, რომლებიც დაარეგულირებდა იმ სამართლებრივ სირთულეებს, რაც ელექტრონულ კომერციას უკავშირდება და შეიძლება ეროვნული სასამართლოებისათვის გამოსაყენებელ წესებს, შესაძლებელი იქნებოდა თავიდან აგვეცილებინა ეროვნული სასამართლოების მიერ არაპროგნოზირებადი და წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების მიღება, სხვადასხვა იურისდიქციის პირობებში“ (183, 56); (136, 93). “ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ დღესდღეობით ერთიან საერთაშორისო დონეზე შეუძლებელია ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი სამართლის საკითხზე მსჯელობა. შესაბამისად, ამ სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების არარსებობის პირობებში, ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებულ დავაზე გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა მოხდება დავის მონაწილე სახელმწიფოების საერთაშორისო კერძო კანონმდებლობის თანახმად, რაც, რასაკვირველია, არ არის მიზანშეწონილი ისევე და ისევე ამ სფეროს ტრანსნაციონალური ხასიათიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე“ (136, 93).

„დოქტრინაში მიიჩნევენ, რომ გლობალური სასამართლოების არარსებობის პირობებში, ელექტრონული კომერციის დავების განხილვა არბიტრაჟის მეშვეობით ბევრად უფრო მომგებიანი და გამოყენებადი“ (183, 57); (136, 92). “არბიტრაჟი გვთავაზობს

სწრაფ, კერძო, ტექნოლოგიურად მოსახერხებელ შედეგს, ვიდრე ნაციონალური სასამართლოები, მით უმეტეს ისეთ სფეროში, როგორიცაა ელექტრონული კომერცია“ (183, 56); (136, 92). “ამასთან, ტექნოლოგიურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა ონლაინ არბიტრაჟის შემოღება, რომელიც გამოიყენება, მაგალითად, მონრეალში (კანადა). აღნიშნული არბიტრაჟი სთავაზობს მომხმარებელს დავის გადაწყვეტის სრულ სერვისს. აღნიშნული სერვისის წინამორბედი იყო მონრეალში არსებული კიბერტრიბუნალი შესაბამისად, თავად ელექტრონული კომერციის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, გამართლებული და მიზანშეწონილია ამგვარი ხასიათის დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემა (183, 56); (136, 92).

5.3. CESL და ელექტრონული ურთიერთობისას წარმოშობილი დავების მოგვარება

ელექტრონული კონტრაქტების შესახებ **უნივერსალური სამართლებრივი დოკუმენტის-საერთო ევროპული ნასყიდობის კანონის (CESL)**, მიღება ახლო კავშირშია ელექტრონული ურთიერთობისას წარმოშობილი დავების მოგვარებასთან. UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფ III-მა აღნიშნა, რომ ელექტრონული კონტრაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალფასიანია, ძირითადად გაფორმებულია მომხმარებლებთან (194.8.). როგორც UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფ III-მა მიუთითა: „ბევრი დელეგაცია მხარს უჭერდა სამართლიანი პრინციპების, ქცევის კოდექსების, უნივერსალური საერთო წესების ან სარეზოლუციო ნაწილის გამოყენებას - იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა მომხმარებელთა მაღალი დაცვის უზრუნველყოფა-როგორც შემთხვევების გადაწყვეტის საფუძველი, ამრიგად თავიდან იცილებს რთულ პრობლემებს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ახსნა-განმარტებისას“ (194.7). **ელექტრონული კონტრაქტების შესახებ უნივერსალური წესების მიღებამ უნდა გაამარტივოს და დააჩქაროს ზემოაღნიშნული კონტრაქტების დროს წარმოშობილი დავების მოგვარების პროცედურები.** დავების მოგვარების ორგანომ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება უნივერსალური ელექტრონული სახელშეკრულებო

სამართლის შესახებ, იგივე არ განსაზღვრავს მოქმედ კანონმდებლობას იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ელექტრონულ კონტრაქტებთან დაკავშირებულ წარმოშობილ დავებს ერთი ან მეტი სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში. უნივერსალური სახელშეკრულებო სამართლის შესავალმა უნდა გაამარტივოს და დააჩქაროს წარმოშობილ დავებთან დაკავშირებული სარჩელების საქმისწარმოება და უზრუნველყოს მომხმარებელთა უკეთესად და უფრო მეტად ეფექტურად დაცვა (194, 9).

უნივერსალური სახელშეკრულებო სამართლის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს გადაწყვეტილებების სიმყარე და სტაბილურობა, იმის მიუხედავად, რომ თითოეულ ქვეყანას, როგორც წესი, აქვს ელექტრონული კონტრაქტების შესახებ განსხვავებული კანონმდებლობა და თუ რომელ სახელმწიფოში ხორციელდება მენარმის ბიზნეს საქმიანობა. წინამდებარე წესრიგი გამოიყენება იმ კონტრაქტებთან დაკავშირებით, რომელიც გაფორმებულია მომხმარებელთან, რადგან ასეთი კონტრაქტების მიმართ მოქმედი კანონმდებლობის არჩევის შესაძლებლობა იზღუდება. მომხმარებელთა კონტრაქტებისთვის. მოქმედი კანონმდებლობა, როგორც წესი, წარმოადგენს მომხმარებლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის კანონმდებლობას, მაგალითისთვის შესაძლოა იყოს ევროკავშირის რეგულაციის Rome I-ის მე-6 მუხლი (194, 8). ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ თუ მენარმის კონტრაქტის მიმხმარებლებია, რომელთაც აქვთ საცხოვრებელი ადგილი სხვადასხვა ქვეყანაში, მაშინ თითოეული გაფორმებული კონტრაქტისთვის შესაძლოა მოქმედებდეს სხვადასხვა კანონმდებლობა. ეს იწვევს ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას, რაც დაკავშირებულია მომხმარებლებთან სხვადასხვა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით კონტრაქტების მიღებასთან. უნივერსალური წესების შემოტანამ უნდა უზრუნველყოს ამ ხარჯების შემცირება და ამავე დროს, საერთაშორისო დონეზე მომხმარებლის დაცვის უნივერსალური სტანდარტი ელექტრონულ კონტრაქტებში. (194, 9).

ელექტრონული კონტრაქტების შესახებ უნივერსალური იურიდიული დოკუმენტი არა მარტო უზრუნველყოფს მომხმარებელთა დაცვას უმაღლეს და უნივერსალურ დონეზე მათი საცხოვრებელი

ადგილის მიხედვით, არამედ ზრუნავს მენარმის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგების ხარჯების შემცირებაზე, რომელიც აღარ იქნება ვალდებული თავისი საქმიანობა განახორციელოს რამდენიმე განსხვავებული საკანონმდებლო რეჟიმის შესაბამისად (მომხმარებლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) (194, 9).

5.4. დასკვნა

დღესდღეობით არ არსებობს საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ინტერნეტის მომხმარებელი ყველა სახელმწიფოს მიერაა ხელმოწერილი და რომელიც ცალსახად არეგულირებს ინტერნეტის მეშვეობით წარმოებული ტრანსნაციონალური კომერციის სამართლებრივ ჩარჩოს.

ევროკავშირის ფარგლებში სხვადასხვა იურისდიქციას მიკუთვნებულ პირებს შორის დადებული ხელშეკრულების განსჯადობის საკითხი მონესრიგებულია 593/2008 სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ აქტით, რომელიც „რომი ერთი“ რეგულირების სახელითაა ცნობილი.

„რომი ერთი“ რეგულირება პირდაპირ მიუთითებს, რომ მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებები, მათში გამოსაყენებელ სამართალზე დათქმის მიუხედავად, განსახილველად ექვემდებარებიან იმ ქვეყნის სამართლებრივ დანაწესებს, სადაც მომხმარებელს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. შესაბამისად, სამომხმარებლო ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს სპეციალური რეგულირება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, იმპერატიული ხასიათისაა და მისი შეცვლა ან ჩანაცვლება მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია არა მხოლოდ მომხმარებლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის განსაზღვრა, არამედ იმის დადგენაც, თუ რა იგულისხმება სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაში მომხმარებლის ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

პრაქტიკაში დამკვიდრებულია „წარმოშობის ქვეყნის“ პრინციპი, რაშიც მოიაზრება სერვისის მიმწოდებლის წარმოშობის ქვეყანა.

ეს პრინციპი შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს ხელშეკრულებაში მითითება არ აქვთ გაკეთებული არც საერთაშორისო და არც ეროვნულ კანონმდებლობაზე.

სკს-ის მე-18 მუხლი განსაზღვრავს მხარეთა თავისუფლებას აირჩიონ იმ ქვეყნის სასამართლო, რომელსაც ექნება საერთაშორისო იურისდიქცია.

სკს მე-18 მუხლი, ბრიუსელის კონვენციის გავლენით (რომელშიც არ იყო აღნიშნული ნორმა), მხოლოდ წერილობით ფორმას, ზეპირი შეთანხმების წერილობით დადასტურებას და საერთაშორისო ჩვეულებებით დადგენილ ფორმას აღიარებს. შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულირების გარეშე რჩება ელექტრონული საშუალებებით დადებულ ხელშეკრულებებში არსებული პირობები სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ელექტრონული საშუალებით საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ შეთანხმება, ვერ მიიჩნევა ნამდვილად ვინაიდან არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ არცერთ ფორმას.

მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში, ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ადგილი დემატერიალიზებულია ზოგადი განსჯადობის წესებისაგან. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულების მხარე მომხმარებელია, ასეთი ხელშეკრულებების მიმართ სპეციალური განსჯადობის წესი მოქმედებს.

მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებები, მხოლოდ მაშინ ექცევიან საგამონაკლისო განსჯადობის ფარგლებში, თუ სამენარმეო საქმიანობა ხორციელდება მომხმარებელთა ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

ხელშეკრულების უარყოფის უფლების არსებობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, ხელშეკრულების მხარეები ერთი და იმავე თუ სხვადასხვა იურისდიქციას ექვემდებარებიან.

ამ სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების არარსებობის პირობებში, ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებულ დავაზე გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა მოხდება და-

ვის მონანილე სახელმწიფოების საერთაშორისო კერძო კანონმდებლობის თანახმად, რაც, რასაკვირველია, არ არის მიზანშეწონილი ისევ და ისევ ამ სფეროს ტრანსნაციონალური ხასიათიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე.

ელექტრონული კომერციის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, გამართლებული და მიზანშეწონილია ამგვარი ხასიათის დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემა.

დასკვნა

1. ელექტრონული ვაჭრობის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია ელექტრონული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა. ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხი უკავშირდება, როგორც უშუალოდ ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივ რეგულაციას, ისე, ელექტრონულ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროს რეგლამენტაციასა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სამართლებრივ უზრუნველყოფას.
2. სახელშეკრულებო სამართლის უნივერსალური წესები არ არის მიღებული ევროკავშირში. მიმდინარეობს საკანონმდებლო სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო სისტემების ჰარმონიაში მოყვანას.
3. ერთიანი ციფრული ბაზრის შექმნა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ევროპაში. ერთიანი ციფრული ბაზრის შესახებ მიღებული სტრატეგია გადაჭრის ყველა ძირითად დაბრკოლებას ევროკავშირში ტრანსსასაზღვრო ელექტრონული ურთიერთობის განსავითარებლად. სახელშეკრულებო სამართლის არსებული რეგულაციები არსებული გამოწვევების მოსაწესრიგებლად არასაკმარისია, ამიტომ საკანონმდებლო ცვლილებები აუცილებელია.
4. ელექტრონული კონტრაქტების სრულყოფილად მომწესრიგებელი საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტები არასაკმარისია.
5. **ელექტრონული კონტრაქტების შესახებ უნივერსალურმა კანონმა** უნდა მოაწესრიგოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის საგანს. ამასთანავე, უნივერსალურმა

კანონმა უნდა დაარეგულიროს შემდეგი საკითხები: კონტრაქტის დასრულება, კონტრაქტის ჩამოყალიბება, ვალდებულების შესრულება, ვალდებულების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება, კონფიდენციალობა, მოშლა-შენწყვეტა, კონტრაქტიდან წარმოშობილი მოთხოვნების შეზღუდვა. ელექტრონული კონტრაქტების შესახებ ძირითადი ზოგადი საკითხების გარდა, კანონი უნდა მოიცავდეს კონკრეტულ დებულებებს, რომელიც ეხება კონტრაქტების ძირითად სახეობებს ელექტრონულ ურთიერთობებში, რომლებშიც ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომსახურების მიწოდება და ციფრული ინფორმაციის გადაცემა.

უნივერსალურმა აქტმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა ყოვლისმომცველი დაცვა, მენარმეთა მიერ განუხლები გარეგების ხარჯების შემცირება, ასევე ელექტრონული კონტრაქტებიდან წარმოშობილი დავების მოგვარების პროცედურების დაჩქარება და გამარტივება, რომელიც დაკავშირებულია სულ მცირე ორი სახელმწიფოს კანონმდებლობასთან. ამასთან, საჭიროა ახალი ტექნოლოგიის უწყვეტი განვითარების იურიდიული რეგულირება უფლებებისა და პასუხისმგებლობების სამართლიანად განაწილების, ასევე, მხარეთა შორის გაფორმებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინების მიზნით.

6. საქართველოს ერთიან ევროპულ ეკონომიკურ სივრცესთან დაახლოების თანმდევი პროცესი სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციაა, რომელიც აქტიურად ხორციელდება.
7. 2014 წლის ივნისის თვეში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების 128-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ ვალდებულება აიღო, აწარმოოს დიალოგი **ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის მომხმარებელთა დაცვის შესახებ, ელექტრონული კომერციის ფარგლებში.**

8. საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ არსებულ პრობლემებს, გარდა შესაბამისი კანონმდებლობის არ არსებობისა, განაპირობებს გარკვეული ბიზნეს სექტორის დაბალი სოციალური პასუხისმგებლობა და მომხმარებელთა პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის სიმცირე. ასევე, თავის მხრივ, ადგილობრივი მომხმარებლის პასუხისმგებლობისა და სამომხმარებლო კულტურის დეფიციტის თავისებურებანი.
9. ელექტრონული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მათ შორის ელექტრონულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის თაობაზე საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა საქართველოში უმნიშვნელოა.
10. ელექტრონული ფორმით დასადები ხელშეკრულების თავისებურებაა მხარეთა შორის უშუალო კონტაქტის არ არსებობა, მხარეთა კომუნიკაცია მონაცემთა ელექტრონული გაცვლის მეშვეობით.
11. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა ელექტრონული შუამავლების მონაწილეობა, რომლებიც პასუხს აგებენ პროგრამულ უზრუნველყოფაზე და უზრუნველყოფენ ინფორმაციის შენახვასა და გადაცემას.
12. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას წარმოებს ელექტრონული ფორმით დაფიქსირებული მონაცემების (ელექტრონული ინფორმაციის) გაცვლა. ამიტომ ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ პირობები, რომლებიც ასახავენ ელექტრონული ინფორმაციის თავისებურებებს (ინფორმაციის დაცვის თავისებურებები გადაცემასა და შენახვისას, ელექტრონული დოკუმენტის შემქმნელი პირის დადგენის საშუალება, ელექტრონული დოკუმენტის ქალაქის ასლის შენახვის შესაძლებლობა).
13. ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება ინახება სხვადასხვა მატარებელზე, რაც გამორიცხავს მის მი-

მართ ტრადიციული ცნებების დოკუმენტის „ორიგინალი“ და „ასლი“ გამოყენებას.

14. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის ხელშეკრულების დადება ავტორიზებული პირის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ელექტრონულ გაცვლას. შეთანხმება ავტორიზებულ პირთან არ ეხება ძირითად ვალდებულებას და არ შეიძლება გავლენას ახდენდეს ძირითადი ვალდებულების მიხედვით მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსზე.
15. ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება არა მხარის მიერ აქცეპტის გაკეთების, არამედ კრედიტორის მიერ მისი მიღების მომენტი.
16. საერთაშორისო დონეზე ელექტრონული ხელმოწერის ერთიანი უნიფიცირებული ცნება და სისტემა არ არსებობს, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში ძირითადად მიღებულია ელექტრონული ხელმოწერის დაყოფა მარტივ, განვითარებულ და კვალიფიციურ ხელმოწერად. ავტორები ერთხმად თანხმდებიან, რომ ელექტრონული ხელმოწერის ძირითადი ფუნქცია ელექტრონულ დოკუმენტზე (ელექტრონულ ხელშეკრულებაზე) ხელმოწერი პირის იდენტიფიკაცია, დოკუმენტის კონფიდენციალობისა და გაყალბებისგან დაცვაა.
17. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონით მხოლოდ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას ენიჭება მატერიალური ხელმოწერის იურიდიული ძალა. პირს შესაძლებლობა ეძლევა ელექტრონული დოკუმენტი გამოიყენოს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება დოკუმენტის წერილობითი ფორმა (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი).
18. კანონით, ელექტრონული ხელმოწერა რაიმე გრაფიკული ნიშანთა სისტემა არ არის, ეს არის ბინარულ ნიშანთა,

ნულების და ერთიანების კომბინაციებისგან შემდგარი სისტემა.

19. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა უტყუარად ადასტურებს ხელმოწერის ვინაობას და იცავს ხელმოწერილ დოკუმენტს.
20. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს იმ გარიგებების ჩამონათვალს, რომელიც არ შეიძლება არსებობდეს ელექტრონული ფორმით.
21. ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური პროგრამული ან ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რომლებიც საშუალებას იძლევა შეიქმნას პირადი ხელმოწერის ანალოგი.
22. ქართულ კანონმდებლობაში სრული სამართლებრივი ვაკუუმი ელექტრონული ფორმით დადებული როგორც სამომხმარებლო, აგრეთვე არასამომხმარებლო გარიგებების რეგულირების თვალსაზრისით. სამართლებრივ ვაკუუმს ქმნის ელექტრონული სპეციფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ცალკეული ეტაპების სამართლებრივი რეგლამენტაციის არარსებობა.
23. მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების რეგულირების კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი ქართულ კანონმდებლობაში ჯერ გათვალისწინებული არ არის. უფლებების დაცვა ხორციელდება ზოგად ნორმებზე მითითებით.
24. დისტანციური, მათ შორის მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსია, რომლის რეგულირებაც მხარეთა შორის დავის გადაწყვეტაზეა მიმართული, ვიდრე პრევენციაზე. ხელშეკრულების დადებამდე მისაწოდებელი ინფორმაციის

დეტალურ ჩამონათვალს, ხელშეკრულების უარყოფის უფლებას, ამ უფლების პროცედურების დიფერენცირებას მიწოდების სახის მიხედვით და რისკის გადასვლის სპეციალურ წესს სამოქალაქო კოდექსი ამ სახის ხელშეკრულებებისათვის არ იცნობს.

25. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები და პრინციპები, ასევე ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონი და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, ელექტრონული ხელშეკრულების დადებისა და წინასახელშეკრულებო ეტაპზე, ურთიერთობის სპეციფიკური საკითხების რეგულირებისათვის ვერ ქმნის ადეკვატურ სამართლებრივ საფუძვლებს. ქართული სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს მომხმარებელთა უფლებების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს.
26. ხელშეკრულების მხარის მიერ სავალდებულო ინფორმაციის მიუწოდებლობისას ქართული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.
27. მომხმარებლის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. ევროკავშირის კანონმდებლობა საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსს, რომელიც უნდა იყოს ნათელი და გასაგები. ამ მხრივ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტიც ითვალისწინებს რეგულირებას, თუმცა შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს. კერძოდ, დირექტივის მიხედვით მოვაჭრე ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება, დავის წარმოშობის შემთხვევაში კი მასვე ეკისრება ინფორმაციის მიწოდების მტკიცების ტვირთი. ასევე, დირექტივის თანახმად, თუ მომხმარებელი არ იყო ინფორმირებული დამატებითი ხარვეზების შესახებ მომხმარებელს არ ეკისრება მისი გადახდის ვალდებულება. აღნიშნულ მოწესრიგებას კანონპროექტი არ ითვალისწინებს.

28. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი არ ითვალისწინებს დებულებას, რომ მოვაჭრე ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების უარყოფის უფლების არსებობის შესახებ, თუმცა გათვალისწინებულია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზების მიმართ მოქმედი წესები. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი არ არეგულირებს ხელშეკრულების უარყოფის ფორმასთან დაკავშირებულ საკითხს, კერძოდ, როგორ უნდა გაიგზავნოს გაფრთხილება, ინფორმაციის გადაცემისა და ხანგრძლივად შენახვის საშუალებებით თუ წერილობით, როგორ და რა საშუალებით უნდა ისარგებლოს მომხმარებელმა ხელშეკრულების უარყოფის უფლებით და არ არის განსაზღვრული მომხმარებლის ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ შეუტყობინებლობის შედეგები.
29. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ არ მოიცავს სავაჭრო ურთიერთობებში ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მოვაჭრესთან მისი პროდუქციის პირადი მოხმარებისათვის გამოყენების მიზნით.
30. ხელშეკრულების რომელიმე პირობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უფლებას ართმევს ან უზღუდავს მხარეს დირექტივით მინიჭებულ უფლებას, მომხმარებლის მიერ მასზე თანხმობის მიუხედავად, მომხმარებლისთვის არ არის სავალდებულო და ბათილია, როგორც კანონსაწინააღმდეგო სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

რეკომენდაციები

გასაზიარებელია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში არაერთი ავტორის მითითება ელექტრონული ვაჭრობის შესახებ სპეციალური კანონის მიღების აუცილებლობაზე, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული ვაჭრობის სფეროს ზუსტ რეგლამენტაციას მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

31. საქართველომ უნდა მიიღოს ელექტრონული ვაჭრობის შესახებ კანონი, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებს ელექტრონული ხელშეკრულებების დადების, შესრულების, ელექტრონული ხელშეკრულების მხარეების უფლება-მოვალეობების, ელექტრონული ხელმოწერის, ელექტრონული ხელშეკრულებების დადებისას ელექტრონული შუამავლების მონაწილეობის, გამოსაყენებელი სამართლის საკითხებს, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამოქალაქო ბრუნვაში ქვეყნის მონაწილეობისთვის სტაბილური სამართლებრივი საფუძვლის შექმნას.
32. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის, სიმყარისა და უსაფრთხოების, საერთაშორისო სამართლებრივ რეგულაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისობისა და ხელშეკრულების, მათ შორის დიდწილად, ელექტრონული ხელშეკრულების „სუსტი“ მხარის-მომხმარებლის ინტერესების უცილობელი დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, **აუცილებელია საქართველოში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მიღება-ამოქმედება.**
- მითითებული საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება განაპირობა **სოციოლოგიური კვლევის შედეგებმაც.**
33. მიზანშეწონილია **სამოქალაქო კოდექსით** განისაზღვროს სპეციალური ნორმები ელექტრონული ხელშეკრულების, მათ შორის ელექტრონული ხელშეკრულების ფორმის შესახებ.
34. სასურველია სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინოს ტექსტური ფორმა სსკ-ის გარიგებების ფორმის თავში, ისევე როგორც რეგულირებულია გსკ-ის §126ბ-თი.
35. სამოქალაქო კოდექსით უნდა განისაზღვროს იმ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი, რომელიც არ შეიძლება დაიდოს ელექტრონული ფორმით. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე (ვალის აღიარება), 892-ე (თავდებობა), 942-ე (სამისდღეშიო რჩენა) და 1357-ე (ანდერძი)

მუხლებით განსაზღვრული გარიგებები ან/და ხელშეკრულებები.

36. სსკ-ის 327-ე მუხლს დაემატოს მეოთხე ნაწილი, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით: „ელექტრონული ხელშეკრულების არსებით პირობებს, წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულების გარდა, წარმოადგენენ პირობები საქონლის ძირითადი მახასიათებლების, ხელშეკრულების უარყოფის უფლების, ჯამური ფასის, მოვაჭრისა და ხელშეკრულების ხანგრძლივობის, ხოლო თუ განუსაზღვრელი ვადით მოქმედებს, მაშინ მისი შეწყვეტის შესახებ, ასევე, ყველა არსებით პირობაზე, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენების სპეციფიკას.

37. ვერ იქნება გაზიარებული დოქტრინაში არსებული მოსაზრება, რომ ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას შესაძლებელია ხელშეკრულების თავისუფლებამ ნების ნამდვილობის საკითხზე შეთანხმებაც კი გაითვალისწინოს. მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ იმაზე, რომ მეორე მხარის დუმილი შესაძლებელია აქცეპტადაც იქნეს მიჩნეული, რაც მატერიალურ დოკუმენტზე ხელშეკრულების დადებისას სამოქალაქოსამართლებრივ დათქმებს ეწინააღმდეგება.

ელექტრონული ხელშეკრულების მხარეები, როგორც წესი, ერთმანეთს არც იცნობენ და არც ხვდებიან, შესაბამისად, რთული წარმოსადგენია მათ შორის ნდობის ისეთი მაღალი ხარისხის არსებობა, რომელიც დუმის აქცეპტად პრეზუმირებას განაპირობებს.

38. სასურველია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე აკრძალვა დადგინდეს არა მხოლოდ კანონში, არამედ, ასევე ხელშეკრულებაშიც. კერძოდ, ხელშეკრულებაში მიეთითოს, რომ ხელშეკრულების მხარე ვალდებულია არ გასცეს ხელშეკრულების მეორე მხარის პერსონალური ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით

გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.

39. მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

39.1. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის 9.2. მუხლი სრულად ვერ ასახავს დისტანციური ფორმით დადებული ხელშეკრულების განმარტებას. გასაზიარებელია რეკომენდაცია, რომ 2011/83/EC დირექტივასთან შესაბამისობის მიზნით დისტანციური ფორმით დადებული ხელშეკრულების ცნება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„დისტანციური ფორმით დადებული ხელშეკრულება არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის მომსახურების ან საქონლის შესყიდვის მიზნით, სპეციალურად ორგანიზებული სისტემის მეშვეობით, მომხმარებლისა და მოვაჭრის ერთდროულად ფიზიკური დასწრების გარეშე, დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე საშუალებების გამოყენებით, როგორც ხელშეკრულების მომზადების, ასევე მისი დადების ეტაპზე“.

39.2. გასაზიარებელია მიდგომა შესაბამისობის გამოვლენის 2 წლიან ვადასთან დაკავშირებით. კერძოდ, არაა მიზანშეწონილი და არ უნდა დაწესდეს შესაბამისობის გამოვლენის ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან ამით არაპირდაპირ მოხმარებელს ეკისრება ნაკლის გამოვლენის ვალდებულება.

39.3. სასურველია საქართველოს კანონმდებლობამ გაითვალისწინოს მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის მცირე ღირებულების დავებზე, სასამართლოს, არბიტრაჟისა და მედიაციისაგან განსხვავებული წესი, ისე, რომ არ გამოირიცხოს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაც.

39.4. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 9.1.მუხლში (მომხმარებლის

უფლება ხელშეკრულების შესაბამისი პროდუქციის მიღების დროს) შევიდეს ცვლილება და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

მომხმარებელს უფლება აქვს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე მომხმარებლის მიერ პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან **ან ხელშეკრულების დადებიდან 14 დღის განმავლობაში**.

39.5. ხელშეკრულებიდან გასვლის (უარი) უფლებასა (სსკ-ის 405 და მომდევნო მუხლები და 352 და მომდევნო მუხლები) და მომხმარებლის მიერ პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 დღის ვადაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებებს შორის ტერმინოლოგიური აღრევის თავიდან აცილების მიზნით ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნაცვლად მიზანშეწონილია დამკვიდრდეს ტერმინი-ხელშეკრულების უარყოფის უფლება. შესაბამისად, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-9 მუხლში **სიტყვები „უარი თქვას“ შეიცვალოს სიტყვით „უარყოს“**.

39.6. დადგენილ ვადაში მოვაჭრის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობისას მომხმარებელს ხელშეკრულების უარყოფის უფლების გარდა, შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა.

39.7. თუ ნაკლი გამოვლინდება პირველი 6 თვის ვადაში ივარაუდება, რომ ეს ნაკლი არსებობდა თავიდანვე.

39.8. ნაკლის არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზაციის ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებელს აქვს საკუთარი სურვილის შესაბამისად საქონლის შეკეთების ან ჩანაცვლების ან ფასის შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.

ასევე შესაძლებელია ნაკლთან დაკავშირებული მითითებული ნორმების სამოქალაქო კოდექსში ინტეგრირება და

მომხმარებლის მიერ არჩევანის გაკეთების საშუალების გა-
ნსაზღვრა.

39.9. მოვაჭრის მიერ სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია სამომხმარებლო ხელშეკრულება უარყოს მისი დადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

39.10. თუ მოვაჭრე არ შეატყობინებს მომხმარებელს ინფორმაციას გადაზიდვის, მიწოდების ან საფოსტო ხარჯების შესახებ, ან სადაც ამგვარი ხარჯების წინასწარი კალკულაცია შეუძლებელია, ასევე, იმ ფაქტის შესახებ, რომ შესაძლოა გადასახდელი იყოს ამგვარი დამატებითი ხარჯები, მომხმარებელი არაა ვალდებული ეს დამატებითი ხარჯები გადაიხადოს.

39.11. განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებების დროს ან გამონერის ხელშეკრულებების დროს, ჯამური ფასი უნდა დაანგარიშდეს თითოეული საანგარიშო პერიოდისათვის. თუ აღნიშნული ხელშეკრულებები ფორმდება ფიქსირებული განაკვეთით, ჯამური ფასი ნიშნავს თვიურ ჯამურ ღირებულებას. თუ ფასები ვერ დაანგარიშდება წინასწარ, მაშინ უნდა მიეთითოს თუ რა გზით მოხდება მისი დაანგარიშება.

39.12. ონლაინ შეკვეთის განხორციელების დროს მომხმარებლისთვის გასაგები ფორმით უნდა იყოს მიწოდებული ინფორმაცია, რომ შეკვეთის განხორციელებით წარმოეშობა გადახდის ვალდებულება. სასურველია შეკვეთის განხორციელებამდე არსებობდეს ღილაკი მინიშნებით „შეკვეთა გადახდის ვალდებულებით“. თუ აღნიშნული არ არის მითითებული ამ შემთხვევაში მომხმარებელი არ არის შებოჭილი ამ ხელშეკრულებით.

39.13. მოვაჭრე ვალდებულია მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ.

39.14. მომხმარებელმა მოვაჭრე წერილობით უნდა გააფრთხილოს ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყე-

ნების თაობაზე, ელექტრონულ მეილზე გადაგზავნით ან მყარი მატარებლის მეშვეობით.

39.15. ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ მომხმარებლის შეუტყობინებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყენების ხანდაზმულობის ვადა 12 თვეს შეადგენს.

39.16. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდების მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება.

კანონპროექტმა უნდა განსაზღვროს:

39.17. მომხმარებლისათვის შესაბამისი საქონლის მიწოდების ან მომსახურების შესრულების ვადა, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში.

39.18. მომხმარებლის მიერ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნების უზრუნველყოფის საკითხი, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

39.19. მომსახურებისა თუ საქონლის საფასურის ხელშეკრულების შესრულების დაწყებამდე ან შესრულების შემდგომ გადახდის საკითხი, მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების არარსებობისას.

40. ელექტრონული ვაჭრობის კანონში ელექტრონული ხელშეკრულების ცნება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ელექტრონული ხელშეკრულება არის მხარეთა შეთანხმება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული შუამავლების მონაწილეობით და ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის გზით, უშუალო ურთიერთობის გარეშე.

41. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, **ელექტრონული ვაჭრობის კანონმა** დაარეგულიროს ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები. მათ შორის:

- 41.1. ელექტრონული ფორმით სამომხმარებლო ხელშეკრულებების ცალკეული ეტაპების დანვრილებითი სამართლებრივი რეგლამენტაცია, კომუნიკაციის ცალკეული საშუალებებით ხელშეკრულების დადებისას განსხვავებული წესების გათვალისწინებით.
- 41.2. ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის, მიღების (დრო, ადგილი, გამოსაყენებელი სამართალი), ელექტრონული ფოსტით მიღებულ რეკლამასთან დაკავშირებული საკითხები.
- 41.3. ელექტრონული ფორმით დადებული და შორ მანძილზე დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების ცალკეული ეტაპების სამართლებრივი რეგლამენტაცია.
- 41.4. შუამავლის პასუხისმგებლობის საკითხი.
- 41.5. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები ელექტრონულ კომუნიკაციებში.
- 41.6. არაკეთილსინდისიერი და აგრესიული კომერციული პრაქტიკის შემთხვევაში, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წარმოების მექანიზმების გამოყენება.
- 41.7. მოვაჭრისათვის ელექტრონული ფოსტით მიღებულ რეკლამებთან დაკავშირებით კომერციული ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მისაწოდებლად მომხმარებლის წინასწარი ნებართვის სავალდებულობა.
- 41.8. ვებ-გვერდზე ხელშეკრულების სტანდარტული დებულებების განთავსების ვალდებულება, მისი ჩამოტვირთვისა და ხანგრძლივად შენახვის შესაძლებლობის გათვალისწინებით.
- 41.9. მენარმის ვალდებულება, უზრუნველყოს შესაბამისი ელექტრონული მექანიზმების არსებობა დაშვებული შეცდომების კორექტირებისათვის, მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდზე ხელშეკრულების დადების მიზნით შესაბამისი ფორმულარის შევსებისას.

41.10. მიზანშეწონილია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებით, სსკ-ის შესაბამის ნაწილში ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ შესაბამის კანონში განისაზღვროს დებულება, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ზოგადი ნესები გავრცელდება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გამიზნულია ერთჯერადი გამოყენებისათვის.

41.11. მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ელექტრონულ ხელშეკრულებებში სასამართლოს კომპეტენციასა და გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმების არ არსებობისას კომპეტენტური სასამართლოსა და გამოსაყენებელი სამართლის საკითხი განისაზღვროს მომხმარებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

41.12. ელექტრონული ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრისას კონცეპტუალური მნიშვნელობა თანხმობის მიღების დადასტურებას უნდა მიენიჭოს და აღნიშნული რეგლამენტაცია კანონში უნდა აისახოს.

42. როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამოქალაქო ბრუნვაში ელექტრონული ხელშეკრულებებისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების, ელექტრონულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მნიშვნელობისა და სარგებლიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დანერგვა, როგორც სახელმწიფო, ისე, კერძო სექტორის მიერ. ვფიქრობთ, ნაშრომი მნიშვნელოვანი სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია მოცემულ საკითხზე შემდგომი სამეცნიერო კვლევებისა და მუშაობისთვის.

ბიბლიოგრაფია

ნიგნები, მონოგრაფიები, დისერტაციები

1. ამირანაშვილი გ. 2018. გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა. თბილისი: მერიდიანი.
2. ახვლედიანი ზ. 1999. ვალდებულებითი სამართალი. მეორე გამოცემა. თბილისი: სამართალი.
3. ბალიშვილი ე. 2019. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია ლ. (მთავარი სამეცნიერო რედ.). თბილისი. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ.
4. ბრეგაძე ლ. 2020. „ელექტრონული კომერციის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში“, სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
5. ბუაძე, 2012. ტექსტური ფორმა ელექტრონული ფორმით დადებულ გარიგებებში, სასემინარო ნაშრომი. თბილისი: თსუ.
6. გაბისონია ზ. 2006. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი: მერიდიანი.
7. განმარტებითი ბარათი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, www.parliament.gov.ge. [02.05.2020].
8. გოცირიძე ს. 2019. ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: თსუ.
9. დარჯანია თ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge.
10. დარჯანია თ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები. ჭანტურია ლ. (მთავარი სამეცნიერო რედ.), თბილისი. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ.
11. დარჯანია თ. 24/04/2016. ცხრილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმის საჭიროებები, ევროკავშირის პროექტი: „კერძო და

ადმინისტრაციული სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“.

12. ელექტრონული კომერცია საქართველოში, <https://smartloan.ge/>
13. ვაისჰაუფტი ა. 2020, 27 ნოემბერი. „მომხმარებელთა უფლებების დაცვა ეროვნულ და ევროპულ სამართალში – შერჩეული პრობლემატური საკითხები/სფეროები“. ონლაინ-სემინარის მასალები, თბილისი.
14. ვაშაკიძე გ. 2010. სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი.
15. ზარანდია თ. 2005. სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დრო და ადგილი. თბილისი: ჯისიაი.
16. ზოიძე ბ. 2005. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბილისი: საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი.
17. ზოიძე ბ. 1999. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I. თბილისი. მეცნიერება.
18. ზოიძე ბ. 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III. თბილისი: მეცნიერება.
19. თოდუა თ. 2019. ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და ნამდვილობის წინაპირობები, სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: თსუ.
20. თოდუა მ., ვილემსი ჰ. 2006. ვალდებულებითი სამართალი, თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
21. იოსელიანი ნ., 2008. ხელშეკრულების განმარტება. თბილისი: ბონა კაუზა.
22. კერესელიძე დ. 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემების ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი.
23. კნიპერი რ. 13/04/2016. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – კოდექსის ძირითადი სტრუქტურა და ცვლილებები: არის თუ არა მოდერნიზაციის საჭიროება?. ევროკავშირის პროექტი: „კერძო და ადმინისტრაციული სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“.

24. კროპჰოლერი ი. 2014. *გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარები*. თბილისი: გერმანიის თანამშრომლობა (GIZ).
25. ლაკერბაია თ., ზალიშვილი ვ., ზოიძე თ. 2018. *მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა)*. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი: პრინტპე.
26. ლაკერბაია თ. 2016. *ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი*, თბილისი: თსუ
27. ლილუაშვილი თ., 2001. *საერთაშორისო კერძო სამართალი*. თბილისი: ჯისიაი.
28. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. 2007. *საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი*. თბილისი: სამართალი.
29. მესხიშვილი ქ. 2020. *კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა*, ტომი I. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
30. მიკლიცი ჰ., 2018. *მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი (2017 წლის მარტის მდგომარეობით)*. №6.
31. რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა. 2019. *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, ნიგნი III, *ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი*. ჭანტურია ლ. (მთავარი სამეცნიერო რედ.), თბილისი. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ.
32. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2016. *რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“*.
33. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. 2017. ნიგნი I, *სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები*. ჭანტურია ლ. (მთავარი სამეცნიერო რედ.). თბილისი. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ.
34. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. 2019. ნიგნი III, *ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი*. ჭანტურია ლ. (მთავარი სამეცნიერო

- რედ.). თბილისი. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ.
35. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. 2020. *რჩეული მუხლები*. თბილისი: ულრის ჰაგენლოხი, ბესარიონ ალავიძე, ნინო ბაქაქური, დიანა ბერეკაშვილი, ეკატერინე გასიტაშვილი, მზია თოდუა, ქეთევან მესხიშვილი, პაატა ქათამაძე, ზურაბ ძლიერიშვილი. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
 36. სოკოლოვსკი ი. 2009. *ელექტრონული ხელმოწერა ქართული სამართლის პერსპექტივაში*. მგალობლიშვილი, ძიძიგური, ყიფიანი.
 37. სოფრომაძე ა. 2018. *ვებ-გვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება*. სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: თსუ.
 38. ფაჩუაშვილი ნ. 2019. *ელექტრონული საშუალებებით დადებული ხელშეკრულებები, მათი ბათილობის, შეწყვეტის, მათზე უარის თქმის საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები*. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: თსუ.
 39. ციპელიუსი რ. 2006. *იურიდიული მეთოდების მოძღვრება*. მეათე გადამუშავებული გამოცემა. მიუნხენი: ბეკი.
 40. ძლიერიშვილი ზ., სვანაძე გ., ცერცვაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., რობაქიძე ი. 2014. *სახელშეკრულებო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
 41. ჭანტურია ლ. 2001. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*. ნიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი. თბილისი: სამართალი.
 42. ჭანტურია ლ. 1997. *შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში*. თბილისი: სამართალი.
 43. ჭანტურია ლ. 2011. *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი: სამართალი.
 44. ჭეჭელაშვილი ზ. 2010. *სახელშეკრულებო სამართალი*, მეორე გამოცემა. თბილისი: ბონა კაუზა.
 45. ჯორბენაძე ს. 2016. *ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში*. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი: პეტიტი.

46. Абдуджалилов Абдуджабар. 2016. *Теоретические проблемы гражданских правоотношений в Интернете*. Душанбе.
47. Барановский П.Д. 2005. *Международно-правовые проблемы охраны интеллектуальной собственности в сети Интернет*. Автореферат. Москва.
48. Бекченищева И.В. 2006. *Гражданско-правовой договор: классическая традиция и современные тенденции*. Москва: Статут.
49. Богуславский. 1998. *Международное частное право*. Москва.
50. Брагинский М.И., Витрянский В.В. 2001. *Договорное право. Книга первая: Общие положения*. Москва: Статут.
51. Брагинский М.И., Витрянский В.В., Звеков В.П. и др. 1999. *Научно-практический комментарий к части первой Гражданского кодекса РФ для предпринимателей*. Москва: Спарк,
52. Воропаев С.А. 2005. *Правовое регулирование авторских прав в сфере функционирования всемирной информационной сети Интернет*. Автореферат. Москва.
53. Егоров Н.Д., Елисеев И.В. 2004. *Гражданское право*. Учебник: В 3 т. Т. 1. – 6-е изд., перераб. и доп./ Отв. ред. А.П. Сергеев, Ю.К. Толстой. Москва: Проспект.
54. Завидов Б.Д. 2000. *Электронная цифровая подпись (Правовое значение. Анализ законодательства и законопроектов)*. Москва: Экзамен.
55. *Как Заключить Договор в Электронной Форме*. <https://ca.kontur.ru/articles/kak-zaklyuchit-dogovor-v-elektronnoj-forme> [15.05.2020].
56. Калятин В.О. 2004. *Право в сфере Интернета*. Москва: Норма.
57. Кемрадж А.С., Головерова Д.В. 2002. *Правовые аспекты использования Интернет-технологий*. Москва: Книжный мир.
58. *Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации части первой (постатейный)*. 2005. - Изд. 3-е, отв. ред. О.Н. Садилов. Москва: «Контракт»: ИНФРА.

59. Косарев А. С. 2010. *Проблемы правового регулирования сделок в сфере электронной коммерции*. Диссертация. Москва: РГБ.
60. Кротов М.В. 2004. *Гражданское право: Учебник: В 3 т. Т. 1. 6-е изд., Отв. ред. А.П. Сергеев, Ю.К. Толстой*. Москва: ТК Велби, Проспект.
61. Кстятии В.О. 2004. *Право в сфере Интернета*. Москва: Норма.
62. Кулик Т. Ю. 2007. *Особенности правового регулирования договоров, заключаемых в электронной форме*. Диссертация. Ростов-на-Дону.
63. Мюллер В.К. 1999. *Новый англо-русский словарь*. Москва: Русский язык.
64. Нагаева А.А. 2006. *Особенности договорных отношений в условиях электронного взаимодействия их участников*. Автореферат. Москва.
65. *Научно-практический комментарий к части первой Гражданского кодекса РФ для предпринимателей*. 1999. 2-е изд., доп. и перераб. Москва: Спарк.
66. Паперно Е. Л. 2006. *Правовое регулирование электронной торговли в России, Германии и США*. Диссертация. Москва: Российский Университет Дружбы Народов.
67. Пирогова С.В. 2003. *Электронная коммерция*. Москва: Перспектива.
68. Рейман Л.Д. 2002. *Электронная коммерция. Учебное пособие для служащих государственных организаций и коммерческих фирм*. Москва: ПТЦ ФИОРД-ИНФО.
69. Розенберг М.Г. 2003. *Контракт международной купли-продажи. Современная практика заключения. Разрешение споров (издание 4-е, переработанное и дополненное)*, Москва: Книжный мир.
70. Романов Д.А., Ильина Т.Н., Логинова А.Ю. 2002. *Правда об электронном Документе*, Москва: ДМК Пресс.
71. Салиев И. Р. 2013. *Гражданско-правовое регулирование электронной торговли в России: современная правовая модель*. Диссертация. Санкт-Петербург: РГБ.
72. Тедеев А.А. 2005. *Банковское право: Учебник*. Москва: Эксмо.

73. Ткачев А.В. 2000. *Правовой статус компьютерных документов: основные характеристики*. Москва: Городец-издат.
74. Фролов И. В. 2018. *Правовое регулирование дистанционной торговли товарами и услугами, в том числе связанными с объектами авторских и смежных прав*. Москва: РГБ.
75. Халиков Р.О. 2006. *Правовой режим электронного документа: Вопросы использования электронной цифровой подписи*. Казань.
76. Цвайгерт/Кетц. 1998. *Введение в сравнительное правоведение в сфере частного права*. Т. 2.
77. Шамраев А.В. 2003. *Правовое регулирование информационных технологий (анализ проблем и основные документы)*. Москва: Статут, Интертех.
78. Яковлев В.Ф., Юков М.К. 2003. *Комментарий к Арбитражному процессуальному кодексу Российской Федерации*. Москва: Городец-издат.
79. A European Consumer Agenda – Boosting confidence and growth, point. 2 Building on strong EU consumer protection rules. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52012DC0225&from=EN>
80. Anagnostopoulou, D., *E-commerce in International and European Union Law: The Policy of the European Union on Digital Agenda and Strategy 2020*.
81. Bar/Clive (ed.). 2009. *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law*, DCFR, Vol. I.
82. Baum M.S. & Perritt H. 1991. *Electronic Contracting, Publishing and EDI Law*. New York: Wiley Law Publications.
83. Consultation On The Implementation Of Directive 2011/83/Eu On Consumer Rights, May 2013. <https://enterprise.gov.ie/en/Consultations/Consultations-files/Consultation-Paper-on-the-Implementation-of-Directive-2011-83-EU-on-Consumer-Rights.pdf>
84. Cortés P. 2010. *Online Dispute Resolution For Consumers in the European Union*. Taylor & Francis e-Library.

85. Daunel-Lieb, B. 2007. *A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley? New Features in Contract Law*. Schulze, R. ed., Sellier, European Law Publishers, München.
86. Ee-Commerce, Trade And The Covid-19 Pandemic, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია, 4 მაისი, 2020, <https://www.wto.org/english/tratop-e/covid19-e/ecommerce-report-e.pdf> [17.10.2020].
87. Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods. <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09951-e-ebook.pdf>
88. Fina S. 2009. *The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce*, in Festschrift Zehetner F., Haslinger M., Kanonier A., and Zehetner S., (eds.), 31; Spindler G., Borner F. 2002. *E-Commerce Law in Europe and the USA*, Springer, Verlag Berlin Heidelberg, Schmidt W-A., Priess M., Germany.
89. Forder & Svantesson. 2008. *Internet and E-Commerce Law*. Oxford University Press.
90. Friske L. 2005. *Allgemeine Geschäftsbedingungen vor missbräuchlichen Klauseln, der Schutz des deutschen Verbrauchers vor missbräuchlichen Klauseln*, Band 47. Berliner Wissenschafts-Verlag, Berlin.
91. Gillies L. E. 2008. *Electronic Commerce and International Private Law, A Study of Electronic Consumer Contracts*, Ashgate e-Book, Aldershot, England; Burlington, VT: Ashgate.
92. Glatt C. 2001. *Vertragsschluss im Internet, Die Artikel 9 bis 11 der E-commerce-Richtlinie und ihre Umsetzung im deutschen Recht*, ZUM, Heft 5, Verlag Nomos.
93. Gringras, C. and E. Todd. 2008. *the Laws of the Internet*, 3rd Rev. ed. Tottel Publishing.
94. Habibzadeh T. 2014. *Developing and Modernizing Iranian Law in the Context of Electronic Contracts by A Comparative Study of UNCITRAL*

Rules, English Law, American Law, EU Law and Iranian Law, A thesis submitted to the University of Manchester.

95. Herwig V. 2001. *Zugang und Zustellung in elektronischen Medien*, MMR, Heft3, Verlag C.H. Beck, München.
96. Heussen/Hamm. 2003. *Beck'sches Rechtsanwalts-Handbuch*, Rn. 66 11. Auflage, 2016 – LG Essen NJW-RR.
97. Kallweit D. 2004. *Towards a European Contract Law: For a Prosperous Future of International Trade*. <http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2004/9.html>
98. Kierkegaard M.S. 2007. *E-Contract Formation: U.S. and EU Perspectives*, Washington, 2007.
99. Lamachenka A. 24.06.2020. *Sr Demand Generation Manager, The ultimate guide to electronic signatures*. <https://www.pandadoc.com/electronic-signatures/> [20.10.2020].
100. Lando/Beale (eds.). 2000. *Principles of European Contract Law*, Parts I and II (Combined and Revised).
101. Loos, B. M. 2014. *Consumers sales in The Netherlands after Implementation of the Consumer Rights Directive and With a View to the Future Common European Sales Law*, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-53, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-12, University van Amsterdam, The Netherlands.
102. Loos, M., Helberger, N., Guibaut, L., Pessers, L. 2012. *Digital Content Contracts for Consumers*, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract-id=2081918>
103. Loos, M., Helberger, N., Guibaut, L., Pessers, L. 2012. *Digital Content Contracts for Consumers*, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2012-66, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No. 2012-05, University van Amsterdam, The Netherlands, 2-5; Twigg-Flesner, Ch., *A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law*, Springer, New-York.

104. Loos, M., 2007. *The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law*, Publishe din Zeitschrift Für Europaisches Privatrecht.
105. Luzak, J. 2014. *Online Consumer Contracts*, University of Amsterdam – Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam – Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol., 15, No. 3.
106. Luzak, J.A. 2013. *To Withdraw or Not to Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts Taking into account its Behavioral Effects on Consumer*, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the study of European Contract Law working Paper No. 2013-04.
107. Magnus U., Mankowski P. 2007. *Brussels I Regulation*, European Commentaries on Private International Law 2007.
108. Markesinis, B., Unberath, H., Johnston, A. 2006. *The German Law of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon.
109. Micklitz, H-W. Stuyck, J., Terryn, E. 2010. *Cases, Material sand Texton Consumer Law*, Oxford and Portland, Oregon.
110. Poyton D. 2004. *Electronic Contracts: An Analysis Of The Law Applicable To Electronic Contracts In England And Wales And Its Role In Facilitating The Growth Of Electronics*, University: Walesaberystwyth, Phd.
111. Principles of the Existing EC contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-contractual obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007. <https://www.amazon.com/Contract-Pre-contractual-Obligations-Conclusion-Principles/dp/3866530234>
112. *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (Outline edition)*, 2009. Ch. von Bar et al. (eds.). München.
113. Pruetting, Wegen, Weinrich, *BGB Kommentar*, Ahrens §126a, z.2;

114. Reed C. 2000. *Internet Law: Text and Materials* (Butterworths: London, 2000)
115. Reed C. and J. Angel. 2007. *Computer Law: The Law and Regulation of Information Technology*, 6th ed., 2007, Oxford University Press.
116. Rezek M. 2010. *Contracts Concluded Way from Business Premises and Contracts Concluded through Distance Communication in the Light of the Proposal for a Directive on Consumer rights*, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, European Law Publishers.
117. Roßnagel A., Pfitzmann A., 2003. *Der Beweiswert von E-Mail*, NJW, Heft 17, Verlag C.H. Beck, München.
118. Russel, S & Norvig, P. 1995. *Artificial Intelligence: A Modern Approach* (Prentice Hall: New Jersey, 1995).
119. Sankalp Jain. 30.05.2016. *Electronic Contracts: Nature, Types And Legal Challenges*. Electronic copy available at: <http://ssrn.com/abstract=2786438>
120. Schrammen J. 2005. *Grenzüberschreitende Verträge im Internet: Internationale Gerichtszuständigkeit und anwendbares Recht*, Dissertation, zur Erlangung des Doktorgrades der juristischen Fakultät der Georg-August-Universität zu Göttingen, 1. Auflage, Cuvillier Verlag, Göttingen.
121. Schulze R. 2010. *The Right of Withdrawal, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond*, Sellier, European law publishers.
122. Spindler G., Borner F. 2002. *E-Commerce Law in Europe and the USA*, Schmidt W-A., Priess M., Germany, Springer, Verlag Berlin Heidelberg.
123. Steven O. Weise, Stephanie Kapinos. 24.04, 2020, *Electronic Signatures Becoming the Norm during COVID-19 Outbreak*, <https://newmedialaw.proskauer.com/2020/04/24/electronic-signatures-becoming-the-norm-during-covid-19-outbreak/>
124. Stone R. 2002. *The Modern Law of Contract, fifth edition*, Cavendish Publishing limited, Portland, Oregon, USA.
125. Terryn E. 2008. *The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law*, Sellier, ELP, Munich.

126. Thurlow W. 2001. *Electronic Contracts in the United States and the European Union: Varying Approaches to the Elimination of Paper and Pen*, Halifax, Nova Scotia.
127. Turban E., et al. 2003. *Electronic Commerce: A Managerial Perspective*, 3rd. ed., Pearson Education.
128. Twigg-Flesner C. 2012. *A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU*, A Fresh Approach to EU Consumer Law, Springer Briefs in Business.
129. Vide A. 2000. *Endeshaw, The Law vis-à-vis Electronic Commerce [in:] Electronic Commerce: Opportunity and Challenges*, London.
130. Vide *Green paper from the Commission on policy options for progress towards a European Contract Law for consumers and businesses – COM(2010)348 final*. <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2010:0348:FIN:en:PDF>
131. Vide J. E. Prieger, D. Heil. 2009. *The Microeconomic Impacts of E-Business on the Economy* (May 20, 2009).
132. Wang F.F. 2010. *Law of Electronic Commercial Transactions, Contemporary Issues in EU, US and China, Rutledge Research in IT and E-Commerce Law*, Taylor & Francis Group, New York.
133. Working Document of the Commission, Responses to the Consultation on the Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to Protect the Consumer in Respect of Contracts Negotiated Away from Business Premises Summary of Responses, <<http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling-responses.pdf>> [27.04.2014].
134. Zimmermann R. 2005. *The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives*, Oxford University Press.

პერიოდული გამოცემები

135. ანდლულაძე ქ. 2014. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. „სამართლის ჟურნალი“, N1 2014, თბილისი: თსუ. 77-93

136. ბენაშვილი ქ. 2019. ელექტრონული კომერცია-თანამედროვეობის გამოწვევა კერძო სამართალში, ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №2. 81-95 თბილისი: მერიდიანი.
137. გამყრელიძე ს. 2011. სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში. *მართლმსაჯულება და კანონი*. N3(30)'11. 15-28
138. გასვიანი თ. 2008. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, (გერმანული სამართლის მაგალითზე), *მართლმსაჯულება და კანონი*. N1(16)08.
139. ედიშერაშვილი თ. 2020. ელექტრონული ხელშეკრულების დადების თავისებურებები. *მართლმსაჯულება და კანონი*, №2, 55-83.
140. ენუქიძე ნ. 2014. განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა საბანკო სექტორში, *ეკონომიკა და საბანკო საქმე*, ტომი 2, N3. 28-39
141. ერქვანია თ., 2011. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, *მართლმსაჯულება და კანონი*, №3 (30). 44-58.
142. ზამბახიძე თ. 2005. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგულამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), *ქართული სამართლის მიმოხილვა*. 8/2005 1/2. 108-138
143. ლაკერბაია თ. 2016. დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული მოდელი ხელშეკრულების უარყოფის უფლების მაგალითზე, *სამართლის ჟურნალი*. N1. 87-98.
144. ლაკერბაია თ. 2015. ინფორმირებული მომხმარებლის ევროპული სტანდარტი, *სამართლის ჟურნალი*, №1, 144-166
145. მეფარიშვილი ქ., კარდენახიშვილი ლ. 2016. ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა—ტექნოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები, ავტომატური საკონტროლო სისტემები, №1(21).
146. მინდიაშვილი ნ. 2018. ელექტრონული ხელშეკრულებები, *აკადემიური მაცნე*, თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
147. სამხარაძე ი. 2015. სამართლებრივ სისტემათა ჰარმონიზაცია: ევროკავშირი და საქართველო, *სამართლის ჟურნალი*. №1. 314-330.

148. ტაბატაძე დ. 2016. გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებით, *საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციის ჟურნალი*, №1. 77-88.
149. ფაჩუაშვილი ნ. 2017. ელექტრონული სამუალების გამოყენებით დადებული ხელშეკრულების რეგულირების მნიშვნელობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, თბილისი. *სამართლის ჟურნალი*, №2. 101-113
150. ჩილინგარაშვილი ქ. 2019. დისტანციური ფორმით დადებული ხელშეკრულების დროს მომხმარებელთა უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები (ქართული და ევროპული სამართლის შედარებითი ანალიზი), *კერძო სამართლის მიმოხილვა*, №2. 104-129, თბილისი. მერიდიანი.
151. წამალაძე გ. 2019. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი რეგულირების მიმოხილვა დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებში, *კერძო სამართლის მიმოხილვა*, №2. 57-71, თბილისი. მერიდიანი.
152. Алексеев И. 2000. Электронная торговля: правовые проблемы предпринимательской деятельности в Интернете. *Юрист*. № 3. 40-54.
153. Белова Л.Г. Что мы знаем об информационном обществе. *Вестник Московского университета. Серия 6*. 109-115
154. Гарибян А. 1996. Электронная цифровая подпись: правовые аспекты. *Российская юстиция*. №11. 9-25.
155. Горшкова Л.В. 2005. Проблема идентификации субъекта и объекта в сети Интернет. «Законодательство и экономика», № 5. 27-38
156. Зуев А., Мяшкова Л. 2004. Электронный рынок и «новая экономика». *Вопросы экономики*. №2. 55-64.
157. Калятин В.О. 2002. Персональные данные в Интернете. *Журнал российского права*. №5. 77-89
158. Кузнецов А. 2004. Электронные рынки и конкуренция. «Вопросы экономики». №2.
159. Лебедева Н.Н. 2004. Влияние Интернета на взаимоотношения государства и общества. *Государство и право*. №10. С. 80-87.

160. Михайленко Е.В. 2004. К вопросу о необходимости применения новых подходов к правовому регулированию правоотношений в сфере Интернета. *Юрист*. №3. 55-67.
161. Михайленко Е.Б. 2004. Правовые проблемы практической реализации Федерального закона «Об электронной цифровой подписи». *Журнал российского права*. JVа 5. 71-85.
162. Нагаева А. 2006. Актуальные вопросы гражданско-правовой ответственности в условиях электронного взаимодействия участников договорных отношений. *Хозяйство и право*. САП. 96-118.
163. Нагаева А. 2006. Актуальные вопросы гражданско-правовой ответственности в условиях электронного взаимодействия участников договорных отношений. *Хозяйство и право*. №1. 110-115
164. Плешаиова О. 2001. Электронная цифровая подпись: гражданско-правовые аспекты. *ЭЖ-Юрист*. №28, 2001. 1-14.
165. Семшетов С.И. 2003. Электронный документ как продукт технологического процесса документирования информации и объект правового регулирования. *Государство и право*. № 1. 98-112.
166. Серго А. 1996. Электронный документооборот. *Российская юстиция*, №5.
167. Симонович П.С. 2002. Регулирование электронной цифровой подписи нормами права; международный опыт. *Журнал российского права*. №3. 90-112.
168. Собрание законодательства Российской Федерации, 2006, №12.
169. Соловяненко Н. 2005. Договорная документация, регламентирующая совершение сделок в электронной торговле. *Хозяйство и право*. №3. 13-21.
170. Соловяненко Н. 2005. Заключение договоров с использованием электронных документов в системах электронной торговли. *Хозяйство и право*. №3. 51-69.
171. Соловяненко Н. 2003. Правовое регулирование электронной торговли и электронной подписи (международный опыт и российская практика). *Хозяйство и право*. №1. 25-31.

172. Степаненко Е. 2000. Электронная коммерция в России. Основные вопросы. *Хозяйство и право*. №12. 20-27.
173. Цветков И. 2003. Некоторые вопросы соблюдения письменной формы договора. *Хозяйство и право*. №2. 67-79.
174. Шишаева Е. 2004. Федеральный закон «Об электронной цифровой подписи»: основные положения и проблемы, связанные с ее применением. *Юрист*. №3.
175. Якушев М.А. 1997. Интернет и право. «*Законодательство*», №1. 60-77.
176. Allen, T & Widdison, R. 1996. Can Computers Make Contracts? (1996)9. *Harvard Journal of Law & Technology*.
177. Ben-Shahar, O., Posner, E. A., January 2011. The Right to Withdraw in Contract Law, *Journal of Legal Studies*, Vol., 40.
178. COUNCIL REGULATION (EC). 16.1.2001. No 44/2001 of 22 December 2000 on Jurisdiction and the Recognition and Enforcement of Judgments in Civil and Commercial Matters, *Official Journal of the European Communities*, L 12/1.
179. Dutton W.H. (June 20, 2013). P. 5-11. The Internet of Things https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2324902
180. Edisherashvili T. December 2016. Legal Regulation of Electronic Contract and General Review, *European Scientific Journal, /SPECIAL/* Ed.
181. Edisherashvili T. January 2021. Legal Governing of e-contracts in Georgian Legislation, *European Scientific Journal*, edition Vol.17, No.2. 1-13
182. Edisherashvili T., Legal Regalements Of E-Signature, *Journal of Legal Studies Volume 25 Issue 39/2020*. Web: publicatii.uvvg.ro/index.php/jls. Pages 98 – 127.
183. Ferriter C. 2001. E-Commerce and International Arbitration. *University College Dublin Law Review*, Vol. 1, 52.
184. Forder & Svantesson, 2008, *Internet and E-Commerce Law*, Oxford University Press.
185. Fornasier M., »28. «versus»2. Regime« – Kollisionsrechtliche Aspekte eines optionalen europäischen Vertragsrechts (28th versus 2nd Regime

- An Optional European Contract Law from a Choice of Law Perspective) (July 6, 2011). *Rabel Journal of Comparative and International Private Law (RabelsZ)*, Vol. 76, No. 2 April 2012. <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract-id=1881510>
186. Gatt A. 2002. Electronic Commerce – Click-Wrap Agreements, The Enforceability Of Click-Wrap Agreements, *Computer Law & Security Report* Vol. 18, no. 6.
187. Hill J.E. 2003. *The Future of Electronic Contracts in International Sales: Gaps and Natural Remedies under the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods*, 2 Nw. J. Tech. & Intell. Prop. 1.
188. Jansen, N., Zimmermann, R. September 20, 2011. Contract Formation and Mistake in European Contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules, *Oxford Journal of Legal Studies Advance Access published*.
189. Koornhof Pieter GJ. 2012. „The Enforceability of Incorporated Terms in Electronic Agreements“. *SPECULUM JURIS*. (2).
190. Luzak J., Passive Consumers vs. The New Online Disclosure Rules of the Consumer Rights Directive (January 22, 2015). <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract-id=2553877>
191. Martin Ch. H. Spring 2008. The Electronic Contracts Convention, the CISG, and New Sources of E-Commerce Law. *Tulane Journal of International & Comparative Law*, Vol. 16, No. 2. 470-475
192. Peppet S.R., Regulating the Internet of Things: First Steps Toward Managing Discrimination, Privacy, Security & Consent (March 1, 2014), p. 8. *Texas Law Review, Forthcoming*. <https://texaslawreview.org/wp-content/uploads/2015/08/Peppet-93-1.pdf>
193. Reich, N. 2006. Protection of Consumers’ Economic Interests by EC Contract – Some Follow-up Remarks, *Sydney Law Review*, Vol., 28.
194. Rodziewicz P. Uniform law on electronic contracts as a step forward in elimination barriers of electronic commerce. Wrocław, Poland.
195. *Schlechtriem*, Uniform Sales Law – The Experience with Uniform Sales Laws in the Federal Republic of Germany, *Juridisk Tidskrift*, 1991/92, <https://>

books.google.ge/books/about/Uniform-Sales-Law-the-Experience-with-Un.html?id=sIGktgAACAAJ&redir_esc=y

196. Steennot R. 2013. Consumer Protection with Regard to Distance Contracts After the Transposition of the Consumer Rights Directive in Belgium and France. *European Consumer Law Journal*. 415-458.
197. Thierer A.D., The Internet of Things and Wearable Technology: Addressing Privacy and Security Concerns without Derailing Innovation, 21 RICH. J.L. & TECH. 6 (February 18, 2015), <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract-id=2494382>
198. Treaty on the Functioning of the European Union, Official Journal C 326 , 26/10/2012. P. 0001– 0390, Art.169(1).
199. Twigg-Flesner Ch., Metcalfe D. 2009. The Proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? (February 12, 2009). *European Review of Contract Law*.
200. Vide J. E. Prieger, D. Heil, The Microeconomic Impacts of E-Business on the Economy (May 20, 2009)
201. Von Bar, C. May 2008. A Common Frame of Reference for European Private Law – Academic Efforts and Political Realities. *Electronic Journal of Comparative Law*, Vol., 12.1, 6.
202. Weizwenboeck, E.M. (2001)9(3). “Electronic Agents and the Formation of Contracts“. *International Journal of law and IT* 204.
203. Winn, J., Haubold, J., Electronic Promises: Contract Law Reform and EContracts in Comparative Perspective, *European Law Review*, 27, 2002, <https://www.semanticscholar.org/paper/Electronic-promises%3A-contract-law-reform-and-in-a-Haubold-Winn/408a5a995a64ac1e5ef968a94e7ccfd7b6f37fc>

ინტერნეტ წყაროები

204. www.parliament.ge

205. <https://matsne.gov.ge/>

206. www.eur-lex.europa.eu

207. www.europa.eu

208. <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5333>

209. <https://sda.gov.ge/>

210. <http://www.parliament.ge/files/1090-17879-334401-e-signature.pdf>

211. <http://www.uncitral.org/uncitral/ru/commission/working-groups/4electronic-Commerce.html>

212. <https://www.legislation.gov.uk/uksi/2002/2013/contents/made>.

213. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32008R0593>.

214. <http://stgkrf.ru/>

215. www.supremecourt.ge.

216. <http://www.hudoc.echr.coe.int>

217. www.disserCat.com

218. <http://www.dslib.net/>

ნორმატიული აქტები

219. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი. საქართველოს კონსტიტუცია. 24.08.1995.

220. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 786,26.06.1997. თბილისი: პარლამენტის უწყებანი №31.

221. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. დადგენილება: საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ. (828- სს, 02.09.1997.

222. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. 1361, 29.04.1998.

- 223.საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი საჯარო რეესტრის შესახებ. 29.12.2008.
- 224.საქართველო და ევროპის კავშირი. შეთანხმება: ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, ევროპის კავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. 27.06.2014.
- 225.საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ, 06.06.2005.
- 226.საქართველო. საქართველოს პარლამენტი. პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96. გაუქმებულია საქართველოს კანონით პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ საქართველოს კოდექსი, 25.05.2012.
- 227.საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ საქართველოს კოდექსი, 25.05.2012.
- 228.საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ. სსმ, 7, 26.03.2008.
- 229.საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997.
- 230.საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ. 10.05.2017.
- 231.საქართველო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება 2006 წლის 17 მარტი, №3, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
- 232.საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონპროექტი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040>

233. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი სამომხმარებლო კოოპერაციების შესახებ, 24.07.1997.
234. გაერო: UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment 1996 with additional article 5 bis as adopted in 1998, New York, 1999, UNITED NATIONS PUBLICATION, <http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral-texts/electronic-commerce/1996Model.html>.
235. გაერო: Report of the United Nations Commission on International Trade Law, 40th session, 14-18 October 2002, Vienna ACN.9/WG.IV/WP. 97-Provisional Agenda.
236. გაერო: UNCITRAL Model Law on Electronic Signatures with Guide to Enactment 2001, New York, 2002, UNITED NATIONS PUBLICATION <<http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral-texts/electronic-commerce/2001Model-signatures.htm>>.
237. გაერო: United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1980, New York, 2010, UNITED NATIONS PUBLICATION, November 2010.
238. გაერო: Доклад Рабочей группы по электронной торговле о работе ее 44-й сессии (Вена, 11-22 октября 2004 года). Комиссия ООН по праву международной торговли, 38-я сессия (Вена, 4-22 июля 2005 года),
239. გაერო: Promoting confidence in electronic commerce: legal issues on international use of electronic authentication and signature methods, UNCITRAL. United Nations Publication. (2009).
240. ევროპის კავშირი: Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/ECC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/ECC and Directive 97/7/EC of the European Parliament on the Council, Official Journal of the European Union L 304/64, 22.11.2011 <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32011L0083&rid=1>

- 241.ევროპის კავშირი: REGULATION (EU) No 910/2014 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 July 2014 on electronic identification and trust services for electronic transactions in the internal market and repealing Directive 1999/93/EC, Official Journal of the European Communities L 257 Volume 57, 28 August 2014
- 242.ევროპის კავშირი: Directive 2000/31/EC of the European Parliament and of the Council of 8 June 2000 on certain legal aspects of information society services, in particular electronic commerce, in the Internal Market ('Directive on electronic commerce'), Official Journal of the European Communities L 178 Volume 43 17 July 2000.
- 243.ევროპის კავშირი: Directive 1999/93/EC of the European Parliament and the Council of Europe of 13 December 1999 on Community framework for electronic signatures, Official Journal of the European Communities L 13 Volume 43 19 January 2000, ეს უკანასკნელი გაუქმებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის №910/2014 რეგულაციით („Regulation (EU) No 910/2014 of the European Parliament and of the Council of 23 July 2014 on electronic identification and trust services for electronic transactions in the internal market and repealing Directive 1999/93/EC“).
- 244.ევროპის კავშირი: Directive 97/7/EC Of The European Parliament And Of The Council of 20 May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts, <01997L0007-20021009 - EN - EUR-Lex - EUR-Lex>
- 245.ევროპის კავშირი: Convention on the law applicable to contractual obligations opened for signature in Rome on 19 June 1980, Official Journal of the European Communities, L 266 Volume 23, 9 October 1980
- 246.ევროპის კავშირი: COMMISSION Proposal for a European Parliament and Council Directive on certain legal aspects of electronic commerce in the internal market (1999/C 30/04), Official Journal of the European Communities C 0 30 Volume 42, 5 February 1999.

247. ევროპის კავშირი: The Consumer Protection (Distance Selling) Regulations 2000, 2000 No. 2334 CONSUMER PROTECTION, <<https://www.legislation.gov.uk/uksi/2002/2013/contents/made>>
248. ევროპის კავშირი: Electronic Commerce Directive, European Commission, 1998, <http://ec.europa.eu/internal-market/e-commerce/directive/index-en.htm>
249. ევროპის კავშირი: The Electronic Commerce (EC Directive) Regulations 2002, 2002 No. 2013 Document Generated: 2020-02-20. www.legislation.gov.uk > 2002
250. ევროპის კავშირი: Consumer Behavior in a Digital Environment, Directorate General for Internal Policies, European Parliament, EN, 2011. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/199a09e3-bdaf-11e5-bfdd-01aa75ed71a1/language-en>
251. გერმანია: გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 01 მარტის მდგომარეობით, გამომცემლობა „სიესტა“, თბ, 2010.
252. რუსეთის ფედერაცია. Гражданский кодекс Российской Федерации (Часть третья) от 26.11.01. № 146-ФЗ <http://stgkrf.ru/>.
253. რუსეთის ფედერაცია: Федеральный закон РФ „Об электронной цифровой подписи“ от 10 января 2002 г. № 1-ФЗ.
254. რუსეთის ფედერაცია: Федеральный закон от 20 февраля 1995г. №24-03 „Об информации, информатизации и защите информации“ // Собрание законодательства РФ. -1995. -JVb 8. -СТ.609; Российская газета.-1995.-22 февраля.
255. Закон Республики Казахстан об электронном документе и электронной цифровой подниси, Закон Туркменистана „Об электронном документе, Закон Республики Беларусь Об электронном документе.
256. აშშ: Uniform Electronic Transactions Act (UETA) In Denver, July 23-30, 1999, <https://www.uniformlaws.org/HigherLogic/System/Download-Documents/DownloadDocumentFile.ashx?DocumentFileKey=2c38eebd-69af-aaaf-ddc3-b3d292bf805a>

სხვა წყაროები – სასამართლო პრაქტიკა

- 257.ევროპის კავშირი. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო: France v Di Pinto, საქმე №C-361/89, 1991, ECR I-1189.
- 258.ევროპის კავშირი. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო: Francesco Benincasa v Dentalkit Srl, საქმე №C-269/95, 1997, ECR I-3767.
- 259.საქართველო. სუსგ 09 მარტი, 2016, №ას-898-848-2015.
- 260.საქართველო. სუსგ 4 ოქტომბერი, 2019, №ას-814-2019.
- 261.საქართველო. სუსგ 10 სექტემბერი, 2010, №ას-755-811-2011.
- 262.საქართველო. სუსგ 17 თებერვალი, 2017, №ას-376-360-2016.
- 263.საქართველო. სუსგ 3 მაისი, 2004, № ას-214-511-04.
- 264.საქართველო. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 23.02.2016, №28/1919-15.
- 265.საქართველო. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 19 ივლისი, 2017, საქმე №2/36057-16.
- 266.საქართველო. სუსგ 12 დეკემბერი, 2016, №ას-1022-983-2016.
- 267.აშშ: მასაჩუსეტის უზენაესი სასამართლო: Shattuk V. Klotzbach, Civ. Act. No. 01-1109A (Superior Ct., Mass., December 11, 2001) <https://casetext.com/case/shattuck-v-klotzbach>
- 268.აშშ: ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლო: Rosenfeld v. Zerneck, Index No. 7600/04 (Sup. Ct. Kings Co. NY, May 4, 2004) <https://www.lexisnexis.com/community/case-opinion/b/case/posts/rosenfeld-v-zerneck>
- 269.აშშ: ვაშინგტონი, სააპელაციო სასამართლო John Green v. America Online and John Does 1 and 2 (No. 01-1120) <https://caselaw.findlaw.com/us-3rd-circuit/1213713.html>
- 270.აშშ: იუტას შტატი, სააპელაციო სასამართლო Brittny Fenn, et al v. Redmond Venture, Inc. (Case No. 20030946- CA) <http://www.internetlibrary.com/pdf/Brittny-Fenn-Redmond-Ventures.pdf>
- 271.კანადა: ონტარიოს უზენაესი სასამართლო 127623 Ontario Inc. v. Nexx Online Inc. (File No. C20546/99 <https://www.legi-internet.ro/legi-si>


practica-judiciara-straina/jurisprudenta/alte-decizii/1267632-ontario-inv-vs-nexx-online-inc-decision.html

272.სლოვაკეთი: დუნასკასტრედას რაიონული სასამართლო Judgement of the Court (Third number), 9 November 2016, Credit Slovakia a.s. v Klára Bíróová. <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?jsessionid=1AFC2ECB0DC29337099C64B00D9A062C?text=&docid=185223&pageIndex=0&doclang=en&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=6288666>

დანართი: სოციოლოგიური კვლევის მასალები


1. სქესი

338 გამოკითხული




2. ასაკი

338 გამოკითხული




3. პროფესია

338 გამოკითხული




4. ხართ თუ არა დასაქმებული და რომელ სეგმენტში?


338 გამოკითხული




5. გსმენიათ თუ არა ელექტრონული დოკუმენტის ან/და ელექტრონული ხელშეკრულების შესახებ?
338 გამოკითხული




6. გაგიფორმებიათ თუ არა ხელშეკრულება ელექტრონული ფორმით?
338 გამოკითხული




7. გაგიფორმებიათ თუ არა ხელშეკრულება ელექტრონული ფორმით?
338 გამოკითხული




8. გამოგიყენებიათ თუ არა ელექტრონული მომსახურება სახელმწიფო სერვისების სარგებლობისას (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შსს მომსახურების სააგენტო, შემოსავლების სამსახური და სხვა)
338 გამოკითხული



9. იცით თუ არა რა არის ელექტრონული ხელმოწერა?
338 გამოკითხული




10. იცით თუ არა რა არის ელექტრონული ხელმოწერის ფორმების შესახებ?
338 გამოკითხული




11. გამოგიყენებიათ თუ არა ელექტრონული ხელმოწერა?

338 გამოკითხული




12. მისაღებია თუ არა თქვენთვის დოკუმენტის ელექტრონული ფორმით გაფორმება?

338 გამოკითხული




13. რომელი ხელმოწერაა თქვენთვის უფრო სანდო?


338 გამოკითხული




14. სსსამართლო სამართალწარმოებისას გისარგებლიათ თუ არა მასალების მიწოდების/მიღების ელექტრონული სერვისით?
338 გამოკითხული




15. კმაყოფილი ხართ თუ არა სსსამართლო სამართალწარმოებისას მასალების მიწოდების/მიღების ელექტრონული სერვისით?
338 გამოკითხული



16. შეაფასეთ, თუ როგორია საქართველოში სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ელექტრონული დოკუმენტის მაჩვენებელი?
338 გამოკითხული




17. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მომავალში სამოქალაქო ბრუნვა ძირითადად განვითარდება ელექტრონული დოკუმენტების საფუძველზე?
338 გამოკითხული



თქვენი ელემენტარული

18. იცით თუ არა, რა არის ელექტრონული ხელმოწერა?
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით





თეა ედიშერაშვილი

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

2021 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2005 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2013 წელს წარმატებით ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა კერძო სამართლის სპეციალიზაციით, ხოლო 2021 წელს კი გაიარა ბავშვთა უფლებების აკრედიტირებული სრული კურსი.

2019 წელს შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდგომ მიენიჭა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია.

2021წლიდან დღემდე არის ნოტარიუსი, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ წევრი. აქვს მრავალწლიანი (2004 წლიდან) სამუშაო გამოცდილება, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში. სხვადასხვა დროს იგი გახლდათ ს.ს სარაჯიშვილში – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, საქმეთა მართვისა და კადრების სამსახურის უფროსი, არაერთი კერძო სამართლის იურიდიული ჰირის მოწვეული კონსულტანტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ იურიდიული სამსახურის უფროსი, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში“ და ასევე არაერთი საკონსულტაციო კომპანიის დამფუძნებელი/მმართველი პარტნიორი.

2014 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ამჟამად არის მოწვეული პროფესორი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. არის მონოგრაფიისა და არაერთი ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

ელ ფოსტა: teaedisherashvili@gmail.com

